

ზურაბ ზენგელია

სამკურნალო მცენარეთა
კულტურა საქართველოში



გამომცემლობა „საგბოთა საქართველო“
თბილისი — 1983

633.86

БКК 41.8-

УДК 633.88

7483

წიგნში ასახულია სამკურნალო მცენარეთა კულტივირების ისტორია საქართველოში უხსოვარი დროიდან დღემდე.

წარმოდგენილია კულტივირების მეთოდები. დახასიათებულია 210 სახეობის სამკურნალო მცენარე, რომლებიც გამოიყენება როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში.

სამკურნალო მცენარეთა კულტურის შესწავლის პერიოდში ავტორმა გამოავლინა რამდენიმე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელთაგან ერთ-ერთმა საკავშირო საპატენტო ბიუროს საავტორო მოწმობა დაიმსახურა.

წიგნი განკუთვნილია ბიოლოგებისათვის, ექიმებისათვის, ფარმაცევტებისათვის, ვეტექიმებისა და აგრონომებისათვის; იგი დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეებსაც.

რ ე ე ნ ე ნ ტ ე ბ ი :

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბ. ბ ვ ი შ ი ა ნ ი .

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ფარმაკოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის კათედრის გამგე

დ. ბ ე ლ ო ვ ა ნ ი .

410800000—005

შ—————156—83

M 602 (08) 83

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ №1022 /

წიხასიტყვაობა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრა დაარსების დღიდან დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს მცენარეული საფარის ფლორისტიკულად შესწავლისათვის. მისი თაოსნობით ჩატარდა სასარგებლო მცენარეების ინვენტარიზაცია. საქართველოს მცენარეული რესურსების შესწავლის საქმეს სათავეში უდგას აკად. ნ. კეცხოველი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იგზავნება ბოტანიკური ექსპედიციები როგორც უნივერსიტეტიდან, ისე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტიდან. ველური ხილის, ზოგიერთი საკვები მცენარის, საძოვრების და სხვ. შესწავლასთან ერთად ჯგუფი კრებდა ცნობებს სამკურნალო მცენარეების შესახებ. შეისწავლეს საქართველოში გავრცელებული ველური, გავლურებული და კულტურაში შეტანილი სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ცნობილია მეცნიერულ მედიცინაში და მოხსენიებულია როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ფარმაკოპეებში.

როგორც ძველი წყაროებიდან ჩანს, ქართველებს საკუთარი ხალხური მედიცინა გვექონია, ბევრი რამ სხვებისაგან გვისწავლია და გადმოგვიღია. ჩვენში ხალხურ მკურნალობას იმიტომაც ეტანებოდნენ, რომ სწავლულ ექიმთა ნაკლებობას განიცდიდნენ. 1919 წელს თბილისში და მის მახლობელ მაზრაში 2 ექიმი იყო (ეროვნებით რუსი). რუსი ექიმები მუშაობდნენ თელავის მაზრაში — 1, სიღნაღის — 1, გორის — 1, ანანურში — 1, სურამში — 1, დმანისში — 1 და ა. შ. მოსახლეობამ არც რუსული იცოდა და არც მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა ემკურნალა მათთან. სახალხო მკურნალები პრაქტიკას არ უჩიოდნენ, გამოცდილებასაც ხვეწდნენ. რამდენი კარგი ხალხური საშუალების საიდუმლოება წაიღეს თან ჩვენმა წინაპრებმა, მათი გამოვლენა, მეცნიერული შესწავლა და ხალხის სამსახურში ჩაყენება ვინ იცის რამდენ კარგ სამკურნალო საშუალებას შეგვძენდა. ბევრი სახალხო მკურნალი დღესაც მაღავს, არ ამხელს თავის სამკურნალო წამალს. გულდასაწყვეტია, რომ ხალხური მკურნალობის აკრძალვის შემდეგ ბევრი ხალხური ან სასახლის კარის კარაბადინები დაწვეს ან გადაყარეს.

1964 წელს ბაქოში ფარმაცევტთა საკავშირო კონფერენციისა და 1967 წელს ფარმაცევტთა პირველ საკავშირო ყრილობაზე დაისვა

საკითხი ხალხურ სამკურნალო საშუალებათა გამოვლენის აუცილებლობის შესახებ.

ამიერკავკასიაში ბევრი ენდემიური მცენარეა, რომლებიც ამავე დროს სამკურნალო თვისებებით ხასიათდება და ხალხურ მედიცინაშიც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ასეთებია: *Pulsatilla georgica*, *Anthaemis Saguramica*, *Amygdalus georgica* და სხვა.

მართალია, ზოგიერთი ოფიციალური (მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული) სამკურნალო მცენარე ჩვენში არ ხარობს, მაგრამ ფილოგენეტიკურად მსგავსი მცენარე ან მის მსგავსად მოქმედი მცენარეები იზრდება და ხალხი მას იყენებს კიდევ. მაგალითად, მეცნიერულ მედიცინაში მიღებულ *Atropa belladonna*-ს შემცვლელად იხმარება *Atropa caucasica*, ხოლო მსგავსი მოქმედების მიხედვით ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ხარისძირას — *Helleborus caucasicus*, ყონივარდას — *Cyclamen ibericum*, იგივე *C. Venum*. პირველი ეკუთვნის ხარისძირასებრთა *Helleboraceae*-ეს ბოტანიკურ ოჯახს, ხოლო მეორე ფურისულასებრთა — *Primulaceae*-ს.

ხალხური მედიცინიდან წამალთმცოდნეობაში იყენებენ ისეთ მცენარეებს, როგორცაა კუნელი, მრავალძარღვა, ძიძო, შავბალახა, შვიტა, ტუხტი, ჯადვარი, სიმინდის ფოჩი, ფარსმანდუკი, ღიღი კამა, ასკილი, შავთავა, კომბოსტო და მრავალი სხვა.

ჩვენ მიერ შეგროვილი მასალა 20 წლის გულდასმითი მუშაობის შედეგია. საქართველოს ყველა კუთხე მრავალგზის მოვიარეთ, დასახული ამოცანის რაღაც ნაწილიც თუ შევასრულეთ, ვფიქრობთ, ამით მცირე წვლილს შევიტანთ საქართველოში სამკურნალო მცენარეების კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

სამკურნალო მცენარეთა გამოყენებისა და მათი კულტივირების ისტორია

მცენარეული რესურსთმცოდნეობა ერთ-ერთი უძველესი დარგია. ადამიანი ძველთაგანვე სულ ახალ-ახალი მცენარეების ძიებაშია. იგი ბუნებაში ეძებს საკვებ და სამკურნალო, ვიტამინების, საღებავის, ეთერზეთების, ფეთქებადი ნივთიერებების შემცველ მცენარეებს, ქვალორდიანი ადგილების დასამაგრებელ, ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო სამშენებლო თუ საავეჯო, რეზონანსის მქონე, ტექნიკურ თუ დეკორატიული ბაღებისათვის აუცილებელ მცენარეებს. ყოველივე ამას იგი პოულობს არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მეზობელი ქვეყნების ველურ და კულტურულ ფლორაში, ეძებს როგორც უდაბლეს, ისე უმაღლეს მცენარეებში, აწარმოებს შეჯვარებას, ამყნობს, ველური ფლორიდან გადმოაქვს კულტურაში და სხვ.

მცენარეებისა და ცხოველების შესახებ ცნობები გვხვდება ეგვიპტის ძეგლებში — პაპირუსებზე, კედლების წარწერებში, სკულპტურულ გამოსახულებებზე, შუმერებისა და ბაბილონის ფოლკლორულ მასალებში. ბაბილონში გათხრების დროს ნაპოვნია ვაზა, რომელიც (უფრო სწორად მისი ასლი) ბაღდადის მუზეუმში ინახება. ვაზაზე ოთხ მწკრივად, იმდროინდელი გამოთქმით ოთხ იარუსად, მთელი სამყაროა წარმოდგენილი. ქვედა იარუსი უჭირავს მცენარეებს, სადაც გამოსახულია უდაბლესი (წყალმცენარეები, სოკოები, სპოროფანები) და უმაღლესი მცენარეები (შიშველთესლიანები და ფარულთესლიანები), მეორე იარუსზეა — ცხოველები, მესამეზე — ადამიანი, ცხოველები და მცენარეები (ხვნი-თესვა, ნადირობა), მეოთხეზე — ღმერთები. აქ ყველაფრის საწყისი მცენარეებია, დანარჩენი ღმერთის ბრძანებით ხდება. ინდოეთის ეპოსის „მაჰაბჰარატას“ და „რამაიანაში“ ზუსტად აღწერილია მცენარეთა და ცხოველთა ნაშთები. ჩინეთის იმდროინდელი სწავლულები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ცოცხალი ბუნების პრაქტიკულ გამოყენებას. მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებებისა და ცდების შედეგად აღმოაჩინეს ისეთი სამკურნალო საშუალებანი, როგორიცაა ირმის ახალგაზრდა რქების გამოწველილი, ჟენ-შე-

ნის ფესვები და სხვ., რომლებიც ახლა მთელს მსოფლიოშია აღიარებული.

ცოცხალ ბუნებაზე პირველი ცნობები აღმოსავლეთიდან მოდის.

ცოცხალი ბუნების უფრო დეტალური და სისტემატიზებული შესწავლის ჩანასახს ეხედებით არისტოტელეს (384—322 წ. ჩვენს ვრამდე) შრომებში. არისტოტელე გამოდიოდა დებულებიდან, რომ „საჭიროა ჯერ თვითონ წარმოიდგინო მოვლენა, შემდეგ მიუთითო მის მიზეზებზე“. მან კრიტიკულად დაამუშავა მის დრომდე მოღწეული ბუნებისმცოდნეობის ლიტერატურული წყაროები და გაამდიდრა იგი.

არისტოტელეს თანამებრძოლი და მოწაფე იყო ბოტანიკის მამა თეოფრასტე (372—287 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მცენარეთა გამოკვლევების შესახებ მისი 9 წიგნიდან 6 მცენარეთა მიზეზებს იხილავს.

შრომებში ძირითადად აღწერილია ის მცენარეები, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა, სოლო ნაწილი დათმობილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის მიერ დალაშქრული ადგილების მცენარეებს. მაგალითად, მან აღწერა სპარსეთის ყურეში მანგროს ტიპის ტყეები თავიანთი საჭაერო ფესვებით, ინდოეთის ლელვთა სახეობები და მთელი რიგი სხვა მცენარეები, გაგვაცნო მცენარეთა თესლების გავრცელების დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა საშუალება, ეკოლოგიური ფაქტორები და მრავალი სხვ.

„მცენარეთა ისტორიაში“ მხოლოდ მცენარეთა პრაქტიკულ გამოყენებაზეა ლაპარაკი. მაგალითად, როგორ სდება მცენარეული ნახშირის გამოწვა, როგორ იღებენ კუპრს, სურნელოვან და სახელებელ საშუალებებს, სად რომელი სახეობის მცენარე ხარობს კულტურაში, ავტორი არც მათ დაავადებებს ივაწყებს, მცენარეები კლასიფიცირებულია; ავტორი განასხვავებს ხმელეთისა და წყლის მცენარეებს (ხეები, ბუჩქები და ბალახები).

თეოფრასტეს დროს ხალხური წამალთმცოდნეები ცნობდნენ სამკურნალო, შხამიან და სხვა სასარგებლო მცენარეებს, ბევრი მათგანის ორგანიზმი შეჩვეული იყო შხამების მიღებას. ისინი აგროვებდნენ მცენარეებს, აშენებდნენ, ამზადებდნენ წამლებს და შემდეგ ბაზარში ყიდდნენ.

თეოფრასტეს „მცენარეთა გამოკვლევა“, რომელიც ცხრა წიგნს შეიცავს, დაწერილია 2300 წლის წინათ. საბერძნეთის კულტურული და ველური მცენარეების, და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის აუზის მცენარეების გარდა, ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში დაშქრობის შემდეგ (327 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თეოფრასტესათვის ცნობილი გახდა ტროპიკული მცენარეებიც.

თეოფრასტეს დამსახურებულად უწოდებენ „ბოტანიკის მამას“.

იგი პირველობას ანიჭებს ბუნებას, რომელიც ადამიანმა ცდით და დაკვირვებით უნდა შეიცნოს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გარემოს, ახლოს იცნობს სოფლის მეურნეობას, პირადი ურთიერთობა აქვს ფესვების შემგროვებლებთან (წამალთმცოდნეებთან), ხის მჭრელებსა და დამმუშავეებლებთან, მოგზაურებთან და სხვ.

ძველი რომაელი მოაზროვნისა და მხედართმთავრის გაიუს პლინიუსის (23—79 წწ. ახ., წ.) „ბუნების ისტორიის“ 357 წიგნი ძირითადად არისტოტელესა და თეოფრასტეს შრომების კომპილაციით შემოიფარგლა. ნახსენები აქვს აგრეთვე სხვა წყაროებიც. საკუთარი მასალა მან უკომენტაროდ და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე შეიტანა ნაშრომში. შემდეგ არაბმა მკვლევარებმა და კომენტატორებმა არაბულ ენაზე თარგმნეს არისტოტელესა და სხვა ბერძენ სწავლულთა წიგნები, გზადაგზა თავიანთი ახალი დაკვირვებებიც შეჰქონდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ავიცენა (იბნ სინას 980—1037) ნაშრომი „კანონი“ (არაბულად კანონი — სამართალი). დიდმა არაბმა სწავლულმა ავეროესმა (იბნ რაშიდი, 1120—1190) თარგმნა არისტოტელე და იგი ხელმისაწვდომი გახდა არაბებისა და ქრისტიანებისათვის. შუა საუკუნეების ევროპა ანტიკურ მეცნიერებას ძირითადად არაბთა წყალობით გაეცნო. IX—X საუკუნეებში გაჩნდა კორდოვოს, ტოლედოსა და გრენადის სამეცნიერო კერები.

სასაქონლო წარმოების გადიდებამ და ნამეტი საქონლის დაგროვებამ ხელი შეუწყო საეაჭრო ურთიერთობის განვითარებას და ახალი ბაზრების დაპყრობას. ვაჭრები თავიანთი ქარაფებით გადადიოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, გაჰქონდათ სურნელოვანი სანელებელი, სამკურნალო და ტექნიკური მცენარეები, შემოჰქონდათ უცხო მცენარეები და თავიანთ ეზოებში აშენებდნენ, მონოპოლიის მიზნით მეტწილად ტექნიკური მცენარეების მოშენებას მისდევდნენ, სამკურნალო მცენარეთა შემოტანას და მათ მოშენებას უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. მაგალითად, ჩაის კულტურას გავრცელების მხრივ ვერ შეედრება ყველაზე უფრო პოპულარული სამკურნალო მცენარის ვერც ერთი კულტურა, თუ გნებავთ ჟენ-შენი.

საეაჭრო გზებით დასერილი იყო მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც. ქართველ ვაჭრებსაც თავიანთი საქონელი გაჰქონდათ და უცხოური შემოჰქონდათ.

სამკურნალო მცენარეთა შესწავლასა და განვითარებას ხელი შეუწყო სისხლისმღვრელმა ომებმა.

აზებდობის დროს ხალხი ტყეებში იხიზნებოდა. ტყე იყო მისი თავშესაფარი, საკვების მიმცემი და დაჭრილთა განმკურნებელი.

ჩვენში მოსახლეობა უკვე აღარ ეძებს ბუნებაში ახალ სამკურნალო მცენარეებს, ცდილობს არ დაკარგოს ის უებარი და იაფი სამკურნალო საშუალებები, რომლებიც მამაპაპათაგან შემორჩა. მას იყენებს

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მთაში ცხოვრობს და ცენტრს ძლიერ დაცილებულია. ქალაქებთან ახლოს ხალხურ მკურნალთა რიცხვი თანდათან კლებულობს ან თითქმის არ არის, მთისკენ კი მატულობს, ასეა საზღვარგარეთაც.

საქართველო გეოგრაფიულად, ოროგრაფიულად, კლიმატური პირობებით, ტემპერატურული რეჟიმით, ატმოსფერული ნალექებით, ნიადაგით, წყლებით, ტბებითა და ზღვებით, ფაუნითა და ფლორით მდიდარია. დედამიწის ამ მცირე მონაკვეთზე თქვენ ნახავთ თითქმის ყოველგვარ მცენარეულ დაჯგუფებას, რომელიც გამოირჩევა ფლორისტიკული შედგენილობითა და სიმდიდრით, რაც განპირობებულია იმ ეკოლოგიური გარემოთი, რომელიც საქართველოს ახასიათებს. იმავე ეკოლოგიური პირობების წყალობით ძალზე ბევრია სახეობრივად ჭარბი აბორიგენები, ადვენტური მცენარეები, ეგზოტები და, რაც მთავარია, ქართველთა მიერ გამოყვანილი ჯიშები. თუ ჩვენში ბევრია სხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი და ეგზოტიკური მცენარეები, ეს შემთხვევითი არ არის, რადგან გეოგრაფიულად საქართველო ევროპისა და აზიის გზასაყარზეა.

უძველეს ისტორიულ წყაროებში სამკურნალო მცენარეთა გამოყენებისა და კულტურის ისტორიული მასალები ძალზე ძუნწია ან სულ არ არის. ქრისტიანობა წამალთმცოდნეობისა და სამკურნალო მცენარეთა მონასტრების გარშემო კულტივირების ერთ-ერთი დიდი პოპულარიზატორი იყო.

უხსოვარი დროიდან ცნობილია ისრის წვერის მოშხამვა მცენარეული შხამით (კურარე). იგი ისტორიულად ინდოეთიდან მომდინარეობს, მაგრამ ცნობილი იყო ურარტუელებისთვისაც. ამ დროისათვის იცოდნენ, რომ მცენარის წვენი იყო შხამი, მცირე დოზით კი — წამალი. ვაჭრებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ მცენარის სამკურნალო თვისებები და იგი გაჰქონდათ ან შემოჰქონდათ მოგების მიზნით. ქართველი ხალხური მკურნალისაგან ხშირად გაიგონებდით: განა ეს უბრალო წამალია, ინდოეთიდან, სპარსეთიდან, თურქეთიდან ან საბერძნეთიდან მოდისო; შემთხვევითი არ არის, რომ ნამარხებში ჩვენი არქეოლოგები პოულობენ არა მარტო სხვა ქვეყნების ნაწარმს, არამედ სხვა ქვეყნის მცენარეების თესლსაც.

ურარტუს სახელმწიფოში არსებობდა ხის კულტი, მცენარის გაღმერთება (История Древнего Востока, გვ. 411), განსაკუთრებით წმინდა ხის კულტი. თვით მეფეც კი წმინდა ხესთან ლოცულობდა. წმინდა ხესთან ქედის მოხრა ასახულია ქვის წმინდა ბოძებზე. ურარტუელებს ჰყავდათ ბუნების, გამრავლების, სილამაზის და სხვ. ქალღმერთები, რომლებიც ამავე დროს ცხოველებისა და მცენარეების მფარველები იყვნენ (იქვე, გვ. 412). ურარტუელებმა ბევრი რამ ისესხეს ბაბილონისა და ასირიელებისაგან.

ქართველებს ყოველთვის კავშირი ჰქონდათ ახლო და შორეულ ქვეყნებთან. უცხო ქვეყანაში ეცნობოდნენ მკურნალობის წესებსაც, ახალ სამკურნალო საშუალებებსა და მცენარეებს. დიდი ხნის წინათ აზიაში იმოგზაურეს გაბაშვილმა, ავალიშვილმა, ჩუბინიშვილმა, კენჭოშვილმა, ხოლო ევროპაში — სულხან-საბა ორბელიანმა, ინდოეთში — რაფიელ დანიბეგაშვილმა, ბალკანეთში — ალექსი წერეთელმა და სხვ. ასევე ჩვენშიც მოდიოდნენ და ჩვენგანაც სწავლობდნენ, მაგალითად, არქანჯელო ლამბერტი, ტურნეფორი, და მრავალი სხვ.

საქართველო წამალთმცოდნეობისა და სამკურნალო მცენარეთა კულტივირების ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. ისე როგორც მსოფლიოს სხვა უძველესმა ხალხებმა, ასევე ქართველებმაც ეთნიკური ფორმირების პერიოდში მკურნალობასა და სამკურნალო საშუალებებზე თავიანთი კონცეფცია შეიმუშავეს. ქართველი ხალხი ამ პერიოდისათვის უკვე იცნობდა როგორც მცენარეული, ისე ცხოველური და მინერალური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერებებსა და საშუალებებს. საქართველოს მედიცინის ისტორიის მიხედვით მედიცინის განვითარება უფრო ფართო მასშტაბით იწყება II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების წყალობით მოძვეებული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ სამკურნალო საშუალებებს II საუკუნეზე ადრეც ეძიებდნენ. საქართველოში მედიცინისა და განსაკუთრებით სამკურნალო მცენარეთა შესწავლის ინტერესს კიდევ უფრო აცხოველებდა ის დაუსრულებელი და სისხლისმღვრელი ომები, რომლებიც ქართველებს ჰქონდათ მოძალადეებსა და დამპყრობლებთან. საქართველო აღებ-მიცემობას აწარმოებდა იმ დროისათვის ისეთ კულტურულ და მოწინავე ქვეყნებთან, როგორცაა ბაბილონი, ინდოეთი, არაბეთი, საბერძნეთი, რომი და სხვ. როგორც უცხოელებს, ასევე ქართველებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სამკურნალო ნივთიერებები და საშუალებები.

ახლახან ჩატარებული გათხრები და აღმოჩენები ვანში ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ანტიკური ხანის კოლხეთი უდიდესი კულტურის ქვეყანა ყოფილა. მის მახლობლად გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ქალაქ ფოთზე (ძველი ფაზისი) გაივლიდა და ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის კოლხეთსაც, ერთი მხრივ, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ, შუა აზიასა და ინდოეთთან აკავშირებდა.

ცნობილია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ჰეკატეს ტაძრის ეზოში გაშენებული იყო სამკურნალო მცენარეთა კულტურები — კამა, ყოჩივარდა, ხარისძირა, კატაბალახა და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი მათგანი უცხო ქვეყნიდანაა შემოტანილი. ვახტანგ VI სავარდუში ქაფურის ხის არსებობაც ამის დამადასტურებელია. სამკურნა-

ლო საშუალებებს მეტწილად ქალები აშენებდნენ სააფთიაქო ბოსტნებში. საქართველოში სააფთიაქო ბოსტნები უძველესი დროიდანაა ცნობილი, შემდეგ ჩვენგან რუსეთში გადაიღეს. დღეისათვის ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის არც რუსეთში, არ მისდევენ სამკურნალო მცენარეთა კულტურის მოშენებას, მხოლოდ ველურ მცენარეებს აგროვებენ, ამრობენ და ბაზარში ყიდიან. თითოეულს თან ახლავს სამკურნალო მცენარის დახასიათება, სამკურნალო თვისებების ლირსების აღწერა და სურათი (სხვათა შორის, ასეთი წესით სამკურნალო მცენარეებს დღესაც ჰყიდიან კალკუტის, რანგუნის, ბაღდალის და სხვა აღმოსავლურ უძველეს ქალაქთა ბაზრებში, რაც ჩვენი თვალით ვნახეთ და შევამოწმეთ).

საქართველოს მსგავსად სამკურნალო მცენარეთა ეზოში მოვლამოშენება ვნახეთ მხოლოდ ინდოეთში, მადრასში (აგრა), შანის პროვინციაში (ხეზო), არაბეთში (ბაია მამაია) და სხვ. კარბატებში სამკურნალო მცენარეთა კულტურის მოშენებას არ მისდევენ, ისინიც მხოლოდ ველურ მცენარეებს აგროვებენ. საქართველოში სამკურნალო მცენარეთა კულტურა ძველად მონასტრების ეზოებში იყო გავრცელებული.

ის ძველი კულტურები, რომლებიც კიდევ შემორჩა ეზოებში, ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ ზოგ მათგანს მეცნიერულ მედიცინაშიც იყენებენ. ამ მცენარეთა მეცნიერული შესწავლა გაამდიდრებდა სამკურნალო საშუალებების რიცხვს.

მსოფლიოში ცნობილია მითი, რომ კოლხეთის მეფე აიეტის ასულმა მედეამ ბალახების წვენი ადამიანი გაახალგაზრდავა. მედეას მამიდას — ჰეკატეს, კოლხეთში სამკურნალო მცენარეთა ცოდნაში ტოლი არ ჰყავდა, მედეა მისი ქურუმი იყო და ბევრი რამ ისწავლა მამიდისაგან. ამ თქმულებიდან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ჰეკატეს ტაძრის გარშემო სამკურნალო მცენარეთა ბაღი იყო გაშენებული, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კოლხეთში ამ დროისათვის სამკურნალო მცენარეთა კულტურას მისდევდნენ (XII საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ჩანასახი კიდევ უფრო შორეულ ხანაში უნდა ვეძიოთ.

ადრე მკურნალები მონაზვნები და ბერები იყვნენ. სამკურნალო მცენარეთა კულტურამ თანდათანობით გადმოინაცვლა ქართველ მეფეთა სასახლის კარზე „სავარდების“ სახით, რომლის მსგავსად პეტრე დიდმა პეტერბურგში შექმნა სამკურნალო მცენარეთა ბოსტნები, რომლებიც დღესაცაა შემორჩენილი. სასახლის კარის „სავარდებიდან“ სამკურნალო მცენარეთა კულტურა ჯერ ფეოდალების, შემდეგ აზნაურებისა და ბოლოს გლეხთა კარზეც გაჩნდა. ამიტომ საქართველოში, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც შემორჩა სამკურნალო მცენარეთა კულტურის კვალი საკარმიდამო ნაკვეთებზე. ვამბობ მხოლოდ

კვალი-მეთქი იმიტომ, რომ წინათ „სავარდევში“ სამკურნალო მცენარეთა ასორტიმენტი (სახეობრივი შედგენილობა) ძალზე დიდი იყო, ასეულს აჭარბებდა. საკარმიდამო ნაკვეთზე ახლა ის ორ ათეულამდე, ან თითო-ოროლა მცენარის სახით არის წარმოდგენილი. „სავარდევში“ აკლიმატიზებული იყო უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი სამკურნალო მცენარეებიც. უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ მცენარეთა აკლიმატიზაციას ხელს უწყობდა ჩვენი ჰავა. ამას ადასტურებს ქობულეთის „ვილარის“ მეურნეობა. ძველთაგანვე უცხოური ქვეყნებიდან შემოტანილმა სამკურნალო მცენარეებმა ჯერ კულტურაში მოიკიდეს ფეხი, ხოლო აკლიმატიზაციის შემდეგ გაველურდნენ კიდევ.

საქართველო სავაჭრო გზებით იყო დასერილი. ზღვის სიახლოვე ხელს უწყობდა მისიონერებისა და სხვა უცხო ტომის წარმომადგენელთა შემოსვლას ჩვენში, აგრეთვე საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება ითავისი ფლორითა და ფაუნით ბევრ მცენიერსა და მკვლევარს იზიდავდა. ჟამთა სიავისა და ავბედობის ჟამს საქართველო ხან რომაელებს ეკედლებოდა, ხან ბერძნებს, ხან სპარსელებს, ხან თურქებს და სხვა. ყოველივე ამის გამო საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახელწოდებანიც განიცდიდა ამ გავლენას. საქართველოს მრავალ კუთხეში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ზოგ მცენარეს შემორჩა უცხოური სახელი, მაგრამ ზოგიერთი მცენარის ქართული სახელწოდება, პირიქით, ჩვენგან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. უმრავლესობა სახელწოდებებისა ქართული წარმოშობისაა. მაგალითად, სამეგრელოში, ყველში პიტნას აურევენ და მას „ყვალმინთას“ ეძახიან. ყვალმინთა ორი სიტყვისაგან შედგება: ყვალ—ყველს ნიშნავს, ხოლო მინთა — პიტნას (მინთა, ლათინური *Mentha*). მეგრულად. ცინტურია ჰქვია მცენარე ასისტავას, ლათინურად ამ მცენარეს *Centaarium umbellatum* ეწოდება. ქართულ მცენარე ძელქვასაც ლათინურად *Zelcova* ეწოდება. საქართველო ხორბლის სამშობლოა, გამომცხვარ პურს არ გადაადგებენ, რადგან ის წმინდადაა მიჩნეული. ლათინურად *Purus* — წმინდას, სუფთას ნიშნავს, ყოველივე ეს რომაულ გავლენაზე მიგვიითთებს.

ჭინჭრის ნახარშს ასმევენ ავიტამინოზიან ბავშვებს, რომლებსაც ხშირად „ჭირიან“ ბავშვებს ეძახიან.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ჭინჭარი ჭირის ჭირია,
სატაცური ბალღამია,
სვინტრი მოღის, მოიძახის
მე ვარ ყველას წამალია.

ჭინჭარი ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას. მოხარშული ჭინჭარი ასუქებს პატარა იხვებს ან ჭუკებს. სახელწოდება ჭინჭარი „ჭირის ჭი-

რისაგანაა“ წარმოშობილი, ისე როგორც ტყემალი (ამ მცენარეს ტყეში ადრე აყვავების გამო დაერქვა).

მცენარე კოთხოჯი, რომელიც ჩვენში ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდანაა შემოტანილი, წინათ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებელი საშუალება. იგი პირველად კოთხოჯიას გვარს შემოუტანია და უხმარია სამკურნალოდ, და აქედან მიიღო მცენარემ ეს სახელწოდება.

უხსოვარ დროში, როდესაც უმთავრესად ზეპირად გადასცემდნენ ერთიმეორეს ამა თუ იმ საიდუმლოებას, წერა-კითხვის უცოდინარნი სხვა საიდუმლოებებთან ერთად ინახავდნენ მკურნალობისა და ავადმყოფობის დიაგნოსტიკის საიდუმლოებასაც, რაც მისი ადვილად დახსომების მიზნით გალექსილი ჰქონდათ. მაგალითად, ასეთ მასალას წავაწყდით კახეთში, კაჭრეთის რაიონში (განდრეკილი) 1969 წელს. აქ ცხოვობდა სახალხო მკურნალი, რომელიც მკურნალობდა ნაღრძობს, მოტეხილობას, ჭრილობებს, ბედნიერს (წითელ ქარს) და სხვ. ბედნიერზე, ანუ წითელ ქარზე (მის დიაგნოზსა და მკურნალობაზე) ასეთი ლექსი ჩამაწერინა:

ბედო ბედნიერო,
სახე მშვენიერო,
ამოხვალ ვერცხლივით,
გაბრტყელდები კვერცხივით.
რა არის შენი წამალი:
აყირა გოგრა.

მერე წყლის შვილი,
ქათმისა შვილი,
უცეცხლო თაფლი,
ქალა შაქარი
და ბოლოს ჩაღანდრი.

აქ წყლის შვილი რითმისთვისაა და ბაყაყს გულისხმობს, ქათმის შვილი — წიწილაა, აყირა გოგრა — ჩვეულებრივი ყელწვრილი გოგრაა (*Cucurbita pepo*), ხოლო ჩაღანდრი — *Veronica anagalis*.

ამ ლექსში პირველი ნახევარი დიაგნოზს ეხება. აქ შესანიშნავადაა გალექსილი ის კლინიკური და განსაკუთრებით მორფოლოგიური ნიშნები, რაც წითელ ქარს (*Erysipelas*) ახასიათებს. მართლაც, იგი შემოსასზღვრული ანთებაა, რომელიც ცენტრში ვერცხლისფერია, შემდეგ სიწითლე რგოლურია, გარდამავალი და გაბრტყელბული. ლექსის მეორე ნაწილში ნათქვამია მკურნალობაზე (რა არის შენი წამალი?).

სამკურნალო მცენარეთა პოპულარობასა და მნიშვნელობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს ხალხები მათთვის მნიშვნელოვან და ყურადსაღებ სამკურნალო მცენარეებს საფოსტო მარკებზეც კი ხატავენ და ამით პოპულარიზაციას უწყევენ მათ. მაგალითად, ჟურნალ „ფარმაციის“ 1970 წლის № 4-ში 56-ე გვერდზე მოთავსებულია ვ. პიზოვისა და ს. ივანიცკის სტატია სათაურით: „სამკურნალო მცენარეები საფოსტო მარკებზე“, საიდანაც ირკვევა, რომ ბულგარეთის, იუგო-

სლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა სახელმწიფოთა მარკებზე წარმოდგენილია შემდეგი სამკურნალო მცენარეები: ფუტკარას სხვადასხვა სახეობა — *Digitalis lanata*, *D. ambigua*, *D. purpurea*, *D. ferruginea* როგორც ვიცი, ფუტკარას გვარი *Scrophulariaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახშია გაერთიანებული და საზოგადოდ ცნობილია ამ გვარის 36 წარმომადგენელი, მათ შორის, საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებშიც ამ სახეობათა უმრავლესობა კულტურაშია შეტანილი როგორც კარგი სამკურნალო მცენარე და ფართოდ გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში. სახელმწიფოებში არსებობს მარკები ისეთი სამკურნალო მცენარეებისა, როგორცაა პიტნა (*Mentha piperita*), შმაგა, ანუ გიჟანა (*Atropa beladonna*), სააფთიაქო გვირილა (*Matricaria chamomilla*), ლაქლაქი (*Papaver somniferum*), სალაბი (*Salvia sclareae*, *Salvia officinalis*), ასკილი (*Rosa canina*) მწარია, ანუ ნაღველა (*Gentiana lutea*, *Gentiana Clusii*), ფურისულა (*Primula officinalis*). კაციითა (*Lycopodium clavatum*), არნიკა (*Arnica montana*), ლემა (*Datura stramonium*), დათვის კენკრა (*Arctostaphylos uva-ursi*), ვირისტერფა (*Tussilago farfara*) და სხვა მრავალი.

სამკურნალო მცენარეთა პოპულარიზაციასა და უპირატესობაზე მიგვივითებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში 617 სტატია მცენარეულ პრეპარატებს ეხება, ხოლო მე-8 გამოცემაში — 743, ე. ი. დამატებულია კიდევ 238 ახალი სტატია და ამოღებულია 113, სადაც უმრავლესობა უცხოური მცენარეული პრეპარატებია აღწერილი. იმ სამკურნალო მცენარეთა რაოდენობა, რომლებიც სსრ კავშირის მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება, 250 სახეობას აღემატება, ხოლო მის გვერდით გვაქვს კიდევ ხალხური საშუალებები, რომლებიც ფარმაცოპეაში შეტანილი არ არის, მაგრამ ძალზე ყურადსაღებია. მათი რაოდენობა 1000-ზე მეტია და საჭიროებს მეცნიერულ დამუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი უძველესი დროიდან იყენებს ველურ სამკურნალო მცენარეებს, მათი კულტურაში შეტანა მაინც გვიან დაიწყო. მაგალითად, XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვში იყო სამკურნალო მცენარეთა ოთხი ბოსტანი, სადაც ოცი სხვადასხვა სახეობის სამკურნალო მცენარე მოჰყავდათ. XVIII საუკუნის დასაწყისში უკრაინაში, პეტრე I-ის ბრძანებით, ქალაქ გლუბნთან, სოფელ ტერნსა და ვორონეჟში შეიქმნა სააფთიაქო ბოსტნები. შემდეგ ისინი „მულმივ სამხედრო აფთიაქებს“ გადაეცა. ასეთი ბოსტნები ჰქონდათ კერძო მესაკუთრეებსაც, მაგალითად, პროვიზორ ფრანც დელიას (რუსეთში) თავისი აფთიაქისათვის და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს პირველ მსოფლიო ომამდე თითქმის გაქრა. 1915 წლიდან, როდესაც მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ველურ სამკურ-

ნალო მცენარეთა დამამზადებელი ორგანიზაციების თათბირი მოიწვია, გადაწყვიტა, რომ დაეწყოთ ზოგიერთ სამკურნალო მცენარეთა კულტურაში შეტანა. ამ პერიოდიდან საქართველოშიც დაიწყო სახელმწიფო მნიშვნელობის სამკურნალო მცენარეთა მოშენება. პირველად ისინი მოაშენეს ბაკურიანში (წითელი გვირილა), შემდეგ გორში (ფუტკარა) და ბოლოს ქობულეთის BУЛIAP-ში, სადაც დღეისათვის რამდენიმე ათეული სახეობის სამკურნალო მცენარე იზრდება (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური).

ქართული მედიცინისა და სამკურნალო მცენარეთა ისტორიიდან

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად მედიცინა აქ უძველეს წარსულში ჩაისახა და ვითარდებოდა, მაგრამ გარეშე თუ შინაურ მტრებთან მუდმივ ომებში ცნობები მედიცინის განვითარების შესახებ განადგურდა. ერთი რამ ცხადია, საქართველო ძველთაგანვე განთქმული ყოფილა სამკურნალო მცენარეებით და ხალხური მკურნალობით. მართო ის რად ღირს, რომ ბევრი უცხოელი და საბჭოთა მეცნიერი ტერმინ „მედიცინას“ კოლხი ქალის, განთქმული მკურნალის — მედეას სახელს უკავშირებს.

ქართული მედიცინის ისტორიას საფუძვლად უნდა დაედოს ისტორიის პერიოდიზაცია. ეს პერიოდიზაცია ასეთია: I. პირველყოფილი თემური წყობილება (უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე); II. მონათმფლობელური წყობილება (ძვ. წ. აღრ. VI საუკუნიდან ახ. წ. აღრ. VI საუკუნემდე); III. ფეოდალური წყობილება (ახ. წ. აღრ. VI საუკუნიდან XIX ს. I ნახევრამდე); IV. კაპიტალისტური (XIX ს. II ნახევრიდან 1921 წლამდე) და V. სოციალისტური წყობილება (1921 წლიდან დღემდე).

I. პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდი

მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასთან, მიწათმოქმედების წინსვლასთან დაკავშირებით საკვებში დიდ ადგილს იკავებს მცენარეულობა. ამ მოვლენამ განაპირობა ის, რომ იწყება დაკვირვება მცენარეების სამკურნალო თვისებებზე. მესაქონლეობის განვითარებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ემბრიოლოგიისა და მეანობის განვითარებას, მეტალურგიისამ კი — ქირურგიის განვითარებას, რამაც ბიძგი მისცა ისეთი ნივთიერებების აღმოჩენას, რომლებიც აჩქარებს მოტეხილობისა და ჭრილობების შეხორცებას, აჩერებს სისხლდენას.

გამოვლენილი სამკურნალო მცენარეების მოშენებას ხელს უწყობდა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება. სამკურნალო მცენარეებს აგროვებდნენ და აშენებდნენ უმთავრესად ქალები (იხ. მიხ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი საკითხი საქართველოში, 1961).

პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქაში კეთდებოდა საკ-
შაოდ რთული ოპერაციები, როგორც არის კასტრაცია და საკეისრო
ოპერაციები. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, თრიალეთში აღ-
მოჩენილია ქირურგიული იარაღები, რომელნიც მეორე ათასწლეულის
შუა ხანებით თარიღდება.

მცენარეული და ცხოველური სამკურნალო საშუალებების შემ-
დგომ განვითარებას ხელი შეუწყო ტომის ჩამოყალიბებამ. ტომებს
შორის ხშირი შეტაკებები ზრდიდა ტრავმის შემთხვევებს, ამიტომ
საჭირო იყო ახალი სამკურნალო საშუალებების გამოგონება.

მეორე ათასწლეულის შუა ხანებისათვის საქართველოს მეზობ-
ლად არსებობდნენ საკმაოდ დაწინაურებული სახელმწიფოები, ხეთისა
და მითანის სამეფოები. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალების მი-
ხედვით ქართულ და ხეთა-მითანურ კულტურებს შორის ბევრია სა-
ერთო, ასევეა მკურნალობის პრაქტიკულ საკითხებშიც.

პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდშია შექმნილი
ქართული ებოსი ამირანის შესახებ, რომელშიაც აღწერილია სამკურ-
ნალო ბალახების გამოყენება. ზეციდან ჩამოყვანილი ქალღმერთი ყა-
მარი თავისაგან იგებს ბალახების სამკურნალო თვისებებს. იგი ხე-
დავს როგორ გააცოცხლა თავგმა შვილი, მიბაძავს მის მაგალითს და
აცოცხლებს ამირანს, ბადრისა და უსუპს.

ებოსში მითითებულია აგრეთვე ბალახების ტკივილდამაყუჩებელ,
გამაბრუნებელ თვისებებზე.

„შიკრიკი დინჯად დიძრა,
მძიმედ ვიღოდა მაშერალი,
ხეებსა ეხეტქებოდა,
თითქოს ბანგიოა დამთერალი“, —

ეკითხულობთ ებოსში. თუ ეს ბოლო ხნის ჩამატებული არ არის, მიუ-
თითებს, რომ მაშინ უკვე იცნობდნენ ერთ-ერთ ტკივილდამაყუჩებელ
საშუალებას — ბანგს.

ებოსიდან ჩანს, რომ მაშინდელ საქართველოში მკვდრებს უტა-
რებდნენ ბალზამირების მსგავს პროცესებს. მაგალითად, ამირანმა,
ბადრიმ და უსუპმა ცამცუმს დასაფლავების წინ

„სურნელოვანი ბანგიოა
გაუსპეტაკეს ნაწლავი“.

საინტერესოა, რომ ამირანის მითს თავიდანვე უკავშირებდნენ
პრომეთეს მითს. ანალოგია მათ შორის ნამდვილად არსებობს: ამირა-
ნიც და პრომეთეც ღმერთს ებრძვიან. ამირანმა ციდან მოიტაცა ყა-
მარი, პრომეთემ კი — ცეცხლი. ორივენი მარცხდებიან ციურ ძალებ-
თან ბრძოლაში და მიესჯებათ სასტიკი წამება. ორივე მიჯაჭვულია
კავკასიის ქედზე. საყურადღებოა, რომ ბერძნულ ლიტერატურაში
პრომეთე ითვლება აგრეთვე მკურნალობის მამამთავრად.

„კიდეუ მისინე: ვაოცდები უთუოდ ძლიერ,
თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოვიგონე.
აი მთავარი: სენშეყრილი ვინმე თუ იყო,
როდი იცოდა მისაღები თუ წასაცხები
მარგი წამალი სამკურნალო და ჭლექდებოდა.
მე შეეასწავლე სამკურნალო ბალახთა წვენის
მალამო წამლის შეზავების უცნობი წისი.
რათა კაცთავან მით განმეგლო სენი ყოველი“.

ათქმევიანებს პრომეთეს ბერძენი ტრაგიკოსი ესქილე.

იმ პერიოდში, როცა ადამიანთა გონება დაბნელებული იყო რე-
ლიგიური წარმოდგენებით და მკურნალობის ძირითადი წესები მა-
გიურ-რელიგიური იყო, სამკურნალო ბალახების წვენისაგან მალამო-
წამლების შეზავება ნიშნავდა მატერიალისტური მსოფლმხედველობის
გამარჯვებას მედიცინაში, ეს კი უდიდესი კულტურული ნახტომი იყო
ამ დარგის განვითარებაში.

შ. ნუცუბიძე ამირანის ეპოსში ძირითად საკითხად თელის სი-
ცოცხლის წარმოშობის საკითხებს. „ამირანში“ წყალი ჯადოსნური
სამკურნალო თვისებების მქონეა და იგი ამ წყლის მფლობელია.
„ჯამ-ელემენტების“ წონასწორობისათვის აუცილებელია წყალი, რომ-
ლის აღრევა იწვევს ჰუმორალური კომპონენტის გამორიცხვას, ეს კი
სიჯანსაღის აღრევაა. ყველაფრის „საწყისია“ არა წყალი, ბერძნუ-
ლად „ჰიდროს“, არამედ „იგრონს“, ე. ი. რაც ცოცხალია და იზრდება.
პაერი „ამირანში“ მიჩნეულია ზეციური „ჯამ-ელემენტების“ მოძრა-
ობის სფეროდ, ცეცხლი კი — ზეციური სტიქიონი — თვით ამირანმა გა-
შოსტაცა ღმერთებს. ამირანმა მიწა დაუპირისპირა ღმერთებს, ზეცას,
ზოდგან იგი თვით არის დაკავშირებული მიწასთან, როგორც ყოველი-
ვე, რაც იზრდება, რაც ცოცხალია, რაც ბუნების განსახიერებაა.

საინტერესოა, რომ ეს თეორია საუკუნეების შემდეგ ჩამოყალიბ-
და ბერძნულ ფილოსოფიაში. ესქილეს (525—456 წწ. ძვ. წელთაღ-
რიცხვით) „მიჯავკვულ პრომეთეში“, რომელიც ასახავს ბერძნული
ფილოსოფიის განვითარების ამ ეტაპს, „იგრონს“ რჩება „ჰიდროსის“
ნაცვლად. „იგრონი“ ქართული სტიქიონის აღმნიშვნელია და გულის-
ხმობს ჯადოსნური წყლის მფლობელ მეფეს, რომლის სამკვიდრო
კოლხეთია (წყლებით მდიდარი ქვეყანა). ამ ქვეყანას სახელად ჰქვია
იგროსი, ხოლო მის მთავარ მდინარეს ინგირი.

კოლხეთის მთავარი მოახალშენეები იყვნენ ქ. მილეთის მცხოვ-
რებლები. სწორედ მილეთის ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენ-
ლებმა — თალესმა, ანაქსიმანდრემ და ანაქსიმენემ შექმნეს სამყაროს
აგებულების სტიქიური მატერიალისტური თეორია.

მეორე ათასწლეულის ბოლოსა და პირველი ათასწლეულის და-
საწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართვე-
2. ზ. შენგელია

ლურ ტომთა დიდი გაერთიანებები: დიაოხი, კოლხა და სხვ. კოლხა, ანუ კოლხეთი მძლავრი სახელმწიფო ყოფილა. ამაზე მიუთითებს მითი არგონავტების შესახებ, რომელიც, ალ. წერეთლის აზრით, დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის XII საუკუნეშია შექმნილი (იხ. ძველი საბერძნეთი, 1966, გვ. 149). ამ მითის მიხედვით ძველ კოლხეთში ძლიერ განვითარებული ყოფილა მედიცინა. კოლხეთის მეფის — აიეტის ქალი მედეა მცენარეების წვენისაგან ისეთ ჯადოსნურ წამლებს ამზადებს, რომ მკვდარსაც კი აცოცხლებს. იგი არის ღმერთქალ ჰეკატეს ქურუმი. ეს ჰეკატეც, რომელიც საერთოდ სახალხო მკურნალთა მფარველად ითვლება, ზოგიერთი გადმოცემით აიეტის დაა. ჯადოსნურ წამლებს ამზადებს აიეტის მეორე და — ბერძნულ ეპოსში კარგად ცნობილია ცირცეაც (იგივე კირკე). ჰომეროსის „ოდისეას“ მიხედვით, მას შეუძლია ადამიანები ცხოველებად აქციოს თავისი ჯადოსნური წამლებით, რომლებიც მცენარეთა წვენისაგან არის შემზადებული. ამავე პერიოდის ცნობებიდან ვიგებთ, რომ კოლხეთში არსებობდა ჰეკატეს ტაძარი, რომლის ეზოშიც სამკურნალო მცენარეები იყო მოშენებული. ჰეკატეს ქურუმი ქალები, ისე როგორც მედეა, სახალხო მკურნალები იყვნენ. ყოველივე ეს მეტყველებს საქართველოში სამკურნალო საქმის მაღალ დონეზე.

II. მონათმფლობელობის პერიოდი (ძვ. წ. VI ს. ახ. წ. I ს.).

ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან საქართველოში უკვე ჩნდება სახელმწიფოები. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა კოლხეთის სახელმწიფო. III საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა იბერიის სამეფო.

მონათმფლობელურ პერიოდში საქართველოში ჩნდება მკურნალის პროფესია, უმჯობესდება დიაგნოზის დასმა, სამკურნალო საშუალებათა მოპოვება, მომზადება და მკურნალობა. სამკურნალო საშუალებები ამ პერიოდში ძირითადად მცენარეულია, ნაწილობრივ ცხოველური (იყენებენ ცხოველურ ცხიმებს მალამოების დასამზადებლად). ისტორიულ წყაროებში ვხვდებით მასალებს ფუტკარის შხამის, თაფლისა და ცვილის სამკურნალო თვისებებზე.

ბერძნებსა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობა იყო. ასევე მჭიდრო ურთიერთობა იყო ძვ. წ. ა. I საუკუნიდან რომსა და საქართველოს შორის. ძვ. წ. ა. VI—I სს. ანტიკური მედიცინის განვითარების პერიოდი. ბუნებრივია, რომ ეს გავლენას მოახდენდა მშინდელი ქართული მედიცინის განვითარებაზე. ბერძნები და რომაელები საქართველოს თავიდანვე თვლიდნენ მცენარეთა „მოშინაურების“, კულტურული და სამკურნალო მცენარეულობის ერთ-ერთ პირველ კერად. ამის საფუძველს იძლეოდა თქმულება არგონავტებზე,

რომელიც საბერძნეთში ძლიერ პოპულარული იყო. საქართველოსადმი ინტერესის გაზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რომისა და საბერძნეთის მწერლები იწყებენ ამ მითის დამუშავებას. იქმნება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. ძვ. წ. ა. III ს. არგონავტების მითი დაამუშავეს აპოლონიოს როდოსელმა, დიოდორე სიცილიელმა და სხვ. ამ ნაწარმოებებში საქართველო წარმოდგენილია როგორც სამკურნალო მცენარეების ქვეყანა, კოლხი ქალი მედეა კი როგორც ჯადოსნური მკურნალი, რომელსაც მცენარეთა წვენიდან შეუძლია სხვადასხვა მეტად საჭირო და ჯადოსნური ავისებების წამლების მომზადება. ასევე ჯადოსნური მკურნალია მედეას მამიდა, კოლხეთის მეფის აიეტის და, პელიოსის (მზის ღმერთის) ასული ცირცეა (კირკე).

საქართველოში სამკურნალო მცენარეების გავრცელებაზე მიუთითებს ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებებიდან შემორჩენილი ფრაგმენტებიც. ამ მხრივ სინტერესოა დიოსკურიდე (ძვ. წ. ა. I ს.), პორაციუსი (ძვ. წ. ა. 65—8 წ.), პლინიუსი (ახ. წ. ა. 29—79 წწ.), კლავდიუსი (ძვ. წ. ა. 395 წ.), ფსევდო-პლუტარქე, ამიანე მარცელინე (ახ. წ. ა. IV ს.) და სხვ. ეს ავტორები მაშინდელ საქართველოს წარმოგვიდგენენ როგორც სამკურნალო მცენარეების, წამლებისა და მხამების ქვეყანას (მ. შენგელია, ნარკეკსაჰი ავდიციხის ისტორიიდან საქართველოში, 1956).

საქართველოში ჰიგიენური კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალები (აბანოები, წამლის შუშები და სხვ.). არმაზსა და ბორჯომში აღმოჩნდა აბანო და აბაზანათა ნაშთები, რომლებიც I—II სს. განეკუთვნება. პროფ. მ. შენგელიამ ახალციხეში აღმოაჩინა სპეციალური ჭურჭელი მალამოთი (ძვ. წ. ა. IV—III ს.). არმაზში იპოვეს სამარხი, რომელიც ახ. წ. ა. IV საუკუნით თარიღდება. ამ სამარხში ნახეს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია მამაკაცი ხელში გველშემოხვეული კვერთხით, გველი კი, როგორც ვიცით, უძველესი დროიდან მედიცინის ემბლემას წარმოადგენს. არქეოლოგთა აზრით, ეს სამარხი სასახლის კარის ექიმს უნდა ეკუთვნოდეს.

ექიმისა და სახალხო მკურნალის გვერდით, როგორც ჩანს, გარკვეული ადგილი ეჭირა მაგიურ მედიცინას, რომელსაც ეწეოდნენ რელიგიის ქურუმები მაშინდელ სამლოცველოებსა და ტაძრებში. წერილობითი წყაროები ასეთი სამკურნალოების შესახებ ცოტაა. რაჭაში, სოფ. საკაოში, იპოვეს წარმართული დროის სამკურნალო—„უშოეთის სამკურნალო“, რომელშიც იყო წარმართული კულტურის ამსახველი ცულები გველებითა და სხვა უცნობი ცხოველების გამოსახულებით (იხ. ბ. გორდუზიანი, კოლხური ცულები თუ მუშტარის ხატები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1958 წ. № 6). ასეთივე სახის უნდა ყოფილიყო ჰეკატეს ტაძარი კოლხეთში, ქაშვეთის ტაძარი ქ. თბილისში და სხვ.

სამწუხაროდ, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მკურნალობის

წესები, მეთოდები, წამლის მომზადების ტექნიკის აღწერა არ არის შეკრებილი ცალკე წიგნად, გაბნეულია სხვადასხვა წყაროში. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია, წამლებისა და სამკურნალო მცენარეთა სახელები, რომლებიც დღემდე შემორჩენილი, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მონათმფლობელურ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა სამკურნალო მცენარეთა მოშენებისა და კულტივირების საქმე.

III. ფეოდალური პერიოდი (ახ. წ. ა. VI საუკუნიდან XIX ს. I ნახევრამდე)

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ახ. წ. ა. V საუკუნიდან არსებობდა საავადმყოფოები. ილარიონ ქართველის „პეტრე იბერიელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ მის დედას დედოფალ გურანდუხტს საქართველოში საავადმყოფოები გაუხსნია.

სამოქალაქო პროფესიული მედიცინის გვერდით არსებობდა საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა. მონასტრებთან არსებულ სამკურნალოებში ძირითადად მკურნალობდნენ შთაგონების (ლოცვის) მეთოდით, მაგრამ იყენებდნენ აგრეთვე მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლებსაც.

VIII საუკუნიდან იწყება საქართველოს კულტურული აღმავლობა. ამას ხელი შეუწყო საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობამ ტაო-კლარჯეთში, რომელსაც სათავეში ედგა დიდი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებული მონასტრები შემდგომში კულტურის კერები გახდნენ. აქ ითარგმნებოდა მრავალი უცხოური ნაწარმოები, იწერებოდა წიგნები. ამ მონასტრებმა ხელი შეუწვეს ქართული მედიცინის განვითარებასაც. ტაო-კლარჯეთის სავანეებში—ხანძთაში, იშხანსა და შატბერდში—ითარგმნა ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი „კაცისა შეიაკმს“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ბიოლოგიური და სამედიცინო აზროვნების გაღრმავებაში.

ქართველთა დახელოვნება სამკურნალო საქმეში კარგად ჩანს ქართულ ლიტერატურულ წყაროებში: იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“, ასევე „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“, მარტვილი საბაწმინდელის „სინანულისათვის სიმდაბლისაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ და სხვ. ამ ნაწარმოებებიდან ირკვევა, რომ V—XI ს. საქართველოში მაღალ დონეზე იდგა ახალ სამკურნალო მცენარეთა ძიებისა და წამლის მომზადების საქმე.

ქართული პროფესიული და ხალხური მედიცინის წინსვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ X ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა დავით აღმაშენებელის დროს (XI ს. უკანასკნელი მეოთ-

ხელი) და ორი საუკუნის განმავლობაში საქართველომ არნახულ აღმავლობას მიაღწია კულტურის დარგში. ამ პერიოდის საქართველოში მოღვაწეობდნენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები, როგორცაა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და სხვ.

სხვა მეცნიერებებთან ერთად საქართველოში ვითარდება ბუნებისმეტყველება, ფიზიოლოგია, მედიცინა. ლიტერატურული წყაროების მიხედვით ამ პერიოდში ჩვენ უკვე გვყავს პროფესიული ექიმები, როგორცაა აქიმი (თერაპევტი) ჯარა (ქირურგი) და მეანი (გინეკოლოგი). წამლები ამ დროისათვის ძირითადად მცენარეული იყო.

ამ დროს საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, სომხეთთან, არაბებთან, სპარსეთსა და სხვა ქვეყნებთან. საქართველოს საზღვარგარეთ ჰქონდა მონასტრები, რომლებიც ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდა. ამ მონასტრებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ათონის ივერთა მონასტერს, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე და ექვთიმე ათონელები. როგორც საქართველოს, ისე უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებთან არსებობდა საავადმყოფოები და ლეპროზორიუმები კეთროვანთათვის, აგრეთვე მოხუცებულთა სახლები. ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო მათი უზრუნველყოფა წამლებით.

სამოქალაქო პრაქტიკოსი ექიმები სპეციალურად აშენებდნენ სამკურნალო მცენარეებს თავიანთ ეზოებში. საეკლესიო საავადმყოფოების მკურნალებს სამკურნალო ბალახები მოჰყავდათ ეკლესიის ეზოებსა ან საეკლესიო მამულებში. ათონის ივერთა მონასტერში საექიმო და წამლებით უზრუნველყოფას ხელმძღვანელობდა ათონელი, რომელსაც კონსილიუმზე იწვევდნენ სხვა ქრისტიანულ (არაქართულ) მონასტრებშიც. სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ პეტრიწონის მონასტრის ეზოში, გელათის როგორც მონასტრის, ისე აკადემიის ეზოებში. სამკურნალო მცენარეთა კულტურა ეკლესიების ირგვლივ გვიანამდღე შემოგვრჩა მარტვილში, შიომღვიმეში, ზედაზენზე, გრემში, ალავერდში და სხვ.

XI ს. საქართველოში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი მოღვაწეობა. სხვა ნაწარმოებებთან ერთად ითარგმნება სამედიცინო ხასიათის თხზულებანი. გიორგი მთაწმინდელმა და ეფრემ მცირემ ბერძნულიდან თარგმნეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატები. ეფრემ მცირეს უთარგმნია იოანე დამასკელის „გარდამოცემა“.

სამედიცინო განათლებით გამოირჩეოდნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. ისინი სამედიცინო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. არსენ იყალთოელი ძველ ქართულ წყაროებში ანატომიის მოძღვართ-მოძღვრად იწოდება. იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან

თარგმნა „ბუნებისათვის კაცისა“, ხოლო არსენ იყალთოელმა მეორედ თარგმნა ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამოცემა“.

XI საუკუნეშია შედგენილი „უსწორო კარაბადინი“, ხოლო XII—XIII სს. — „წიგნი სააქიმოჲ“. ამ ძეგლებში სამედიცინო ტერმინოლოგია იმდენად დასვეწილია, რომ იგი დღესაც თითქმის უცვლელად იხმარება.

საყურადღებოა ისიც, რომ საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები გვხვდება მოსე ხონელის, სარგის თმოგველის, შოთა რუსთაველის, ჩახრუხაძის, იოანე შავთელის და XII—XIII სს. სხვა მოღვაწეთა ნაწარმოებებში. ყოველივე ეს მიუთითებს მედიცინის დიდ აღმავლობაზე. ეს პროცესი შეაჩერა მონღოლების შემოსევამ XII, ს. მეორე მეოთხედიდან.

მედიცინის და წამალთმცოდნეობის განვითარების შესახებ საქართველოში ცნობებს გვაწვდიან არქანჯელო ლამბერტი, შარდენი, ტურნეფორი და სხვა მრავალი უცხოელი ავტორი.

ქართველი მეფეები ვახტანგ V, ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I ხელს უწყობდნენ მედიცინის განვითარებას.

ქართული მეცნიერების აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ვახტანგ VI-მ 1709 წ. თბილისში დააარსა ქართული სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა საექიმო წიგნები და კარაბადინები, მაგალითად, „უსწორო კარაბადინი“, „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ და სხვ.

ვახტანგ VI ეწეოდა ველურ მცენარეთა აკლიმატიზაციას თავის სავარდეთში. ის აშენებდა სამკურნალო და საღებავ მცენარეებს. სამკურნალო მცენარეებიდან, გარდა ბალახეულისა, ვახტანგ VI-ს სავარდეთში ჰქონდა მერქნიანებიც, მაგალითად, ქაფურის ხე. იგი სწავლობდა ქაფურის ხის ქიმიზმს.

ვახტანგ VI-ის მასწავლებელსა და თანამოაზრეს სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“ უხუად აქვს მოცემული და განმარტებული სამკურნალო მცენარეთა სახელები.

ამ პერიოდში საქართველოში ჩამოდიოდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც განსწესეს სკოლები თბილისში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში. კათოლიკე მისიონერები განთქმული იყვნენ სამკურნალო საქმის ცოდნით და თავიანთ გამოცდილებას ქართველებსაც უზიარებდნენ. ამავე დროს ბევრი ქართველი ცოდნას იძენდა საზღვარგარეთ, ბევრი ქართველი სწავლობდა სამედიცინო საქმეს, წამალთმცოდნეობას და სხვ.

ჯერ კიდევ XVI ს. ქართველებმა ურთიერთობა დაამყარეს რუსეთთან. ქართველი მეფეები იწყებენ მკურნალების მოწვევას რუსეთიდან. მაგალითად, იმერეთის მეფე სოლომონ I რუსეთიდან მოი-

წვია ექიმი ვიზენტურგი. ერეკლე II თბილისში ჩამოიყვანა უნგრელი ექიმი რაინეგისი, რომელიც კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. ერეკლე II-საც ჰქონდა საეარდე სამკურნალო და საღებავი მცენარეებით. ამ პერიოდიდან იწყება ქართულ სამედიცინო და სამკურნალო საშუალებათა ტერმინოლოგიაში უცხოურ ტერმინთა შემოჭრა. სამედიცინო და სამკურნალო საშუალებათა ასეულობით ხელნაწერია შემონახული საქართველოს მუზეუმებში.

1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამ პერიოდიდან იწყება რუსულ-ევროპული მედიცინის საბოლოოდ დამკვიდრება საქართველოში.

შემოთქმულიდან ჩანს, რომ საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ სამკურნალო მცენარეების მოშენებას. მკურნალობის საქმეს ძირითადად ხელმძღვანელობდნენ ბერები, ამიტომ სამკურნალო დაწესებულებები უმთავრესად თავმოყრილი იყო საეკლესიო ცენტრებთან. სამონასტრო ცენტრებთან ახდენდნენ სამკურნალო მცენარეების კულტივირებას. მაგრამ ყველა ბერს როდი ჰქონდა სამედიცინო განათლება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები მოღვაწეობდნენ მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრებში.

მასა რჩებოდა მკურნალობის გარეშე. ეს იწვევდა ხალხის წრიდან ვარკვეული ნიჭის მქონე პირების წამოწევას. ამ პირებმა იცოდნენ სამკურნალო მცენარეთა თვისებები და ფართოდ იყენებდნენ მას სამედიცინო პრაქტიკაში. თვითნასწავლი ექიმები ერთ რომელიმე დაავადებას მკურნალობდნენ. ეს გამოცდილება გადაეცემოდა თაობიდან თაობას, იხვეწებოდა. ამიტომ მათი მკურნალობის ეფექტი ზოგჯერ მეტად რაციონალური იყო. ისინი ბევრ რამეს იღებდნენ სამონასტრო-საეკლესიო და პროფესიული მედიცინისაგანაც, ავითარებდნენ მას ხალხური საშუალებებით და დიდ ეფექტს აღწევდნენ. ასეთ მკურნალებად პირველად ქალები იყვნენ, შემდეგ კი მამაკაცებმაც მოჰკიდეს ხელი.

საქართველოს მთიან რაიონებში (ხულოში, სვანეთში, ხევსურეთში, მთიულეთში, მთათუშეთში, მესხეთ-ჯავახეთში) შემორჩენილია ხალხური მკურნალობის უძველესი წესები, რომლებიც სათავეს წარმართობის ხანაში იღებდნენ, რაც თავის მხრივ ქართული ხალხური მედიცინის ხანგრძლივ ისტორიაზე მიუთითებს.

საქართველოში პროფესიულ ექიმებს სწირად თვითნასწავლი (სახალხო) ექიმი სჯობნიდა. ასეთ მკურნალ ექიმებს — ექიმბაშებს უწოდებენ. სამწუხაროა, რომ დღეს ამ ტერმინმა დამამცირებელი მნიშვნელობა მიიღო.

XIX ს. საქართველოში ასეთი შესანიშნავი სახალხო ექიმები იყვნენ დასტაქრები: ძმები იაგულაშვილები, იაშვილები, ზაქარია

ლომიძე და სხვანი, რომელთაც რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალური ატესტატით მკურნალობის ნება ჰქონდათ დართული. ძმები იაგულაშვილები დაჯილდოებული იყვნენ მედლებით (მიხ. შენგელია „ზოგიერთი ცნობები. ხალხური მედიცინიდან“, ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა“, 1957, № 4).

ბევრი სახალხო მკურნალი საქართველოში მკურნალობდა მინერალური წყლებით, სამკურნალო მცენარეებით და ცხოველური წარმოშობის საშუალებებით, გველისა და მორიელის შხამით. სახალხო მკურნალმა ხარისჭირაშვილმა შემოიღო აცრა. ლიქოკელი და გოგოჭური აკეთებდნენ თავისქალას ტრეპანაციას.

ბევრი სამკურნალო საშუალება (თურმანიძის მალამო, გურგენიძის, ახვლედიანის, პაჭკორიას, კობიაშვილისა და სხვათა წამლები) დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ფართოდ გამოიყენება.

ხალხური ფოლკლორული მასალა საქართველოში წამლის და საზოგადოდ სამკურნალო მცენარეთა შესახებ მეტად ფართოდ და უძველესი დროიდანაა წარმოდგენილი. ზღაპრებში, თქმულებებში, ლოცვებში, ანდაზებში, სხარტულ გამოთქმებსა და ლექსებში თითქმის ყველა მცენარე წამალია. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“ მინდიას გველის ხორცის შეჭმის შემდეგ (გველი ხომ წამალთმცოდნეობისა და სიბრძნის გამომხატველია) ყველა მცენარის ენა ესმის და ეუბნებიან მას, თუ რომელი მცენარე რის წამალია.

ხალხური ექიმებისა და წამალთმცოდნეთა სიმრავლე საქართველოში და მათ მიერ მრავალ სამკურნალო მცენარეთა გამოყენების ფაქტები მათი უძველესობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტიცაა.

საქართველოს როგორც ველური, ისე კულტურული ფლორის სახეობრივი შემადგენლობა ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია, რაც აპირობებს ხალხურ წამალთმცოდნეთა სიმრავლეს.

რაც უფრო ვუახლოვდებით ქალაქებს, მით უფრო კლებულობს ხალხური წამალთმცოდნენი.

კარაბადინების, ხელნაწერების და სხვადასხვა საექიმო წიგნების სიმრავლე საქართველოში მოწმობს მის დიდ ეროვნულ კულტურას ამ დარგში.

კვლევის მეთოდика

ჩვენი საკვლევი თემის მეთოდика მეტად თავისებურია, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ხალხურ სამკურნალო საშუალებათა გამოვლენასთან, რომლებიც გადმოცემულია უხსოვარი დროიდან წინაპრებისაგან, ყოველივე ამას საიდუმლოდ ინახავენ. მათ გამოვლენას დიდი დრო სჭირდება და სპეციალურ მკვლევარს მოითხოვს.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე მცენარეს არამარტო სხვადასხვა სოფელში, არამედ ერთი და იმავე სოფელშიც კი სხვადასხვა სახელწოდებით იცნობენ, ეს რომ გაარკვიო, აუცილებელია ბოტანიკის ცოდნა. ხანდახან ხალხური მკურნალი არა თუ მოგაწვდის რაიმე ცნობას, არამედ სავეცებით უარყოფს, რომ ის მკურნალობს. ზოგიერთი ყალბ ცნობებს გაწვდის, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არ მალავენ და სწორად გაიმბობენ. პირველ რიგში უნდა დაარწმუნო ხალხური მკურნალები, რომ მასთან სამტროდ არ ხარ მისული, რომ თავისი საიდუმლოს გამჟღავნებით საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს ქართული მედიცინის, ვეტერინარიისა და ფარმაციის ისტორიისათვის.

მერე ყოველგვარ ნაამბობს ეწერდით (ტყუილი იყო ის, თუ მართალი), რომელსაც შემდეგ ასე ვაჯამებდით: რაიონში წინაწარი გამოკითხვით ვადგენდით არა მარტო ამ რაიონის, არამედ მოსაზღვრე რაიონების ხალხურ მკურნალებსაც. გვართან ერთად ვაზუსტებთ, რა დაავადებებს მკურნალობენ. მერე მივიღოდით მისამართით ამ ხალხურ მკურნალთა შესახებ შეკრებილი ცნობებით. ეს იმისათვის გვჭირდებოდა, რომ დაგვერწმუნებინა იგი, რომ ხალხი მას იცნობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის შემდეგ ვაკეთებდით ჩანაწერს, ვინ ასწავლა მას და საიდან მომდინარეობს მათ გვარში ამ მკურნალობის ისტორია, რას მკურნალობს და რით მკურნალობს, ამ სამკურნალო მცენარეებს ეზოში აშენებს, მიანდვრად აგროვებს, თუ მოაქვს სხვადასხვა ადგილებიდან. თუ აშენებს, მაშინ ვთხოვდით ეჩვენებინა ეს მცენარეები. უმრავლესობა ასრულებდა ჩვენს თხოვნას. შევიდოდით სამკურნალო მცენარეებით მოშენებულ ნაკვეთში, ვაწარმოებდით მათ აღრიცხვას ლათინური სახელწოდებებით. ნაკვეთის ფართობს ვიზუალურად ვადგენდით და ვინიშნავდით თუ წამლის მოშაადების ტექნოლოგიასაც მიაშობდა, ვიწერდი. შეგროვებულ მასალას ვაჯამებდი. შრომაში მომაქვს მხოლოდ ის მცენარეები, რომელთა შესახებ მონა-

ცემები ერთმანეთს ემთხვევა არანაკლებ სამი ჩანაწერით მაინც, როგორც ერთი და იგივე რაიონში, ასევე სხვადასხვა რაიონში. მაგალითად, პაჭკორიას საყმაწვილოს წამალი ისეთივეა, როგორც გურგენიძის, აბუთიძის, კობალიანისა და ალიბეგოვის წამალი. ისინი სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობენ და ეს რაიონები ერთიმეორისაგან ძალზე დაშორებულია (სუფსა, ცაგერი, ამბროლაური, ონი). ამგვარი მეთოდით დავაზუსტე აგრეთვე 255 სამკურნალო მცენარე, რომლებიც კულტურაში არის შეტანილი. აქ შედის როგორც ბალახები, ისე მერქნიანები, საბახჩე, საბოსტნე, ეთერ-ზეთოვანი და ბალის მცენარეები, ასევე ველური მცენარეებიც, რომლებსაც ხალხური მკურნალები მთასა და ბარში აგროვებენ.

ხალხური მკურნალები ეზოებში სამკურნალო მცენარეებს რგავენ მოფარებულ ადგილებში და ისე ახამებენ ადგილს, რომ თვალს არ მოგტაცებს, სპეციალურად დარგული არ გეგონება. სამკურნალო მცენარე თუ ნესტის მოყვარულია, მას რგავენ ეზოში რუსპირებზე, ან ჭის მანლობლად, სადაც გამოყენებული წყალი იღვრება და გროვდება (სხვადასხვა სახეობის ისლი, ჭილი, წყლის ნიახურა, კოთხოჯი და სხვ.), მაგრამ თუ ეზოში გადმოტანილმა მცენარემ ვერ იხეირა, ამ შემთხვევაში მას ბუნებრივ ადგილსამყოფელზე, სახლთან უფრო ახლომდებარე მასივში შემოყორავენ ან ფიჩხით შეღობავენ ისე, რომ ცხოველებმა არ გათელონ. კულტურაში შეტანილ ან შემოყორილ მცენარეებს მარგლიან, თოხნიან, ხმელ ნაწილებს ამორებენ და სხვა. ზოგიერთი მცენარე ისე კარგად ეგუება ეზოს პირობებს, რომ სპეციალურ მოვლას აღარ საჭიროებს და ეზოს აბეზარი სარეველაც კი ხდება. თუ კულტურაში შეტანილმა მცენარემ ეზოში იხარა, მაგრამ მისი ეფექტურობა, როგორც წამლისა ისეთი აღარაა როგორც ველურის, მას თავის ბუნებრივ ადგილსამყოფელზე მოყორავენ.

სამეციალური ნაწილი

1. სოჭი — *Abies Nordmanniana* Spach.

სოჭი ეკუთვნის ფიჭვისებრთა (Pinaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 40—50 მ-მდე სიმაღლის. აქვს ოდნავ წაწვეტილი, მოხრილი, ბრტყელი, 1,5—3 სმ სიგრძის წიწვები, ზემოთ მუქი მწვანე, ქვემოთ უფრო ნათელი; ხასიათდება ვერცხლისფერი თეთრი ზოლებით. სწორ პირამიდულ ვარჯზე განვითარებული აქვს მოგრძო ცილინდრული 15—20 სმ სიგრძისა და 5 სმ სიგანის გირჩები. სოჭის ეს სახეობა უფრო საქართველოს დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული, განსაკუთრებით აჭარის მთებში, აფხაზეთსა და იმერეთში, ვადმოდის ქართლშიც, მდინარე ლიახვის აღმოსავლეთ საზღვრამდე და აღწევს ატენის ხეობის აღმოსავლეთ საზღვარს. სოჭი კოლხური ტიპის მთის ტყეაა წარმომადგენელია, რომელსაც უჭირავს მთის შუა სარტყლის ტყეები 900—2200 მ-მდე ზღვის დონიდან. აქ იგი გვხვდება მეტწილად წმინდა სახით, ზოგჯერ შერეულია სხვა წიწვიანებში, როგორცაა *Picea orientalis* (L.) Link. (აღმოსავლური ნაძვი), მაგრამ ნახულობენ ფოთლოვან ხეებს შორისაც. სოჭი ხარობს როგორც ჰუმუსით მდიდარ, ასევე შედარებით ღარიბ ნიადაგებზეც. იგი ეტანება სინესტეს და ჩრდილს, მაგრამ იტანს ნაწილობრივ სიმშრალესაც. სოჭის ეს სახეობა ამერიკისა და ევროპის დასავლეთ ნაწილში კულტივირებულია სადეკორაციო მცენარის სახით. მისი ქერქი და წიწვები გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში. ქერქი შეიცავს სკიპიდარს, ტერპენტინს და მთრიმლავ ნივთიერებას, წიწვები — ეთერზეთებს პინენის სახით, აგრეთვე ვიტამინს, კამერენს და ბორნეოლს. გამოიყენება ჩასაზღვლად რევმატული ანთებისა და სიმსივნის დროს, აგრეთვე სკორბუტის სამკურნალოდ.

ამერიკასა და გერმანიაში გამოიყენებულია სოჭის სხვა სახეობანი: *Abies pectinata*, *Abies excelsa*, *Abies nigra*.

სოჭს ეზოში რგავენ დეკორაციული მიზნებისათვის, ზოგი კი ფისისათვის (კვეისათვის) აშენებს. ხშირად კევს მახლობელ ტყეში აგროვებენ.

სოჭს იყენებენ ეგზემის სამკურნალოდ. იღებენ 200 გ სოჭის ფისს, 3 კვერცხის გულსა და ერთ ჭიქა უმარილო ღორის ქონს, აურვენ ერთად და უსვამენ ეგზემიან ადგილებზე (ამ დაავადებას სახალხო

მკურნალები ქარცეცხლს ეძახიან). ორ-სამ დღეში ეროხელ წანასვამ ადგილს უხვევენ (ამბროლაური).

2. შვია — *Abutilon Theophrasti* Med.

შვია ეკუთვნის ბალბისებრთა (*Malvaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 40—150 სმ სიმაღლისა, ფოთლები ძირში გულნაირია, წვერო მომრგვალო ან ზოგჯერ წამახვილებული აქვს, რუდერალია და გვხვდება მთის ქვედა სარტყელში ყველგან.

შვისაგან ამზადებენ ანურიის წამალს. იღებენ ერთ დიდ მცენარეს, ნაყავენ, ასხამენ 2—3 ჩაის ჭიქა წყალს, წურავენ და შემდეგ ასმევენ ავადმყოფს ღვინის ჭიქით დილა-საღამოს (წულუკიძის რაიონი, სოფ. მათხოჯი).

3. ფარსმანდუკი — *Achillea millefolium* L.

ფარსმანდუკის გვარმა სახელწოდება მიიღო მწარე ნივთიერების შემცველობის გამო. ნაკლებად მჟავეა. სახეობის სახელი კი მრავალი ფოთოლაკის გამო დაერქვა. ლათინურიდან პირდაპირი თარგმანით ასფოთოლას ნიშნავს. იგი უძველესი დროიდან სამკურნალო მცენარედ ითვლება და ლიტერატურაში იხსენიება ბერძენ ფარმაკოლოგ დიოსკურიდეს დროიდან. ანტიკურ ხანაში სხვა სახეობებიდან მას ასხვავებენ ყვავილის ფერით. ფარსმანდუკი გავრცელებულია მთელს ევროპაში, ჩრდილოეთ ისლანდიაში ჩრდილოეთ კონტინენტამდე, აღმოსავლეთში — მთელ კავკასიაში, ჩრდილოეთ სპარსეთში დასავლეთ ჰიმალაიამდე, ციმბირში, ამერიკაში, სამხრეთ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. საქართველოში იგი გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გარეკახეთში, თრიალეთსა და მესხეთში.

საქართველოში სხვა სახელწოდებითაც არის ცნობილი; მელისკუდა, ასფოთოლა; ლეჩხუმელები მათ თავისკუდას ეძახიან, ხევსურები — ციცისკუდას და სხვ. ფარსმანდუკი ეკუთვნის რთულ ყვავილოვანთა (*Asteraceae*) ბოტანიკურ ოჯახს. აქვს 50—60 სმ სიმაღლის ღერო და პორიზონტალური მხოხავი ფესვურები. ფოთლები მკვეთრადაა ორად განკვეთილი, პირველი შეხედვით ამართლებს ქართულ სახელწოდებას — ასფოთოლას. ფესვთანი ფოთლები როზეტისებურია, ღეროსი კი ყუნწის ფუძესთან გაგანიერებული. ფარისებრი ყვავილედის გარეთა ყვავილები ენაკიანია, შიგნითა — მილისებური და ყვითელი, გარედან ერთი მთლიანი საბურველითაა შემოსილი. ნაყოფი თესლურაა, მწიფდება სექტემბერსა და ოქტომბერში: ფარსმანდუკი იზრდება საქართველოს ყველა კუთხეში როგორც მშრალ ადგილზე, ისე ნესტიანზეც. უფრო ეტანება ნათელ ადგილებს, სადაც მზის ინსოლაცია ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ ფარსმანდუკის გარდა, თითქმის ყველა მცენარე ხმება ან აჩერებს ვეგეტაციას და ისვენებს.

ფარსმანდუკი მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება როგორც კუჭის მომწეველი ფუნქციის გამაძლიერებელი და მადის მომგვრელი საშუალება, იგი შეტანილია ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, აგრეთვე შვეიცარიისა და გერმანიის საექიმო წიგნში და სხვ. მკურნალობისათვის გამოიყენება მთლიანი მცენარე (*Herba Millefolii*) და ყვავილი (*Flores Millefolii*). მცენარის ქიმიური შემცველობა ასეთია: აქილემჟავა-აკონიტმჟავა, სუსტად შესწავლილი მწარე ნივთიერება — აქილენინი, მუქი-ლურჯი ან მწვანე ფერის ეთერ-ზეთი 0,1—0,2%, აზულენი, ფისი, ინულინი, ასპარაგინი და სხვ. მისი ფარმაკევტული პრეპარატია: *Extractum Millefolii fluidum*.

საქართველოს ხალხურ მედიცინაში ფარსმანდუკი გამოიყენება ღვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ, სისხლდენის შემაჩერებელ და ჭრილობის შემსორცებელ საშუალებად. სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთში) სამკალში მიმავალთ პატარა შუშებით თან მიაქვთ ამ მცენარის სპირტიანი ნაყენი. მას ხშირად ციების საწინააღმდეგო საშუალებადაც სვამენ, ზოგჯერ კბილის ტკივილს აყუჩებენ. სოფ. ქვემო უწერაში ფარსმანდუკს ეზოში აშენებენ და სამკურნალოდ იყენებენ. სოფ. გლოლაში თითქმის ყველა აგროვებს მას და ახშობს. ამბროლაურის სოფლებში დანაყილ ფარსმანდუკს ურევენ ხვართქლას. ქვემო და ზემო სვანეთში ფარსმანდუკს ჭრილობების შესახორცებლად ადებენ.

ფარსმანდუკი სამკურნალო მიზნით ეზოში მოშენებული აქვთ სოფ. ჟახუნდერაში და სოფ. გორელოკაში (ჯავახეთში).

ფარსმანდუკი ეზოში მოშენებული ვნახეთ ზუგდიდში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდლში, ნიგვზიანში (ჯუმათი) სიმინდის ნათესებში, სპეციალურად მოყვანილი სარწყავი არხის ნაპირზე 5 მ² ფართობზე. სოფ. ჩიქვეთში მისგან სახალხო მკურნალები წყალმანკის წამალს ამზადებენ.

ბაკურიანში ყვითელსა და თეთრ ფარსმანდუკს (*Achillea micrantha* და *Achillea millefolium*) კუჭის დაავადების დროს იყენებენ, ხოლო ყვითელს — სიყვითლის (საყვითროს) წინააღმდეგ. ფარსმანდუკის სახეობას — *Achillea micrantha*-ს სამკურნალო მიზნით ეზოში აშენებენ (ქარელის რაიონის სოფ. სანებელში). ფარსმანდუკის ნახარშს ასმევენ ღვიძლის სამკურნალოდ.

4. კოთხოჯი — *Acorus calamus* L.

სიტყვა *Acorus* ნიშნავს საკვირველ, დამატყვევებელ ან მომჯადოებელ ყვავილს, ხოლო *Calamus* — ჯოხს, ყავარჯენს. კოთხოჯის ფესურა როგორც სამკურნალო საშუალება ინდოეთსა და ეგვიპტეში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, საბერძნეთში — ჰიპოკრატეს დროიდან, თურქული ქვეყნებისათვის — 1300 წლიდან, ხოლო შემდეგ გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბოლოს კი მთელს კონტინენტზე: აღმოსავლეთ ევროპაში, ტროპიკულ და სუბტროპიკულ აღ-

მოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ბალყარეთში, საქართველოში (სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში).

კოთხოჯი ნიუკასებრთა (*Araceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის (ლამბერტის მონაცემებით, მას ქართველები ნარგოზსაც ეძახიან). იზრდება 60 სმ ან იშვიათად 1 მ სიმაღლის, ხასიათდება ჩაღრმავებული საყვავილე ღეროთი, შუბისებრი ან ვიწრო, ხაზურა ფოთლებით, მსოხავი ფესურებითა და მომწვანო-მოყვითალო ფერის ტარო ყვავილედით. კოთხოჯი აღმოსავლეთაზიური სუბტროპიკული გეოგრაფიული ტიპია. გვხვდება კოლხეთის ჭაობებში: ფოთის (პალიასტომი) და აჭარის (ციხისძირის) ტბებსა და ჭაობებში, სადაც ის წმინდა დაჯგუფებას ჰქმნის, ანდა შერეულია ჭაობის ან ტბის სხვა მცენარეებთან.

სამეგრელოში კოთხოჯი დიდი ხანია ითვლება სისსლდენის შესაჩერებელ და ჭრილობათა შემახორცებელ საუკეთესო საშუალებად. მის განშრალ ფესვებს, ლამბერტის გადმოცემით, მეგრელები ქისით ატარებდნენ და საჭიროებისამებრ იყენებდნენ. დღეს მეცნიერულ მედიცინაში იგი იხმარება როგორც მადისმომგვრელი საშუალება. შესულია საბჭოთა კავშირის ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში, გვხვდება შვეიცარიის, გერმანიის, იტალიის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, ბოსნიის, ნიდერლანდებისა და ბრაზილიის ფარმაცოპეაშიც.

კოთხოჯის მშრალი ფესვურები ქიმიურად შეიცავს ტრიმეთილამინს, დიმეთილამინს, მეთილამინს, დექსტროზს 0,8%, ეთერ-ზეთებს 2,5% და ნაცარს 3—5%. მისი ფარმაცეპტული პრეპარატებია: *Oleum calami*, *Spiritus Calami*, *Tinctura Calami*.

კოთხოჯს სამკურნალოდ იყენებენ ხალხური მკურნალები. ზოგან იგი ეზოში აქვთ მოშენებული.

5. ცხვირის სატყეხელა — *Adonis aestivalis* L.

ცხვირის სატყეხელას გვარის სახელწოდება წარმომდგარია (*Adonis*) რომაული სიტყვიდან. არსებობს გადმოცემა, რომ სიყვარულის ქალღმერთმა ისურვა თავის სატრფოს აღონისს მოეკლა გარეული ტახი. ნადირობის დროს იგი გასისწლიანდა და გადაიქცა ყვავილად (*Adonium*). აღონისის გვარის მცენარეები წითლად ყვავილობს, სახეობის სახელწოდება დაკავშირებულია მისი ყვავილობის პერიოდთან (*Vernalis*) — ზაფხული, *Aestivalis* — გაზაფხული. აღონისი სამკურნალოდ ცნობილია ჯერ კიდევ პიპოკრატეს დროიდან და დღემდე შემორჩა. *Adonis vernalis* გავრცელებულია სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ველზე, მისი სხვა სახეობები შუა ევროპაში, ტიურინგიის მშრალბებზე, მთის შუა სარტყლამდე, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებშიც გვხვდება. *A. aestivalis*, *A. vernalis* კი იშვიათად კულტურაში მოყავთ.

ცხვირის სატყეხელა, ჩიტის ყაყაჩო — *A. aestivalis* ეკუთვნის ბაიასებრთა (*Ranunculaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ერთწლიანი

ბალახოვანი მცენარეა, აქვს მსხვილი ღერო, იზრდება 10—15 სმ-მდე სიმაღლის, ივითარებს თითისტარა ფესვებს, სწორი ღერო მარტივი ან დატოტვილია, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ხოლო ზედა მჯდომარე, ფორმით ვიწრო ხაზურა და ორმაგ-სამმაგად განკვეთილი, შიშველი, ღია წითელი ფერის. ყვავილი წითელი ან აგურისფერია, ქვედა ნაწილში შავი ლაქა აქვს, გვირგვინი შიშველი. გავრცელებულია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით მშრალ ფერდობებზე და ნახევრადუდაბნოში, იშვიათად — რუდეარალურ ადგილებში მთის შუა სარტყლამდე. ვეტერინარიასა და მედიცინაში ძირითადად იყენებენ *Adonis vernalis* L., რომელიც ჩვენში არ იზრდება, მაგრამ ზოგჯერ კულტურაში აქვთ. ჩვენი ხალხური მკურნალები მას ცვლიან ჩიტის ყაყაჩოთი, თუმცა ისეთი მოქმედება და ეფექტი არა აქვს. საქართველოში არსებულ სახეობას მეტწილად იყენებენ როგორც გასუქების საწინააღმდეგო საშუალებას. *A. vernalis* L-ის მთლიანი ბალახი (*Herba Adonis vernalis*) შეიცავს გლუკოზიდს, ადონივერნოზიდს, ადონიზიდს, ციმარინს და ადონიდინის მჟავას. ცხვირის სატეხელას ეს სახეობა ცუდად მოქმედებს გულზე, მხოლოდ ფუტკარას (*Digitalis*) პრეპარატზე უფრო ნაკლებად. აგრეთვე ამ მცენარის პრეპარატები თავიანთი მოქმედებით აღარიბებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ცხვირის სატეხელას პრეპარატებიდან აღსანიშნავია ადონიზიდი (*Adonisidum*). იგი წარმოადგენს მთლიანი ბალახის წყლიან გამო-ნაცემს, რომელიც გაწმენდილია ბალასტი ნივთიერებებისა და საბონინებისაგან. უნიშნავენ პირის ღრუში პარენტერალურად. ზოგჯერ იყენებენ მეორე სახეობასაც.

ბოგდანოვკის რაიონის სოფ. გორელოვკაში ეზოში მოშენებული ვნახეთ ბევრი სამკურნალო მცენარე, მათ შორის აღწერილი სახეობაც.

6. მარიამმხალა — *Aegopodium Podagraria* L.

მარიამმხალა ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 50—100 სმ სიმაღლის, ფოთლები დიდი ზომისაა, ორმაგ-სამმაგ ფრთართული, კვერცხისებრი ფორმის და ბასრი ხერხკბილა. ივითარებს თეთრ ყვავილებს, გვხვდება ტყეში მთის შუა სარტყლამდე.

მარიამმხალა მეცნიერულ მედიცინაში მოხსენიებული არ არის. პ. ს. მასაგეტოვის 1947 წლის მონაცემებით, იგი შეიცავს ალკალოიდებს, ა. როლოვი გვაწვდის ცნობებს მარიამმხალას როგორც საჭმლის მონელების, კრილობის შემხორცებლის და პოდაგრის (ნიკრისის ქარი) სამკურნალო საშუალებას. იყენებენ აგრეთვე საერთო მდგომარეობის შესამსუბუქებლადაც.

სუფსაში (მახარაძე) თუთის, ხურმის, იფნის ძირას, ტრიფულია-ტების ქვეშ მოშენებული ვნახეთ მარიამმხალა, რომლისგანაც ამზადებენ კატაჯვრასა და საყმაწვილოს წამალს.

7. ბირკავა — *Agrimonia eupatoria* L.

სახელწოდება *Agrimonia* ლათინურია, მაგრამ ბერძნული წარმოშობისა. ძველი ბერძნულით მომთმენ თვალს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ბირკავას წვენი თვალის სამკურნალოდ არ გამოიყენება, მისი სახეობის აღმნიშვნელი *eupatoria* თითქოს შეესატყვისება *hepatorus* (*hepat* — ღვიძლი). გადმოცემით, იმდროინდელი სწავლულნი მას იყენებდნენ ღვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ. ბირკავას უძველესი დროიდან იცნობდნენ სამკურნალოდ. დიოსკურიდესა და პლინიუსს მოხსენებული აქვთ თავიანთ ნაწერებში.

ბირკავა მრავალწლოვანი 1 მ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. გაერთიანებულია ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახში. ახასიათებს მოკლე და მსხვილი ფესვურა, რომელზეც მიწისზედა ღეროა განვითარებული. მისი მარტივი ან სუსტად დატოტიანებული ღერო დაფარულია ხშირი და მკვრივი ბუსუსით. ღეროზე ვითარდება პატარა, ბუსუსიანი ფოთლები. ქვედა ფოთლები ქერქისებურია, ხოლო ზედა როზეტისებურადაა შემჭიდროებული. მტევან ყვავილედში ყვითელი ფერის ყვავილები ვითარდება. ყვავილობს მაისის ბოლო რიცხვებიდან სექტემბრის დამდეგამდე, გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მეტწილად ტყის პირას, ბუჩქნარში, კენჭარებში, მდინარეებისა და არხების ნაპირას, ბალახოვან ფერდობებზე. ეტანება უფრო ნესტიან ადგილებს და მლაშე ნიადაგის გარდა თითქმის ყველგან ხარობს, იტანს ნაკლებ სინათლესაც, სიმშრალისა და ველის პირობებში კარგად ხარობს. ბირკავას იყენებენ ტყავის გამოსაქნელად, როგორც ყვითელ საღებავსა და მთრიმლავ ნივთიერებას.

ბოლო ხანებში მეცნიერულ მედიცინაში ბირკავას იყენებენ როგორც ღვიძლის დაავადებათა და სიყვითლის საწინააღმდეგო საშუალებას. გერმანიისა და იტალიის ფარმაკოპეის გარდა, ის არსად მოხსენიებული არ არის. გერმანიაში *Herba Agrimoniae*-ს უწოდებენ. მისგან მიღებული პრეპარატი *Herbogrimoni* წარმოადგენს ყვავილობაში მყოფ მცენარე *Agrimonia eupatoria*-ს კონცენტრირებული ალკოჰოლის ნაზავს (ალკოჰოლით გაჯერებულ ნივთიერებას) და იხმარება სიყვითლისა და ღვიძლის დაავადების დროს (სამჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი). მისი შემადგენლობა ასეთია: მთრიმლავი ნივთიერება (ფოთლებში თითქმის 4,8%-მდე), მწარე ნივთიერება — გლუკოზიდი ეუპატორინი (0,2%), ეთერზეთი, ნაცარი და კაჟის მჟავა 12%.

ხალხურ მედიცინაში ბირკავას იყენებენ საზარდულის სიმსივნის დროს, ჭიის დამდენ საშუალებად, ჭრილობის, სიყვითლისა და ციების სამკურნალოდ.

სამკურნალო მიზნით ეზოში სპეციალურად აშენებენ *Agrimonia eupatoria*-ს (გუდაუთა, ჩიქვეთი, სორი, ჩხუტელი). აკაკი წერეთლის

ეზოში (სხვიტორში) სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად დღესაც შემორჩენილია ბირკავა.

სოფ. სორში (ონის რაიონი) ეზოში მოშენებული ვნახეთ მრავალი სამკურნალო მცენარე, მათ შორის ბირკავაც, რომელსაც კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს იყენებენ. სოფ. ჩხუტელში (ცაგერის რაიონი), გურჯაანში. ეზოში მოშენებულ ბირკავას ფოთლებით მკურნალობენ ჭრილობას. ფოთლებს ახმობენ, ფხვნიან, ცრიან და შემდეგ აყრიან ჭრილობაზე: თელავის რაიონში *Agrimonia eupatoria*-ს და *polygonum aviculare*-ს ნახარშს სვამენ კოლიტის დროს.

8. მხოხავი ჭანგა — *Agropyron repens* (L.) P. B.

ამ გვარის სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან, რაც ველურს ნიშნავს, ხოლო *pyros* — ხორბალს (მისი სახეობრივი სახელწოდება ლათინურიდანაა წარმომობილი), *repens* კი — მხოხავს ან მცოცავს. მხოხავ ჭანგას სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებენ, აფთიაქებში იგი როგორც მზა სამკურნალო საქონელი (*Radix graminis*) მე-16 საუკუნიდან გაჩნდა. მოხსენიებულია ფრანკ-ფურტისა და ჰამბურგის აფთიაქების ტაქსაციაში. ჭანგა გავრცელებულია ევროპაში, ციმბირში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, კავკასიაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება როგორც სარეველა. იგი მრავალწლოვანი მცენარეა, გავრთიანებულია მარცვლოვანთა *Poaceae* (*Gramineae*) ბოტანიკურ ოჯახში, ხასიათდება ღონიერი ფესურით და ოდნავ წამოწეული შიშველი ღეროთი, რომელიც კენწეროსაკენ თანდათან წვრილდება და გადადის სწორ თავთავში. ფოთლები ვიწრო ხაზურია, ოდნავ წამახვილებული, ზევიდან მსხვილი ხორკლებითაა მოფენილი. თავთავზე ორმწკრივად განლაგებულ თავთუხებზე მოთავსებულია სამ-სამი მტკრიანა და თითო ბუტკო, რომლებიც მომწყვედებულია ორ მწვანე კილს შორის. ნაყოფი წვრილი მარცვალია. ჭანგა პალეარქტიკული გეოგრაფიული ტიპია, საქართველოში მას ყველა კუთხეში იცნობენ, გვხვდება სხვადასხვა დაჯგუფებაში როგორც ნესტიან ადგილებზე, ისე მშრალ ნიადაგზეც, ვაკეზე და მთის კალთებზე სუბალპიურ სარტყლამდე.

ჭანგა გამოყენებულია როგორც ხალხურ მედიცინაში (შარდმდენი საშუალება), ისე მეცნიერულ მედიცინაში. ჩვენი ფარმაცოპიის მე-7 გამოცემაში ის მოხსენებული არ არის. გვხვდება ბრაზილიის, უნგრეთის, პორტუგალიის ფარმაცოპიაში. სამკურნალოდ იყენებენ მის ფესურებსა და ფესვებს *Rhizoma* (*Radix*) *Graminis* სახელწოდებით; ნივთიერებათა შემცველობა ასეთია: ლორწო 11%, ჰემოლიზურად ნაკლებად მოქმედი ერთი საბონინი, ინოზიტი, ვანილინგლიკოზიდი, ამიგდალინი, A და B ვიტამინები, ნაცარი 5—6%, პოლისაქარიდი, ტრიტიცინი, ვაშლის მჟავა და სხვ. მისი ფარმაცეპტული პრეპარატი-
3. ზ. შენგელია

ბია: Extractum Garminis fluidum, Extractum Graminis, Decoctum rhizoma Graminis.

გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება, ლორწოვანის გარსშემომკლებად აბების დამზადების დროს და როგორც *corrigenens*.

ცაგერში ეზოში აშენებენ ჭანგას, რომელიც შემდეგ მიაქვთ ხალხურ მკურნალებს კუჭის დაავადებათა სამკურნალოდ.

9. პირწმინდა — *Ajuga genevensis* L.

პირწმინდა ეკუთვნის ტუჩოსანთა (*Lamiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება 10—40 სმ სიმაღლის, აქვს გვირგვინის სწორი მილი ქვემოთ დახრილი ტუჩით. გვხვდება მთის შუა სარტყლის მდელოებზე და ბუჩქნარში.

როლოვის მონაცემებით, ხალხურ მედიცინაში პირწმინდას ფოთლებს იყენებენ ტუბერკულოზის დროს ფილტვებიდან სისხლდენის წინააღმდეგ.

ჩვენში ჭანგასა და პირწმინდათი მკურნალობენ საშვილოსნოს დაავადებებს (ბაკურიანი).

10. მყრალა — *Ailanthus altissima* (Mill.) Swingle.

მყრალა ერთადერთი წარმომადგენელია *Simarubaceae*-ს ბოტანიკური ოჯახისა, რომელიც ჩვენში გაველურებული სახით იზრდება. იგი ხშირად 20—25 მეტრ სიმაღლეს აღწევს. აქვს ჭრელი ღერო და კენტფრთხილი ფოთლები, რომელთა ფოთოლაკები ყუნწის ფუძესთან გულნაირი ან ლანცეტისმაგვარია. მომწვანო თეთრი ყვავილები, რომელთაც არასასიამოვნო სუნი აქვთ, საგველა ყვავილედშია შეკრებილი. მყრალას სამშობლო ჩინეთია, ჩვენში შემოიტანეს როგორც დეკორაციული მცენარე. იგი სავსებით შეეგუა საქართველოს პირობებს და მოკლე ხანში გაველურდა კიდევ. გვხვდება მცენარეთა მრავალფეროვან ცენოზში როგორც კლდიან, მშრალ, ქსეროფიტულ, ისე ნესტიან ნიადაგზე. ჩვენში მყრალას მედიცინაში არ იყენებენ. ჩვენს ფარმაცოპიაში მოხსენიებული არ არის, მაგრამ თავის სამშობლოში მას ხმარობენ როგორც ჭიის დამდენ და დიზენტერიის საწინააღმდეგო საშუალებას. იგი შეიცავს კვასინს (*Quassiin*), ანუ აილანთინს (*Ailanthin*), ფოთლებში 12% მთრიმლავი ნივთიერებაა. ქერქი შეიცავს მწარე მთრიმლავ ნივთიერებას და ფლობაფენს. მკურნალობის მიზნით აღრე გაზაფხულზე აგროვებენ მის ქერქს კვირტების გაშლამდე. იმერეთში მყრალა ხის (რომელსაც აქ მყრალკოპიტს ეძახიან) ფოთლის სპირტიან ნაყენს ან ზოგჯერ ნახარშს, ქარების წინააღმდეგ ჩასახველად იყენებენ.

11. მარმუჭი — *Alchemilla dura* Bus., *A. caucasica* Bus.

მარმუჭის გვარის სახელწოდება *Alchemilla* ალქიმიკოსების (*Alchemie*) პატივსაცემად დაერქვა: ალქიმიკოსები მცენარეებიდან აგროვებდნენ წვეთებს (მცენარეთა მიერ გამოყოფილ ან მათზე და-

გროვილ წვეთებს) და მას უწოდებდნენ „ზეციურ“ ან „მაცოცხლებელ წვეთებს“. მათ შორის იყო მარმუჭიც და ამიტომ დაარქვეს მას ალქიმილა, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი vulgaris ნიშნავს ჩვეულებრივს, caucasica კი — კავკასიურს. მარმუჭი, როგორც სამკურნალო საშუალება, ანტიკური მედიცინიდანაა ცნობილი და დღესაც არ დაუკარგავს ხალხში თავისი ღირსება. ის გავრცელებულია მთელ ევროპაში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში ხმელთაშუა ზღვიდან შევიდა, ხოლო აქედან კი ნორვეგიაში, გვხვდება გრენლანდიაში, აზიაში, კავკასიაში, ჰიმალაის მთებზე, ციმბირში. მარმუჭი შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთრიმლავ ნივთიერებასაც (მწარესთან შედარებით მცირეს), რის გამო ორთავე ერთად შერწყმული მჟავაა. იგი აძლიერებს სეკრეციულ ფუნქციას, იხმარება ნაწლავების დაავადების დროს. მზა სააფთიაქო მასალას ხარშავენ და ნახარშს სვამენ. ჩვენში გავრცელებულია მარმუჭის თითქმის 61 სახეობა. აქედან 99% მეტ-ნაკლებად გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.

მარმუჭის გვარი ეკუთვნის ვარდისებრთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს და რამდენიმე სახეობას მოიცავს, მაგრამ ეს გვარი ჩვენში ჯერ კიდევ რატომღაც კარგად შესწავლილი არ არის. ამ გვარში გაერთიანებული სახეობები მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, რომლებიც ხშირად მხოხავი ფესვურით, გრძელყუნწიანი ფესვთანურით და როზეტი ფოთლებით ხასიათდება. ყველა ფოთოლი კვირტობისას დაკეცილი და თათისებრ დაყოფილია ან დანაკეთული. პატარა ზომის ორსქესიანი ყვავილები შეკრებილია ფრთისებრ საგველა ყვავილედში. ყვავილს გვირგვინის ფურცლები არა აქვს. საქართველოში გვხვდება მალალმთიან ადგილებში. იზრდება ზედა ალპურ, უფრო იშვიათად ყველა ალპურ სარტყელში, კლდეთა ნაპრალებში, მორენებზე.

მარმუჭის მთლიანი ბალახი (Herba Alchemillae) შეიცავს მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, ამიტომ მის ფოთლებსა და ღეროებს იყენებენ სამღებრო საქმეში, განსაკუთრებით შალეულობის შესაღებად.

მარმუჭის გვარში გაერთიანებულ სახეობებს იყენებენ როგორც ქართულ ხალხურ მედიცინაში, ასევე ვეტერინარიაში, განსაკუთრებით ძნელად შესორცებადი ჭრილობების დროს და ცხერის ჭრილობის „მატლის“ წინააღმდეგ. მწყემსები მის ფოთლებს ნაყავენ და პირდაპირ ჭრილობაში აწევენ ან თუ ჭრილობა პირლიაა, შიგ დებენ და მეორე დღემდე ტოვებენ.

აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული მარმუჭის ერთ-ერთი სახეობის ვარიანტია *Alchemilla epipsila* var. *hirsutiflora* Bus. იგი ღია ყვითელი ფერის საღებავს იძლევა.

რაჭაში, ონის რაიონში, საინტერესო ამბავი გვიამბეს: სოფ.

ქვემო უწერაში ცხოვრობს ერთი გლეხი. მას 1914 წელს თიბვის დროს სარით გაუხვრეტია ფეხი. პქონია ძლიერი სისხლდენა. გამწარებულს აუღია მარმუჭის ფოთლები და პირდაპირ ჭრილობაში ჩაუტენია, რის შემდეგ სისხლდენა შეჩერებია და ჭრილობაც ხუთ დღეში შეხორცე-ბია. ასე გამომკლავნებულა მისი სამკურნალო თვისებები, ამჟამად თვითონ მკურნალობს ბალახებით. სათიბებში აგროვებს უპიროს, ელ-ნეცას, საკავეთს (გიორგი ქვაბი) და ველგარძელას, აშრობს მას და ინა-ხავს სხვენში, საჭიროების დროს აღბობს. მას ამ ხნის განმავლობაში მრავალი დაჭრილი და დაკოდილი განუკურნავს. ეზოში ბევრჯერ უცდია მისი მოშენება, მაგრამ ამაოდ. მარმუჭს ჭრილობას აღებენ სხვა ხალ-ხური მკურნალებიც (ასპინძის რაიონი, სოფ. აწყვეტა). ზოგიერთი მუცლის წვის დროს ასმევს მარმუჭის ნახარშს (სოფ. ტოლი).

12. ხახვი — *Allium cepa* L.

ხახვი შროშანასებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი მრავალწლოვანი მცენარეა. აქვს თეთრი ყვავილი და წითელი ფე-რის მოგრძო ან ბურთისებრი ბოლქვები და ერთ მეტრამდე სიმაღლის ღერო, რომლის კენწეროზე მეორე წელიწადს ვითარდება მრავალი ყვავილისაგან შემდგარი სფერული ქოლგა — ყვავილენი. ხახვს აქვს ღრუ ფოთლები, ნიორის მსგავსად ხახვი საქართველოს ბოსტნებისა და ბაღჩების ერთ-ერთი დამახასიათებელი კულტურული მცენარეა, რომელიც დიდი რაოდენობით ითესება, რადგან დიდი გამოყენება აქვს კულინარიაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ხახვის ბოლქვებზე არ-სებულ სახეცელილ ფოთლებს მოთუშული სახით ხმარობენ ჩირქგრო-ვის გამოსარწყავად და ჭიის დამდენ საშუალებად. „წიგნი სააქიმოს“ მიხედვით ხახვი ითვლება ბუასილის გამომწვევად: „იცოდე თუთაი ბუ-ვასირი სქელისა სისხლისაგან იქნების, რომელ დამწუარ იყოს მეტისა საჭამადისა მსურვალისა და ფიცხელისა ჭამისაგან, ვითარ ნიორი და ხახვი, და გარდა ამისა პრასა და პილპილი, და რაიცა მათი მსგავსი იყოს, მაშინ ესე მანკი გამოჩნდების“. დავით ბატონიშვილი ხახვს კუჭში გამხსნელ საშუალებად თვლის: „ხახვი მსურვალი და ხმელი არის, რაცა კაცისათვის უცხოსა და ავსა წყალსა უწყენია და ან ამის-გან სენი ასძურია, ყველას უშველის და კაცსა გახსნის“, ხოლო ქანა-ნელი თავის „უსწორო კარაბადინში“ მოგვიწოდებს გამოვიყენოთ ხა-ხვი ბუასილის დროს სისხლის გასახსნელად და გამოსაწმენდად. — „უმი ხახვი დანაყე, შემოსდევი რაიმე, სისხლი გახსნას და გამოწმინდოს“. მეცნიერულ მედიცინაში ხახვმა მხოლოდ ბოლო ხანებში პოვა გამოყე-ნება როგორც კარგმა ფიტონციდმა: ძირითადად იხმარება მისი ბოლ-ქვი (*Bulbus Cepae*), რომელიც ქიმიურად შეიცავს საქაროზას, შა-ქარს, ქვერცეტიხს, ლიმონმჟავას, ინულინს, პენტოზს, შეფერილ უგე-მო დაჟანგულ კატექინს და პროტოკატექინის მჟავას.

როგორც ფიტონციდი, ის გაზაფხულზე უფრო მოქმედებს; გარდა

ამისა, ამ პერიოდში ის დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, რომლებშიც შედის გოგირდი, მდიდარია ვიტამინით.

ხახვს რაჭაში იყენებენ მადის მომგვრელად, საგულე საშუალებად და ჭრილობის მოსამწიფებლად.

თეთრ ხახვს კანზე გამონაყარისა და მუწუკების დროს ხმარობენ.

13. ნიორი — *Allium sativum* L.

Allium-ის გვარი ავტორთა უმრავლესობის მიხედვით ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს ბურთივით მრგვალ, დანაწევრებულ და მიჭყლეტილ ბოლქვს, რომელიც მწვავე გემოთი ხასიათდება, ხოლო *Sativum* ლათინურია და სათესს გამოხატავს, ე. ი. კულტურაში მოჰყავთ. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იგი კულტურაში ცნობილი იყო ინდოელების, შემდეგ ეგვიპტელების, ხოლო უფრო გვიან ბერძნებისა და რომაელების, კოლხების, ებრაელებისათვის. ამ ხალხებისათვის ის მთავარ საკვებს წარმოადგენდა. ძველ საბერძნეთში მართლითაა შეზავებული ნიორი პირველი საჭმელი იყო. ნივრიან და ნიორ-მომეტებულ საჭმელს ასლაც უწოდებენ *Alliatus*-ს.

ნიორი მრავალწლიანი კულტურული მცენარეა. ეკუთვნის შროშანისებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ხასიათდება მომრგვალო 6—10 კბილა ბოლქვით. ბოლქვებზე მიწის ზევით ვითარდება ერთ მეტრამდე სიმაღლის ღერო, რომლის კენწერო დამშვენებულია თეთრი ყვავილებისაგან შემდგარი ქოლგა ყვავილედით. ღეროზე განლაგებულია ბრტყელი ხაზურა ფოთლები. საქართველოში ნიორი მოჰყავთ ყველა კუთხეში, გარდა მაღალი მთიანი მხარეებისა. იხმარება კულინარიაში, როგორც საუკეთესო სანელებელი. ჩვენი ხალხი მას უხსოვარი დროიდან იყენებდა როგორც შესანიშნავ პროფილაქტიკურ საშუალებას ამა თუ იმ გადამდები სენისაგან თავის დასაცავად. ამ მიზნით კვირაში ორჯერ მაინც უზმოზე ჭამდნენ თითო თავ ნიორს, რასაც ხშირად ჭიის დადენა მოყვებოდა. დანაყილ ნიორს იღებდნენ ცოფიანი ძაღლის ნაკბენზეც. ჩვენს კარაბადინებში ნიორი ხშირადაა მოსხენებული. მაგალითად, „წიგნი სააქიმოში“ ნათქვამია, რომ იგი აჩქარებს მაჯის ცემას „და მაჯასი ფიცხელი იყოს და ფიცხლად ფეთქდეს, და ესეთი მანკი მით შეექმნების რომელ წყალი და კალიაი და თაფლიანი და ნიორი და პილპილი, და სარფი ღვინოი და ტკბილი ღია ეჭამოს“-ო. ის დიდი ხანია მიჩნეულია როგორც სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი და აგრეთვე ცხვირის დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალება, რის შესახებაც დავით ბატონიშვილი წერს „იადაგარ დუღში“: „ვინც ნიორი დანაყოს და წყალი გამოხადოს და ესე ნივრის წყალი ცხვირშიგა ჩაიწვეთოს, რაც კაცსა ცხვირშიგა ან ბაყლი უთქს, და ან ავი რამე დარჩომია ყუელასა გამოსწმენდს და გააქრობს“. გარდა ამისა, დავით ბატონიშვილი თვლის მას სიმსივნეთა საწინააღმდე-

გო საშუალებად: „ეინცა ნიორი ჭამოს სიმსიენესათვის მწოვედ კაი და მარგე არის“. 1942 წელს მ. ტოკინმა აღმოაჩინა ზოგიერთ მცენარეში, მათ შორის ნიორში ქროლადი ბაქტერიციდული ნივთიერებანი, რომლებიც ცნობილია ფიტონციდების სახელწოდებით. ქიმიური ანალიზით გამოკვლეულია, რომ ნიორის ბოლქვი შეიცავს ნივრის ზეთს, გლუკოზიდ ალღინს, ეთერზეთებს და იოდს (ნიორის 1 კგ. ბოლქვში 0,94 მგ. იოდია). მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ იენისიდან აგვისტომდე შეგროვებულ ახალ ბოლქვებს (*Bulbus Allii*), რომლის საექიმო ფორმებია *Sirupus Allii sativi* — არომატული სიროფი შერეული შაქრის სიროფთან (გერმანული საექიმო წიგნის 1941 წლის მე-6 გამოცემა). *Tinctura Allii*. მის მისაღებად 200 გრამ ახალი ნივრის დაქუცმაცებულ ბოლქვებს აყენებენ 1000 მილილიტრ ღვინის სპირტზე 10 დღის განმავლობაში, როცა ნაყენი 60%-იანი გახდება, დალექვის შემდეგ ფილტრავენ (*Tinctura Allii sativi*), 500 ნაწილ სუფთა ახალი ნივრის დაქუცმაცებულ ბოლქვებს უმატებენ ღვინის სპირტის 1000 ნაწილს, აყენებენ 10 დღეს, რის შემდეგ წნეხავენ და ფილტრავენ), ნივრის პრეპარატებს იყენებენ როგორც სისხლის მიმოქცევის გამაძლიერებელ საშუალებას. მას აგრეთვე ხმარობენ სხვადასხვა გამონაცემის სახით. არტერიოსკლეროზის შემთხვევაში 10 კგ. კარგად დაკეპილ ნივრის ბოლქვებს ხარშავენ 20 ლიტრ წყალში 1,5 საათის განმავლობაში, ჩასქელებამდე, შემდეგ წნეხავენ და გამოწურულ სითხეს ისევ აღუღებენ და აორთქლებენ ნახევარი საათის განმავლობაში. ნივრის ბოლქვებში შედის გოგირდის შემცველი გლუკოზიდი და ერთი ენზიმი ალიზინი (*Allisin*), მისგანვე ღებულობენ გოგირდის შემცველ ზეთსაც, რომელიც გერმანიაში აზანტის (*Asant*) სახელწოდებითაა ცნობილი. აზანტი შეიცავს დეზოქსინს, ანუ აპოქოლის მჟავას (იგივე დეზოქსიქოლმჟავა), აზანტი პატენტირებულია გერმანიაში 594,808 ნიშნით. ნივრის ბოლქვებიდან ამზადებენ ლიქიორებსაც. *Allium sativum*-დან ნიურნბერგში დამზადდა ტაბლეტების სახით (თითო 0,55 გ პრეპარატი ალიზატინი (*Allisatin*), რომელსაც სუნის მოცილების მიზნით უმატებენ ნახშირს. იგი შეიცავს ყველა იმ ნივთიერებას, რომელიც შედის ნიორში. უნიშნავენ ნაწლავების მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული კატარის დროს, აგრეთვე *Diarrhöe*-ის შემთხვევაში, არტერიოსკლეროზული მოვლენების დროს, შარდში მჟავიანობის გაძლიერებისას და სხვ. ბერლინ-ბრიტცაში ნივრიდან მიიღეს კრდევ ერთი პრეპარატი — ალოლოტონი (*Allolon*), რომელშიც შედის 12 % ნივრის ზეთი, ანუ ქიმიურად დიოქსიქოლანის მჟავა, დეზოსიქლორანის მჟავა; მას იყენებენ არტერიოსკლეროზის, უძილობის დროს, მხვიარა, ბრტყელი და მრგვალი ჭიების წინააღმდეგ და სხვ. (0,1 გ ჭამის დროს ან მის წინ). ჩვენს ფარმაკოპეიაში ნიორი მოხსენიებული არ არის, მაგრამ მაინც იყენებენ ჩვენში როგორც გამა-

ლიზიანებელ სადღეინფექციო საშუალებას, აქლიერებს საჭმლის მომ-
წოდებელი აპარატის მამოძრავებელ და სეკრეციულ ფუნქციებს და
აქვეითებს ნაწლავებში ლაზობისა და დუდილის პროცესებს. მას უნიშ-
ნავენ Subaciditas და anaciditas დროს ნაწლავების გასაუფლებლად.
ჩვენი პრეპარატებია Extractum Allii sativi fluidum და Allisat-ი.

ამერიკელი მკვლევარის კავილეტოსა და სხვათა მიერ 1944—1945
წწ. დამტკიცდა, რომ ნიორი ხოცავს როგორც გამდადებით ისე გრამ-
უარყოფით ბაქტერიებს. პენიცილინის აღმოჩენამდე ნიორს იყენებ-
დნენ სტაფილოკოკის, ტიფის ბაცილის, პარატიფული ბაქტერიების,
დიზენტერიის ჩხირისა და ქოლერის წინააღმდეგ, ამერიკელმა მეცნი-
ერებმა ეს მოქმედი საწყისები ცალკე პრეპარატში — ალიცინში
(Allicin) გამოჰყვეს.

ი. ტოროპცევემა და ი. კამენევა დაამუშავეს ნივრიდან ბაქტე-
რიციდული საწყისის მიღების მეთოდი. ამ საწყისს მათ დეფენზონა-
ტი უწოდეს. დეფენზონატის ქიმიური ბუნება არაცილოვანია და ის
უფრო ახლო დგას გლუკოზიდებთან. ნივრის სპირტიანი ექსტრაქტი,
ტ. ი. ნოვიჩის გამოკვლევათა საფუძველზე, კარგად მოქმედებს ბაქტე-
რიულ ფილტრატებზე.

სახალხო მკურნალები ნიორს ურევენ სხვა მცენარეებს და მკურ-
ნალობენ ავადმყოფს. ნივრის და ოშოშას ძმრის ან რძის ნახარშს ადე-
ბენ ნაღრძობს. ნახარშს ავადმყოფი შემოიდებს ნაღრძობზე და ამშვი-
დებს ტკივილს. ნიორს იყენებენ აგრეთვე წნევის დასაწევად.

ამბროლაურისა და თელავის რაიონებში ნიორს წაუსვამენ სუფ-
თა რკინას, რკინა გამოუშვებს ზეთს და მას ადებენ სირსველას. მა-
თხოჯში (წულუკიძე) ნიორისაგან სხვა მცენარეებთან ერთად ამზა-
დებენ საწერელის (პანარიციუმის) წამალს. ნივრით წამალს ამზადე-
ბენ აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდლში.

ნიორს რგავენ სპეციალურ ნაკვეთზე.

14. მურყანი, ანუ თხმელა — *Alnus glutinosa* (L.) Gaertn.

თხმელა ეკუთვნის არყისებრთა (Betulaceae) ბოტანიკურ ოჯახს,
იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითაა ცნო-
ბილი. იმერეთში მას თხმელა ჰქვია. სვანები ბელკემს უწოდებენ, ხო-
ლო გურულები — თხემლას. თხმელა 20—26 მ სიმაღლის იზრდება.
გარედან ის ყომრალი ან ნათელი წითელი ფერისაა, ახლად აღმოცე-
ნებულს კი უფრო მწვანე ფერი აქვს და თეთრი წინწკლებითაა დაფა-
რული. მისი ფოთლები მარტივი ფორმისაა და ღეროზე მორიგეობი-
თაა განლაგებული. მურყანს აქვს ერთსქესიანი მჭადა ყვავილები, რომ-
ლის მდებარებითი მჭადა გირჩივითაა გახევებული და მომწიფების
შემდეგ გვიანობამდე რჩება ხეზე. მისი მერქანი რბილი და მსუბუქია.
მურყანი საქართველოს ყველა კუთხეში საკმაოდ გავრცელებული მცე-
ნარეა, მაგრამ ატმოსფერული ნალექების სიუხვის და მეტი სინესტის
გამო დასაყვლეთ საქართველოში უფრო ხარობს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ მურყანის როგორც ამ სახეობას, ისე მეორეს — *Alnus barbata* C. A M — ქერქსა და ნაყოფს როგორც შემკვრელ საშუალებას, საღებავსა და მთრიმლავ ნივთიერებას. მისი ქერქი (*Cortex Alni*) შეიცავს 20% მთრიმლავ ნივთიერებას, წითელ საღებავ ნივთიერებას, ემოდინს, ალნულისს, ($C_{30}H_{50}O$), პროტალნულისს ($C_{32}H_{52}O$), ცხიმზეთს და სხვ. მეცნიერულ მედიცინაში მას დღემდე გამოყენება არ ჰქონია. ამიტომ ის არც ერთი ქვეყნის ფარმაცოპეაში არ გვხვდება. მურყანის ნაყოფები შეისწავლეს საქართველოს ფარმაცო-ქიმიურ ინსტიტუტში, რომლის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ მისგან მიღებული ქართული პრეპარატი თხმელინი (იგივე ალნივალაი) საუკეთესო შემკვრელი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. თხმელინმა დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მებრძოლებს დიდ სამამულო ომში, საქართველოს აფთიაქებში დღესაც დიდი მოთხოვნილებაა მასზე. მურყანის დანაყილ ფოთოლს იყენებენ ჰრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად.

15. საბრი — *Aloë arborescens* Mill.

ჩვენში მას ლათინურ სახელს — ალოეს უწოდებენ. საბრის გვარი და მასში შემავალი სახეობები საქართველოში მხოლოდ კულტურაში მოჰყავთ. ველურად მისი სახეობები გავრცელებულია ნახევრადუდაბნოებში, აფრიკაში, მადაგასკარსა და არაბეთში, საბრი მრავალწლიანი მცენარეა. მოდის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. ის ეკუთვნის შროშანასებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. აქვს დიდი ზომის მსხვილი, წვნიანი ფოთლები, რომლის კიდეები ზოგჯერ მოფენილია ეკლებით. ივითარებს ზარის ან ცილინდრის ფორმის ყვავილებს, მეტწილად წითელს ან ყვითელს, რომელიც შეკრებილია კენწერულ მტევან ყვავილედში.

სამედიცინო პრაქტიკაში იყენებენ საბრის, ანუ ალოეს შემდეგ სახეობებს: *Aloë arborescens* Mill., *Aloë ferox* Mill., *Aloë vera* L., *Aloë socotrina* Lam. და სხვ. სახელწოდება საბრი წმინდა ფარმაცევტულია, უფრო სწორად ალოეს ფოთლებიდან მიღებულ შესქელებულ, შედგებულ და გამკვრივებულ წვენს ეწოდება საბრი. ეს შესქელებული წვენი მუქი ყავისფერია, თავისებური სუნითა და მწარე გემოთი, ქიმიურად შეიცავს გლუკოზიდურ ნივთიერება ალოინს, რომელიც იშლება ემოდინად და შაქრად. შედის აგრეთვე ალოფისი, ეთერზეთი და სხვა ნივთიერებანი. ჩამოთვლილი სახეობებიდან ჩვენს ფარმაცევტულ პრაქტიკაში, ქობულეთის სამკურნალო და ეთერზეთოვანი კულტურების ზონალური სადგურის მონაცემებით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ხემაგვარი ალოე — *Aloë arborescens* Mill.

საზოგადოდ ხემაგვარი ალოე ჩვენში ერთწლიანი კულტურის სა-

ხითაა მოშენებული სამეურნეო თვალსაზრისით. ისე კი მრავალწლოვან და ოთახის მცენარედ ითვლება.

ალოე უძველესი სამკურნალო საშუალებაა. ეგვიპტეში მას II და III საუკუნეებში იცნობდნენ. ბერძნები და რომაელებიც ხშირად იყენებდნენ მას.

ალოეში მთავარია მწარე ამორფული ნივთიერება ალოეტინი, რომელსაც იგი 60% რაოდენობით შეიცავს. ზოგიერთ სახეობაში ალოეტინის ნაცვლად კრისტალური ნივთიერება ალოინია — $C_{21}H_{20}O_{9}$, (ნატალოინი, ბარბალოინი, სანსიბარალოინი, სოკალოინი), გარდა ამისა, ალოე შეიცავს ემოდინს (ალოე-ემოდინი — $C_{15}H_{10}O_5$). იგი ადვილად იქცევა მწარე ფხვნილად, რომელსაც თავისებური სუნი აქვს და იხსნება წყალში 1 : 12 განზავებით, სპირტსა და ტუტეებში უნაღვეოდ. საბონინი კი აჯირჯევებს (აფუებს) მას, ამიტომ ბოლუსებისა და ფაფების შედგენილობაში ყოველთვის შედის. ალოეს მცირედოზა აღიზიანებს მგრძნობიარე ნერვულ დაბოლოებებს, განსაკუთრებით პირის ღრუში, კუჭში და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. მას აჭმევენ მცოხნავ ცხოველებს როგორც რომინატორიუმს (5,0—10,0). ალოე აღიზიანებს რა ჭრილობის ზედაპირს, აჩქარებს შეხორცებას. სახალხო მკურნალები მრავალ დაავადებებს მკურნალობენ ალოეთი.

ალოეს აშენებენ ეზოებში. ამ მცენარით მკურნალობენ მუცლის ტკივილს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, ტუბერკულოზს, ასთმას და ჭრილობების შესახორცებლად ხმარობენ.

16. ტუხტი — *Althaea officinalis* L. A. rosea. მას XV საუკუნიდან იყენებენ სამკურნალოდ. მანამდე იგი მეფეების საეარღებებს ამშვენებდა. ტუხტის გვარის სახელწოდება ბერძნული წარმოშობისაა. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობის აზრით მის ძირებს ძველად ხმარობდნენ როგორც ჩაის—*Althee*, ე. ი. *Alter Thee*, მაგრამ უფრო სწორად მიაჩნიათ ისევ ბერძნული *Althein*, რაც სამკურნალოს ნიშნავს, სახეობის აღმნიშვნელი *officinalis* კი ლათინურია და სააფთიაქოს ნიშნავს. სამკურნალო საშუალებად მას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. კარგად იყო ცნობილი ბერძნებისა და რომაელებისათვის. მის აღწერილობასა და მნიშვნელობას ხშირად ვხვდებით დიოსკურიდეს, თეოფრასტეს, გალენისა და პლინიუსის ნაწერებში. კარლოს დიდი დაქინებით მოითხოვდა მის სამემკვიდრეოში მოეშენებინათ სამკურნალო ტუხტი.

ტუხტი გავრცელებულია ირლანდიაში, ინგლისსა და პოლანდიაში, სკანდინავიის სამხრეთ ნაწილში და იქვე აღმოსავლეთის ზღვის პირეთში, ხმელთაშუაზღვის, შავი და კასპიის ზღვის ქვეყნებში, ციმბირში, ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გვხვდება მთის შუა სარტყლამდე ტენიან ადგილებში, მდინარეთა სანაპიროებზე და ბუჩქნარებში ქართლსა და გარდაბანში.

ტუხტი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მისი ღეროს სიმაღლე 1—1,5 მ-ია, იგი გავრთიანებულია ბალბანაირთა (Malvaceae) ბოტანიკურ ოჯახში. მის დატოტიანებულ ღეროზე მორიგეობით გაწყობილია კვერცხისებური ოდნავ განკვეთილი ყუნწიანი ფოთლები დაკბილული კიდეებით. მთლიანად მცენარეს მონაცრისფრო იერი აქვს, დაფარულია წვრილი ბუსუსებით. საშუალო ზომის, წითელი ფერის ყუნწიანი ყვავილები თავმოყრილია ხშირ თავთავისებურ ყვავილედში. ჯამი ორმაგია, შიგნითა ხუთი და გარეთა 8 ან 9 ხაზურა ფოთოლაკით, წითელ ფონზე აშკარად ჩანს სამტკერეძაფებიანი წითელი ფერის მრავალი მტკერიანა, რომლებიც მილისებურად შეზრდილია ერთმანეთთან. წვრილი ნაყოფი ბეჭდისებურად შეერთებულია ერთიმეორესთან. ტუხტი ხშირია ნესტიან ადგილზე, ტბებისა და მდინარეთა ნაპირებზე. მას ნახავთ დაბლობზე, ვაკე ადგილებზე და მთაშიც. ეტანება განათებულ ადგილებსა და ტყისპირს, ყვავილობს ივლისსა და აგვისტოში, იზრდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

მეცნიერულ მედიცინაში ტუხტს, როგორც ლორწოს შემცველს, ხმარობენ ამოსახველებელ და სასუნთქი გზების დამამშვიდებელ საშუალებად. მას აქვს ნახველის გათხელების უნარი. ტუხტის ძირის ფხვნილით ამზადებენ აბებს როგორც *Constituens*-ს. მისი ფოთლები კი შედის ამოსაფენ ნაკრებთა შემადგენლობაში, ფესვების (*Radix Althaeae*) ქიმიური შემცველობა ასეთია: 35% ლორწო, 37% სახამებელი, 8% შაქარი, 2% ასპარაგინი, 11% პექტინი, 4% ბეტაინი, მქროლადი სურნელოვანი ნივთიერება, 16% ნაცარი და სხვ. ტუხტის ყვავილში (*Flores Althaeae*) 0,05% ეთერზეთებია. ტუხტი მოხსენიებულია როგორც ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში, აგრეთვე გერმანიის, ბრაზილიის, უნგრეთის, შვეიცარიის და სხვ. ფარმაცოპეაში. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია *Extractum pectoralis fluidum*, *Sirupus pectoralis*, *Sirupus Althaeae*, ხოლო *Fenn*-ის ფარმაცოპეის მიხედვით: *Mucilago Althaeae*, *Maceratio Althaeae* და სხვ. ჩვენი ფარმაცოპეათი მათ ემატება კიდევ *Inf. rad. Althaeae*, *Species pectoralis*, *Species emollientes*.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ტუხტს იყენებენ ხველების, სასუნთქი გზების კატარული ანთების, კუჭ-ნაწლავის კატარული აშლილობის, კანის დაავადებათა დროს. სვანეთში ტუხტის ნაყოფს (ფოხორკის) ქალები ისვამენ ლოყებზე, ეს წითელ ფერს აძლევს და სამი დღის განმავლობაში არ გადადის.

რაჭაში ამ მცენარეს სპეციალურად აშენებენ ეზოებში და მისგან ამზადებენ წამლებს ბავშვებისათვის აბუთიძის წამლის სახელწოდებით. ბალის ტუხტი მეტწილად დეკორატიული მიზნებისათვის აქვთ გამიზნული, ფესვებისგან ხველების შემაჩერებელ წამალს ამზადებენ.

ცაგერში ვნახეთ ნაკვეთში მოშენებული ტუხტი, რომელიც წამალთ-მცოდნეებს მიაქვთ წამლის დასამზადებლად. ასეთი შემთხვევა სხვა არ შეგვხვედრია.

ტოლოში ტუხტის ნახარში აბანაებენ გამხდარსა და სუსტ ბავ-შეებს, რომ ტანზე არაფერი შეეყაროთ. ტუხტი ეზოებში მოშენებუ-ლი აქვთ ხაშურში, გორში, სოფ. კრობანში, სანებელში, ქარელის რაი-ონი, თელავში, წითელწყაროში და მას სამკურნალოდ იყენებენ.

ტუხტის სხვადასხვა სახეობა: *Althaea armeniaca* Ten. *A. can- nabina* L., *A. officinalis* L. — მოშენებული აქვთ ეზოებში და იყენე- ბენ სამკურნალოდ (თელავი, წითელწყარო).

17. ალისუმი — *Alyssum calycinum* L.

ალისუმი ეკუთვნის ჯვაროსანთა *Brassicaceae* (*Cruciferae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება 10—30 სმ სიმაღლის, ღერო დატოტვი- ლია, ნაყოფები შებუსილი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მას სხეებთან შედარებით იშვია- თად იყენებენ როგორც სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას. ხა-ჭიჭორას (მწყემსის გულა) მსგავსად ლეჩხუმსა და სვანეთში ხმარო- ბენ საშვილოსნოდან სისხლდენისა და მენსტრუაციის მომწესრიგებ- ლად. ალისუმი იზრდება ველებზე, მშრალ გორაკებსა და ფერდობებ- ზე, გზისპირებსა და მინდვრებში 2000 მ ზღვის დონიდან, გვხვდება აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიუ- ლეთში, თუშ-ფშავეხესურეთში, კახეთში, ჯავახეთში.

18. ნუში — *Amygdalus communis* L.

ნუში კულტურული მცენარეა, მაგრამ ხშირად გვხვდება გაველუ- რებულიც. იგი ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვ- ნის. იზრდება საშუალო ზომის ხე, ხასიათდება ღეროზე შორიგეობით განლაგებული ლანცეტა, ყუნწიანი, შიშველი წვრილკბილა კიდები- ანი ფოთლებით, რომლებიც ზოგჯერ ჯგუფურად სხედან მოკლე ყლორტებზე. თეთრი ან ნათელი წითელი ფერის ყვავილები თითო- თითოდ სხედან ყუნწებზე: ჯამი და გვირგვინი შედგება 5 ფოთოლა- კისაგან, მტკრიანა მრავალია. ახასიათებს ორი ვარიაციის კურკიანი ნა- ყოფი; ტკბილი ნუში (*Amygdalus communis* var *dulcis*) და მწარე ნუში (*Amygdalus communis* var *amara*), რომლებიც გან- სხვავდება ერთმანეთისაგან ქიმიური შემადგენლობით, მაგრამ სამედი- ცინო მიზნებისათვის ორივე სახესხვაობა გამოსადეგია. ქიმიურად სა- თანადოდ შესწავლის შემდეგ მკურნალობის საქმეში შეიძლება გამო- ვიყენოთ ქართული ქონდარა ნუშიც (*Amygdalus georgica* Dest.), რომელიც ჩვენში ველურად ხარობს. ნუში უფრო ნესტიან ადგილებს ეტანება, მაგრამ კარგად ეგუება მშრალ პირობებსაც. ქართულ ხალ- ხურ მედიცინაში ნუშს იმთავითვე დიდი გამოყენება ჰქონდა, ამიტომ მისი ხმარების წესები უფრო ვრცლადაა მოყვანილი ქართულ კარა-

ბადინებსა და საექიმო წიგნებში. მეცნიერულ მედიცინაში ის გამოიყენება როგორც გარშემომვლები საშუალება, ნაზი საფალარათო, ტკივილების დამაყუჩებელი და მატონიზებელი. ნუში შეტანილია მსოფლიოს თითქმის ყველა ფარმაცოპიაში. მკურნალობის საქმეში გამოიყენება როგორც მწარე, ისე ტკბილი ნუშის თესლი (*Semen Amygdali amarae et Semen Amygdali dulcis*), რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: ცხიმზეთი 50—62% (დამუშავებული ცხიმზეთის რაოდენობა 35—38), 2,5—3,5% მწარე გლუკოზიდი ამიგდალინი, 2,8—4% არათავისუფალი ლილისფერი მჟავა (რომელშიაც ენზიმი ემულსინი გლიკობიოზთან, ანუ გენციობიოზთან არის), ნუშისმჟავა-ნიტრილი, ნუშის ნიტრილ-გლუკოზიდი და გლუკოზა (ნუშის ცხიმზეთის ენზიმამიგდალასის საბოლოო პროდუქტი არის ბენზალდეჰიდი და გლუკოზა), ნუშის გული შეიცავს 0,25% ზეთებს. მისი პრეპარატებია: *Aqua Amygdalarum amararum*, *Sirupus Amygdalarum*, *Solutio Benzaldehyd cyan hydrini*, *Spiritus Amygdalae amarae*, *Amygdalae dulces*, რომელშიც შედის 45—67% (უფრო ხშირად 55—65%) ცხიმზეთი, მცირეოდენი გლუკოზა, 2—3% სახაროზა, 3,1—3,8% პენტოზანი, გლუკოზიდი და ენზიმებიდან ემულსინი, ცელულოზი, ლაქტაზი, ნივთიერებანი — ქოლესტერინი, ასპარაგანი, პროტეილი ამანდინი. გარდა ამისა, ნუშის გულში შედის კონგლუცინი, ლეგუმინი, ფიტულისინი, პეპტონი და ალბუმოზები, რომელთა რაოდენობა ერთად 0,25% უდრის, 0,1% ამიგდალინი, 2,5—3,5% ნაცარი (*Oleum Amygdalarum*, *Acidum Amygdalarum*) ნუშის, ფენილგლიკოლის მჟავა, *Calcii Amygdalas* (იგივე ნუშისმჟავა-კალციუმი). გერმანიაში ნუშის თესლისგან დაამზადეს პრეპარატი ასტა (*Mandelata „Asta“*), რომელიც წარმოადგენს ნუშისმჟავა მარილს და მსგავსად ნუშისმჟავასი საშარდე გზების დაავადების კოლიტ-ინფექციების დროს იხმარება. ვენის ფარმაკო-ქიმიურმა ქარხანამ გამოუშვა ამჟღებში პრეპარატი მანდიციდი (*Mandacid*), რომელსაც იყენებენ საშარდე გზების ინფექციების (*Pyelitis*, *Cystitis*) და თირკმლების ტკივილის დროს, ხმარობენ ნაღვეების სახითაც.

სახალხო ექიმები ნუშით მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებას. რაჭაში, მაგალითად, ნუშისგან ამზადებენ წნევის წამალს, მას სპეციალურად რგავენ ეზოებში.

ნუში იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ამენებენ ბაღებში. გაველურებული სახით გვხვდება მშრალ ფერდობებსა და გზის პირებზე, გარე კახეთში განსაკუთრებით.

19. საპონელა — *Anagalis arvensis* L. (*Anagalis phoenicea* Lam.).

საპონელა ეკუთვნის ფურისულასებრთა (*Primulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და *Lysimachieae*-ს რიგს. ჩვენში იზრდება განსა-

კუთრებით დასავლეთ საქართველოს ნესტიან ადგილებში სარეველას სახით იზრდება. ორივე სახეობის მთლიან ბალახს იყენებენ წყალმანკისა და ღვიძლის დაავადებების დროს, საზღვარგარეთ კი — როგორც Diureticum-ს. მთლიანი ბალახი (Herba Anagallis) შეიცავს ორ გლიკოზიდიან საპონინს, მწარე ნივთიერებებს, მთრიმლავეებს, ერთ პეტრონიზირებულ ენზიმს და სხვ. მის ფესვებში არის ციკლამინი და 9,7% ნაცარი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში საპონელას მაინც და მაინც ფართოდ არ იყენებენ, მაგრამ საინტერესოა რაჭაში მისი კულტურაში შეტანის შემთხვევა, რომელიც ჩვენ აღვწერეთ (ონი, სოფ. უწერა).

აქ ბოსტანში ნაკვეთზე ვნახეთ მოშენებული საპონელა, რომელსაც „კაი თავის წამალს“ უწოდებენ და მისგან დამზადებული წაშლით ბავშვებს მკურნალობენ ყაბზობის დროს, მაღალი სიცხისას მისი წყლიანი ნაყენით ზეღენ მთლიანად. საპონელას წყლიან ნაყენს ყურის დაავადების დროსაც ხმარობენ — ჩასაწვეთებლად (სოფ. მაყიეთი). საპონელა იზრდება ველობებზე, რუდერალურ ადგილებზე, სარეველა ნათესებში, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე (აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, მესხეთში).

20. კამა — *Anethum graveolens* L.

Anethum-ის გვარის სახელწოდება ბერძენთა უძველესი ტომის სახელიდან მოდის. *Anethon* ნიშნავს გარეგნულ ბრწყინვალეობას, ისე როგორც *Aneson* ან *Anison*, რაც მისივე იდენტურია, სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა *graveolens* კი ნიშნავს მკვეთრ სუნთან, მართლაც მთლიან მცენარეს თავისებური მკვეთრი სუნი ახასიათებს. მისი სამკურნალო თვისებები უხსოვარი დროიდანაა ცნობილი ეგვიპტეში, საბერძენეთში, რომში, კოლხეთში და სხვ. კამა ყოველთვის ამშვენებდა დიდებულთა ბაღებს. მისი კულტურაში შეტანა იწყება სამხრეთის ქვეყნებიდან, როგორც სამკურნალო, სანელებელი, ბენედიქტინისა და სხვა სასმელთა შესაზავებელი (არომატისათვის). კამა კულტურაში მოჰყავთ სპარსეთში, აღმოსავლეთ ინდოეთში, კავკასიაში, ეგვიპტეში, აბისინიაში, სამხრეთ აფრიკაში, ევროპაში, შუა და სამხრეთ ამერიკაში, პარაგვაიში და სხვ. ჩვენში ზოგჯერ გაველურებული სახითაც გვხვდება.

კამა გაერთიანებულია ქოლგოსანთა (*Apiaceae*) ბოტანიკურ ოჯახში. იზრდება 1 მ-მდე სიმაღლის, მისი სამმაგი ფრთაგაკვეთილი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული ღეროზე და მიმაგრების ადგილას ვაგინით ბოლოვდება. პატარა ყვითელი ყვავილები შეკრებილია რთულ ქოლგა ყვავილედში. 3—7 მმ სიგრძის ნაყოფი ხასიათდება არომატული სუნით, სასიამოვნო გემოთი და ბოლოს მწველ შეგრძნებას ტოვებს. კამა ჩვენში წმინდა საბოსტნე კულტურა და მრავალწლიანი მცენარეა.

უძველეს ქართულ ხალხურ მედიცინაში კამა ცნობილია შიბითი-სა და რაზიანას სახელწოდებით — რაზიანას ძირი (*Radix Anethi*), რაზიანას წვენი (*Succus Anethi*), რაზიანას თესლი (*Semina Anethi*) და რაზიანას ძირის ქერქი იხმარება თვალის დაავადებათა პრაქტიკაში, აგრეთვე როგორც შარდმდენი და სარძევე ჯირკვლებში რძის ჩადგომის საშუალება. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს რა-ზიანას მრავალნაირ სამკურნალო თვისებაზე: „რაზიანას თესლი, შიბითი-ცი ამასვე ქქუიან, ვითამცა და ცერეცო, მხურვალნი და ხმელი არის, კაცისა და სტომაქსა და მუცელშიგა რაც ქარია ყუელას დაღეწს და გაუგდებს და ესე რაზიანა რომე კაცმან დანაყოს, წყალი გამოხადოს და გაციებულსა კაცსა ასვან მაშინვე ციებას უშველის, ვინც ესე ცერეცო ჭამოს და ან მისი წვენი სვას, შარდზედა გახსნის, თუ დედაკაცმან ჭა-მოს ბევრი რძე ჩაუყენოს“.

„კაცსა რაიმე სიგრილისა და სიცივისაგან თავი სტკიოდეს და ამა ცერეცოს წვენი გაათბოს და შეიცხოს, თავის ტკივილს უშველოს“.

„ვინცა რაზიანას წვენი თვალშიგა გამოივლოს, თვალთა სინათ-ლისათვის კარგი არის, და თვალშიგა დამალ იდაღმან შეესა წყალსა აღარ ჩამოუშვებს და აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრეცა უთქვამს: გაზაფხულის პირზედა, მთვარიანსა ღამესა, გველი ველარაფერს ვე-ლარ დაინახავსო და თვალთა დაუბნელდების და თვალნი აუჭრელდე-ბისო, მერე ამა ცერეცოსა თვალზედა მიისვამს მოისვამსო და მასუკან როგორც დღისივ, ისრევე ღამით დაინახავსო. ცერეცოს ამდენი ხა-სიათი აქუს და თვალთა ამდენსა სინათლესა მატებს და ყოვლისა ბალ-ღამისა და გრილის სენის წამალი და აქიმი არის“.

დღესდღეობით ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში ის მოხსენიებული არ არის, მაგრამ ზოგიერთ სხვა ფარმაცოპეაში მოყვანილია, როგორც შარდმდენი და ბუასილის საწინააღმდეგო საშუალება. კამის ნაყოფის (*Fruclus Anethi*) ქიმიური შემცველობა ასეთია: ეთერზეთი 8%, ცხიმზეთი 18%, 15,5% ცილოვანი ნივთიერებანი და 11% ნაცარი, ძირითადად იხმარება მცენარის ახალი წვენი და *Aqua Anethi concentrata*, *Aqua Anethi destillata*.

აფხაზეთის მცხოვრებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კამა.

კამას სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად სპეციალურ ნაკვეთებზე სამკურნალო მიზნით აშენებენ ზუგდიდში, ახალმენში (ბათუმი), რაჭაში, კინდლში, თელავში, აკურაში, გორელოვკაში და იყენებენ ნერვული სისტემის დასამშვიდებლად, ღვიძლის დაავადების დროს, ხველების წინააღმდეგ, წნევის დამწვევ საშუალებად.

ღენჩუშში კამას ოსრახუშთან ერთად შარდმდენ საშუალებად ხმარობენ, რომელსაც ხშირად სიმინდის ფოჩს და ასკილსაც უმატებენ.

21. ირაგა — *Anthemis altissima* L.

გვარის სახელწოდება *Anthemis* წამომდგარია ბერძნული *Anthemisos*-საგან, რაც მოყვავილეს ნიშნავს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *nobilis* კი — მუღმივს, მარადიულს, კეთილშობილს ნიშნავს. როგორც სამკურნალო საშუალება იგი მე-16 საუკუნიდანაა ცნობილი. 1587 წლიდან გამხმარი მცენარის გამოხდით მიიღეს ეთერზეთი. ამ დღიდან შევიდა სამკურნალო ტაქსაციაში ქ. ფრანკფურტში. გავრცელებულია მთელ სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვის პირეთში, პორტუგალიაში, სპარსეთში. მოჰყავთ ბაღებსა და კულტურაში. იზრდება ქვიან და კლდოვან ადგილებზე ალპიურ სარტყელში აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

ირაგა — *Anthemis dumetorum* Sosn. ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება 30—60 სმ სიმაღლის, მთლიანად ნაცრისფრადაა შეზუსვილი, ფოთლები სეგმენტოვანია და დაუკბილავი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მას იშვიათად იყენებენ. ცაგერში ვნახეთ ეს ორი მცენარე ეზოში მოშენებული. მას ხმარობენ ვეტერინარულ პრაქტიკაში (ნაცემ მაკე ძროხას ასმევენ მის ნახარშს იმ მიზნით, რომ ნაყოფი არ გაუფუჭდეს).

22. ნიახური — *Apium graveolens* L.,

ნიახური ეკუთვნის ქოლგოსანთა (*Apiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იგი ითვლება კულტურულ საბოსტნე მცენარედ, რადგან კულინარიაში დიდი გამოყენება აქვს, ზოგჯერ მსგავსად ევროპის ჭაობებისა, ჩვენშიც ამ მცენარეს ნახავთ მორენებზე, ზღვისპირებზე, ტენიან მლაშობ ადგილებში, დაბლობებსა და ბოსტნებში ველურად ან უფრო სწორად, გაველურებული სახით სანეგრელოში, ქართლში, გარე კახეთში. ხალხურ მედიცინაში ნიახური ცნობილია როგორც საუკეთესო შარდმდენი, სისხლის გამწმენდი და მადისმომგვრელი საშუალება, ზოგჯერ იყენებენ კბილების მყრალი სუნის მოსასპობადაც. ამ მიზნისათვის ხმარობენ როგორც მთლიან ბალახს, ასევე მის ფესვებსა და თესლებს (*Radix herba et semen Apii*) ნიახური შეიცავს ასპარაგინს, ქოლინს, მანიტს, ტიროზინს, ალლოქსურბანენს, 1,6% პენტოზანებს, გლუტამინს, ცხიმებს, სახაბებელს, ლორწოს, 0,01% ეთერზეთს, 7% მანიტს, წვენებს, ნაცარს 11% მშრალ ნივთიერებებით. ფოთლებში: გლიკოზიდი აპიინი, 0,1% ეთერზეთი, მანიტი, ინოზიტი, 1,4—2,4% ნაცარი; ნაყოფში: 2,5—3% ეთერზეთი (*Oleum Apii graveolentis seminum*), 90% ნახშირწყლოვანი ნივთიერება ლიმონენი, სელინენი, პალმიტინის მჟავა, გუაიაკოლის მჟავა-ფენოლი, სედამოლიდი (ლაკონი სედანონისმჟავათი), 0,5% ანპიდრიდი სედანონის მჟავათი. ამ ორ უკანას-

კნელ ნივთიერებებს მწვავე ან ძლიერი სუნი აქვს. Diureticum-ად იყენებენ მთლიან მცენარეს (Herba Apii), მას მწვანის სახით იღებენ ან მის ძირებს (Radix Apii dulcis graveolentis ან Radix Cellari italorum) აყენებენ სპირტთან ერთად და ნაყენს სვამენ.

აჭარაში ნიახურის ნახარშს ასმევენ ხველების დროს. ნიახურს სიმინდის ფოჩთან და შვიტასთან ერთად აძლევენ თირკმლების კენჭოვანი დაავადების დროს.

ნიახურის, მაყელისა და პრასის ძირებს ურევენ მარწყვს და ხმარობენ ბუასილის წინააღმდეგ.

ქართლში ეზოში აშენებენ ნიახურს, რომელსაც იასამანთან ერთად იღებენ თირკმლების დაავადების დროს. ლაგოდეხში ხალხი ნიახურის ფოთოლს შაქართან დანაყილს ადებს ძირმაგარას მოსამწიფებლად.

ნიახურის ფოთლისა და ძეძვის ნაყოფის ნახარშს სვამენ შარდმდენად.

23. ოროვანდი — *Arctium transcaucasicum* D. Sosn. in Sehedis 1937.

გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვა *Arctos*-დან, რაც დათვს ნიშნავს. სახეობა ტრანსკავკასიურია, minus პატარა, lappa კი ბერძნული labin-იდანაა, ე. ი. ხელში ალება ან ხელში ჩაგდება. ოროვანდი როგორც სამკურნალო საშუალება ცნობილია შუა საუკუნეებიდან. მედიცინაში გამოიყენება კანის დაავადებისა და თმისცვენის წინააღმდეგ. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, მწარეებს, ლორწოს, ინჟინის და დიდი რაოდენობით ეთერზეთს. მისი ფესვი უსუნოა, გემოთი მოტკბო ლორწოვანი. *A. minus* და *A. lappa* გავრცელებულია ევროპაში ისლანდიაში, ინგლისში შუა სკანდინავიის ჩრდილოეთში, კავკასიაში, იაპონიაში, ამერიკაში. ჩვენში კახეთში, თრიალეთში, აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ ოსეთში, ქვემო ქართში, თრიალეთში რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე. — ოროვანდი რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ოჯახის წარმომადგენელია, იგი სუბალპურ სარტყლამდე გვხვდება, მეტწილად დანაგვიანებულ ადგილებში. ახასიათებს შიშველი ყვავილსაფარი და ძოწისფერი ყვავილი.

სახალხო მკურნალები ოროვანდის მალამოთი მკურნალობენ კანის დაავადებებსა და წყლულებსაც.

24. დათვისკენკრა — *Arctostaphylos Caucasica* Lipsch., *A. Uva ursi* Spreng.

გვარის სახელწოდება *Arctostaphylos* (ბერძნულად *Arctos* — დათვი, *Staph* — მტევანი), სახეობა *uvaursi* (*uva* — ყური და *ursi* დათვი) ლათინური. სამკურნალო საქმეში XII საუკუნიდანაა ცნობილი (ინგლისში), მე-XVIII-ის საყოველთაოდ აღიარებული სამკურნალო

მცენარეა. იგი გავრცელებულია სუბტროპიკულ მხარეში, ურალში, ჩრდილოეთ ციმბირში, სამხრეთ ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ გრენლანდიაში, ჩვენში, ფიჭვნარებში, ლორლიან ადგილებზე, სუბალპურ და ალპურ სარტყელში — აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში.

დათვის კენკრა ეკუთვნის მანანასებრთა (Ericaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება ერთი მეტრი სიმაღლის, ბუჩქებად დატოტიანებული ღეროთი, რომელზედაც უკულმა კვერცხნაირი, მოგრძო, ტყავისებური და კიდეშთლიანი ფოთლებია განლაგებული. ახალგაზრდობის პერიოდში მისი ფოთლის კიდეები სუსტად შებუსვლილია, ფოთლის ზევითა მხარე მუქი მწვანეა, ხოლო ქვემოთა — ფერმკრთალი და ბადენერვიანი. მისი თეთრი ფერის ყვავილები, რომლებსაც ზემოდან წითელი ფერი გადაჰკრავს, მოკლე ყუნწებზე სხედან და შეკრებილია მტევან ყვავილედში. თითოეული ყვავილი განაყოფიერების შემდეგ იძლევა მწარე გემოს ნაყოფს. ესპანეთსა და ჩრდილო ამერიკაში ველურ პირობებში იგი ქმნის მასივებს. ჩვენში ის გავრცელებულია მთავარი კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, ძირითადად სუბალპებში. ეტანება ნესტიან ადგილებს, მაგრამ კარგად ეგუება მშრალ ქვიშნარ ნიადაგსაც.

ჩვენში დათვის კენკრა ხშირად ბაღებშიც აქვთ დარგული. ჩვენი ხალხი დიდი ხანია მას იყენებს შარდმდენ საშუალებად, თირკმლებიდან სისხლდენის სამკურნალოდ და სხვ. მისი ფოთლები (Folia Uvae Ursi) შეტანილია ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში და შეეიცარის, ბრაზილიის, ამერიკის, გერმანიისა და ესპანეთის ფარმაკოპეაში. ქიმიური შემცველობა ასეთია: ურზონი (urson) $C_{31}H_{50}O_3$ 8,5—9,2%, გლუკოზიდები, რომლებიც შეიცავენ ფლავონოლს და მახასიათებელი ძლიერი დიურეტიკული თვისებით, არბუტინსა და მეთილარბუტინს, რომლებიც მიიღება პიდროქინონის პიდროლიზით, და აგრეთვე მეთილპიდროქინონისებურ გლუკოზიდს. გლუკოზიდი არბუტინი დუღილით არ იშლება. დათვისკენკრა შეიცავს 35% მთრიმლავ ნივთიერებას, რის გამო მას იყენებენ ნაზი ტყავების გამოსაქნელად; ამავე დროს ის აძლევს ტყავს მუქ ნაცრისფერ-მომწვანო ფერს. ის შეიცავს აგრეთვე 6%-მდე გალუს მჟავას, 4,4—6,3% რედუცირებულ ნივთიერებას, საღებავ ნივთიერებას, ქვერცეტინს, მირიცეტინს, ციტრონენს, ქინას, ჭიანჭველმჟავას, 0,01% ეთერზეთებს, არბუტოზას, C ვიტამინს, ერიკოლინს, რომელიც მასში არბუტინზე მეტი არ არის. დათვის კენკრას პრეპარატები გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში, როგორც შარდმდენი და აგრეთვე როგორც ანტისეპტიკური და მწკლარტე საშუალება. ძირითადად იხმარება ნახარშის სახით, განსაკუთრებით საშარდე გზების დაავადებათა დროს. მისი ფარმაკევტული პრეპარატებია: Decoctum folia Uvae Ursi, Extractum Uvae Ursi fluidum, Sirupus Uvaeursi და სხვ. ზოგან დათვის მოცვის ფოთლები

შედის Species anticystilicae-ს შემადგენლობაში შემდეგნაირი სახით: Folia Uvae ursi, Folia Betulae, Stigmata Maidis, Radix Liquiritiae, Rhizoma Graminis; ყველა თანაბარი რაოდენობითაა.

დათვის მოცვი ჩვენში ხალხს ხშირად აქვს ბალებში დარგული, მაგალითად, რაჭაში აშენებენ და იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას, თირკმლიდან სისხლდენის სამკურნალოდ და სხვ.

25. ძირმწარა — Aristolochia clematitis L.

ეს მცენარე გავრთიანებულია ძირმწარასებრთა (Aristolochiaceae) ბოტანიკურ ოჯახში. ის მრავალწლიანი, მხოხავფესურიანი მცენარეა, ახასიათებს არასასიამოვნო სუნი, აქვს სწორი ღერო, ფოთლის მოყვანილობა კვერცხისებურია ან მომრგვალო-კვერცხისებურ-გულისებური. ყვავილები ფოთლის ილღობში 4—6 ჯგუფ-ჯგუფად სხედან. აქვს კოლოფის მსგავსი დაკიდული დიდი ზომის ნაყოფი, მოყვანილობით შებრუნებული კვერცხისებური ან მსხლისებური. ძირმწარა გავრცელებულია იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ქართლში ქსნის ხეობაში. იზრდება სარეველა მცენარის სახით დასავლეთ საქართველოს ქვედა სარტყლის ტყეებში, გვხვდება აგრეთვე ბუჩქნარებსა და მეჩხერ ტყეებში.

ძირმწარას ყველა ნაწილი შხამიანია, მაგრამ განსაკუთრებით ფოთლები და თესლია მომშხამველი. იგი შეიცავს ალკალოიდ-არისტოლოხინს ($C_{37}H_{22}O_{13}N_2$). რაციბორსკიმ არისტოლოხინში აღმოაჩინა ფერმენტი ლეპტოლეინი. ალკალოიდი არისტოლოხინი აქვეითებს სისხლის წნევას, რის გამოც ირღვევა გულის ნორმალური მუშაობა. ბოზაშინსკის მონაცემებით, ეს მცენარე ყველაზე უფრო შხამიანი ყვავილობის პერიოდამდეა. შემდეგ სრული მომწიფების ფაზაში ნაკლებმომწამველია. თუ ცხოველმა ძირმწარა დიდი რაოდენობით შეჭამა, იწამლება. შხამი გადადის მოწამლული ცხოველის რძეშიც.

ხალხურ მედიცინაში არისტოლოხინს იყენებენ დამწვრობის, წითელი ქარის სამკურნალოდ და მშობიარობის დროს საშვილოსნოს შეკუმშვისუნარიანობის გასაძლიერებლად.

არისტოლოხინი დიდ დოზებში ძლიერ მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანზე, თირკმლებზე, ლეიქლისა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. მცირე დოზით შეიძლება მისი სამკურნალოდ გამოყენება. ხმარობენ წყალმანკის დროს, შარდმდენად, ხველების წინააღმდეგ და სხვ.

მეცნიერული კვლევის საფუძველზე ყირიმში დაადასტურეს მისი თესლის კარგი მოქმედება იზოლირებულ გულზე (ცდა ჩაატარეს ბაყაყზე). იზოლირებულ გულში იგი აძლიერებს რიტმს და გულის შეკუმშვის ამპლიტუდას. ხალხი ძირმწარას იყენებს კბილის ტკივილის დასაყუჩებლად. ძირმწარას ნახარშს კი საყოფაცხოვრებო და ცხოველების პარაზიტების წინააღმდეგ, ფურუნკულებისა და კარბუნკულე-

ბის მოსამწიფებლად იღებენ მის ფოთლებს. როლოვის მონაცემებით, ქართველი ქალები ძირმწარას იყენებენ პირის კანის გასაუმჯობესებლად. ძირმწარას ფესვებიდან გამოწურავენ წვენს, უმატებენ სიმინდის ფქვილს და აზელენ, და ადებენ პირის კანზე ნიღბის სახით. როლოვის მონაცემებით, მას იყენებენ აგრეთვე შარდმდენ, ოფლისმომგვრელ, მენსტრუაციის შემამსუბუქებელ და ანტისიფილისურ საშუალებად. ძირმწარას ფესვები და ფესურები (*Radix*) *Rhizoma* (*Aristolochiae vulgaris*), *Tenuis clematilis* (*Radix saraceniae*), აგრეთვე მთლიანი ბალახი და თესლი შეიცავს უაზოტო კრისტალებს, არისტოლოხინის მჟავას (ალკალოიდი არ არის), იმგვარად მოქმედ ნივთიერებას, რომელიც კაპილარებს შხამავს, მწარე ნივთიერება კლემატიტინს, ეთერზეთებს, ორ გუმფისს, საღებავ ნივთიერებას, ვაშლის მჟავას, მთრიმლავ მჟავას, კვერცხის ცილას, შაქარს და სახამებელს. ბრაზილიაში სამკურნალო მიზნებისათვის იყენებენ სახეობა *Aristolochia cymbifera* Mart-ის ლეროსა და ფესვებს, რომელიც შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთრიმლავ ნივთიერებას, ფისს, ინულინს, სახამებელსა და კალციუმფოსფატს. ბრაზილიაში ცნობილია მისი შემდეგი პრეპარატები: *Aristolochiae cymbiferae fluidum*, *Tinctura Aristolochiae* და *Aristolochia Milhomona radice*.

ჩვენში იზრდება კიდევ ორი სახეობა: *Aristolochia iberica* Fisch et Maj და *Aristolochia pontica* Lam. ორთავე თითქმის იგივე სამკურნალო თვისებების მატარებელია, შაბლოვსკა — როლოვის მტკიცებით. საქართველოში მათი ფესვების ფხენილი გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად, მუცლის ტკივილისა და წითელი ქარის შემთხვევაში. სახეობა *Aristolochia rotunda* L, რომელიც მეტწილად სამხრეთ ევროპაშია გავრცელებული, ასეთივე მოქმედებისაა და შეიცავს მწარე ნივთიერებებს, ფისს, შხამიან ალკალოიდ არისტოლოხინს და სხვა. სამკურნალოდ იყენებენ მის ნაყენს.

ლექსუმში ძირმწარათი მკურნალობენ გველის ნაკბენს და შარდის შეკავებას.

Aristolochia iberica-ს ძირებს და ძირების წვენს იყენებენ კბილის ტკივილის დასაამებლად.

26. ჭერამი — *Armeniaca vulgaris* L.

ჭერამი ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იზრდება ხის სახით, რომლის ტოტებზე მორიგეობით განლაგებულია გრძელყუნწიანი, მომრგვალო ან კვერცხისნაირი, შიშველი ფოთლები ხერხებილა ნაპირებით და წაწვეტილი წვეროთი. ახალგაზრდა ყლორტებზე ჯერ კიდევ ფოთლების გამოსვლამდე იშლება დიდი ზომის თეთრი ან მოვარდისფრო, მჯდომარე ყვავილები, რომელთაც აქვთ მრავალი მტკრიანა, ხუთფურცლოვანი ჯამი და გვირგვინი. ყვავილების განაყოფიერების შემდეგ ჭერამზე ვითარდება მსხვილი ხორციანი

ყვითელი ფერის ნაყოფი კურკით. ჩვენი ფარმაკოპეის მიხედვით დასაშვებია ჭერმის კურკის გამოყენება მწარე ნუშის თესლის ნაცვლად, განსაკუთრებით მწარე ნუშის წყლის მომზადებისას; ჭერმის თესლიდან მიღებული ზეთი იხმარება ნუშის ზეთის ნაცვლად. ჭერმის თესლის ქიმიური შემცველობა თითქმის იგივეა, რაც ნუშისა. ჭერამი უმთავრესად კულტურაშია გავრცელებული.

ჭერამის თესლი შეიცავს გლუკოზიდ ამიგდალინს, ფერმენტ ემულსინს, 27% შაქარს, განსაკუთრებით სახაროზს, პექტინს, მინერალურ ნივთიერებას, ვაშლისა და ლიმონის მუკაგებს, 30—40% ცხიმ-ზეთებს, 25% ცილოვან ნივთიერებას, დიდი რაოდენობით B და უფრო მცირე რაოდენობით C ვიტამინს. ჭერმის კურკის დაწვით მიიღება შავი საღებავი.

კახეთში ჭერმის ფოთლის წვენიტ მკურნალობენ იარებს.

27. პირშუშხა, სრენი — *Armoracia rusticana* (Lam.) Gaertn. Meyer. Scherb. პირშუშხა ჯვაროსანთა Brassicaceae (Cruciferae.) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. საქართველოში გვხვდება როგორც კულტურაში, ისე გავლურებული სახით, განსაკუთრებით აფხაზეთსა და რაჭაში, პირშუშხა 50—150 სმ სიმაღლის დატოტიანებული მცენარეა, დიდი და გრძელი, ფუძესთან გულნაირი ფესვთან ფოთლებით. ღეროზე ქვედა ფოთლები ფრთად განკვეთილია ან ფრთად დაყოფილი, ხოლო ზედა ფოთლები ხაზურია. ყვავილის გვირგვინი სიგრძით 6 მმ-ია, ჭოტაკები 5—6 მმ აღწევს. საბჭოთა ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში პირშუშხა არ არის მოხსენიებული, მაგრამ ზოგიერთ სსვა ქვეყნის ფარმაკოპეაში ის ცნობილია როგორც *Antiscorbutica*, *diuretica*, *astma pituitosum*, *expectorantia* და სსვა საშუალება. იხმარება ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარე *Herba Cochleariae recens*, *Radix Armoraciae recens*, *Succus recens Armoraciae*.

ქიმიურად მასში შედის ზენფოლი (რომელიც ცხვირისა და თვალების გამღიზიანებლად ითვლება), მიროზინი, გლუკოზიდი, გლიკოკოსლუარინი (რომლიდანაც მიიღება ბუტილზენფოლი), საქაროზი, ასპარაგინი, გლუტამინი, არგინინი, ალოქსურბაზეინი, ფისი, მთრიმლავი ნივთიერება. მინერალური ნივთიერება ლიმონენი, ვიტამინი, ოქსიდაზი, ორგანული გოგირდნაერთები, როდნაკავშირები და 10% ნაცარი. მისი ფესვები მდიდარია ვიტამინებით, ალინენფოლით (0,15—0,20%), ფენილეთილზენფოლითა და ფენილპროპილზენფოლით. პირშუშხას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია *Sirupus Armoraciae Compositis* (*Sirupus antiscorbuticus*), *Sirupus Armoraciae jodatis*. *Unguentum Armoraciae*, მისი მეორე სახეობიდან — *Cochlearia officinalis* მიღებულია პრეპარატები *spiritus Cochleariae* და *Alcoholatum Cochleariae Compositum*. ჩვენში პირშუშხას (სრენის) კულტურას ხალხი დიდი ხანია მისდევს. მას აშენებენ ეზოებში და იყე-

ნებენ ღვიძლის დაავადების დროს, მადის მომგვრელად და მდოგვის მაგიერ.

28. მამულა, აბზინდა, მყარალა — *Artemisia vulgaris* L., *Artemisia annua* L., *Artemisia absinthium* L., *Artemisia Cina* L.

მისი გვარის სახელწოდება წარმომდგარია ჭიის ბალახიდან, მართლაც მას ჭიის გამომდენად იყენებენ, ის ასეცაა მოხსენებული თითქმის ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი ინგლისურ უძველეს ბალახთა წიგნში, ჩვენს კარაბადინში და სხვ. მყარალა უძველესი სამკურნალო მცენარეა, მის შესახებ ცნობები გვხვდება ეგვიპტის პაპირუსებზე 1550 წლიდან ძველი წელთაღრიცხვით, ამავე დროიდანაა ცნობილი საბერძნეთის, რომის, კოლხების და სხვა ხალხებისათვის, მაგრამ შუა საუკუნეებიდან საყოველთაოდ აღიარებული სამკურნალო საშუალებაა, განსაკუთრებით მისი ზეთი. მამულა გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიაში. უფრო მეტად მოჰყავთ კულტურაში. ჩვენში იზრდება რიყეებზე, რუდერალურ ადგილებში, საცხოვრებელი ბინების მახლობლად, გზისპირებზე — აფხაზეთში სვანეთში, სამეგრელოში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთში-ხევსურეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

მამულა — *Artemisia Vulgaris* L.

გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული ქალღმერთის (*Artemis*) არტემიდას სახელიდან. იგი ნადირობისა და ახალგაზრდა ქალების მფარველია. სახეობის აღმნიშვნელი *vulgaris* ნიშნავს ჩვეულებრივს. მას ძველთაგანვე იყენებდნენ ქალური დაავადებების სამკურნალოდ, ცოფის, ეპილეფსიის, შხამიან ცხოველთა ნაკბენის დროს. აბზინდა გავრცელებულია შუა ამერიკაში, ცენტრალურ აზიაში, ჩვენში აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, თრიალეთში. მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყისპირებზე, მდინარის ნაპირებზე, ზოგჯერ როგორც სარეველა.

ეს სახეობები რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. მისი სინონიმია *Absinthium officinalae* აბზინდა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მრავალწლოვანი ძლიერი ფუნჯა ფესვებით და 60—125 სმ სიმაღლის ერთწლოვანი ცილინდრული ღეროთი, რომელზეც ყვავილები მეორე წელიწადს ვითარდება. მისი ფოთლები მორიგეობით განლაგებულია ღეროზე, რომლებიც დორზალურ მხარეზე მუქი მწვანე ფერისაა, ხოლო ვენტრალურზე — მომწვანო. ფესვთანი ფოთლები გრძელყუნწიანია და სამაგად ფრთართული, ყუნწის ფუძესთან ოდნავ გაგანიერებული. ღეროს ფოთლები მჯდომარეა, ქვედა და შუა ფოთლები ფრთართულია, ზედა — სამნაწილაკიანი, ბოლო კენწეროსი კი მარტივი და ლანცეტა, მთლიანი კიდეებით. აბზინდას ახასიათებს კალათა ყვავილედის, ის

შედგება წვრილი მილისებრი მღვდრობითი ყვავილეებისაგან, რომლებიც გარს ეხვევიან შიგნითა ორსქესიან ძაბრისებრ ყვავილებს. უვი-თარდება თესლურა ნაყოფი. აბზინდა მშრალი ადგილების მცენარეა, იზრდება კლდის ბალახოვან დაჯგუფებებში, ხარობს ტყის პირად, ბუჩქებს შორის, საქონლის მიერ გათელილ და დატყეპნილ საძოვრებ-ზე, გვხვდება მდელოებზე და ბალებშიც. ყვავილობს ივნისიდან სექ-ტემბრის ბოლო რიცხვებამდე.

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან იყენებს მის თესლს თაფლ-თან ერთად, როგორც ჭიის გამომდენ საშუალებას „ხვარაშანის“ სა-ხელწოდებით. ხმარობენ აგრეთვე მშობიარობის შემდეგ მუცლის არე-ში ტკივილის დროს. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „მოიტანე აბზინდა ბალახი რომე თათრულად ავსანთანი რუმი ჰქუიან და სპარსნი ფარიაშანს უძახიან, ვითამცდა აბზინდაო, დანაყონ, გამოწურონ და ამისი წვენი სუან ღთითა უსათუოდ დაეხსნები:“.

მეცნიერულ მელიცინაში აბზინდა რეკომენდებულია როგორც მადისმომგვრელი საშუალება, იღებენ მთლიან მცენარეს ყვავილობის პერიოდში *Herba Absinthii*-ს სახელწოდებით. აბზინდას ქიმიური შემცველობა ასეთია: გლუკოზიდი აბზინთინი და ანაბზინთინი, ცილა, სახამებელი, ფისი, გვარჯილა, ქარვისა და ვაშლისმჟავა მა-რილები, მთრიმლავი ნივთიერებანი, 0,05% ქარვისმჟავა კალი-უმით 2%-მდე ეთერზეთები, რომელიც წარმოადგენს მუქი მწვა-ნე ფერის ნეიტრალური რეაქციის სითხეს 0,92—0,97 კუთ-რი წონით, მცენარის დამასასიათებელი სუნითა და გემო-თი. ამ ეთერზეთების მთავარი შემადგენელი ნაწილია თუიონი ($C_{10}H_{16}O$), რომელიც წინათ აბზინთინოლად იწოდებოდა. ის შეიცავს თავისუფალ თუილის სპირტსაც ($C_{10}H_{18}O$) და ეთერს, ეთერი კი თა-ვისთავად შეიცავს ძმრის, იზოვალერიანის და პალმიტინის მჟავას, ფულანდრენს, პინენს, კადინენს და აზულენს. აბზინდა შეიცავს აგ-რეთვე კეტონებს, ვიტამინს, ტერპენს, ალკოჰოლს, 8—18% ნაცარსა და სხვ. აბზინდა მიღებულია როგორც ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამო-ცემით, ასევე მსოფლიოს სხვა ფარმაცოპეებითაც. მისი ფარმაცევტუ-ლი პრეპარატებია: Inf. herbae Absinthii, T-ra Absinthii. Extr. Absinthii, რომელსაც ბრაზილიურ ფარმაცოპეაში Extractum chamomillae ჰქვია), Extractum Absinthii, Tinctura Absinthii composita, Unguentum aromaticum, Unguentum Absinthii compositum Vinum Absinthii, რომელიც სხვადასხვაგვარად ჭიათა ღვინის სახე-ლითაა ცნობილი. აბზინდა შედის მადისმომგვრელ (მწარე) ნაკრებთა შემადგენლობაში Species amarae (amaricanthes)-ის სახელწო-დებით.

საქართველოში იზრდება ამ მცენარის გვარის სხვა სახეობებიც, რომლებიც ჩვენს ფარმაცოპეაში მოხსენიებული არ არის, მაგრამ სა-

ზღვარგარეთ გამოყენებულია, ასეთია ავშანი (*Artemisia Maritima* L), საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მცენარე. უმთავრესად იზრდება გარდაბნის და შირაქის ველზე. მისი ქიმიური შემადგენლობა ასეთია: არტემიზინი ($C_{15}H_{18}O_4$), ოქსისანტონინი, ჰელენინი, ეთერზეთები და სხვ. ბერლინში ამ მცენარისაგან დაამზადეს ფორტამინი (*Fortamin*), რომელსაც იყენებენ როგორც *Tonicum*-ს.

Artemisia Absinthium L. და *Artemisia vulgaris*. L. ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარება როგორც სისხლდენის შემწყვეტი, ეპილექსიის საწინააღმდეგო საშუალება, იყენებენ აგრეთვე მოტენილობის დროს, ზოგჯერ მუცლის არეში ჭვლებსაც შველის. აბზინდას ყველა სახის ეთერზეთები აღვილად შეიწოვება ქსოვილებში, ამიტომ ავშანით ნაკვები საქონლის რძეს ან ხორცს ამ მცენარის დამახასიათებელი სუნი და გემო ახლავს. აბზინდას და მამულას აშენებენ ეზოებში და ზოგჯერ ველურსაც აგროვებენ. ცხოველების კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს კარგ შედეგს იძლევა. ქათმის ჭირის დროს ნაყავენ და ასმევენ ქათამს წყლის მაგივრად. ზოგჯერ მამულას არდაკანაფს ეძახიან და ჭირის გამომდენად ხმარობენ.

მამულას იყენებენ დამწვრობის წინააღმდეგ და ჭრილობის შესახორცებლად, აგრეთვე სურდოს დროს (მისი ნახარშით იბანენ თავს ან ნახარშის სუსტ ხსნარს ატკბობენ და სვამენ), ეგზემის მუწუკების, რევმატიზმის, ციების და ქალური დაავადებების მკურნალობის დროსაც ევკალიპტის ნახარშთან ერთად წნევის წინააღმდეგ ასმევენ და თავსაც ბანენ. მინდვრის ხორესანის, ანუ მყარალას ნახარშის აბაზანას ქალები ორსულობის შესაწყვეტადაც იკეთებენ.

29. ნიუკა, კოკომქაფია — *Arum orientale* M. B. და *Arum albi-spathum* Stev.

ნიუკა ეკუთვნის ნიუკასებრთა (*Araceae*) ბოტანიკურ ოჯახს; მას რაჭასა და იმერეთში ქალაკოდას ეძახიან, ხოლო გურიაში ღვინაღვინას. საქართველოში იზრდება ტყეებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებს შორის, მთის ქვედა და შუა სარტყელში გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. ფესურიანია, ფოთლის ფირფიტა ფართო შუბის ან გულის ფორმისაა, ფოთლის სიგანე ხშირად აღემატება მის სიგრძეს. მცენარის ყველა ნაწილი უსამიანია, განსაკუთრებით უსამიანია მისი ახალი კენკრა. მოხარშვის ან გამოშრობის შემდეგ უსამიან თვისებებს კარგავს. კრეჩეტოვიჩის მონაცემებით, ნიუკას უსამიანი თვისებები გამოწვეულია ერთ-ერთი საპონინის შემცველობით. ნიუკას მშრალი ფესურა შეიცავს 25% სახამებელს, დალმაციაში მისგან ღებულობენ საჭმელ ფქვილს და ურევენ ხორბლის ფქვილში; ინგლისსა და გერმანიაში ნიუკას იყენებენ თეთრეულის გასათეთრებლად. ფესურას აქვს სამკურნალო თვისებები. მასში არსებული საპონინი მოქმედებს ლორწოვან გარსზე, რომელიც პირის გზით მიღებული იწვევს ნერწყვ-

დენის გაძლიერებას, პირღებინებას, დიდი დოზა მოქმედებს გულის ნორმალურ მუშაობაზე და ადამბლავებს ნერვულ სისტემას. ნიუკას ახალი წვენი თუ მოხვდა კანზე, იწვევს ანთებით პროცესს. ჩვენში ხალხურ მედიცინაში იყენებენ საჭმლის მომწელებელი სისტემის არანორმალური მუშაობის დროს, რევმატული ანთებისა და ნევრალგიის შემთხვევაში.

სამკურნალო მიზნით ხმარობენ ნიუკას სხვადასხვა სახეობას. მაგალითად, 1) *Arum maculatum* L.-ის ფოთლები და ფესურებია — *Fol. et Rhiz. Ari* — გამოყენებული, ხოლო ჩინეთსა და ამერიკაში მის ნაცვლად მოწოდებულია მცენარე *Arisaema atrorubeni* Ait. 2) *Arum italicum* Mill, *Arisarum italicum* Rafin — ისარას — მშრალი ძირები. *Radix. (Tuber) Arigallici (majorie)* სახელწოდებით არის ცნობილი. 3) *Arum dracontum* L. *Arisae ma Dracontium* Schott-ის ფესვებს აგროვებენ ყვავილობის დროს. 4) *Arum Dracunculus vulgaris* Schott ერთი მეტრის სიმაღლის მცენარეა, ხარობს სამხრეთ ევროპაში. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს *Amilium Ari-*; მის ფოთლებგანვითარებულ ფესვებს აგროვებენ. 5) იყენებენ *Arum triphyllum*-საც *Arisacma Atrorubens* Ait-ის მაგივრად, რისთვისაც აგროვებენ მის ფესვებს.

რაჭაში ქალაკოდას იყენებენ საკვებად როგორც მხალს, ნიუკას ფესვებს ყელის დაავადებათა სამკურნალოდ ხმარობენ (ღებში).

30. სატაცური — *Asparagus verticillatus* L. *Asparagus officinalis*, *Asparagus caspicus* Hohen.

სატაცური ეკუთვნის შროშანისებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ერთსქესიანი და ორსახლიანი მცენარე საქართველოში სამი სახითაა წარმოდგენილი; იგი ბალახოვანი მცენარეა, აქვს მოკლე ფესურები და დატოტილი ღერო მრავალრიცხოვანი ნემსისებრი კლადოდიუმებით. ნაყოფი კენკრაა, იზრდება 50—150 სმ სიმაღლის, ხარობს ტყისპირებზე, ბუჩქნარებში, ქვიან ადგილებში, ველზე, ბაღებში, ფერდობებზე, მლაშობებზე, ზღვისპირა კლდეებზე და სილნარ ადგილებში.

თუ ცხოველმა იგი დიდი რაოდენობით შეჭამა, იწვევს გაბერილობას და კუჭ-ნაწლავის აშლილობას. ლარინისა და ლარინას მიხედვით, სატაცური თუ თივაშია შეყოლილი, მას ეტანება როგორც მსხვილფეხა პირუტყვი, ისე ცხენი, ცხვარი და თხა. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: წყალი 93,7%, აზოტოვანი ნივთიერებანი 1,9%, ცხიმი — 0,4%, შაქარი — 0,4%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი — 2,0%, უჯვრედანა — 1,1% და ნაცარი — 0,6%. აზოტოვანი ნივთიერებანი იზაქსომის მონაცემებით, 44% პროტეინს და 56% ამიდებს შეიცავს. ცნობილია, რომ მისი მშრალი ნაყოფი ითვლება პირუტყვის კარგ საკვებად. მთლიანი ნაყოფი შეიცავს 63,5% წყალს, სირ-

ბილე — 71,2%-ს, ხოლო თესლები — 65,6%-ს. სატაცური საქართველოში ითვლება კარგ მხალეულ მცენარედ, მისი ახალგაზრდა ყლორტები მდიდარია ცილოვანი ნივთიერებებით და განსაკუთრებით ასპარაგანით. გროსპიიმის მიხედვით, მისი ყლორტები შეიცავს 12,5 მგ. კაროტინს.

ლუპეხინის მონაცემებით, სატაცურის ფესვი ითვლება შარდმდენ საშუალებად, განსაკუთრებით შარდსადენი გზების კენჭოვანი დაავადების დროს. მთლიანი ბალახი გამოიყენება ბუზების მოსასპობად.

სააფთიაქო სატაცური — *Asparagus officinalis* L., რომელიც საქართველოში იზრდება, ხასიათდება ორგანიზმზე თავისებური მოქმედებით.

კანის გამონაყარს მკურნალობენ სატაცურის, გოგირდის და შარდმქაეას ნაზავით. (ასპინძა, სოფ. ერკოტა).

31. მამასწარა — *Asplenium trichomanes* L.

გვიმრაჭა — *Asplenium septentrionale* (L) Hoffm.

ეს მცენარეები ეკუთვნის *Asplenicaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც გავრცელებულია საქართველოს მთელ რესპუბლიკაში ალპურ სარტყლამდე, განსაკუთრებით კლდოვან ადგილებში. ლიტერატურული წყაროების მიხედვით მამასწარას მხოლოდ ღორები ჭამენ. ხასიათდება თავისებური არომატული სუნით, მას ქართულ ხალხურ მედიცინაში მხოლოდ თმის ცვენის წინააღმდეგ იყენებენ.

მამასწარას ეზოებშიც აშენებენ. მას ხმარობენ ვეტერინარულ პრაქტიკაში (ნაცემ მაკე ძროხას ასმევენ მის ნახარშს, ნაყოფი რომ არ გაუფუჭდეს). გვიმრაჭას თუთის ფესვების ქერქთან ერთად ხარშავენ და ავი ზნის წამალს ამზადებენ.

თელავში უჭურველათი მკურნალობენ (*Asplenium ruta — muraria*) კუჭის აშლილობას, ეს მცენარე გალავნებზე იზრდება ქრისტისისხლასთან ერთად.

32. ვარსკვლავა — *Astrantia maxima* Pall. et *astrantia Bieoberstaini* Trautv.

ვარსკვლავა ეკუთვნის ქოლგოსანთა (*Apiacea*) ბოტანიკურ ოჯახს. პირველი სახეობა 80 სმ სიმაღლისა იზრდება, ხოლო მეორე — 60 სმ. პირველის ყვავილები ვარდისფერია, ხოლო მეორის შიგნიდან ვარდისფერი ან თეთრი. ორივე სახეობა გვხვდება სუბალპურ მდელოებზე, მთის ზედა სარტყელში, ტყის პირზე — აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მესხეთში, ჯავახეთში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ვარსკვლავას ორივე სახეობას ხმარობენ კუჭის დაავადების დროს, კუჭ-ნაწლავის ჭრითი ტკივილები-სას. სვანეთში სვამენ მისი ფესვების წვეწს ან ნაყენს კუჭის, ღვიძლის

და ნაღვლის ბუშტის ანთების დროს. ვარსკვლავას პატარა მასივებს მთაში ხშირად ყორეს ავლებენ, რათა საჭიროების დროს ადვილად მიაგნონ. ასეთ ყორეებს შევხვდით სათიბებში.

33. ძაღლის პიტნა — *Ballota nigra* L. (*Ballota ruderalis*).

ძაღლის პიტნა ტუჩოსანთა — *Lamiaceae*—ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა, რომელიც ჩვენში გვხვდება რუდერალურ ადგილებზე როგორც სარეველა. გავრცელებულია მთელ რესპუბლიკაში მთის ქვედა და ზედა სარტყელამდე. მას ჩვენში სავეტერინარო საქმეში ხმარობენ მსხვილი რქოსანი საქონლისა და ცხენების დაავადებათა დროს. უნგრეთში იყენებენ სახეობა *Ballota lanata* L. (*Leonorus lanatus* Pers.) მთის ბალახის *Herba Ballotae*-ს სახით. ხშირად აფთიაქში ამ მცენარესთან ერთად ნახავთ შერეულს *Filago arvensis* *Filago germanica* ან *Filago montanae*-ს. მისი შემცველობა ქიმიურად ასეთია: მწარე ნივთიერება, ეთერზეთი, 10% მთრიმლავე ნივთიერება, უნგრული ფარმაკოპეის მონაცემებით: ნაცარი 10—15%-ია. იყენებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან ბალახს ნაყენის სახით.

ახალციხეში, რაბათის უბანში, ამ მცენარეს ხმარობენ თირკმლების დაავადების, ანუ როგორც თვითონ ეძახიან, ბოგრაგის წინააღმდეგ (მესხები მას საწუწნელა ბალახს უწოდებენ), მის ნახარშს ჩაის მსგავსად სვამენ.

ამ მცენარეს ეზოში აშენებენ და სამკურნალოდ იყენებენ.

34. წყლის ბაია — *Batrachium Bionii* (Lagg), Nym. et *Batrachium divaricatum* (Schrank) Schur. et *Batrachium trichophyllum* (Chaix) Bossche.

ეს წყლის მცენარეები ეკუთვნის ბაიასებრთა (*Ranunculaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც საქართველოს ყველა რაიონში გვხვდება, მეტწილად დამღვარ გუბეებსა ან მდორედ გამდინარე წყლებში. ვრცელდება როგორც მთის ქვედა, ისე შუა სარტყელამდე.

წყლის ბაიას ხმარობენ დამწვრობისა და ქარების წინააღმდეგ (ლეჩხუმი, სოფ. ლეკოსანი).

35. კოწახური — *Berberis vulgaris* L.

კოწახურის გვირის სახელწოდება (*Berberis*) არაბულია, ხოლო სახეობის სახელწოდება *vulgaris* ნიშნავს ჩვეულებრივს, *Berberis* — მჟავეს (იავის მჟავა). იგი მალის მომგვრელი და კუჭ-ნაწლავის დამამშვიდებელია. უძველესი დროიდან ხალხი მის ფესვებს ხმარობდა რევმატული ანთების სამკურნალოდ. როგორც სამკურნალო საშუალება კარგად იყო ცნობილი ანტიკური ქვეყნების მცხოვრებლების, მათ შორის კოლხებისათვისაც. კოწახური გავრცელებულია მთელ ევროპაში, ჩრდილოეთ სკანდინავიაში, საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიაში. ჩვენში გვხვდება მთის შუა სარტყ-

ლამდე, ტყის პირებზე, მდინარის ნაპირებზე, რიყეზე თითქმის ყველა რაიონში, ჯავახეთსა და მესხეთს გარდა.

კოწახური ეკუთვნის კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახს, იზრდება 3—5 მ სიმაღლის ბუჩქად, ღეროზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა ელორტებზე ვითარდება ეკლადქცეული ფოთლები. მისი ნამდვილი ფოთლები ჯგუფ-ჯგუფად შეკრულია და ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. ორსქესიანი ყვავილები შეკრებილია მტევან ყვავილედში, თითოეული ყვავილი შედგება 6 ჯამისა და გვირგვინის ფურცლისა, 5 მტვრიანისა, სანექტრეებისა და ერთი ნაყოფისფოთლიანი ბუტკოსაგან. მას უვითარდება მუქი წითელი ფერის მკავე წიპწიანი ნაყოფი. კოწახური კარგად ეგუება საქართველოს პირობებს და გვხვდება სხვადასხვა მცენარეულ დაჯგუფებაში 1500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, განსაკუთრებით ტყეში, ბუჩქნარში, მდინარის ნესტიან და ქვიშიან ნაპირებზე.

საქართველოს ხალხურ მედიცინაში კოწახურს ფართოდ იყენებენ, მაგალითად, სურავანდის დროს, გულის დაავადებათა შემთხვევაში და სხვ. „წიგნი სააქიმოსი“ მიხედვით იგი კარგად მოქმედებს სხეულის რომელიმე ნაწილის ნერვული კანკალის დროს, რომლის მიზეზად ავტორს ზოგადი სისხლმეტობა მიაჩნია. „კურნებაი მისი იგი არის, რომელ ადილაისა მატბუხსა და კოწახურსა მამასა, ნუშის გულსა და ქათმის მუზაფარსა და ბატკნის ზორცსა და ახალსა თევზსა რომელ ძირითა შექმნილი იყოს, და ბროწეულსა და ვაშლსა და ბაქსადა შავსა ტყემალსა (იხმარებოდეს)“. დავით ბატონიშვილი ურჩევს ავადმყოფს მიიღოს იგი სისხლის გაღების შემდეგ: „და ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, თუთუბოსა, მოცხარისა და ამავე რიგის მყავისა და შემკრაჯისა რისამე შეჭამადები“ — და სხვ. „უსწორო კარაბადინით“ ქანანელი უნიშნაეს მას ავადმყოფს შეუკავებელი შარდვის დროს, ელენთისა და ღვიძლის ტკივილის დროს. აგრეთვე თირკმელსა და შარდის ბუშტში კენჭის გაჩენის შემთხვევაში: „წამალი მიეცი ამა ნიშნითა: აიღე კოწახური და თუხმქიანი, და სუფთა ერბოთა ადუღე და წყლისა აწიწმატი წყლითა და კარგა მოადუღე და შიგან ერბო ანუ ზეთი გაურიე და შეასვი და რაც თირკმელთა და ბუშტისა და შირიმისა წამალი სწერია ყველა უყავ და უშველის დროითა“. საქართველოში მისგან ამზადებენ შარბათს (*Sirupus Berberidis vulgaris*), იყენებენ აგრეთვე საკულინარო საქმეში და ყვითელი საღებავის მისაღებად.

✦ მეცნიერულ მედიცინაში დღეს იგი გამოიყენება C ვიტამინისა და პრეპარატ ბერბერინის მისაღებად. გარდა გერმანული საექიმო წიგნისა, სხვა რომელიმე ფარმაკოპეაში კოწახური არ შეგვხვედრია. მკურნალობისათვის იყენებენ კოწახურის ფესვების ქერქს (*Cortex Berberidis radicia*), რომლის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 1,3% ყვითელი ალკალოიდი, ბერბერინი-ხელიდოქსანთინი, 1,5% ალკალოი-

დი ოქსიაკანთინი ($C_{37}H_{40}N_2O_6$), ბერბამინი $C_{36}H_{38}N_2O_6$), C ვიტამინი, ფისი, ექსტრაქტული ნივთიერებანი, ცვილი, მთრიმლავი ნივთიერებანი, წებო, მარილები და სხვ. ამასთან ბერბერინს ხმარობენ 3—4,5% ნაყენის სახით. კოწახურის ფოთლები (*Folia Berberidis*) შეიცავს ალკალოიდ ბერბერინს ($C_{20}H_{19}NO_3$), ხოლო ნაყოფი *Fructus Berberis*, *Baceae Berberidis vulgaris* — დექსტროზას და ლევულოზას (ორივე ერთად 4,7%-მდე), თავისუფალ მჟავას, რომელიც უფრო ვაშლის მჟავად უნდა ჩაითვალოს, თითქმის 6,6%-მდე პექტოზას, წებოს (თითქმის 6,6%), მქროლავ არომატულ მჟავას. მინერალურ ნივთიერებას (3% არ აღემატება), ვიტამინს და სხვ. კოწახურის ფესვების (*Radix Berberis vulgaris*) შემცველობა იგივეა, რაც მისი ფესვის ქერქისა. პრეპარატი ბერბერინი (*Berberinum*) განსხვავდება ალკალოიდ ბერბერინისაგან. ამ პრეპარატის ქიმიური ფორმულა $C_{20}H_{19}O_4NHO$ თავისუფალი სახით, ის ალდეჰიდ ბერბერინალის ($C_{20}H_{19}O_5N$) ფორმისაა, მისი ლღობის წერტილია 144° , იხმარება ცივ წყალსა და სპირტში, უფრო კარგად ქლოროფორმსა და ბენზოლში, აგრეთვე ეთერსა და პეტროლეუმშიც. კოწახურის უარყოფით თვისებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მის ფოთლებზე იზამთრებს მარცვლოვანთა ჟანგა სოკო (*Puccinia graminis*), რომლითაც გაზაფხულზე სორბლის ნათესები ავადდება.

კოწახურის ფესვების ქერქის ნახარშს ასმევენ სიყვითლის წინააღმდეგ.

36. ჭარხალი — *Beta vulgaris* L. sp. cicla.

ჭარხალი კულტურული მცენარეა, ეკუთვნის ნაცარქათამასებრთა (*Chenopodiaceae*) ოჯახს, იშვიათად გავლურებული სახითაც გვხვდება, მაგრამ ძირითადად კულტურაში მოჰყავთ. საჭმელად გამოსადევია მისი ფესვებიც და ფოთლებიც.

წითელი ჭარხლის სამკურნალო თვისებები დიდი ხანია ცნობილია. იგი მოჰყავდათ ჯერ კიდევ I—II საუკუნეებში ჩვენს ერამდე. ძველი ბერძენი ექიმები წითელ ჭარხალს იყენებდნენ როგორც სამკურნალო საშუალებას მთელი რიგი დაავადებების წინააღმდეგ. ისინი ურჩევდნენ ავადმყოფს ესვა უმი ჭარხლის წვენი, რაც, მათი აზრით, ხელს უწყობდა მალე გამოჯანმრთელებას.

საბჭოთა მეცნიერის ფ. ვ. ცერევიცინოვის მონაცემებით, წითელი ჭარხალი შეიცავს 83% წყალს, 1,26% აზოტოვან ნივთიერებებს და ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებს.

ცილოვან-აზოტოვან ნივთიერებებს, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს წითელ ჭარხალში, მიეკუთვნება ქსანტინი, ჰიპოქსანტინი და სხვ.

ამ ბოლო დროს წითელი ჭარხლის აზოტოვან ნივთიერებათა შორის ნახეს გლუტამინის მჟავა, არგინინი, ასპარაგინი და ბეტაინი.

ცნობილია, რომ ბეტაინი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლის პროცესში.

ჭარხალი მდიდარია ნახშირწყლებით (საქაროზა, გლუკოზა და ფრუქტოზა).

ჭარხალში ბევრია ვიტამინებიც. ერთ კილოგრამ წითელ ჭარხალში შედის 220-მდე მილიგრამი C ვიტამინი, 6,5 მილიგრამამდე ნიკოტინმჟავა, 0,5 მილიგრამი B ვიტამინი და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინ გამოიკვია, რომ 100 გ უმ წითელ ჭარხალში დაახლოებით 7,3 მილიგრამი რკინაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჭარხალი ძვირფასი პროდუქტია ანემიით (სისხლნაკლებობით) დაავადებულთა სამკურნალოდ.

წითელი ჭარხალი შეიცავს ვაშლისმჟავას, ამიტომ ის კარგია იმათთვის, ვისაც თირკმელში კენჭები აქვს.

ამრიგად, ჭარხალი აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს, აჩქარებს წიდების გამოყოფას ორგანიზმიდან.

ფრანგი მეცნიერის რ. დეკსტროის აზრით, ყველაზე სასარგებლოა უმი წითელი ჭარხლის წვენი, რეკომენდებულია სამი-ოთხი კვირის განმავლობაში ღღეში თითო ჭიქა წვენის დალევა.

ჭარხალს ხმარობენ ღვიძლის დაავადების დროს, ყაბზობის დროს, თირკმლის კენჭების წინააღმდეგ და სხვ.

37. ბარისპირა. დოშა — *Betonica officianalis* L. et *Betonica grandiflora* Willd.

ბარისპირა ეკუთვნის ტუჩოსანთა (Lamiaceae) ბოტანიკურ ოჯახს. საზოგადოდ იყენებენ ანგინის, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, ხალხურ მედიცინაში კი—ძვლის მჭამელის წინააღმდეგ, ზოგჯერ საწერელის დროსაც. იგი უხვად მოიპოვება საქართველოს ყველა რაიონში. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე, მთლიანი ბალახის (*Herba Betonicae*, *Veronica Purpureae*) შეგროვება ყვავილობის პერიოდში წარმოებს. შეიცავს ბეტონიტინს (ოქსისტაქიდრინს — *Oxylachydrin*), ტურიცინს (ოქსისტაქიდრინს), სტაქიდრინს (მეაილპიროლინინკარბონმჟავა-ბეტაინს) ქოლინს, მწარე ნივთიერებებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვა. როლოვის მონაცემებით, მისი ფოთლების რძიან ნახარშს აძლევენ საქონელს ნაწლავების დაავადების დროს.

სოფ. სხვიტორში, აკაკი წერეთლის ეზოში, სამკურნალო მცენარეებიდან ახლაც შემორჩენილია ბარისპირა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია ბარისპირა ნახარშის სახით. აძლევენ სასუნთქი გზების კატარული ანთების დროს, განსაკუთრებით ხველების დასაამებლად.

დოშას იყენებენ სახეზე ჩირქოვანი წყლულების, სახის ანთების

და სხვ. დროს. მის ნახარშს ან ახალგაზრდა ფოთლის წვეწვს უსვამენ პირდაპირ წყლულზე, ანთებიან ადგილზე ადებენ მის საფენს.

38. არყის ხე — *Betula pendula* Roth. et B. Litwinowii. A. Doluch.

არყის ხის გვარის სახელწოდება (*Betula*) რომელი წარმოშობისაა და (*Pendula*) დაკიდებულს ნიშნავს. სამკურნალო საქმეში არყი სლავების მიერაა შეტანილი. იგი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, იაპონიაში, სკანდინავიაში, ლაფლანდიაში, გრენლანდიაში, კამჩატკაზე. ჩვენში ნახანძრალეზზე, გაკაფულ ადგილებზე, იშვიათად ქვიან ადგილებზე, უპირატესად მთის ზედა სარტყელში — სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, მესხეთში.

არყის ხე ეკუთვნის არყისებრთა (*Betulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ხე მცენარეა, ტოტები შიშველი, მეჭვჭოვანი და ჯირკვლოვანი წინწკლებითაა დაფარული, ტოტებზე განლაგებულია სოლისებური ფოთლები. ფოთლები ფუძიდან სამკუთხა ან რომბულია, ორმაგი მახვილი, დაკბილული ნაპირებით და შიშველი ზედაპირით. მჭადა სანაყოფე ყვავილები ცილინდრული ფორმისაა, 2—3 სმ სიგრძის და 8—10 მმ-მდე სიგანის. კაკლუჭები შებრუნებული, კვერცხივით მოგრძოა, ხოლო ფოთლები 1,5—2,5-ჯერ განიერია, ვიდრე კაკლუჭა. არყი ჩვეულებრივი და დამახასიათებელია საქართველოს მაღალი მთების ზონისათვის, განსაკუთრებით გვხვდება აფხაზეთის, გურიის, იმერეთის, ქართლის და მთათუშეთის მაღალ მთებში.

არყის ქერქს, ფოთლებსა და ახალგაზრდა ტოტებს ჩვენი ხალხი იყენებს წყალმანკის, ფილტვების დაავადებათა, კუჭის ტკივილის და ფეხის ოფლის წინააღმდეგ, აგრეთვე ეგზემისა და რევმატული ანთების დროს. მეცნიერულ მედიცინაში დღესდღეობით ის გამოყენებულია როგორც შარდმდენი, ამოსახველებელი და სადეზინფექციო საშუალება. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში ის მოხსენიებული არ არის, მაგრამ შედის სხვა სახელმწიფოთა ფარმაცოპეაში *Betula pendula* Roth. *B. verrucoca* Ehrh და *Betula alba* L.-ის სახელწოდებით. ძირითადად იყენებენ ყვავილობის პერიოდში მყოფი არყის ფოთლებს და ადრე გაზაფხულზე შეგროვილ კვირტებს (*Gemmae Betula*). ქიმიურად არყის ფოთლები შეიცავს მეთილპენტოზას, ფისს, რომელშიც შედის ბუტილესტერბუტულორესტინის მჟავა, 1,5—9% მთრიმლავ ნივთიერებას, ეთეროვან ზეთს 25%-მდე (რომელიც ბეტუტოლად, ანუ სესკუიტერპენალკოპოლადაა წოდებული), საღებავ ნივთიერებას, C ვიტამინს და 5% ნაცარს; ბეტულინსა და გლუკოზიდებს ის არ შეიცავს. კვირტებში შედის ეთერზეთები, ფისი და ყურძნის შაქარი; არყის საექიმო და ფარმაცევტული პრეპარატებია: *Lina*, *Oleum Rusci*, *Pix Betulae*, *Pyroleum Betulae*, *Oleum Betulae*, *empyreumaticum rectificatum*, *pasta Pyrolei Betu-*

lae, რომლის შემადგენლობაში შედის. Pyroleum Betulae 1,0 და Pasta zinci 99,0, Pasta Pyrolei Betulae fortior (აქ ის შეიცავს 5% Pyroleum Betulae-ს), Spiritue Picis Betulinae (Pix Belulinae 25, და Spiritus vinni 90,0/—25/0/ Tinctura Basci (რომელიც შეიცავს Pyuroleum Betule 250,0 Spiritus vinni 86% — 375,0 და Althei 375,0) არყის კვირტების (Gemmae Betulae) პრეპარატებია. Infusum Gemmae Betulae, Tinctura Gemmae Betulae ის შედის აგრეთვე შარდსადენ ნაკრებთა შემადგენლობაში.

ზემო ცაგერში არყის ხის კვირტების ნახარშს ასმევენ ფილტვების დაავადების, განსაკუთრებით ფილტვების ტუბერკულოზის დროს. ახალქალაქის რაიონის სოფ. გოგაშენში სირსველზე არყის ხის ზეთს უსვამენ (არყის ხის ფიჩხი დაწვის დროს გამოყოფს ზეთს).

39. ქვეყნის გული, მრგვალი ფშუკუნა — *Bovista nigrescens*. *Bovista plumbea* Pers.

ეს სოკო მცენარეები ჩვენს მდებარეობებზე საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, იგი ეკუთვნის (*Gasteromycetes*) წვიმის სოკოების ოჯახს. მისი ყველა სახეობა იხმარება ქართულ ხალხურ მედიცინაში.

ქვეყნის გულს რაჭაში მჩუანას ეძახიან (სოფელი გონესა, ღები და ჭიორა); ონის რაიონში ამ მცენარის სპორებს ჭრილობების სამკურნალოდ იყენებენ, მას აგროვებენ და ინახავენ.

40. ბონგარდია — *Bongardia chrysogonum* (L.) Boiss.

ბონგარდია ეკუთვნის კოწახურისებრთა (*Berberidaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ბალახოვანი მცენარეა, ყვავილობს მარტსა და აპრილში. გვირგვინის ფურცლები მკვეთრი ყვითელია, ნაყოფი გაბერილ კოლოფს ჰგავს. ფოთლები დანაკეთული. ტუბერი მსხვილია ნ სმ დიამეტრით, ხშირია ნათესებში, იშვიათად თიხნარიან ნახევრად უღბნოებში. გვხვდება მთის ქვედა სარტყელში. ჩვენში გავრცელებულია კახეთში ქიზიყში (შირაქში). მას მრგვალი წამლის შემცველად ხმარობენ, ხარშავენ და ჭამენ. ესეც მრგვალი წამლის მსგავსად ჩვენში განადგურების გზაზეა დამდგარი, მაგრამ ვინაიდან მას ტუბერკულოზის სამკურნალო თვისებას აწერენ, კულტურაში აქვთ შეტანილი.

41. ბოლოკი, კომბოსტო — *Brassica napus* L. B. oleracea L.

კომბოსტოს გვარის სახელწოდება (*Brassica*) უძველეს დროში წარმოიშვა. *Bresic* ან *Bassic* დაჰყლებილს (მიჰყლებილს) ნიშნავს, ხოლო ლათინურად *praesecare* — „თვალს მოგტაცებს“, „ყურადღებას მიიპყრობს“. ვინაიდან იგი ადვილი შესამჩნევია, მას ცხოველები ეტანებიან. სახელის აღმნიშვნელია *nigra*, ე. ი. შავი. ეს უკანასკნელი სახეობა სამკურნალო საქმეში საკმაოდ დიდი ხანია ცნობილია. შუა საუკუნეებიდან კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ თალგამს ხშირად იყენებდნენ საექიმო (სამკურნალო) ნივთიერებათა ტაქსაციაში ქალაქ

შვინფურტშია ის შეტანილი. 1730 წლიდან მისი ზეთი პირველად მექანიკური წესით (წნებით) მიიღეს. გავრცელებულია ყველგან კულტურაში ევროპაში, აზიაში, სკანდინავიაში, ამერიკაში, ავსტრალიაში. ჩვენში ბოსტნებში მოჰყავთ, გვხვდება რუდერალურ ადგილებზე აფხაზეთში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, მთიულეთში.

კომბოსტო ეკუთვნის ჯვაროსანთა Brassicaceae (Cruciferae) ბოტანიკურ ოჯახს, მისი ფოთლები ხორციანია და დიდი ზომის. შეიცავს A და C ვიტამინებს, ძირითადად საკვებად გამოიყენება, მაგრამ ჩვენი ხალხი მას სამკურნალო მიზნებისათვისაც იყენებს. კეჟე-რას — *Br. subspontanea planifolia* Metzg — კომბოსტოს ფოთლებს ხმარობენ სიცხის დამწვევად. იგი აჭარაში ყველას აქვს მოშენებული ეზოში, როგორც მხალეული.

42. ბზა — *Buxus colchica* Pojark.

ბზა ეკუთვნის ბზისებრთა (Buxaceae) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ბზიფის ხეობაშია გავრცელებული (ხეობის სახელწოდება სწორედ ბზასთანაა დაკავშირებული). ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში ველურად ხარობს ტყეში. დანარჩენ ადგილებში მას აშენებენ. მისი ფოთლების ნახარშს ჩვენში ხმარობენ თმის შესაღებად (წაბლისფრად), თმის ცვენისა და თებოს ან ქერტლის წინააღმდეგ. საზღვარგარეთ დამატებით იყენებენ ბზის ამ სახეობის ორ ვარიაციას, სახელდობრ *var. arborescens* L და *var. subfruticosa* L. სამკურნალოდ ხმარობენ ახალგაზრდა ყლორტებს. ბზის ქიმიური შემცველობა ასეთია: ფოთლები და ქერქი შეიცავს ალკალოიდბუქსინს, პარაბუქსინს, ბუქსინინდინს, პარაბუქსინინდინს, ბუქსინამინს, მცირე რაოდენობით ეთერზეთს.

აჭარაში ბზის ნაყოფის გამონაწველილს ღრმა ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ ხმარობენ.

43. კანაფი—*Cannabis sativa* L. et *Cannabis ruderalis* Ianisch.

საქართველოში კანაფის ორი სახეობა იზრდება: 1. *Cannabis ruderalis* D. Ianisch და 2. *Cannabis sativa* L. მეორე სახეობა კულტურული მცენარეა, რომელსაც ჩვენში აშენებენ, მაგრამ ზოგჯერ ის ველურდება. *Cannabis ruderalis* Ianisch საქართველოს მთელ რესპუბლიკაშია გავრცელებული, განსაკუთრებით ნაგვიან ადგილებზე, ასევე გვხვდება მდინარის ნაპირებზე, მთის ფერდობებზე და ქვიან ადგილებში, იზრდება 20—130 სმ სიმაღლის, მისი ღერო სქალადაა შეფოთილი, ფოთლები 5—7 თათისებრ დაყოფილი და ყუნწიანია, ფორმით — ვიწრო ლანცეტა. ყვავილები ზედა ფოთლების ილღიებში შეკრებილია ყვავილედად, მამრობითი საგველაა, ხოლო მდედრობითი თავთავისებრი.

კანაფი სარეველა მცენარეა, ეკუთვნის კანაფისებრთა (*Canna-*

საყვავილედ ბოტანიკურ ოჯახს. მის თესლებს ჩვენი ხალხი ხარშავს და ყელის დაავადების დროს ხმარობს. საზღვარგარეთ მას სხვა მიზნებისთვისაც იყენებენ.

სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში კანაფი უხამიან მცენარედ ითვლება. განსაკუთრებით იწამლება ცხენი. თესლებით იწამლებიან ღორები. კანაფის მიწისზედა ნაწილებისაგან ამზადებენ ნაყენებსა და გამოწვევებს. იხმარება როგორც ძილისმომგვრელი და დაჩამშვიდებელი საშუალება. კანაფის ყვავილსაფარის ფოთლები კი გამოყოფენ ერთგვარ ფისისებრ ნივთიერებას, რომელიც სამედიცინო საქმეში იხმარება ჰაშიშის დასამზადებლად.

კანაფს აშენებენ ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად (შატილი, ჯავახეთი).

44. ხაჭიჭორა, წიწმატურა — Capsella bursa — pastoris (L.) Medic.

ხაჭიჭორას გვარის სახელი (Capsella) მოდის Capsa-დან (თუნუქის ყუთი, ქილა, ჯიბე), ხოლო სახეობის სახელწოდება bursa ნიშნავს მწყემსის ჯიბეს, ქართულად მწყემსის გულა. სამკურნალო საქმეში უძველესი დროიდანაა ცნობილი. გალენი მას აერთიანებს *Thlaspi arvense* L.-თან — მაგრამ მწყემსის გულას მაინც გამოყოფს. შუა საუკუნეებზე უფრო ადრინდელ სამედიცინო პრაქტიკაში იყენებდნენ მის გამშრალ მასასა და ფორმებს, იგი გავრცელებულია მთელი დედამიწის ზურგზე. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან მთის ზედა სარტყლამდე, მინდვრებში, ნასვენ და რუდერალურ ადგილებზე, ვხისპირებზე, ეზოებსა და ბოსტნებში.

ხაჭიჭორა სევსურული სახელია, მას წიწმატურასაც ეძახიან. ის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ჯვაროსანთა *Brassicaceae* (*Cruciferae*) ბოტანიკურ ოჯახს. ხასიათდება მარტივი ან დატოტვილი სწორმდგომი ღეროთი, რომელზედაც მორიგეობით განლაგებულია მჯდომარე ფესვთან, ფრთაღგანკვეთილი, კიდემთლიანი ან ამოღრღნილკბილებიანი ფოთლები. ახასიათებს მტევანი ყვავილელი, რომელთაგან ვითარდება ჭოტაკი ნაყოფი. მას ხშირად ნახავთ კულტურულ ნათესებს შორის, როგორც სარეველა მცენარეს *Thlaspi arvense*-L-თან ერთად. ჩვენი ხალხი მას იყენებს მღოვრის შემცველად ან მხალად; ხალხურ მედიცინაში ხმარობენ როგორც სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას. იგი ცნობილია მეცნიერული მედიცინისათვის და ფარმაცოპეაშიცაა შეტანილი. ჩვენს ფარმაცოპეაში ის მოხსენებული არ არის, მაგრამ საბჭოთა კავშირში ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ ხაჭიჭორას შესწევს სისხლდენის შეჩერების უნარი. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს გერმანელები მას იოდის ნაცვლად ხმარობდნენ.

მკურნალობის საქმეში ხაჭიჭორა გამოიყენება მთლიანად, ყვავი-
5. ზ. შენგელია

ლობის პერიოდში *Herba Bursae pastoris*-ის სახელწოდებით. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ალკალოიდ-ბურსინი, გლუკოზიდი, ბურსამჟავა, ტირამინი — პენტაოქსიფენილეთილამინი, ქოლინი, აცეტილ-ქოლინი, 20%-მდე ცხიმზეთი და ვიტამინი. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია *Infusum herbae Bursae pastoris*, *Extractum Bursae pastoris fluidum*.

ზოგიერთი მკვლევარი ხაჭიჭორას პრეპარატებს თვლის პიდრასტის (*Hydrastis Canadensis*) ძირების შემცველად.

დღესდღეობით მეცნიერულ მედიცინაში მწყემსის გულა (ხაჭიჭორა) რეკომენდებულია როგორც საშვილოსნოდან სისხლის დენის შემწყვეტი საშუალება და აგრეთვე გაძლიერებული მენსტრუაციის დროს.

ხაჭიჭორას სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში აშენებენ (გორელოვკა, ბაჟურიანი) და ხმარობენ ჭიის გამომდენად.

წიწმატურას გაფხეკილი ძირების ნახარშს მუცლის ტკივილის და საამებლადაც სვამენ.

45. წიწაკა — *Capsicum annum* L.

წიწაკა, რომელიც დასავლეთ საქართველოში ცნობილია პილპილის სახელწოდებით, ეკუთვნის ძალყურძენასებრთა (*Solanaceae*), ბოტანიკურ ოჯახს. იგი ერთწლიანი მცენარეა, სწორმდგომი, დატოტვილი და შიშველი ღეროთი, რომლის სიმაღლე 50—70 სმ აღწევს. ღეროზე მორიგეობით განლაგებულია წვეტიანი, კვერცხნაირი ფოთლები. ფოთლის იღლიებში ვითარდება ერთეული, თეთრი, ყუნწისკენ დახრილი ყვავილი 5 მტკრიანათი, წითელი ფერის, მეტად მწარე გემოსი და ცხარე სუნის ნაყოფით. წიწაკა მოჰყავთ საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა მაღალმთიანი ადგილებისა.

ჩვენი ხალხი წიწაკას იყენებს როგორც მადისმომგვრელ საშუალებას. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება წიწაკას ნაყოფი (*Fructus Capsici*) როგორც ადგილობრივი გამლიზიანებელი საშუალება, განსაკუთრებით კანზე ადგილობრივი ჰიპერემიის გამოწვევის მიზნით. მას ურჩევენ აგრეთვე ნაყენების სახით საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, წიწაკის ნაყოფის (*Fructus Capsici*) ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 0,2% ალკალოიდის მსგავსი ამიდი, კაფსიცინი — დეცილენმჟავა ამიდი ვანილინამინით, რომელიც ხასიათდება მწვავე გემოთი და გამალიზიანებელი მოქმედებით, კაფსიკუმროტი (რომელსაც კაროტინისებური გამოყენება აქვს), კაფსანთინი (*Capsanthin*), კაფსორუბინი, ლუტეინი, ვიტამინი, პიგმენტები, 7—9% ნაცარი და 1,25 მჟავაში უხსნადი ნაცარი. წიწაკას თესლებში 10%-მდე ცხიმზეთია, მისი ნაყოფი შეტანილია როგორც ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ფარმაკოპეაში. წიწაკის საექიმო ფორმებია: *Tinctura capsici*, *Tinctura capsici com-*

posita, Emplastrum Capsici, Linimentum Capsici compositum, Linimentum restitutorum, unguentum Capsici Aquosum, რომელშიც შედის Mentholum synth 0,5, Capsicinum, Oleum Rosmarini 1,5 Mucilago Tylose Stada 50,0.

აფხაზეთის ადგილობრივ მცხოვრებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს წიწკა.

46. ისლები — *Carex micropodioides* Krecz., *Carex Capitellata* Boiss. et Bal., *Carex Disticha* Huds., *Carex polyphylla* Kar. et Kir.

გვარის სახელწოდება (*Carex*) რომაულია, ნიშნავს ნემსისებურს, დაბალ შეკრულ ბუჩქს, ხოლო სახეობის სახელწოდება *arenaria* სილასა ან ქვიშაზე მცხოვრებს აღნიშნავს. და მართლაც ეს მცენარე ქვიშნარ და სილნარ ნიადაგებზე იზრდება. ისლი სამკურნალო საქმეში მხოლოდ მე-18 საუკუნიდანაა ცნობილი და მზა ნაწარმის სახით იყიდება. ისლის ფესვურას იყენებენ ეკალიჭის მსგავსად, მას გერმანელები ასეც ეძახიან (გერმანული სარსაპარილა) და აფთიაქებში ჩაის სახით არის (*Carilaxan* — Tee). შეიცავს ეთერზეთებს, საბონინებს, ლორწოვან ნივთიერებას, ფისს, კრემენმეყავას, მწარეებს, ტერპენტინს. გამშრალი ისლი უსუნო, ძალზე უგემური ან ოდნავ ტკბილია. ისლი გავრცელებულია ევროპაში, არქტიკაში, ციმბირში, ჩრდილოეთ ამერიკაში, შავი ზღვის სანაპიროზე. ჩვენში იზრდება მთელ რესპუბლიკაში მთის შუა სარტყლამდე, ფოთლოვან ტყესა და ბუჩქნარებში. ისლს ჩვენი ხალხი ხმარობს *C. arenaria*-ს მსგავსად.

ისლი ეკუთვნის (*Cyperaceae*) ისლისებრთა ბოტანიკურ ოჯახს. საქართველოში ისლის გვარი ფართოდაა წარმოდგენილი. მისი 86 სახეობაა გავრცელებული. ისლის გვარში გაერთიანებული სახეობები მრავალწლოვანი მცენარეებია, მათ ნაცარში ფოსფორისა და კალიუმის მჟავას უკმარისობაა, ღარიბია მონელებადი ცილებით, მისი ეთერზეთები შაქრის მცირე შემცველობის გამო არასასიამოვნო სუნისაა და უგემურია. ისლის გვარი საქართველოს რესპუბლიკაში გვხვდება ყველგან, განსაკუთრებით ბალახმოკიდებულ ტბებში და დაჭაობებულ მდელოებზე.

ისლების ქიმიური შემცველობა დაყვავილების პერიოდამდე ასეთია: წყალი — 6,8%, ნაცარი — 7,2%, პროტეინი — 17,1%, ცილა — 16,1%, ცხიმები — 3,7%, უჯრედანა — 24,6%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი — 47,4%.

ხალხურ მედიცინაში ისლის სპირტიან ნაყენს ასმევენ მუცლის ჭრითი ტკივილის დროს, აგრეთვე კვებითი მოწამელისას.

47. კარპეზიუმი — *Carpesium abrotanoides* L.

კარპეზიუმი ეკუთვნის რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ბოტანიკურ ოჯახს, 50—80 სმ სიმაღლისაა, ივითარებს პატარა ზომის

კალათებს. ჩვენში, ძირითადად კახეთში, აფხაზეთსა და აჭარაში გვხვდება და ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად ტყეებში და ტყისპირებზე, დაბლობებში.

კარბეზიუმს (ოჩონინტრე) ხარისძირასთან ერთად იყენებენ წყალმანკისა და მასტიტის წინააღმდეგ. ამავე მიზნით ხმარობენ მეორე სახეობასაც (*Carpesium Cernuum*).

48. წაბლი — *Castania sativa* L.

წაბლი ეკუთვნის წიფლისებრთა (*Fagaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ხემცენარეა, იზრდება 15—25 მ სიმაღლის, განივად დატოტვილი, ფოთლის ფირფიტა ტყავისებურია, კიდემთლიანი, ხერხკბილა და კიდემოხრილი. მამრობითი მჭადაყვავილელი მოყვითალო ფერისაა, ხოლო მდედრობითი — მომწვანო. ნაყოფი ერთი ან ორთესლიანია. წაბლი გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ტენიან ნიადაგებზე როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ კალათებზე.

წაბლის ნაყოფს ღორებს აძლევენ საკვებად, ჭამს აგრეთვე ცხენიც.

წაბლის ახალი ნაყოფი ქიმიურად შემდეგ ნივთიერებებს შეიცავს: წყალი — 47%, ნაცარი — 2,7%, პროტეინი — 11,6% ცხიმი — 7,8%, უჯრედანა — 3%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი — 74,9%. წაბლი კარგი თაფლოვანი მცენარეა, ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ქერქისაგან ამზადებენ კარგ მელანს და შალის საღებავს.

წაბლის ყვავილის სპირტიან ნაყენს იხევენ რევმატიზმის დროს, ხოლო მისი ყვავილით ასკილის ნაყოფთან ერთად კოლიტს მკურნალობენ, განსაკუთრებით ბავშვებში.

49. კასია — *Cassia nictitans* L.

ეს მცენარე ჩვენში შემოტანილია აღმოსავლეთ აფრიკიდან, მის კულტურას ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე მისდევენ. კასია ეკუთვნის პარკოსანთა *Fabaceae* (*Leguminosae*) ბოტანიკურ ოჯახს. კასიას აფრიკულ სხვა სახეობასაც აშენებენ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორცაა *Cassia obovata* Coll. ხოლო ამერიკულიდან აღსანიშნავია *Cassia nictitans* L. მას იყენებენ როგორც სამკურნალო, ისე დეკორატიული მიზნებისათვის. იგი შავი ზღვის სანაპირო ზოლში გვხვდება კულტურაში. კასიას ერთ-ერთი სახეობა (*Cassia nictitans* L.) აფხაზეთში გავრცელებულია სარეველას სახით, რომელიც ჩვენში ჩრდილოეთ ამერიკიდანაა შემოტანილი და გავლურებული.

კასიას ფოთოლს ურევენ ბუასილის სამკურნალო წამალში.

50. ასისთავა — *Centaurium pulchellum* (Sw.) Druce და *Centaurium umbellatum* Gilib.

ლათინურად *Centum* ნიშნავს ასს (100), ხოლო *aurum*—ოქროს,

მაგრამ ასში ხალხი ზოგჯერ მრავალს ან რიცხობრივად ჭარბს გულის-
ხმობს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *Umbellatum*—ქოლგისფორმისას
ნიშნავს. ამ მცენარის სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ ჰიპოკრა-
ტეს დროიდანაა ცნობილი. მას გულმკერდის შებოჭილობისას ხმარო-
ბენ, ხოლო დიოსკურიდესა და გალენის დროიდან კი ეს მცენარე
გვხვდება „*Kentaurion to mikron*“-ის სახელწოდებით. პლინიუსი
„*Felterrae*“-ს უწოდებს. მას მწარე გემო აქვს, შეიცავს ფისს, ეთერზე-
თებს, გლიკოზიდურ მწარე ნივთიერება ცენტაურინს, რომელიც
ემულსირების შემდეგ შაქრად — ერთროცენტაურინად იშლება.
გავრცელებულია მთელს ევროპაში, კავკასიაში სპარსეთამდე, ჩრდი-
ლოეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენში იზრდება მდელოებ-
ზე, მთის შუა სარტყლამდე აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-
ში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, მთიულეთში, გარე კა-
ხეთში, თრიალეთში.

ორივე ეს სახეობა ნაღველასებრთა, ანუ მწარისებრთა (*Gentia-
naceae*) ოჯახს ეკუთვნის, პირველი მათგანი პატარა ზომის ბალახია —
5—10 (15) სმ სიმაღლის, 10—13 მმ-იანი დიამეტრის გვირგვინით,
ერთ- ან ორწლიანია. მეორე სახეობა უფრო პატარა ზომისაა. მისი
ფოთლების კიდე. ყვავილთანები და ჯამის ფოთოლაკები სადაა,
ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად მდელოებზე.

C. pulchellum-ს აშენებენ ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან
ერთად (სოფ. მათხოჯი, ამბროლაურის, ყვარლის, ოჩამჩირის რაიონ-
ები), მისი ყვავილისა და ნაყოფის არყიან ნაყენს სევამენ ციების (მა-
ლარია) დროს. მის ნახარშს როგორც მადის მომგვრელ საშუალებას
და მუცლის ჭვლების დროს იღებენ.

ყვარლის რაიონში ეძახიან ნაღველას.

აფხაზეთში ეს მცენარე მარწვენად მოიხსენიება, ქათმის თხიპის
წინააღმდეგ ასმევენ.

ფშავლები (სოფ. სიონი) მას მიწის ნაღველას ეძახიან. ღვიძლის
დაავადების დროს ხმარობენ.

51. ღიღილო — *Centaurea cyanus* L.

ღიღილოს გვარის სახელწოდებაც თითქმის იგივე წარმოშობის
უნდა იყოს, როგორც წინა სახეობის, მაგრამ *Centaurea* ბერძნული
Kentaurionin-ისაგან წარმოდგება, რადგან ჰიპოკრატესთან ეს სახე-
ლი — კენტა ურიონ ძალზე ხშირად გვხვდება. სახეობა *cyanus* —
ნიშნავს ლურჯს ან მუქლურჯს. ჰიპოკრატე „*Centaurea*“-ს სამ-
კურნალო მოქმედებას ყოველთვის დაწვრილებით აღწერდა და სხვა
მის მსგავსზე არ მიუთითებდა. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, თაფ-
ლის სანთელს, ლორწოს და მარილებს, ლურჯ საღებავ ნივთიერე-
ბას — ციანინს. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნა-
წილში, სადაც ის შემოტანილ მცენარედ ითვლება, კულტურაში აქვთ

გერმანელებსაც. ინდოეთიდან ის შეიტანეს ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ჩვენში გავრცელებულია აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, გარდაბანში, ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში. იგი ხასიათდება შარდმდენი თვისებებით, ხმარობენ თირკმლის ჩაის სახით.

52. ანაგვირილა — *Tripleurospermum inodorum* (L.) Sch. Bip. და *Chamaemelum caucasicum* (W.) Boiss.

ორივე ეს სახეობა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ოჯახის წარმომადგენელია. პირველი მათგანი 40—60 სმ სიმაღლისაა, ერთწლოვანია, კალათები 10 მმ სიგანისაა და თხელ ფარადაა წარმოდგენილი, ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე ნესტიან ადგილებში, მეორე სახეობა კი 10—40 სიმაღლისაა საშუალო ზომის კალათებით, რომელთა დიამეტრი 20—26 მმ-ია, ვრცელდება ალპურ სარტყელში, მეტწილად მდელოებზე.

ანაგვირილას ეზოში აშენებენ და იყენებენ სხვა სამკურნალო ნივთიერებებსა და მცენარეებთან ერთად ანაგვირილას ღეროს ურევენ ბუასილის სამკურნალო წამალში.

ანაგვირილას კამასთან ერთად ხმარობენ ყელის დაავადების დროს, წნევის დამწვევ საშუალებად.

53. ქრისტესისხლა — *Chelidonium majus* L.

Chelidonium-ის გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული *Chelidon*-იდან, რაც მერცხალს ნიშნავს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *majus* გულისხმობს შესამჩნევ, ამაღლებულ და დამფარავ ან სხვების დამჩრდილავ ზრდაგანვითარებად მცენარეს. ძველი ბერძნები და კოლხები ბევრს წერდნენ მის სამკურნალო თვისებებსა და მნიშვნელობაზე. მთლიანად მცენარე შეიცავს ყვითელი ფერის რძეწვენს, რომელიც პირველად წითელია, ქართველებმა მას ქრისტეიანობის გავრცელების შემდეგ ქრისტესისხლა უწოდეს (თითქოს წამების დროს ქრისტეს სისხლი ამ მცენარეს ეწვეთებოდა და მისგან ქრისტეს სისხლი წვეთავს). ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლხები ამ მცენარეს დიდი ხანია იცნობენ. იგი შეიცავს მრავალ ალკალოიდს, 12 მკვრივ ნივთიერებას, მათ შორის ხელიდონინს, ჰომოხელიდონინს, ხელირიზინს, პროტოპინს, ბერბერინს, სანგუინარინს და სპარტეინს, ასევე ორგანულ მჟავებს, სუფთა ეთერზეთებს, ბალახს აქვს მათრობელა სუნი. გამხმარი მწარე და არასასიამოვნო გემოსია, მისგან ამზადებენ ჩაის, ნაყენს და გამონაცემს. გალენის ჩაის შემადგენლობაში ეს მცენარე შედიოდა. ის კარგად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ხელიდონინი და ჰომოხელიდონინი ხელს უწყობენ ნაწლავების პერისტალტიკას. ალკალოიდები — სანგუინარინი და ხელირიტრინი მწვავე, მაგრამ ეფექტურ მოქმედებას იჩენს.

ქრისტესისხლა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ამერიკის ატ-

ლანტიკურ ნაწილში, კავკასიაში. ჩვენში თითქმის ყველგან, მთის შუა სარტყლამდე ტყეებში, რუდეარალურ ადგილებსა და ნათესებში.

ქრისტესისხლა ეკუთვნის ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ბოტანიკურ ოჯახს. ეს ტიპიური ტყის მცენარეა, ხასიათდება მთავარდერძიანი, ნაკლებად დატოტიანებული მსხვილი, მრავალწლოვანი ფესვით. მის ღეროზე მორიგეობით განლაგებულია ნაზი ფოთლები, რომლის ზედა მხარე პრიალაა და ღია მწვანე ფერის. ხოლო ქვედა უფრო მტრედისფერია, ქვედა ფოთლები გრძელ ყუნწებზე სხედან და ფრთადგანკვეთილებია, ხოლო ზედა ფოთლები ან მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე. ყვავილის ჯამი ორფოთოლიანი, გრძელყუნწიანი ყვავილი შეკრებილია მარტივ ქოლგა ყვავილედში. ყვავილს აქვს მრავალი მტკრიანა და ერაიი ბუტკო. ნაყოფი ერთბუდიანი, მრავალთესლიანი, ჭოტის მსგავსი კოლოფია. თუ ღეროს გადაეტეხთ ან ხელს მოვუჭერთ ყვითელი იოდისფერი წვენი გამოიყვება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ქრისტესისხლას დღესაც ფართოდ იყენებენ. ხევესურეთში მას ჭრილობათა შესაჯორცებლად როგორც იოდის შემცველს იღებენ, სამეგრელოში ღვიძლის დაავადებისა და ნაღლის გზების ანთებისას, განსაკუთრებით სიყვითლის დროს, აგრეთვე ჭორფლის მოსაშორებლად. ამიტომ მას ხშირად ნახავთ ზოგიერთი ქართველი „დასტაქრის“ ან მოსახლის ბოსტანში მოფარებულ ადგილას დარგულს.

ქრისტესისხლა შედის აეთვისებიან სიმსივნეთა (კიბოს) საწინააღმდეგო ნაკრებთა შემადგენლობაში. ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში იგი მოხსენებული არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ მას ხმარობენ როგორც დამამშვიდებელ, შარდმდენ და ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებას, აგრეთვე კანის დაავადებათა პრაქტიკაში და მეჭეჭის წინააღმდეგ. აგროვებენ მთლიან მცენარეს.

ქრისტესისხლას ქიმიური შემცველობა ასეთია: ფესვებში არის რძეწვენი, რომელიც შეიცავს ექვსიდან შეიდანამდე ალკალოიდს, ეს ალკალოიდები ფესვების მიწიდან ამოღებისთანავე იცვლის სახეს, რაც დამოკიდებულია წლის დროსა და ამინდზე. ძირითადად ფესვები შეიცავენ შემდეგ ალკალოიდებს: ალოკრიპტოპინს (Allocriptopin), ოქსიხელიდონინს (Oxychelidonin), მეთოქსიხელიდონინს (Methoxychelidonin) და სანგუინარინს (Sanguinarin), ალკალოიდების შემცველობა ფესვებში სულ მცირე 0,5%-ით განისაზღვრება და უმთავრეს შემადგენელ ნაწილად ალკალოიდი ხელიდონინი ($C_{20}H_{12}O_5N$ მოლ. წონა 353,1) ითვლება, ხოლო ნაცარი 8%-ს არ აღემატება. მიწისზედა ნაწილების რძეწვენში ჭარბობს ენზიმები და ოქსიდაზები. ყვითელი საღებავი ნივთიერება ხელიდოქსანთინის (Chelidoxanthin) შემცველობა ახალ მცენარეში 0,005—0,01% უდრის. მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება შემდეგი ალკალოიდები: ხელერითრინი (Chelerythrinum),

ხელიდონინი (Chelidonium), ჰომოხელიდონინი (Homochelidonium), პროტოპინი (Protopinum), და ხელიდონინის მკაეა (Acidum chelidonicum).

ქრისტესისხლას ფარმაცევტული პრეპარატებია ახალი რძე წვენი (succus recens Chelidonii) Extractum Chelidonii, Extractum fluidum Chelidonii და Tinctura Chelidonii, რომელიც შეიცავს Trituratio Chelidonii, „Stada“ Calcium Carbonicum praecipitatum 0,95, Extractum Belladonnae 0,2 D. tab. Nr XII ad. chart., cerat. მისი პრეპარატიბიდან აღსანიშნავია აგრეთვე Tinctura cholagogo: Tinctura Cardui Mariae 10,0, Tinctura chelidonii, Tinctura Strychni აა 5,0 და Tinctura cholagoga fortis: Tinctura Belladonnae 4,0 Tinctura chelidonii, Tinctura cardui Mariae, Spirtus Menthae piparitae აა ad 30,0.

ოდიშში, მახარაძეში, კინდლში, თელავში, კისისხევში, მეღაანში ქრისტესისხლას სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში აშენებენ და მისგან ამზადებენ წამლებს.

ქრისტესისხლას იყენებენ ქარების წინააღმდეგ შემავალ წამალში. საყმაწვილოსა და კატაჯვარას, უკანა ტანში გამონაყრის დროს, მეჭეჭის მოსაცილებლად.

ქრისტესისხლას მესხურად სიწვილის წამალს ეძახიან.

ქრისტესისხლას ჭიანჭველის კვერცხთან ერთად იყენებენ ჭორღლის სამკურნალოდ.

54. ნაცარქათამა — *Chenopodium album* L. (Ch. lathyris L.)

ნაცარქათამა ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის ნაცარქათამასებრთა (*Chenopodiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ხასიათდება მორიგეობით განლაგებული, ქვედა მხარეზე მჯდომი ჯირკვლოვანი ფოთლებით. მისი ყვავილები შეკრებილია სქელ და შეფოთლილ ყვავილედში. იგი ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი არ არის, შემოსულია ტროპიკული ქვეყნებიდან, შესანიშნავად ხარობს შავი ზღვის სანაპიროებზე (ჩაქვი). ადრე გაზაფხულზე ხალხი ნაცარქათამას ყველა სახეობას იყენებს მხალად, ხოლო მის თესლს როგორც ჭიის დამდენ საშუალებას. ნაცარქათამას ეს სახეობა თავისი ვარიაციებით და სახეობა (*Chenopodium anthelminticum*) მოხსენიებულია მხოლოდ ზოგიერთ ფარმაცოპეაში. როგორც ამ უკანასკნელი სახეობის სახელწოდება გვიჩვენებს, ნაცარქათამას მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ როგორც ჭიის დამდენ საშუალებას. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მცენარეს (*Herba Chenopodii ambrosioidis*), რომელიც შეიცავს ეთერზეთს 0,05—1,4%, ასკარიდოლით, ჰცენარის ყველა ნაწილი შეიცავს საბონინებს შაქრით და ხელიდონს უმსაბოგენინით. ფესვებში არის ბეტაინი, ლეიციინი, ნაცარი 13—16%. უნგრეთში, გერმანიაში, ამერიკაში, ბრაზილიაში, ბრიტანეთში, გალიციაში, შვეიცარიაში, იუგოსლავიასა და ნიდერლანდებში ძირითადად ხმარობენ

Chenopodium ambrosioides L., რომელიც ჩვენში იზრდება რუდერალურ ადგილებზე, დაბლობებში და მთის ქვედა სარტყელში სამეგრელოსა და აჭარაში *Chenopodium anthelminticum*. მათი საექიმო ფორმებია *Oleum Chenopodii* (*Ch. anthelminticum*), რომელსაც ერთ მილებზე აღევენ 0,5 CCm, ხოლო დღე-ღამეში 1,0 CCm *Mucilago Chenopodii*, რომლის შემადგენლობაშიც შედის *Oleum Chenopodii* 1,2 *Oleum Ricini* 20,0 *Mucilago Tylose* 5,0 *Tinctura Allii Sativi* — 10,0, *Aqua Menthae piperitae ad* 100. სახალხო მკურნალები ნაცარქათამას აშენებენ ეზოში და ხმარობენ მრგვალი ჭიის (ასკარიდა) გამომდენად.

ნაცარქათამას წითელ ნაყოფს აღევენ მუცლის გაბერილობის, ლორწოვანი ფაღარათისა და ბუასილის დროს.

55. ულეწელა — *Chondrilla juncea* L. et *Chondrilla acantholepis* Boiss.

ულეწელა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა. პირველი სახეობა გვხვდება შშრალ და ქვიშნარ, ხოლო მეორე ქვიშნარ და ნაგვიან ადგილებში. გავრცელებულია მთელ რესპუბლიკაში, მთის შუა სარტყელში.

სვანეთში ულეწელას (მთლიან მცენარეს) ურევენ საყმაწვილოს წამალში. მცენარის ნახარშს კი იყენებენ ბავშვის სათესლე ჯირკვლის ჩამოსიების დროს. ულეწელა მოშენებული აქვთ ეზოებში.

56. დათვისმხალა — *Cicerbita deltoidea* (M. B.). Beauverd

დათვისმხალა რთულყვავილოვანთა (*Asteraceae*) ოჯახის წარმომადგენელია. იზრდება 150 სმ სიმაღლის, მისი ფოთლები არათანაბარი ხერხკბილაა, ვრცელდება მთის შუა და ზედა სარტყელში, გვხვდება ტყეებში ქართლსა და კახეთში, ხოლო სახეობა *C. pontica* (Boiss.) Grossh მთის ქვედა სარტყლის დაჩრდილულ ტყეებსა და ზღვის სანაპირო ზოლში — აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, რაჭალეჩხუმში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში ძირითადად ამ სახეობას იყენებენ სამკურნალოდ, პირველს კი უფრო იშვიათად.

დათვისმხალას ნაყენი ცნობილია „პაჭკორიას წამლის“ სახელწოდებით. გურიაში იგი საკმაოდ პოპულარულია და ეზოში აქვთ მოშენებული. ზოგან მას უწოდებენ ძირწამალს და ხმარობენ ჯირკვლების წამლად, ზოგან ეძახიან დათვის ფხალას. მახარაძეში კატაჯვარას წამლად იყენებენ და ბოსტანში აშენებენ. სოფ. ჩიბათში ვნახეთ მსხლის ქვეშ მოშენებული, ნიგეზიანში სიმინდის ნათესებში. საირმეში დათვისმხალას ფესვებს აგროვებენ, ხარშავენ და ასმევენ სისუსტისა და სიგამხდრის დროს. მას აჭარაში საყმაწვილოს წამალს ეძახიან და მცენარის ფესვების ნახარშს ასმევენ ჯირკვლოვან დაავადებათა დროს.

რაჭაში, იმერეთში დათვისმხალას ფესვებისაგან „საყმაწვილოს“ წამალს ამზადებენ და მას კრემულს ეძახიან, ხარშავენ შავ ღვინოში.

57. ქაფურის ხე — *Cinnamomum camphora* Nees et Eberm.

ქაფურის ხე Lauraceae-ს ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. სიმაღლით იგი ხშირად 40—50 მ-მდე აღწევს, ხასიათდება დიდი სიციცხლისუნარიანობით, მისი კვერცხისნაირი, სიგრძით 5—12 და სიგანით 3—5 სმ ფოთლებს ტალღისებრი კედლები და ზემოდან პრიალა მწვანე ფერი აქვს, ხოლო ქვემოდან მტრედისფერი, ფოთლის ყველა მხარეზე აღინიშნება სამი მთავარი ძარღვი. მათ ილღიებში ნახევრადფარისებურ საგველა ყვავილედში შეკრებილია პატარა მოყვითალო თეთრი ყვავილები. ქაფურის ხე საქართველოში ნაყოფს იძლევა 10—15 წლის ასაკში. მისი ნაყოფი წარმოადგენს ერთთესლიან წიპწას, რომელიც ზოგჯერ წითლად ან ყვითლად იფერება. ბუნებრივად ეს მცენარე იაპონიაში ხარობს, ჩვენში კი მხოლოდ კულტურაშია. მისი პლანტაციები გაშენებულია აჭარასა და აფხაზეთში.

ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში ქაფური უძველესი დროიდანაა გამოყენებული როგორც საგულე საშუალება და მას უფრო აფასებდნენ, ვიდრე ყვითელ ცხვირისსატყეხლას (*Adonis vernalis* L.), დავით ბატონიშვილის მიხედვით იგი „ხაფაყანისა და გულისა და სტომაქის ტკივილისა, გულის თრთოლისა და ფეთქისა“ საუკეთესო წამალია, რის გამოც ის ურჩევს, რომ „ფიცხლავ მკლავი გაიხსნან და საშუალის ძარღვიდამან კარგად სისხლით იდინონ და ქაფურის ყურსი ვაშლის წყლითა გალესონ და ისე ასვან“. ქაფურის მალამოს წინათ ხმარობდნენ სწორი ნაწლავის გამოვარდნილობის დროს, ხელ-ფეხის კანის დახეთქვის, დამწვრობის და წყლულების დროს. „მოიტანე ქარვა, მურდასანგი და უმარული თვითოსაგან ოთხ-ოთხი ღირჰამი, ესე სამივე დანაყონ და წმინდად გაცრან და რვა ღირჰამი ყუითელი და თექუსმეტი ღირჰამი ზეთისხილის ზეთი ამ ცვილშიგა გააღონ და მერმე ეს წამლები შიგა ჩაყარონ და კარგად ამოზილონ და ამას უკან ნახევარი ღირჰამი ქაფური და ორი კვერცხის ცილა გაურიონ და ავანშიგა კარგად დანაყონ, და ან კარგად ამოჭყლიტონ, რომე მალამად შეიქნას და ქაფურის მალამა იქნების, შეინახონ და როდისცა უნდოდეს დანის პირითა გაქნან და თხლად ძველსა ბანბაზედა გააკრან და დღივ და ღამივ ორჯერ წყლულზედა დაადვან და კჳურნებს“, — გვირჩევს დავით ბატონიშვილი.

მეცნიერულ მედიცინაში ქაფურს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ამგზნებ საშუალებად იცნობენ. თანახმად კრავკოვისა, განსაკუთრებით აიგზნება მოგრძო ტვინის ცენტრები (სისხლძარღვების მამოძრავებელი, სასუნთქი n. vagi), რის გამოც სისხლის წნევა მატულობს, პულსი მკვეთრი და სავსე ხდება, სუნთქვა ღრმავდება. ქაფურს უკეთებენ გულის მოქმედებისა და სუნთქვის დაქვეითების შემთხვევებში, კოლაფსის დროს, აგრეთვე როგორც სიცხის დამწვევ და ანტისეპტიკურ საშუალებას წითელი ქარის, სხვადასხვა ნერ-

ვული დაავადების დროს როგორც დამამშვიდებელ საშუალებას antiaphrodisiacum-ის მთავარი მოქმედი საწყისია ქაფურის. ქაფურს ზოგჯერ იყენებენ ამოსახველებლად და გარედან როგორც გამლი-
ზიანებელს. ქაფურის პრეპარატებია Camphora trita, Oleum campho-
ratum 10%, Spiritus Camphoratus 10%, Camphora monobro-
mata, Acidum camphoricum და სხვ.

ხალხურ მედიცინაში საყმაწვილოს წამლის დასამზადებლად სხვა მცენარეებთან ერთად იყენებენ ქაფურის ხის ფოთლებს.

58. ვარდკაჭაჭა — Cichorium intybus L.

ვარდკაჭაჭა მრავალწლოვანი მცენარეა, ეკუთვნის რთულყვავი-
ლოვანთა (Asteraceae) ბოტანიკურ ოჯახს. ქვედა ფოთლები ამო-
ღრღნილ-ფრთართულია, ხოლო ზედა ხასიათდება განიერი ფუძით და
ბასრი დაკბილვით. ფესვები მეტად სორციანი და რძეწვევის შემცვე-
ლია. მტრედისფერი ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედში,
რომლის გვერდით კალათები მჯდომარე ან იშვიათად ყუნწიანია.
ვარდკაჭაჭა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში.

ხალხი ვარდკაჭაჭას იყენებს როგორც მთლიანად, ისე ცალკე
ფოთლებსა (Folia Cichorii) და თესლს (Semina Cichorii). ვარდკა-
ჭაჭას წვენი (Succus Cichorii), ვარდკაჭაჭას ყვავილის წყალი
(Aqua Cichorii), ვარდკაჭაჭას ყვავილის არაყი (Spiritus Cichorii)
და ვარდკაჭაჭას ფესვის ქერქი იხმარება როგორც სიმსივნეთა დამ-
ცხრობი საშუალება ხურეების, ღვიძლის ტკივილის დროს და სხვ. და-
ვით ბაქტონიშვილის თქმით: „მოიტანე ვარდის კაჭაჭას ფოთოლი,
ძაღლის ყურძენი, ჭინჭარი, ჭანდრის ფოთოლი, დანაყილი სანდალი,
ძმარი და ვაშლის წვენი, ესე წამლები, რომელიცა იყოს ცოტა ქაფუ-
რი გაურივეთ და ამის წყალშიგა ერთი ხელისსახოცი დაასველეთ და
გულსა და სტომაქსა და ღვიძლსა საწოლსა ალაგზედა გარდააფართო
და ძალითა ღვთისი და ღვიძლის ტკივილსა და სიმსივნესა, ორსავე
უშველის“-ო. ვარდკაჭაჭას ფესვებში არის ციხორინი, რომელსაც
იყენებენ ყავის სუროგატად. ჩვენი ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში
ვარდკაჭაჭა მოხსენიებული არ არის, რადგან უკეთესი შემცველი
გვაქვს. მაგრამ ბრაზილიაში, გალიციაში, იტალიაში ვარდკაჭაჭას დღე-
საც იყენებენ Folia et Radix Cichorii-ის სახით, პორტუგალიაში კი
Radix-ის სახით. მისი ფოთლებისა და ყვავილების (Folia et Flores
Cichorii) ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,1—0,2 მწარე ნივთიერება
(გლუკოზიდი), ციხორინი, ქოლინი 4,5—9,5%, ფრუქტოზი 6,5%,
ჩვეულებრივი ნახშირწყალი, 0,3—0,5% ცხიმები, 3—4,5% ნაცარი.
ახალი ფესვები Folia et radix შეიცავს 11.—19% ინულინს, 10—
22% — სხვა შაქარს, თრიმლის მჟავას, პექტინს, ცხიმზეთს, ფისს,
რთულ ეთერზეთს, ლეულოზას, ქოლინს. ვარდკაჭაჭას რძეწვენი შე-
დის წებო, მწარე ნივთიერება, ლაქტუცინი, გლუკოზიდი ციხორინი

$C_{32}H_{34}O_{19}$, 4,5 H_2O , რომლის ჰიდროლიზით მიიღება გლუკოზა და ციხორიგენინი. ვარდკაჭაჭას საექიმო ფორმებია: Extractum Cichorii, Extractum Cichorii fluidum, Sirupus Cichorii (ბრაზილია).

ვარდკაჭაჭა სოფ. სხვიტორში, აკაკის ეზოში დღესაც შემორჩენილია სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად.

საქართველოს ყველა კუთხის სახალხო მკურნალები ეზოში სპეციალურ ნაკვეთზე აშენებენ ვარდკაჭაჭას და სვამენ გაციებისას ჩაის სახით, გულმკერდის შებოჭილობის დროს. 4—5 ძირს ხარშავენ, ნახარშს ძმარში ურევენ და იყენებენ გაცივებული ღრძილების აღსადგენად და პიორიის წინააღმდეგ.

ვარდკაჭაჭას მუცლის ჩხვირის (გვრემის) ბალახს ეძახიან და მის ნახარშს აძლევენ ძლიერი მუცლის გვრემის დროს. ვარდკაჭაჭას, ფურისულასა და ოთხგულას ნახარშს ასმევენ უშვილობის წინააღმდეგ.

59. თეთრძირა — *Circaea lutetiana* L.

თეთრძირა ეკუთვნის Onagraceae-ს ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლოვანი მცენარეა. მისი ღერო მარტივია ან დატოტვილი, უფრო ხშირად შებუსხილი და ხუჭუჭა ბეწვებით მოფენილი, ფოთოლი ფორმით კვერცხისებურია, ძირთან მომრგვალო ან ოდნავ გულისებური, ხოლო წვერზე წაწვეტიებული. თეთრძირას ყვავილები შეკრებილია ყვავილედში. *Circaea* ამ მცენარეს დაერქვა აიეტის დის ცირცეას პატივსაცემად.

საქართველოში ყველგან არის გავრცელებული, მეტწილად იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, თრიალეთსა და კახეთში. გვხვდება ჩრდილიან და ტენიან ტყეებში მთის შუა და ზედა სარტყელში. თეთრძირას ფესვებით ღებავენ სამღებრო საქმეში შალეულის და აბრეშუმის ქსოვილებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში თეთრძირას მოხარშულ ფოთლებს იყენებენ გაბინძურებული, წყლულოვანი ჭრილობების შესახორცებლად, მოხარშულ ფოთლებს პირდაპირ ჭრილობაზე ადებენ.

60. ნარი—*Cirsium vulgare* (Savi) Tenore (= *C. lanceolatum* L.).

ნარი რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა, რომელიც გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად ნაგვიან ადგილებში. იზრდება 60—150 სმ. აქვს ცალკეული კალათები და ვარდისფერი ყვავილები. გავრცელებულია მთელ რესპუბლიკაში.

სოფ. მათხოჯში ნარი ეზოში ვნახეთ მოშენებული, ნარის მიწისზედა ნაწილს ხარშავენ და ნახარშს ასმევენ ბუასილის დროს.

61. კატაბარდა — *Clematis vitalba* L.

ციკაბარდა ბაიასებრთა (Ranunculaceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, რომელიც ლიანა მცენარეა და გავრცელებულია მთის შუა

სარტყლამდე, მეტწილად ბუჩქნარებში და ტყისპირებზე, ხშირად მას დეკორატიული მიზნითაც აშენებენ. გვხვდება მთელ რესპუბლიკაში. ჩვენი ხალხი ყვავილობაში მყოფ კატაბარდას ნახარშის აბაზანებს უკეთებს კემიპლევით შეპყრობილ ავადმყოფებს, აგრეთვე ხმარობენ როგორც ანტილუესურ საშუალებას, ფოთლებს იდებენ ჭრილობებზე, იყენებენ აგრეთვე საწერლის წინააღმდეგ. კატაბარდას ფოთლები შეიცავს: ანემონინს, კაულოსაპოგენინს გლუკოზიდს ($C_{54}H_{86}O_{16}$). მასში თანაბარი რაოდენობითაა კაულოსაპოგენინი ($C_{42}H_{66}O_6$) და გლუკოზა, კლემატიტოლს, კლემატიტინს, სიგმასტერინს, გლიკოზიდს, ცერილ-ალკოჰოლს, მირიცილ-ალკოჰოლს, გლიკოზას, მელისინის მჟავას, კიდევ ერთ რომელიღაც მჟავას, სიტოსტერინს, ტრიმეთილამინს და სხვ.

62. პირშუშხა — *Cochlearia armoracia* L.

პირშუშხა ჯვაროსანთა Brassicaceae (Cruciferae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. საქართველოში გვხვდება როგორც კულტურაში, ისე გველურებული, განსაკუთრებით აფხაზეთსა და რაჭაში. პირშუშხა 50—150 სმ სიმაღლის დატოტიანებული მცენარეა, დიდი და გრძელი, ფუძესთან გულისნაირი ფესვთანი ფოთლებით. ღეროზე ქვედა ფოთლები ფრთადგანკვეთილია, ზედა ფოთლები კი ხაზურაა. ყვავილის გვირგვინი 6 მმ-ის სიგრძისაა, ჭოტაკებიც 5—6 მმ სიგრძეს აღწევს. ჩვენი ხალხი პირშუშხას მადის მომგვრელად და ზოგჯერ მდოგვის ნაცვლად ურჩევს. საბჭოთა ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში პირშუშხა მოხსენიებული არ არის, მაგრამ ზოგიერთი სხვა ფარმაცოპეის მიხედვით მას ხმარობენ როგორც *Antiscorbutica*, *diuretica*, *astma pituitosum*, — იყენებენ ყვავილობის პერიოდში მყოფ მცენარეს *Herba Cochleariae recens*, *Radix Armoraciae*, ქიმიურად მასში შედის ზენფოლი (რომელიც ცხვირისა და თვალების გამაღიზიანებლად ითვლება), მიროზინი, გლუკოზიდი, გლიკოკოქსლეარინი (რომლიდანაც მიიღება ბუტილზენფოლი), საქაროზი, ასპარაგინი, გლუტამინი, ალოქსურბაზენი, ფისი, მთრიმლავი ნივთიერება, მიწერალური ნივთიერება ლიმონენი, ვიტამინი, ოქსიდაზი, ორგანული გოგირდნაერთები, როდანკავშირები და 10% ნაცარი, მისი ფესვები მდიდარია ვიტამინებით, ალიზენფოლით (0,15—0,20%), ფენილ-ეთილზენფოლითა და ფენილპროპილენზენფოლით. პირშუშხას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია *Sirupus Armoraciae compositus* (*Sirupus antiscorbuticus*) *Sirupus armoraciae iodatis*, *Unguentum Armoraciae*. მისი მეორე სახეობიდან — *Cochlearia officinalis* მიღებულია პრეპარატები *Spiritus Cochleariae*, *Alcoholatum Cochleariae compositum*. სოფ. გორელოვკაში ეზოში სპეციალურ ნაკვეთზე სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად მოშენებული ვნახეთ პირშუშხა, რომელსაც იყენებენ მადისმომგვრელად, სისხლის გამწმენდად, ამოსახველებელ საშუალებად, აგრეთვე მდოგვის შემცველად ადგილობრივი სისხლმეტობისათვის.

63. კონიო — *Conium maculatum* L.

გვარის სახელწოდება (*Conium*) ანტიკური წარმოშობისაა. ნიშნავს დალაქულ გამცოფებელს. ბერძნული *Konos* ნიშნავს თავბრუდამხვევს. კონიო შხამიანია და თავბრუდამხვევი, სახეობის ლათინური სახელწოდება *maculatum* დალაქულს ნიშნავს და მართლაც ამ მცენარის ღერო შიგნიდან წითლად დალაქული. წინათ უხსოვარი დროიდან კონიოს წვეწვს მოსაშობად აძლევდნენ სიკვდილმისჯილთ. ჰიპოკრატეს და ტრალიანუსს მოხსენებული აქვთ კონიო, რომელსაც *Konion*-ად აღწერენ ოდნავ სხვაგვარად, მაგრამ მსგავსი მოქმედებით ხასიათდება. პლინიუსი ასახელებს „*Cicutā*“-ს, რომელიც საესებით კონიოს იღენტიურია. ჰილდეგარდს თავის სამკურნალო საშუალებათა წიგნში შეტანილი აქვს კონიო როგორც საყოველთაოდ ცნობილი ჭრილობათა შემხორცებელი საშუალება. ინგლისელებისათვის კონიო მე-10 ს. იყო ცნობილი, ხოლო 1831 წელს ამ მცენარიდან გამოყვეს მთავარი ალკალოიდი სუფთა კონიონი. კონიო გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. ჩვენში — აფხაზეთში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, ქიზიყში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში ტყის პირებზე. რუდერალი და სარეველაა.

კონიო ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. კონიოს ფოთლები ორმაგად ან სამმაგად ფრთადგანკვეთილი, სეგმენტოანი და შიშველია, ხოლო პატარა თეთრი ყვავილოვანი ქოლგები 12—20 სხივიანია. მისი მრგვალი, შიშველი, დატოტილი ღერო ხშირი მუქი ყავისფერი წერტილებით 1 მეტრამდე იზრდება. საქართველოში ეს მცენარე გავრცელებულია ჭაობიან, ნესტიან და ნაგვიან ადგილებში, ძირითადად აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და თბილისში.

კონიო მეტად შხამიანი მცენარეა. ფიქრობენ, რომ ფილოსოფოსი სოკრატე მოწამლეს ამ მცენარისაგან მომზადებული შხამით. ჩვენი ხალხი მის ნაყენს ასმევს ავი ზნისა და კრუნჩხვების წინააღმდეგ, ხოლო მეცნიერული მედიცინა კონიოს პრეპარატებს ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებად იცნობს. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში კონიო მოხსენიებული არ არის, რადგან ჩვენ მისი შემცველები მოგვეპოვება, მაგრამ სხვა სახელმწიფოებში მას დღესაც იყენებენ. პორტუგალიაში კონიოს *Cicutā maculata* sam. K.-ს ეძახიან. კონიოს შემცველად ხშირად ხმარობენ მცენარე *Cicutā virosa*-ს, რომელიც კონიოს მსგავსად შხამიანია და ქოლგოსანთა ოჯახს ეკუთვნის, ჩვენში ხარობს აფხაზეთში (ბიჭვინთა).

კონიო შეიცავს ძირითადად ალკალოიდ α კონინს (α — პროპილპიპერიდინს), რომლის რაოდენობა კონიოს ნაყოფში 1%-ს უდრის. გარდა ამისა, მასში შედის ალკალოიდი კონიციინი (ეს უკანასკნელი ალკალოიდი მზა პრეპარატში 10%-ს შეადგენს), კონპიდრინი, მე-

თილკონინი, ფსევდო-კოპიდრინი, ვაშლის მჟავა. ფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელი ორი მჟავას სინთეზი წარმოადგენს კონიინის მჟავას. ახლად შეგროვილ მცენარეში ყველა ამ ალკალოიდის შემცველობა 2%-ს უდრის. გახმობის პროცესში ჰკარგავს ალკალოიდებს. სააფთიაქო წესით გამშრალ მცენარეშიც კი ალკალოიდების რაოდენობა 0,7%-მდე ეცემა, ხოლო ნაცრის რაოდენობა 8%-ს შეადგენს. ძირითადად იყენებენ მცენარის ნაყოფს (*Fructus Conii Cicutae*). კონიოსაგან მიღებული პრეპარატები ძლიერი შხამიანია, ამიტომ ისინი გაერთიანებული არიან „B“ სიაში და მთავარ მოქმედ საწყისად მათში კონინი ითვლება. მისი სამკურნალო ფორმებიდან აღსანიშნავია *Emplastrum Conii maculata*, *Extractum Conii fluidum*, *Emplastrum Conii*, პრეპარატი კონინი (*Conium*) უმაღლესი დოზა ერთ მიღებაზე 0,002 გ, ხოლო სადღელამისო 0,01 გ. (*Coniinum hydrobromicum*) (უმაღლესი დოზა ერთ მიღებაზე 0,005 გ, ხოლო სადღელამისო 0,015 გ).

აფხაზეთში ამ მცენარით მკურნალობს ადგილობრივი მოსახლეობა.

64. ხვართქლა — *Convolvulus arvensis* L.

ხვართქლა ეკუთვნის ხვართქლასებრთა (*Convolvulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული, ის მრავალწლოვანი აბეზარი სარეველაა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხვართქლას იყენებენ, როგორც საფლარათო საშუალებას, მისი ფოთლების ნახარშს — თეთრად შლის დროს, ხოლო ფოთლებისა და ღეროს ნახარშს ურევენ ცვილსა და რაიმე ცხიმს და ამზადებენ მალამოს, რომელიც ჭრილობებს ადვილად ახორციებს. ამ მცენარის ყველა ნაწილები შეიცავს 10%-მდე წებოსებურ, ფისოვან ნივთიერებას, რომელიც ყველაზე მეტია ფესვებში. შეიცავს აგრეთვე გლიკოზიდ იალაპინს (გლიკოზიდური საბონინის მსგავსი მჟავას ანჰიდრიდს). აგრეთვე 8,5% მთრიმლავე ნივთიერებებს, ფისს 2,4 %-ს.

ამბროლაურის რაიონში ხვართქლას ეზოებსა და ბოსტნებში სპეციალურად არ აშენებენ, მაგრამ მის გამრავლებას ხელს არ უშლიან, არ სპობენ; მას აგროვებენ, ამრობენ და ფარსმანდუკთან ერთად ნაყავენ, იყენებენ ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. ხვართქლას ფოთლებსა და ყვავილს ურევენ აგრეთვე ჭრილობის შემხორციებელ მალამოში თაფლის სანთელსა და მცენარეულ ზეთთან ერთად. ცაგერში ვნახეთ ეზოში სპეციალურად მოშენებული.

65. ქინძი — *Coriandrum Sativum* L.

გვარის სახელწოდება *Corian* წარმოშობილია ბერძნული *Koris*-დან, რაც ნიშნავს ბალღინჯოს (ამ მცენარის სუნს ბალღინჯოს სუნს ადარებენ), ხოლო სახეობის ლათინური სახელწოდება *Sativum*

სათესს ნიშნავს. ეს უძველესი კულტურული მცენარე მოშენებული კქონდათ ძველ ხალხებს ჯერ კიდევ 1000 წლის წინათ ჩვენს წელთ-
ალრიცხვამდე, რაც ისტორიულ წყაროებშიც იხსენიება. ეგვიპტის გა-
თხრების დროს ქინძის თესლები იპოვეს.

ქინძი მოხსენიებულია ძველ ნაწერებში, კარლოს დიდის კაპიტუ-
ლარებში და ბალახეულების წიგნში (ჩვენი კარაბადინის მსგავსია).
მისი ნაყოფიდან ზეთი სპეციალური ტაქსაციით მიიღეს ბერლინში
1574 წელს. ქინძი კულტურაში მოპყავთ განსაკუთრებით ხმელთაშუა-
ზღვისა და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში, აგრეთვე აღმოსავლეთ
აზიაში და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ჩვენში, კულტურის გარ-
და, ველურადაც გვხვდება ნათესებსა და რუდერალურ ადგილებზე.
აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, გარდაბანში.

ქინძი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ქოლგოსან-
თა Apiaceae (Umbelliferae) ბოტანიკურ ოჯახს, ივითარებს მთა-
ვარლერძიან, ნაკლებად დატოტვილ ფესვებს და მრავალ, შიშველ
სწორმდგომ და კენწეროსაკენ დატოტვილ ღეროს, ნაზი ოდნავ შესამ-
ჩნევი ზოლებით. ფესვთანი გრძელყუნწიანი ფოთლები 2—3 ნაწილად
განკვეთილია და თითოეული ფოთოლაკის ხერხებილა ნაპირი კვერც-
ხისებურია, შუა ფოთლები მოკლე ყუნწიანებია, ხოლო ზედა მჯდო-
მარენი, მეტად პატარა თეთრი ყვავილები 3—5 ან ზოგჯერ ექვსსხი-
ვიან რთულ, ქოლგა ყვავილედშია შეკრებილი, ნაყოფი სფეროსებუ-
რია, მოყვითალო ან ყომრალი ფერის. ეტანება ზომიერად ნესტიან
შავმიწა ნიადაგს, სიმშრალეს უფრო იტანს, ვიდრე გადაჭარბებულ
სინესტეს.

საქართველოში ქინძს უხსოვარი დროიდან იყენებენ როგორც
საუკეთესო საკმაზს და აგრეთვე როგორც სამკურნალწამლო საშუა-
ლებას. ქინძის თესლი (Semina Coriandri), ქინძის წვენი (Succus
Coriandri) და ქინძის წყალი (Aqua Coriandri) დავით ბატონიშვილს
უებარ საშუალებად მიანინა თავის ტკივილის, სისხლდენის, გულისრე-
ვის, მწარე ბოყინისა და ხუნაგის დროს: „კაცსა რომე სიცხისა და
სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და ქინძის თესლი ან ჭამოს და ან
დანაყოს და ძმრითა გააყენოს და თავმტკივანმა კაცმან თავზედა შე-
მობიცხოს, თავის ტკივილს მაშინვე უშველის“, „კაცმან რომე ქინძი
დანაყოს და ძმრით ტლედ ქნას და მსივანსა ალაგსა ზედა დაიდვას,
ყოვლის სიმსიენისათვის გამორჩეული წამალი და ყოველს სიმსიენესა
გააქარვებს და ტკივილსა და გატეხეასა მაშინვე გაუშვებს“. „კაცსა
რომე ცხვირსა სისხლი დიოდეს ასრე უნდა: ესე ქინძის თესლი დანა-
ყონ და ორივ ცხვირი გამოუტენონ, მაშინვე ცხვირსა სისხლს დას-
წყუეტს“, „კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, ორი ღირჰამი გავზა-
ბანის წყალი და ორი ღირჰამი ამა ქინძის წვენი ერთად აურიონ და
ასუან მაშინვე სისხლსა დასწყუეტს და ყუანას უშველის“, „ესე ქინძი

რომე კაცმან ჭამოს, რწყევასა და მწარე ბოყინსა ორსავე უშველის და უკუაგდებს“, „ვინცა ღვინოთა და ან ბაქმაწითა ქინძი გააყენოს და პირშიგა იმგვიბოს, კაცსა ყელსა და ხახასა გაუხსნის და ხუნავს უშველის“-ო. ამასთან დავით ბატონიშვილი მიუთითებს მის შხამიანობაზეც: „კაცმან რომე ორმოცი ღირჰამი და უფრო ცოტა ქინძის წვენი სუას, ისი კაცი უსათუოდ უნდა მოკუდეს“. ქინძს ხმარობდნენ თვალის დაავადების დროს. არსებობს აზრი, რომ უში ქინძი ბევრი რაოდენობით აღამიანს გონებას უჩლუნგებს და მეხსიერებას უკარგავსო; სწორად მიგვითითებენ აგრეთვე ქინძის საფალარათო თვისებებზე. მეცნიერულ მედიცინაში ქინძს იყენებენ როგორც სხვა სამკურნალო საშუალებათა გემოს გასაუმჯობესებელ, Carminativum-ს, ხოლო მის ზეთს ხმარობენ მცენარე *Lavandula vera* D. C. Syn. *Lavandula officinalis*. Chaix ზეთის შემცველად (ავერიინის მალამოს მოსამზადებლად). ჩვენს ფარმაცოპეიაში ქინძი მოხსენიებული არ არის, მაგრამ ამერიკასა და ბრაზილიაში დღესაც იყენებენ მის თესლისაგან მიღებულ ზეთს (*Oleum Coriandri*).

ჩვენი სალხური მკურნალები ქინძისა და თაფლის ნარევისაგან ღრძილების (პიორიის) და ენის დაავადების წამალს ამზადებენ.

შატილში ქინძი სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ვნახეთ ეზოში მოშენებული.

66. შინდი — *Corrius mas* L.

შინდი საკმაოდ გავრცელებული მცენარეა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ეკუთვნის შინდისებრთა (*Cornaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. შინდს ახასიათებს მოკლეყუნწიანი კვერცხისებური ან ელიფსური, წაწვეტიანებული და კიდემთლიანი, ზოგჯერ სუსტად შებუსვილი ფოთლები პრიალა ზედაპირით. ზევიდან შინდის ყვითელი ფერის ყვავილები გვირგვინის ლანცეტა მოხრილი ფურცლებით და შებუსვილი ყუნწებით ქოლგისებურადაა შეკრებილი. მისი ნაყოფი მოგრძო ფორმისა და მუქი წითელი ფერისაა. შინდი იტანს სიმშრალეს და შესანიშნავად გრძნობს თავს თიხნარ-კირნარ ნიადაგებზე. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლებში აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, მთიულეთში, ქიზიყში, სამხრეთ ოსეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

შინდს პანტას მსგავსად ჩვენი ხალხი იყენებს კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს როგორც შემკერელ საშუალებას. შინდის შესახებ დავით ბატონიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „კაცი რომე მუცელშიგან გახსნით იყოს და ამა შინდის შეჭამადი ჭამოს, მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს, მეტადრე მაშინ, რომ ესე შინდი კაცმან ცივად გამოხადოს და კარგად ნიორი ურიონ, სისხლს დაწმენდს და დააწყნარებს. კაცმან რომე ან შინდის შეჭამადი ჭამოს, ან ამ შინდის ჯულაბი სვას, გულსა და ღვიძლსა მწოვედ არაგებს და ძალასა და წყალს მისცემს და

ყოველსა სისხლისა და საფრის სიმხურვალესა არგებს და კარგად უზამს“.

მეცნიერულ მედიცინაში შინდი აქამდე არსად არ იყო გამოყენებული, გარდა ამერიკისა. ჩვენს ფარმაკოპეაში ის შეტანილი არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ფარმაკოქიმიურმა ინსტიტუტმა შეისწავლა მისი მოქმედება პანტასთან ერთად, შინდისა და პანტის ე. წ. „შინპანის“ პრეპარატის უებარი მოქმედება და შემკვრელი თვისებაც დადასტურდა და ეს პრეპარატი დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ქართული პრეპარატი „შინპანის“ შემადგენლობა, პროფ. ი. ქუთათელაძის მონაცემებით, ასეთია: ტენიანობა 18,66%, მკვრივი ნივთიერებანი 81,34%, შაქარი 46%, მჟავადობა გადაანგარიშებული ვაშლის მჟავაზე 2,624%. მთრიმლავი ნივთიერებანი 6,90%, პექტინოვანი ნივთიერებანი 3,57, აზოტი 0,343, ცილოვანი ნივთიერებანი 2,114%, ფოსფორმჟავას ანჰიდრიდი 0,117%, მინერალური ნივთიერებანი 2,16%, შინპანის მინერალურ ნივთიერებათა შემადგენლობაში შედის 3,727% $Fe_2O_3 \cdot Al_2O_3 - Cl$, — 2,861% — $8O_3$, 2,132% — SiO_2 , 13,34% — 3,133 — CaO , 0,228 — MgO , 56,47% — K_2O , 5,8 — Na_2O .

ამერიკაში იყენებენ შინდის შემდეგ სახეობებს: *Cornus florida* L. (*Cornus Nutallii* And), *Cornus circinata* L. Herit; *Cornus Alternifolia* L. ხმარობენ შინდის ფესვების ქერქს *Cortex radices Corni floridae*, რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 3% — მთრიმლავი ნივთიერება, საღებავი ნივთიერება, ნალვლის მჟავა, ფისი-კორნუს-რეზინოიდი, გლუკოზიდი კორნინი, რომელიც წარმოადგენს გლუკოზიდ ვერბენალინის (*Verbena officinalis*) იდენტურ ნივთიერებას.

ქართლში ბუასილის დროს ხმარობენ დამწვარი შინდის ტამბონებს.

შინდის ყვავილის ნახარშით მკურნალობენ ტაბასტას (საშვილოსნოდან სისხლდენას).

ლაგოდენში შინდის კურკებს ნაყავენ და ასმევენ დიზენტერიის წინააღმდეგ.

67. თხილი — *Corylus avellana* L.

თხილი ეკუთვნის თხილისებრთა — *Corylaceae* ბოტანიკურ ოჯახს. ეს სახეობა საქართველოში წარმოდგენილია ორი ფორმით და სამი ვარიაციით. იზრდება ხის ან ბუჩქის სახით, ფოთლები მოკლევუნწიანია, ძირში მომრგვალებული ან გულისებრი ამონაკვეთით. მამრობითი მჭადა ყვავილები მომწვანო ყვითელი ფერისაა, ნაყოფი სფეროსებრი კაკალია, გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რიაზე, განსაკუთრებით ტყეებში სუბალპურ სარტყლამდე, ტყის პირებზე ბუჩქნარების რაყას ქმნის.

ჩვეულებრივი თხილის ფოთლის კვებითი ღირებულება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის საკმაოდ დიდია, შეიცავს ასკორბინის მჟავას, რომელიც ახალ ფოთლებში 179—434 მგ%-ია, გარდა ამისა, ფოთლებში 5,6% ნაცარია, 19,2% პროტეინი, 17,3% ცილა, 5% ცხიმი, 14,3% უჯრედანა, 56% უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი, 1,15% მთრიმლავი ნივთიერებანი. უფრო ნაკლები შემცველობისაა ღეროები და ყლორტები. მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობა მატულობს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. მის ფოთლებსა და ყლორტებს ჭამს მსხვილი რქოსანი პირუტყვი, თხა, გარეული სარეწაო ცხოველებიდან კი ირემი.

თხილის ნაყოფი შეიცავს ცხიმს — 58,3%-ს — 60,4%-ს, ცილას — 16,1—18,2%-ს, უჯრედის — 3,1—3,2%-ს, პროტეინს — 19,8—20,2%-ს, ნაცარს — 2,4%-ს, წყალს — 8,81%, ვემერის მონაცემებით შეიცავს 2—5% საქაროზას, ხოლო სახამებელს იშვიათად. თხილის გულში ნაპონია აგრეთვე ვიტამინის ჯგუფი და კაროტინი. ქატოს მაგივრად ხშირად თხილის დაფქვილ მამრობით მჭადა ყვავილებს ხმარობენ. ცხოველთა საკვებად შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოში გავრცელებული თხილის დანარჩენი ოთხი სახეობაც.

თხილის მამრობითი მჭადა ყვავილები მიღებულია ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭიის დამდენად და აბების შესანახად. ასკარიდოზის, ქვის დაავადებათა და მალარიის დროს. აგრეთვე კანის ანთებითი პროცესების დასაამებლად. მისი მერქნის ნახშირს იყენებენ ღენტის წარმოებაში, მედიცინაში კი ნაწლავების მეტეორიზმის დროს, როგორც ადსორბციის უნარის მქონეს.

თხილის ნახარშს ხმარობენ თმის ალოპეციების სამკურნალოდ.

სოფ. უდეს მცხოვრებნი ნედლი თხილის გულს ჭამენ უზმოზე სოლიტერისაგან განსაკურნავად.

ახმეტის რაიონში თხილისა და ფითრის ყვავილისაგან ამზადებენ სწორი ნაწლავის დაავადებებისა და ბუასილის წამალს.

68. თრიმლი — *Cotinus coggygria* Scop.

თრიმლი თუთუბოსებრთა (Anacardiaceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი ფოთოლცენი მცენარეა. იზრდება პატარა ზომის ბუჩქებად, მისი ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი, ფორმით მომრგვალო, ოვალური ან შებრუნებულ-მომრგვალო-კვერცხისებური, ზედა მხარეზე მუქი მწვანე ფერისაა, ხოლო ქვედაზე მკრთალი მოლურჯო-მწვანე. ივითარებს პატარა ზომის ორსქესიან ყვავილებს, რომლებიც საგველა ყვავილედშია თავმოყრილი. ნაყოფი თირკმლისებრია და მომწვანო ფერი დაჰკრავს, შემდეგ კი შავდება.

თრიმლი გვხვდება იმერეთში, აჭარაში, აფხაზეთში, მთიულეთში,

ქვემო ქართლში, მესხეთში, გარე კახეთში, ქიზიყსა და კახეთში; მშრალ და ქვიან ფერდობებზე იზრდება ბუჩქნარებს შორის, ტყეებსა და ტყის პირებსე მთის შუა სარტყლამდე.

სამღებრო საქმეში თრიმლს ჩვენი ხალხი თითქმის უხსოვარი დროიდან იყენებს, როგორც მდგრადი ფერისა და შედარებით უხუნებელი საღებავის მომცემ მცენარეს. საღებავს იღებენ მისი მერქნისაგან, რომელიც იძლევა ძირითადად როგორც ყვითელ ფერს, ასევე ნარინჯისფერ გარდაჭავალ ტონებს.

თრიმლს ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ პიორეის დროს, მეცნიერულ მედიცინაში კი კუჭ-ნაწლავის აშლილობისას როგორც შემკერელს. წინათ მედიცინაში იხმარებოდა თრიმლის ქერქი და ფოთლები, ქერქი ქინაქინის სუროგატად, სოლო ფოთლების ნახარშს ყელში და პირში სავლებლად ლორწოვანი გარსის ქრონიკული კატარის შემთხვევაში. დღეისათვის მედიცინაში რეკომენდებულია მხოლოდ ფოთლები, რომლებიც შეიცავს 16—17% ტანინს და 3—5% გალუს ჰეავას.

თრიმლის ფოთლები მთრიმლავ ნივთიერებათა საუკეთესო წყაროა სამედიცინო ტანინისა და გალუს მჟავას დამზადების საქმეში. სამედიცინო ტანინად ამზადებენ ტანალბინს, ტანინგენს, ტანისმუტს, მიროგალოლს, ტანოფორმსა და სხვა ამგვარ პრეპარატებს, რომლებსაც ურჩევენ როგორც შემკერელ საშუალებებს კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ.

თრიმლის ნახარშს ახალციხის რაიონში კუჭის აშლილობის დროს აძლევენ.

ლაგოდენში თრიმლის ღეროებს ხარშავენ და სეამენ დიზენტერიის დროს.

69. კუნელი — *Crataegus Kyrstostyla* Fingerh.

გვარს (*Crataegus*) ასე ეწოდა მისი მაგარი და მკვრივი მერქნისა და ეკლიანობის გამო (ბერძნული *oxys* მწვავე და *akantha* ეკალი). მედიცინაში მიღებულია *Crataegus-oxyacantha*, მაგრამ თავისი მოქმედებით *C. kyrstostyla* Fin-ს სჯობია. კუნელის ნაყოფს ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებენ საჭმელად, როგორც იაფფასიან ხილს. ხილით ღარიბ ქვეყნებში მის ნაყოფს ძველთაგანვე ახმობდნენ და ზამთარში ფქვავდნენ ტკბილი კვერის გამოსაცხობად. კუნელის ყვავილები შეიცავს გლიკოზიდებს, საპონინებს, ცხიმზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ლორწოს, ცვილს და საღებავ ნივთიერებას, იგი როგორც ნედლი ისე გაშრალიც უსუნოა, ხოლო გემოთი ტკბილი. ნაყოფი შეიცავს მჟავას, რომელიც ცნობილია კრატეგუსმჟავას სახელწოდებით, და მშრალ ორგანულ მჟავეებსა და კვერცხეტიანს, რომელსაც სუნია არა აქვს, აქვს მომჟაო-მოტკბო გემო. კუნელის მზა სამკურნალო მასალა, 700° ტემპერატურაზე უნდა გაშრეს, აფთიაქებში იყიდება რო-

გორც ყვაილი, ისე ნაყოფი, იხმარება საგულე საშუალებად, განსაკუთრებით ხანშესულობის ასაკში, კარგად მოქმედებს გულის კუნთოვან, სისხლძარღვოვან და ნერვულ სისტემაზე. სვამენ ჩაის ან ნაყენის სახით; მოქმედებს საგულე გლიკოზიდ-დიგიტალისის, კონვალარიასა და სტროფანტის მსგავსად.

კუნელი ჩვენში გავრცელებულია ქვეტყის სახით მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში, ტყის პირებზე და ბუჩქნარებს შორის, ღია გორაკებზე გვხვდება ჩრდილოეთ სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

კუნელი ეკუთვნის ვარდნაირთა (Rosaceae-Pomoideae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება ბუჩქებად, აქვს შიშველი ტოტები და შიშველი ფოთლები. ფოთლები ფორმით ოვალურია, 3—5-წილაკიანი, ორმაგად დაკბილული კიდეებით და წამახვილებული წვერებით. თეთრი სურნელოვანი ყვაილები, რომლებიც სხედან შიშველ ყუნწებზე, შეკრებილია ფარ-ყვაილედში, მაგარი, ოვალური ფორმის წითელი ნაყოფი შეიცავს 1—2 პურკას. კუნელის ეს სახეობა გვხვდება ორი ფორმით—*typica* და *caucasica* როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქვეტყეში.

საქართველოში კუნელს ხალხი დღესაც იყენებს როგორც პირღებინების საწინააღმდეგო, გულისა და შარდსაღენ საშუალებას. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში კუნელი მოხსენიებული არ არის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გალიციაში კუნელის პრეპარატებს წარმატებით ხმარობენ როგორც გულის გასამაგრებელ და სისხლძარღვოვან სისტემაზე მოქმედ საშუალებას. იყენებენ კუნელის როგორც ამ სახეობის, ისე *Crataegus oxyacanthoides Thuilli* და *Crataegus monogyna Jac*, ნაყოფს, ყვაილსა და ფოთლებს. კუნელის ფოთლები და ყვაილი (*Folia et Flores Crataegi oxyacanthas*) შეიცავს ტრიმეთილამინს, ოქსიაკანთინს, ქვერციტრინს, ქვერცეტრინს, 0,15% ეთერზეთებს, ხოლო კუნელის ნაყოფი (*Fructus Crataegi oxyacanthae, Baccae Oxyacanthae*) კრატეგუსლაკტონს ორი ლაქტონის ჯგუფით და კრატეგუსმეაჟას ცხიმზეთებს, ცვილს, მთრიმლაგ ნივთიერებებს, ლორწოს, ეთერზეთებს, საღებავ ნივთიერებებს, ერთერთ ალკოჰოლს და სხვ. მასში არ არის არცერთი ალკალიდი. კუნელის თესლებში არის ამიგდალინი, ნაცარი არაუმეტეს 4%-ისა. გალიციაში იყენებენ კუნელის შემდეგ საექიმო ფორმებს: *Extractum Crataegi oxyacantha fluidum, Tinctura Crataegi*.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამზადდა პრეპარატი კურტაკრატი (*Curacrat*), რომელიც წარმოადგენს კონცენტრირებულ, ალკოჰოლზე ბაზირებულ ახლადშეკრებილი მცენარის *Crataegus Oxyacantha*-ს ფოთლებს, ყვაილებსა და ნაყოფს. მას იღებენ

(10 წვეთს დღეში 3-ჯერ), როგორც საგულე საშუალებას და სისხლძარღვებზე მოქმედ ნივთიერებას — Sedativum, ჰიპერტონიისა და სხვ. შემთხვევებში.

რაჭაში კუნელის ნაყოფის ნახარშს ასმევენ მაღალწნევიან ავადმყოფებს უბრალოდ წყლის მაგიერ.

70. გოგრა (კვახი) — Cucurbita moschata Duch., Cucurbita pepo L., Cucurbita maxima Duch.

გოგრის გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინურიდან — Cucurbita, რომელიც თავის მხრივ შედგება ორი სიტყვისაგან — Cucurbitis და Orbis (წრიული, მრგვალი), ხოლო სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა ნიშნავს დიდ სირჩას ან კიტრს (ნესეს), გოგრა უხსოვარი დროიდან საკვებ და სამკურნალო მცენარედ ითვლება, რომელიც მედიცინაში კარგად იყო ცნობილი, არა მარტო აღნიშნული სახეობა, არამედ სხვებიც. სამკურნალო მიზნებისათვის იყენებენ მხოლოდ სამ სახეობას: Cucurbita pepo, Cucurbita moschata, Cucurbita Maxima, რომლებიც ჩვენში (საქართველოში) ფართოდაა ცნობილი კულტურაში. მათი თესლი შეიცავს ალკალოიდს, არჩევიდალ მოქმედებს მუცლის ჭიებზე (მრგვალ, მსტომელა და ლენტისებურ ჭიებზე). ეს ალკალოიდი ქიმიურად ჯერაც არაა გამოკვლეული. ცხიმზეთი თესლებში 54% აღწევს, შეიცავს შაქარს და სხვ.

გოგრის სამშობლო ტროპიკული ამერიკაა, საიდანაც შემდეგ ყველგან გავრცელდა კულტურაში, ველურად გვხვდება ინდოეთშიაც. გოგრა ცნობილია საქართველოში კვახის სახელწოდებით, იგი ეკუთვნის გოგრანაირთა (Cucurbitaceae) ბოტანიკურ ოჯახს. აქვს მხვიარა უღვაშებიანი ღერო, მთლიანი ან თათისნაირი, განიერი ფოთლები გრძელ ღრუიან ყუნწებზე, ფოთლის უბეში ვითარდება უღვაშიც, უღვაშის საშუალებით გოგრა ეკიდება საყრდნობს. ჩვეულებრივ გოგრას უვითარდება ერთსაქესიანი და ერთსახლიანი, იშვიათად ორსახლიანი ყვავილები ხუთი მტკრიანათი; ზოგჯერ ოთხი მათგანი შეზრდილია, ერთი კი განცალკევებული. გოგრა ერთწლიანი მცენარეა. საქართველოში მის თესლს ხმარობენ როგორც ჭიის დამდენ საშუალებას, ხოლო გოგრის ხორციან ნაწილს იყენებენ საკვებად და აგრეთვე კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. ჩვენი ფარმაცოპეას მე-7 გამოცემაში გოგრა მოხსენიებული არ არის, მაგრამ შეეიცარია და ბრაზილიის ფარმაცოპეაში მას დღესაც ურჩევენ როგორც საუკეთესო ჭიის დამდენ საშუალებას, განსაკუთრებით ბავშვებში. გოგრის ფაფასა ან ნაღვეებში ურევენ შაქარს ან თაფლს. გოგრის ხორციანი ნაწილი ქიმიურად შეიცავს კრემენის, ფოსფორს და სხვ. მჟავებს, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას და 96% წყალს. გოგრის ეს ნაწილი იხმარება როგორც საკვები, მაგრამ დიდი რაოდენობით მისი მიღება აძლიერებს დიურეზს, რაც იწვევს თირკმლებიდან ქლორის გაძლიერებულ გამოყოფას.

ფას; სწორედ ამ მიზნით მას ხშირად უნიშნავენ ღვიძლისა და თირკმლების დაავადების დროს. გოგრის თესლი (*Semen cucurbitae* ან *Semina Cucurbita decorticata*) ქიმიურად შეიცავს 34% ცხიმზეთებს, ფიტოსტერინს (*Phytosterin-Cucurbitol*), გლუკოზიდ-ფიტოსტეროლინს, კრისტალურ ცილას, კრისტალურ გლობულინს — ვიტელოზს, ედესტინს, 0,4% ლეციტინს, 1/4% ლერწმის შაქარს და აგრეთვე ფიტინს, ფისს ოქსიცეროტინის მჟავათი. მცირეოდენ სილიცილის მჟავას, ემულსინს, ლაქტაზს, ურეაზს (არ შეიცავს არც ერთ საბონინს) 3,7—5 ნაყარს და სხვ. გოგრის პრეპარატია *Emulsio seminis Cucurbitae*.

გოგრის გულით მკურნალობენ ძირმაგარებს (ქვემო ხვითი).

ლაგოდენში გოგრის ყვაილს და თაფლის ნაზავს იყენებენ მუწუკის მოსამწიფებლად და ჩირქის გამოსარწყავად.

გოგრას სპეციალურად აშენებენ ეზოში სოფ. ზემო ალვანში და გოგრის ყვაილს ადებენ ყელის ტკივილის დროს საფენების სახით.

გოგრით ციმბირის წყლულსაც (ბედნიერა) მკურნალობენ.

71. გუნდის ხე (სარო) — *Cupressus sempervirens* L. V. *Pyramidalis* Targ. — Tozz.

სარო კვიპაროსისებრთა (*Cupressaceae*) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი ხემცენარეა, სიმაღლით 25 მეტრამდე, ხშირი პირამიდალური ვარჯით და მრგვალი გირჩებით, ჩვენში იგი მხოლოდ დეკორაციული მიზნითაა მოშენებული.

აჭარაში გუნდის ხის გირჩებს იყენებენ შარდის შეუკავებლობის დროს.

72. ყოჩივარდა—*Cyclamen vernum* Sweet., *C. ponticum* (Alb.) Pobed.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოჩივარდა სხვადასხვა სასელწოდებითაა ცნობილი, მას ეძახიან კვარაკუნჩხას, კორჩიოტას, კაწარკუწარას და სხვ.

იგი ეკუთვნის ფურისულასებრთა (*Prymulaceae*) ბოტანიკური ოჯახს. ყოჩივარდა დაბალტანიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება განიერი კვერცხისებური ფოთლებით, რომლის კიდეები მთლიანია და ზედა მხრიდან თეთრი ლაქებითაა მოფენილი, მისი ტუბერი ქვედა მხრიდან მიჭყლელია და ცენტრში ფესვებითაა დაფარული. გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია, ფუძესთან აქვს მუქი იისფერი წერტილი. გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ტყის ფერდობებზე, ბუჩქნარებში მთის ქვედა და შუა სარტყელში.

ყოჩივარდას ახალი ტუბერი შეიცავს გლუკოზიდის მსგავს საბონინს — ციკლამინს, აგრეთვე ლეულოზინს, ცილკოზას, დექსტროზას, პენტოზას და პოლისახარიდ ციკლამოზინს, ხოლო ნედლი ყოჩი-

ვარდა შხამიანია და სხვადასხვა ცხოველზე სხვადასხვანაირად მომწამვლეულად მოქმედებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ყოჩივარდა ცნობილია უხსოვარი დროიდან. ცნობილია როგორც წყლულის, თმის ცვენის, რევმატიზმის, თავის ტკივილის, ქოთაოს, გაუეალობის, შარდის შეკაეების და სხვა დაავადებათა სამკურნალო საშუალება. მისი სამკურნალო თვისებები აღწერილია XI და XII საუკუნის ქართულ კარაბადინებში. ოცდაათი წლის მანძილზე მასზე ჩატარებული ცდებით დავრწმუნდით, რომ ყოჩივარდა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სამკურნალო საშუალება ფრონტიტის, ჰაიმორიტის, პანსინუზიტის და სხვა ამგვარი დაავადებების დროს.

ყოჩივარდას წვეს თუ დაუემატებთ სინერგისტებს, როგორცაა ეფედრინი, ადრენალინი, კუჭის წვენი, მენტოლი და სხვა, მივიღებთ ნაზავს, რომელსაც „იბერიცინი“ დავარქვით. „იბერიცინი“ დამაკმაყოფილებელ ეფექტს იძლევა ხსენებული დაავადებების დროს, მაგრამ ის ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.

აფხაზეთის მცხოვრებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ყოჩივარდა. ყოჩივარდას წვეს ხმარობენ ცხენების ქოთაოს წინააღმდეგ.

მაიაკოვსკის რაიონში კვარაკუნჩხას ტუბერებს ხმარობენ ქათმის ჭირის წინააღმდეგ.

ყოჩივარდას, რომელსაც რაჭაში კორჩიოტას ეძახიან, იყენებენ ჩიყვის დროს, ეზოში მის გამრავლებას ხელს არ უშლიან.

ცაგერში ყოჩივარდას ეზოში აშენებენ და იყენებენ კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

ბაკურიანში ყოჩივარდას ყვაეილებს, რომელსაც ბარში აგროვებენ, იყენებენ თამბაქოს სახით მოსაწვეად თავის ტკივილის წინააღმდეგ.

73. კომში (ბია) — *Cydonia oblonga* Mill.

კომში ეკუთვნის ვარდისნაირთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ჩვენში ის კულტურული მცენარეა, მაგრამ მას გაველურებული სახითაც ვხვდებით. მისი ახალგაზრდა ყლორტები დაფარულია ფიფქისებრი ბუსუსით, ღეროზე ვითარდება მოკლეყუნწიანი, კვერცხნაირი, ოვალური ან მრგვალი კიდებმთლიანი, ღეროზე მორიგეობით განწყობილი ფოთლები. მოზრდილი მკრთალი წითელი ყვაეილები მრავალრიცხოვანი მტერიანათი და ქვედა ხუთსეპტიანი ნასკვით თითოთითოდ სხედან ყუნწებზე. ჯამი და გვირგვინი შედგება ხუთი ფოთოლაკისაგან. უვითარდება მსხვილი, ხორციანი ცრუ ნაყოფი, რომელიც ჯერ მწვანე ფერისაა და ბუსუსითაა დაფარული, ბოლოს ყვითლდება, თითქმის შიშვლდება და არომატული სუნით ხასიათდება. ნაყოფში

მრგვალი მოწითალო-ყომრალი ფერის თესლია, გარედან ნაცრისფერი ნალექით, რომელსაც ლორწოს გემო და თვისებები აქვს. კომში ხა-რობს როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში, ტყის პირას და ბუჩქებს შორის, თავს შესანიშნავად გრძნობს თიხაკირიან ნიადაგებზეც (რა-ჭაში).

ჩვენში კომშისა, მუხისა და თუთის ახალგაზრდა ყლორტებს თანა-ბარი რაოდენობით ხარშავენ წყალში, ისე რომ წყალი განახევრდეს და ივლებენ პირში ღრძილებიდან სისხლდენის ან სხვა რაიმე დაავადების დროს, ასევე კომშის თესლის ნახარშს იყენებენ ყელში გამოსავლებად ყელის დაავადების დროს. დავით ბატონიშვილი გვიჩვენებს ბიის გულს (*Semina Cydonii*), ბიის წვეს, ბიის მურაბას, ბიის ფოთოლს (*Folia Cydonii*), ბიის რუბის (*Sirupus Cydonii*). და ბიის შარბათს, რო-გორც შემკვრელს, თავის ტკივილის, პირღებინების და სხვა დაავადე-ბათა საწინააღმდეგო საშუალებას: „და ეს ხილები არის რომე კაცსა შეკკრავს: ბია, ვაშლი, სხალი და ბროწეული“ „და მოიტანე ბიის გული, დანაყეთ და ზომიერი წყალი დაასხით და გამოწურეთ და ლუა-ბათ ქენით, გაწურეთ და შაქრის მყინვარითა შარბათად ქენით და თავ-მტკივან კაცსა ასვით, მწოვედ კარგად უზამს. საფრას გააქარეებს და თავის ტკივილს უშველის“. „და თუ წამლისა სმასა უკანა კიდეც გულ-მან ან რევა და ან ზიდება დაუწყოს ან უნაბისა ან ტარხუნისა, ან ბიისა და ან ვაშლისა ფოთოლი კევსავით აღეჭონ და ამათი წვენი კი ჩაყლაპონ და გულის რევასა და გულის ზიდებასა ორსავე უკუაგდებს“ და სხვ. ჩვენი ფარმაცოპების მე-7 გამოცემაში კომში მოხსენიებული არ არის, მაგრამ ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფარმაცოპების მიხედვით დღე-საც იყენებენ კომშის მწიფე ნაყოფსა და თესლებს (*Fructus Cydo-niae et Semina Cydoniae*), როგორც გამოსავლებ საშუალებას ყე-ლის დაავადების დროს. ჭკომშის თესლის ქიმიური შემცველობა ასე-თია: ლორწო, მეთოქსიურონმჟავა, მცირეოდენი არაბინოზი, ურონის მჟავა, ლექსერდოზი, 14—15% ცხიმზეთები, 1,3—5% ნაცარი; თეს-ლის გარსი შეიცავს ლორწოს, მთრიმლავ ნივთიერებას და სხვ; ლორ-წოს შემცველობა 20%-ით განისაზღვრება, გარდა ამისა, შეიცავს 15% ცხიმზეთს, ცილებს, საღებავ და მინერალურ ნივთიერებას, გლუ-კოზიდს, ფერმენტ ემულსინს; ნაყოფის რბილში მარიბოვება 10%-მდე შაქარი, ვაშლისა და ღვინის მჟავა, მცირეოდენი მთრიმლავი ნივთიე-რება და სხვ. მეცნიერულ მედიცინაში ზოგჯერ თესლს იყენებენ სუსტ საფლარათო საშუალებადაც, რაც აიხსნება მასში მთრიმლავ ნივთიე-რებათა არსებობით, რომელსაც თან ახლავს სახამებელი, პექტინი და ფისი. თესლის შეგროვება უნდა მოხდეს სრული სიმწიფის პერიოდ-ში. კომშის ფარმაცეპტული პრეპარატებიდან ცნობილია *Semina Cydoniae*, *Mycilago Seminum Cydoniae*, *Fructus Cydoniae*, *Extractum Ferri Cydoniatum*, *Tinctura Ferri Cydoniata* და სხვა.

რაჭაში კომპის ფოთლებს სპეციალურად აგროვებენ და ინახავენ. მის ნახარშს ავადმყოფებს უნიშნავენ კოლიტის დროს.

ცაგერში კომპს ეზოში აშენებენ და მას ხველების წინააღმდეგ იყენებენ.

74. შორვალა — *Cynanchum scandens* (S. et L.) Kusn.

შორვალა ასკლეპიასებრთა (*Asclepiadaceae*) ოჯახის წარმომადგენელი მცენარეა, 150 სმ სიმაღლის, გრძელი წამახვილებული ფოთლებით. ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად ბუჩქნარში და ტყის პირებზე. აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, ქიზიყში, გარე კახეთში, მესხეთში. ძლიერ შხამიანი მცენარეა.

ფშავლები (სოფ. სიონი) შორვალას ფესვების ნახარშს სვამენ საყმაწვილოს წინააღმდეგ.

ზუგდიდში ეზოში ვნახეთ მოშენებული შორვალა. დიდ ჯიხაიში და ცაგერში შორვალათი მოშხამულ ძროხებს მკურნალობენ.

75. ოსერო — *Cynoglossum imeretinum* Kusn. *C. officinale* L. ძაღლის ენა — *C. nebrodense* Guss.

ოსერო ლაშქარასებრთა (*Borraginaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. 50—70 სმ ერთი ან ორწლიანი სარეველა ბალახია, პატარა შტრედისფერი გვირგვინით და მომცრო კაკლუჭებით. ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე და მეტწილად ტყისპირებზე. გვხვდება ქვიან ადგილებზე, ბუჩქნარებში 1500—2000 მ ზღვის დონიდან და მთელ რესპუბლიკაშია გავრცელებული.

ძაღლის ენას, რომელსაც ძარღვის ბალახს ეძახიან, ადებენ ჭრილობების შესახორცებლად.

ოსერო სპეციალურ ნაკვეთზე მოშენებული ვნახეთ ლანჩხუთის რაიონში, სოფ. ნიგვზიანში, მას ეძახიან მიასწარას, იყენებენ პაპასკირის წინააღმდეგ.

ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ოსეროთი ძირმაგარებსა და კარბუნკულებს მკურნალობენ.

76. ლემა — *Datura stramonium* L.

გვარის ლათინური სახელწოდება *Datura* წარმომდგარია არაბულიდან *Datura*, რომელიც ესატყვისება სპარსულ *Tatula*, რაც ორივე შემთხვევაში ნიშნავს ჩხვლეტას ან ჩხვლეტიას, ხოლო სახეობრივი სახელი *Stramonium*-დან მომდინარეობს, ე. ი. ბასრი, ან მახვილი ჩხვლეტია ვაშლისებრი. უძველესი დროის მედიცინისათვის ლემა უცნობი იყო. იგი მხოლოდ XV ს. გახდა ცნობილი, 1583 წლიდან გერმანელები იწყებენ ლემას თესლის გამოყენებას. მისი აღწერილობა უკვე გვხვდება სამკურნალო მცენარეთა წიგნებში, ხოლო 1762 წლიდან უკვე საყოველთაოდ ცნობილ სამკურნალო მცენარედ ითვლება. უმთავრესად მისგან ამზადებენ ასთმის საწინააღმდეგო სიგარეტებს,

ნაყენს ხმარობენ ნევრალგიის დროს ჩასაზღვლად. ლემა შეიცავს ალკალოიდებს — პროსციამინს, დატურინს, ატროპინსა და სკოპოლამინს, აგრეთვე მარილიან ზეთს.

ლემა გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ რუსეთში, კავკასიასა და კასპიისპირეთში და საერთოდ ყველგან თბილ ზონაში.

ლემა ეკუთვნის ძალღყურძენასებრთა (Solanaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 30-160 სმ სიმაღლის. ღერო ორთითას მსგავსადაა დატოტვილი. მისი საკმაოდ მოზრდილი კვერცხისებური, ამოღრღნილი და დაკბილული ფოთლები მორიგეობით განლაგებულია ღეროზე, ხოლო მსხვილი თეთრი, სურნელოვანი ყვავილები ცალ-ცალკე იშლება, ყვავილის ჯამი მწვანე ფერისაა, მილნაირი, ხუთწიბოიანი და რგოლისებურად შემოხვეული. გვირგვინი მილნაირ-ძაბრისებურია, ხუთი მტკერიანათი. ნაყოფი წარმოადგენს მსხვილ, ოვალურ მწვანე ფერის კოლოფს, რომელიც გარედან დაფარულია სადგისისებრი ეკლებით და მომწიფების დროს ოთხად იყოფა და იხსნება. კოლოფში ვითარდება მრგვალი თირკმლისებური შავი თესლი. ჩვენში ლემა საკმაოდ გავრცელებულია და უფრო ხშირად გვხვდება რუდერალური სახით ნაგვიან, ნანეხეარ ადგილებში, რკინიგზის სადგურების ახლოს, ღიანდაგების გასწვრივ, დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის შუა სარტყლამდე. უმთავრესად გავრცელებულია აფხაზეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, თრიალეთში.

ლემას ყველა ნაწილი შხამიანია და ამიტომ ჩვენი ხალხი მას სიფრთხილით ეპყრობა. მთლიან მცენარეს ახასიათებს თავისებური მათრობელა სუნი, მწკლარტე გემო. მეცნიერულ მედიცინაში ლემას ფოთლებსა და თესლს იყენებენ ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებად და სასუნთქი გზების სპაზმების წინააღმდეგ, უმთავრესად ბრონქული ასთმის დროს. მას უნიშნავენ აგრეთვე შიგნით მისაღებადაც პრიაპიზმისა და ნიფთომანის შემთხვევაში. ლემა მოხსენიებულია როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, ასევე საზღვარგარეთის ფარმაკოპეაშიც. შხამიანობის გამო ლემა მოთავსებულია „ბ“ ჯგუფის სიაში. ქიმიურად ლემას ფოთლებში მთავარი ალკალოიდია ჰიოსციამინი, მცირე რაოდენობითაა ატროპინი და ტურინი და 1-სოკოპოლამინი. ალკალოიდების რაოდენობა ფოთლებში მერყეობს 0,2-0,6%-მდე, ყვავილებში ალკალოიდების რაოდენობა მერყეობს 0,25-0,5%-მდე. ლემასაგან ამზადებენ შემდეგ ფარმაცევტულ პრეპარატებს: Folia Stramonii, Seu herba Daturae Stramonii, Semina Stramonii, Tinctura Stramonii Seminum, Cigarettae antasthmicae seu Tabacum antastmaticum, Extractum Stramonii, Extractum-stramonii fluidum, Extractum stramonii siccum, Oleum Stramonii Sirupus Stramonii, Tinctura Stramonii.

ლემა აფხაზეთის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ლემას თესვებს ლენცოფასთან ერთად იყენებენ კარიესული კბილის ტკივილის დასაყუჩებლად. შეახვევენ და სწევენ პაპიროსის მაგივრად (სოფ. ლემი).

ამბროლაურის რაიონში სოფ. ურაეში მსხვილი და წვრილფენა რქოსანი საქონლის და ღორის ჰემისეპტიცემიის დროს ყვავილობაში მყოფი ლემას ყლორტების ნახარშს ასმევენ პირუტყვს და ირწმუნებიან, რომ ცხოველი არ იშხამება და დაავადებასაც შველისო.

ლემას აშენებენ ეზოებში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად (ჯავახეთში; ხმელი ფოთლებით მკურნალობენ ავადმყოფებს სოფ. მაღარო, წითელწყარო) ლემას (ლორეკალას) თესლით, მუცლის ტკივილის დროს. ლემას დანაყილ ფოთლებს ადებენ ჭრილობების შესახორცებლად.

77. მეჭვჭა — *Dichrocephala bicolor* (Both) Schlecht.

მეჭვჭა ეკუთვნის რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 20—60 სმ-მდე სიმაღლის, აქვს მეჩხერად დატოტვილი ღერო. ღეროზე განლაგებულია ქნარის მსგავსი ფოთლები, რომელსაც დიდი ზომის გულნაირი ბოლო სეგმენტები აქვს. ნაყოფი კალათის ფორმისაა (3—4 მმ სიგანის). *Dichrocephala bicolor*-ის სინონიშია აგრეთვე *Dichrocephala latifolia*, რომელიც კახეთში გავლურებული სახით გვხვდება.

მეჭვჭა ძირითადად გავრცელებულია მთის ქვედა სარტყელში ტყეში ან ნაგვიან ადგილებზე. ზოგჯერ მეჭვჭა კულტურაშიც მოპყავთ, კულტურაში იგი უფრო მაღალი იზრდება.

სოფ. ბარცხანაში მეჭვჭათი მკურნალობენ მეჭვჭებს.

78. ხურმა — *Diospyros lotus* L.

ხურმა ეკუთვნის აბანოზისებრთა (Ebenaceae) ბოტანიკურ ოჯახს. ნაყოფი სიდიდით ალუბლისტოლია, პირველად ყვითელი, ხოლო დამწიფებული მოლურჯო შავი ფერისაა, გამოიყენება საკვებად.

ხურმა დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველა მოსახლეს აქვს ეზოში. მის ნაყოფს კუჭის შემკვრელად იყენებენ. მისი ყლორტებისაგან გამოხდილ ზეთს კი — ყურის ტკივილის ჩასაყუჩებლად.

79. ჩადუნა — *Dryopteris filix mas* L.

ჩადუნას გვარის სახელწოდება (*Dryopteris*) წარმომდგარია ბერძნულიდან — *Dyrs* — მუხა და *ptaris* — გვიმრა *preran* ფრთა, რაც მუხასავით გაშლილს და ფრთიან მცენარეს ნიშნავს, ხოლო სახეობის გამომხატველი *filix mas* — მამრობით გვიმრას, გვიმრა მკურნალობის საქმეში XVI საუკუნიდანაა ცნობილი. გვიმრის ფესვი შეიცავს ფლოროგლუცინის დერივატს, ასკინიდოლს (ფილმარონს), ფლორასპინს, ალპასპიდინს და ფილიქსმჟავას. შუა პრეპარატში არის აგრეთვე

მწარეები, შაქარი, მთრიმლავი ნივთიერება, მარილი ანდა ეთერზეთი.

ჩაღუნა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის არქტიკულ ზონაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. ჩვენში გავრცელებულია რესპუბლიკის ყველა რაიონში, კიზიყისა და გარდაბნის გარდა, ტყის და სუბალპურ სარტყელში, ტყეებში, ტყის პირებზე, კლდოვან და ქვიან მთის მდელოების ფერდობებზე.

მეცნიერულ მედიცინაში ჩაღუნა (ანუ გვიმრა) ცნობილია მამალი გვიმრის სახელწოდებით.

ჩაღუნა ეკუთვნის გვიმრისებრთა (*Polypodiaceae*) ბოტანიკურ ჯგუფს და წარმოადგენს პოლარქტიკული ტყის გეოგრაფიულ ტიპს. იგი 20—150 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ახასიათებს მსხვილი, ირიბი, მრავალი წვრილშრიანი ქერქით დაფარული ყომრალი ფერის ფესვურა. ფესვის ყელიდან ვითარდება ფესვთანი, კენტფრთართული ფოთლები. ფოთლის ვენტრალურ მხარეზე განლაგებულია სორუსებში შეკრებილი სპორანგიუმები. გვიმრის ეს სახეობა საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მცენარეა.

საქართველოში ჩაღუნას ახალგაზრდა ხუჭუჭა ფოთლებს იღებენ საკვებად მხალის სახით, ძმრითა და ნიგვზით შეზავებულს. ზრდადასრულებულ ფოთლებს იყენებენ მწყემსები რძის გასაწურად, ხოლო მეაბრეშუმეობის რაიონებში ხმარობენ ცახად (აბრეშუმის ჭიას უღებენ საფენად ან პარკის გაკეთების პერიოდში).

ხალხურ მედიცინაში ჩაღუნას ფესვურას უხსოვარი დროიდან იყენებენ როგორც ჭიის დამდენ საშუალებას (ჩაღუნა ჭიებს კი არ კლავს, არამედ აბრუებს). მეცნიერულ მედიცინაში მისი ფესურა გამოიყენება ლენტისებური ჭიების საწინააღმდეგოდ — *Rhizoma Filicis*-ის ან ზოგიერთ ფარმაკოპეაში *Herba Filicis maris*-ის სახელწოდებით. მისი ფესვურას ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,025—0,045% ეთერზეთები, 5—8% ცხიმზეთები, ფისი, შაქარი, სახამებელი, პექტინოვანი ნივთიერება, 2—3% მინერალური მარილი, 5% ფილმარონი, 1,5—2,5% ფილიქსმეა-ფილიცინი. მოქმედი ნივთიერება არის კრებადობა კეტონის მსგავსი ნივთიერებისა, ერბომეაჟასი და იზოერბომეაჟასი ფენოლ ფლოროგლუცინით ან მეთილით, დიამეთილით და ტრიმეთილფლოროგლუცინით. კონდენსირებული ბუტანონის ორი მოლეკულა იძლევა ფლავასპილმეაჟას, ალბასპიდინს, სამ მოლეკულა ფილიქსის მეაჟას ფილიცინს, ხოლო ოთხი მოლეკულა — ფილმარინს. ნაცრის რაოდენობა ფესვურაში 3% არ აღემატება, მათ შორის 2% მეაჟაში უხსნადი ნაცარია. ჩაღუნას ეს სახეობა მოხსენებულია როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში, ისე სხვა ქვეყნების ფარმაკოპეაში. ცნობილია მისი შემდეგი ფარმაკეპტული პრეპარატები: *Rhizoma Filicis*, *Extractum Filicis Filmaronum*, *Extractum filicum concentratum*, *Extractum Filicis*

maris aethereum, Oleum Filicis maris aethereum, Extractum Filicis crudum, Filicinum და სხვა. დაამზადეს პრეპარატი ეკობოლი (Ecobol), რომელიც წარმოადგენს ფილექსტრაქტის ხსნარს პალოგენური ან პალოგენის სახის ნახშირწყლოვანი ნივთიერებით. ამავე მიზნებისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცნობილია Aspidium Anthelmanticum, Kunzepanna-ის სახელწოდებით Polypodium vulgare L. Her-ს სახით და სხვ. ჩადუნა შედის Remedium vulgare L, Herba Polypodit-ის შემადგენლობაში შემდეგი პროპორციით Colomel 0,3, Extractum Filicis 8,0 Sirupus Rubi 32,0.

ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის პროფესორმა პ. ი. ჭუმბურიძემ გამოიკვლია ბაკურიანში შეგროვილი ჩადუნას ვარგისიანობა და დაადასტურა მისი ფესვურების მაღალი სამკურნალო ღირსება.

ჩადუნას ფესვებს ხმარობენ სიცხის დამწვევად (აჭარა, სოფ. ახალშენი).

80. კიტრანა, ქერაკიტრანა—Ecballium elaterium. (L.) A. Rich. კიტრანა ეკუთვნის გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 20—25 სმ სიმაღლის, ღერო შებუსევილია, ფოთლები კვერცხისებურ-გულისნაირი, გვირგვინი მკრთალი ყვითელი. საქართველოში ყველგან გვხვდება მთის ქვედა სარტყელში, თიხნარ ნიადაგებზე ან დანაგვიანებულ ადგილებში. ველებში მშრალ ფერდობებზე ან როგორც სარეველა სამეგრელოში, ქართლში, გარდაბანში.

როლოვის მიხედვით, კიტრანას იყენებენ მედიცინაში წყალმანკის დროს, განსაკუთრებით მუცლის არეში (ასციტი), ღვიძლის ციროზის დროს, აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობისას.

ხალხურ მედიცინაში ქერაკიტრანასა და სამყურას ნახარშს ურევვენ ერბოსა და კვერცხის გულს, ადებენ წყლულსა ან ჭრილობაზე. ის წყლულს მოამწიფებს, გამორწყავს და მოაშუშებს (სოფ. აწყური, ახალციხის რაიონი).

81. ძირწითელა — Echium rubrum Iacq.

ძირწითელა ეკუთვნის ლაშქარასებრთა (Borraginaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი 30—100 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. აქვს 12—15 მმ სიგრძის გვირგვინი, იზრდება მთის ზედა სარტყელამდე, ბალახოვან ფერდობებზე. რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, თრიალეთში, ქვემო ქართლში, ჯავახეთში, მესხეთში.

ხალხურ მედიცინაში ძირწითელა გამოიყენება ჭრილობის, კარბუნკულების, ოსტეომიელიტის სამკურნალოდ. სახალხო მკურნალები ძირწითელათი, ბუღბუღა ეკალათი მკურნალობენ ბუასილს (სოფ. უღე).

სოფ. ტოლოში წითელი ქოქას (რომელსაც აქ თათრულად ჰავა-

ჯუას ეძახიან) ძირებს ერბოსთან და თაფლის სანთელთან ერთად ადებენ დამწვარზე. თურმანიძე და ჭიქაშუაკი ძირებს ერბოს ნაცვლად ურევს ზეთისხილის ზეთს. ამავე მიზნით იყენებენ მას წითელწყაროში.

როლოვის მიხედვით, ხალხურ მედიცინაში ძირწითელას ფესვები გამოყენებულია როგორც ჭრილობის შესახორცებელი საშუალება და გველის ნაკენის წინააღმდეგ, ხოლო ფოთლებს ხმარობენ გინეკოლოგიაში, განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ.

82. შვიტა — *Equisetum arvense* L.

შვიტას გვარი *Equisetum* წარმომდგარია ორი ლათინური სიტყვიდან — *Epuus* ნიშნავს ცხენს და *Seta* — თმას (ცხენის კულის თმა), ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *arvense* — მინდვრისას. შვიტა, როგორც სამკურნალო საშუალება, ძველთაგანვე ცნობილია, ხოლო დასურათებულად ან აღწერილობით ის ცნობილია XVI საუკუნიდან. მას იყენებენ შარდის ბუშტის დაავადებათა და სისხლდენის დროს. იგი შეიცავს კრემენჰეავას, ერთ საბონინს (ექუიზეთონინს) და ორგანულ მჟავებს, იყენებენ მთლიანი ბალახის ნაყენს, დიდი ხნის განმავლობაში შვიტა ხალხში ცნობილი იყო როგორც თმის ამომყვანი საშუალება, მაგრამ ექსპერიმენტულად არ დადასტურდა.

შვიტა ხარობს მეტწილად ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ეკვატორზე, ჩვენში. ტენიან მდელოებზე, წყლით მოსილულ ნაპირებზე, ნათესებში დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე — აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თრიალეთში, ჯავახეთში.

შვიტა ეკუთვნის შვიტასებრთა (*Equisetaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. მისი შავი ფერის ფესვურები ქმნიან ერთგვარ მარყუჟისებრ კუთხეებს, სადაც ჩვეულებრივ პატარა ტუბერაკები წარმოიქმნება. სანაყოფე ღეროს კენწერო ბოლოვდება კონუსისებური ფორმის თავთავით, რომელშიც რამდენიმე სპოროფილია. თითოეული სპოროფილი ივითარებს სპორანგიუმებს. ნამდვილი შვიტა ვითარდება ზაფხულში, იგი მწვანე ფერის, ცილინდრული ფორმის დამუხლული მცენარეა, უნაყოფო ღეროები სიმალლით ნახევარ მეტრს აღწევს. შვიტას ეს სახეობა საკმაოდ გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით ნესტიან ადგილებში, ჭაობების ნაპირზე, გუბებთან, მდინარის ნაპირას, როგორც დაბლობ, ისე მთის შუა სარტყელში, განსაკუთრებით ჩამონაზვავებ ადგილებში.

შვიტა მეტად უხამიანი მცენარეა, ამიტომ მას საქონელი არა ჭამს. ქართულ ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას, ასევე იგი ცნობილი (*Herba Equiseti*) მეცნიერულ მედიცინაშიც. გვიან ზაფხულში აგროვებენ მთლიან მცენარეს და ამრობენ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცემა-

ში შვიტა მოხსენიებული არ არის, მაგრამ დასავლეთ ევროპის ფარმაკოპეაში ის მოხსენიებულია და იყენებენ კიდევ. შვეიცარიის ფარმაკოპეაში შვიტას სხვა სახეობებიც არის მოხსენიებული შარდმდენ საშუალებად, მაგალითად, *Equisetum silvaticum* L., *Equisetum pratense* Ehrh., *Equisetum maximum* Linx., *Equisetum hiemale* L., *Equisetum* — შვიტას ყველა სახეობის ქიმიური შემცველობა ასეთია: 22,6% — წყლიანი ექსტრაქტი, 6,6 — ალკოჰოლექსტრაქტი, 2,5% — მეთილალკოჰოლექსტრაქტი, 4,4% ქლოროფორმექსტრაქტი, 1,3% — აცეტონექსტრაქტი, შეიცავს 16,1—17,6% ნაცარს, გარდა ამისა, შვიტა შეიცავს 7,4%-ს SiO_2 -ს აკონიტისა და ოქსალმუჟავეებს, 5% საპონინს — ექუიზეტონინს და შაქარს. Sifr-ის მონაცემებით, ალკალიდები მასში შერეული სახითაა შოცემული. დანარჩენი ნივთიერებებიდან აღსანიშნავია სილიციუმმუჟავეა, რომელიც ახლად შეგროვილ მცენარეში 3,2—6,2%, ხოლო გამშრალ მცენარეში — 5,2—7,8%; იგი შეიცავს აგრეთვე ალუმინიუმს და კალიუმქლორიდს. შვიტისაგან ამზადებენ შემდეგ ფარმაცევტულ პრეპარატებს: *Herba Equiseti compositae*, *Species Equiseti compositae*, რომელშიც შედის 100 გ *Herba. Galeopsidis* და 100 გ *Herba Polygoni avicularis* და *Decoctum herbae Equiseti*.

შვიტას ამენებენ ეზოებში (სუფსა, ჯუმათი, ზემო ცაგერი, ქარელი, აჭარა, ლაგოდენი) და იყენებენ თირკმლების დაავადების და ბუასილის სამკურნალოდ. ასკილის ნაყოფის და წითელი სიმიინდის უღვაისა და შვიტას ნახარშს ასმევენ ძნელი შარდვის დროს, თირკმლის კენჭოვანი დაავადებისას კი — აძლევენ შვიტას ნაყენს ნიახურისა და სიმიინდის ფოჩის ნახარშთან ერთად.

83. კანადური ერიგერონი — *Erigeron Canadensis* L.

კანადური ერიგერონი ეკუთვნის რთულყვავილოვანთა — *Asteraceae* ბოტანიკურ ოჯახს, მის სწორ მდგომ ღეროზე განლაგებულია ხაზურა ან ლანცეტა ხერხებილა ფოთლები, მრავალრიცხოვანი თეთრი კალათა ყვავილედო შეკრებილია საგველად. საგველა ხშირად მტკენისებურია. ჩვეულებრივ მას ვხვდებით ნესტიან და ჰუმუსიან ნიადაგზე, განსაკუთრებით ნაგვიან ადგილებსა და ნათესებში. იგი გზად-მოყოლილი მცენარეა და საქართველოს ყველა რაიონში გვხვდება.

ჩვენში ეს მცენარე მეტწილად შავი ზღვის სანაპიროზეა გავრცელებული, გვხვდება თბილისშიც. ჩვენში იგი ამერიკიდანაა შემოტანილი, თავის სამშობლოში მას იყენებენ ჭიის დამდენ და საშვილოსნოდან სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალებად და წყალმანკის სამკურნალოდ, აგრეთვე *Diarrhoe*-სა და დიზენტერიის შემთხვევაში. ამერიკის ფარმაკოპეაში მოხსენიებულია მისი *Herba Erigeritis*, რომლის ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,3—0,7% ეთერზეთი, d-ლიმოზენი, d—a-ტერპინოლი და მეთილაცეტატი, დიპერტენი, მთრიმლავი ნივთიერება, ნაღვლის მუჟავეა და სხვ. ამერიკაში ამ მცენა-

რის სხვა სახეობასაც იცნობენ (*Erigeron acris*). ლიახვის პირას იზრდება ვირისკულა დაბალი ბალახი, ე. ი. *Erigeron canadensis*, რომელსაც იყენებენ გულის დაავადების წინააღმდეგ.

როლოვის მიხედვით, ხალხურ მედიცინაში ამ ბალახის ნახარშით მკურნალობენ თვლის დაავადებას, თმის ცვენას და ქეცს.

84. ლურჯი ნარი — *Eryngium Biebersteinianum* Nevsk.

ლურჯი ნარი ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. მას ყვავილსაფრის ხუთი ფოთოლი აქვს, რომლებიც ვიწრო სახურია და ვარსკვლავისებურად განლაგებული, თავაკთან შედარებით 2—3-ჯერ გრძელია და ლურჯი. თავაკი 7—12 მმ სიგრძისაა, ფესვთანი ფოთლები მოგრძო კვერცხისებურია და დანაწევრებული. გვხვდება მთის ქვედა სარტყლამდე, იშვიათად შუა სარტყლამდე, განსაკუთრებით ქვიშნარ და თიხნარიადაგიან გაშლილ ფერდობებზე, დანაგვიანებულ ადგილებში და როგორც სარეველა. აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვემო ქართლში.

სოფ. სხვიტორში, აკაკის ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეხლაც შემორჩენილია ლურჯი ნარი.

ონში, თელავში ლურჯი ნარი ეზობში მოშენებული ვნახეთ. მას იყენებენ წყლულების, ძნელადმეხორცებადი ჭრილობებისა და წითელი ქარის წინააღმდეგ.

85. ევკალიპტი — *Eucalyptus globulus* Labill.

ევკალიპტი მირტასებრთა (*Mirtaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი ავსტრალიიდანაა შემოტანილი, ჩვენში აშენებენ დეკორაციული და ევკალიპტის ზეთის მიღების მიზნითაც.

ხალხურ მედიცინაში ევკალიპტის მეორე სახეობის *Eucalyptus amygdalina*-ს ფოთლის ნახარშს იყენებენ წნევის წინააღმდეგ, სვამენ და თავსაც იბანენ.

86. ჯულაბი — *Euphorbia lathyris* L.

ჯულაბი ეკუთვნის რძიანასებრთა (*Euphorbiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება მთის ქვედა სარტყელში რუდერალურ ადგილებზე გზადმოყოლილია, გვხვდება იმერეთში ქუთაისის ახლოს. კულტურაში ხშირია.

ქვემო უწერაში შეგვხვდა ეზოში სპეციალურად მოშენებული ჯულაბი, რომელსაც იქ ყაპოს წამალს ეძახიან და მკურნალობენ ღორების ყელის შესიებას.

როლოვის მიხედვით, ფრანგულ ფარმაცოპეაში შეტანილია მუცლის ჭვლების დროს, ძლიერი შეკრულობისა და სოლიტერის წინააღმდეგ.

VIII საუკუნეში კარლოს დიდმა ბრძანა ჯულაბი გაეშენებინათ მონასტრების ირგვლივ, როგორც ყველაზე სასარგებლო მცენარე.

87. რძიანა — *Euphorbia helioscopia* L.

რძიანა ეკუთვნის რძიანასებრთა (*Euphorbiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება მთის შუა სარტყლამდე რუდეგალურ ადგილებზე, ნათესებში როგორც სარეველა, გვხვდება აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, ქიზიყში, გარეკახეთში, გარდაბანში მესხეთში.

რძიანას რძეწვეს მეტ-ნაკლებად იყენებენ სახეზე ჭორფლის და ტალეების მოსაცილებლად. მეცხვარეები მის რძეწვეს ბინძურ ნაღომ წყალში აწვეთებენ და რამდენიმე ხნის შემდეგ ცხვრებს ასმევენ. ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მას კანის დაავადებათა დროს ხმარობენ. ამ მიზნით ცაგერში რძიანას ეზოში აშენებენ. ფასანაურში რძიანას ქავანას სამკურნალოდ იყენებენ.

როლოვის გადმოცემით, რძიანას ფოთლები და ქერქი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სიფილისის წინააღმდეგ.

88. ჭანჭყატი — *Evonymus europaeus* L.

ჭანჭყატი ეკუთვნის ჭანჭყატისებრთა (*Celastraceae*) ბოტანიკურ ოჯახს, ფოთლები ელიფსური ლანცეტა ან კვერცხისნაირი, გვხვდება ტყეებში და ტყისპირებზე მთის შუა სარტყელში. მისი ფესვები შეიცავს გუტაპერჩს. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, თრიალეთში, მესხეთში.

ლაგოდენში ადგილობრივი მცხოვრებნი ჭანჭყატის ღეროების ნახარშს სვამენ ღვიძლის დაავადების დროს.

როლოვის მიხედვით, ჭანჭყატის ნაყოფი მწარე გემოსია და მოქმედებს როგორც ამოსაღებინებელი და ძლიერი კუჭის ამშლელი, ხოლო დიდი დოზით აღიზიანებს ნაწლავებს და იწვევს ჰემოროიდულ სისხლდენას, იყენებენ შეკრულობისას, ასევე ნალევის გამოსამუშავებლად და ქრონიკული მალარიის დროს, ჭიის გამომდენად, ქავანას წინააღმდეგ და ტილის ჩამოსაცვენად, სასქესო ორგანოების აღმგზნებლად, მის ზეთს მწერების მოსასპობად ხმარობენ.

89. იაპონური ზღმარტლი — *Eriobotrya japonica* (Thunb.) Lindl.

იაპონური ზღმარტლი ეკუთვნის ვარდისებრთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ზღმარტლი მერქნიანი მცენარეა. ფოთლები ლანცეტაა, ნაყოფი სამი სანტიმეტრის დიამეტრის, მწიფე ნაყოფი შიშველია. მისი სამშობლოა დასავლეთ ჩინეთი, ჩვენში კულტურაშია გავრცელებული.

აჭარაში იაპონური ზღმარტლის ფოთლის ნახარშს სვამენ ბუასილის დროს.

90. ლეღვი — *Ficus carica* L.

ლეღვი ეკუთვნის თუთისებრთა (*Moraceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 7—10 მეტრის სიმაღლის ხე ან ბუჩქი. ფოთოლის ფირფიტა, გულისებურ-კვერცხისებურია ან მომრგვალო, კიდეზე არათანაბრად

ამოკვეთილი. ყვავილედ იან ნაყოფები მოკლევუნწიანია ან მჯდომარე. ლეღვი საქართველოს მთელ რესპუბლიკაშია გავრცელებული. ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლეზე, განსაკუთრებით კლდოვან, ღორღიან და კირქვიან ადგილებში, ძირითადად კი კულტურაშია გვხვდება.

ფოთლები შეიცავს 1,6—2% მთრიმლავ ნივთიერებებს და ფისს. კვების საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანია ლეღვის ნაყოფი. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ნაცარი — 12,8%, პროტეინი — 6,5%, ცხიმი — 1,2%, უჯვრედანა — 6,7%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი, უმთავრესად შაქარი — 72,8%.

ლეღვის ფოთოლი ქართულ ხალხურ მედიცინაში ცნობილია მაღარის საწინააღმდეგო უებარ საშუალებად. იღებენ 15—18 ცალ ფოთოლს, ხარშავენ ერთ ლიტრ წყალში, ვიდრე ნახევარზე არ დადგება, შემდეგ აციებენ და უზმონზე ღლეში ერთხელ ასმევენ მაღარით და ავადებულს ერთ ღვინის ჭიქას. განკურნებისათვის მხოლოდ სამჯერაა დალევა საჭირო. ჩვენ ის ორჯერ ვცადეთ და კარგი შედეგი მივიღეთ, მაგრამ ეს საკითხი მეცნიერულ შესწავლასა და დასაბუთებას საჭიროებს. ფოთოლს ზოგჯერ ხმარობენ სამღებრო საქმეში. შემჩნეულია ლეღვის ფოთლის და მისი რძეწვენის ფიტონციდური მოქმედება.

ლეღვს აშენებენ ეზოებში და ლეღვის ფოთლების რძეწვენს იყენებენ რევმატიზმის სამკურნალოდ და ჭიის გამომდენად.

ლეღვის ფოთლის ნახარშს შაბთან ერთად ასმევენ ბუასილის წინააღმდეგ.

როლოვის მიხედვით, მას იყენებენ მკერდის არეში ტკივილის შესამსუბუქებლად და ყელის დაავადებათა დროს (როგორც გამოსავლებს, რძით). ლეღვის ფოთოლს იღებენ ღია ჭრილობებზე ტკივილების შესამსუბუქებლად და სხვ.

91. ცერეცო — დიდი კამა — *Foeniculum vulgare* Mill., *Foeniculum officinale* All.

გვარი *Foeniculum* ლათინური წარმოშობისაა, ჯერ კიდევ პლინიუსი აღნიშნავს ამ მცენარის შესახებ და მას *Foenum* (თივა, ნამჯა) უწოდებს. მართლაც ცერეცოს გამხმარ (გამმზრალ) მასას თივის დამახასიათებელი სუნი აქვს. სახეობის აღმნიშვნელი *vulgare* ლათინურია და ჩვეულებრივს გულისხმობს. ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ეგვიპტელებში, ბერძნებსა და კოლხებშიც ცერეცო ერთ-ერთ გავრცელებულ ხალხურ სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა. კარლოს დიდი მოითხოვდა იგი მოეშენებინათ გერმანიაში. მეთექვსმეტე საუკუნეში ცერეცო მზა სამკურნალო საშუალების სახით იყიდება როგორც დამამშვიდებელი საშუალება. 1500 წელს მიიღეს მისი ზეთი და გამოხადეს წყალი, 1574 წლიდან მისი ზეთი შედის სამკურნალო ნივთიერებათა ტაქსაციაში (ქ. ბერლინი). ცერეცოს ნაყოფში შედის ეთერზეთი,

ცხიმზეთი, კვერცხისცილისებური ნივთიერება და შაქარი. ამჟამად გერმანულ სამკურნალო წიგნში აღნიშნულია რომ ეთერზეთის შემცველობაში 50—60% ანეთოლია, ფენხონი, პინენი, ანისალდეჰიდი და ანისკეტონია. ფენხონი მწარეა და ქაფურის მსგავსი გემოთი ხასიათდება (უფრო ქაფურის ზეთის გემო), აქვს მწვავე არომატული სუნი, იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ, მადის მომგვრელად, სასუნთქი გზების დაავადების დროს, განსაკუთრებით კატარის დროს, სველების წინააღმდეგ ბავშვებს აძლევენ ნაყენი, სიროფის, შაქრის სიროფის, წვეთების, ნახარშის და ზეთის სახით და სხვ. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, აღმოსავლეთ ინდოეთში, საქართველოში, შუა ევროპაში, აფრიკაში, ჩინეთში, იაპონიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ჩინეთში ძირითადად კულტურაში მოჰყავთ, ხშირად გავლურებულიცაა. ჩვენში იგი გავრცელებულია ზღვის სანაპირო ზოლში მთისწინებზე, ქვიშნარ და კლდოვან ადგილებზე — აფხაზეთში, ქვემო იმერეთსა და თბილისის მიდამოებში.

ცერეცო ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება 2 მეტრამდე სიმაღლის, აქვს სწორმდგომი, ცილინდრული და შეუბუსავი ღერო. ივითარებს რთულ ქოლგა ყვავილედს, რომელშიც შეკრებილია პატარა ყვითელი ყვავილები. ფოთლები მრავლად ფრთაგანკვეთილია, ნაყოფი წარმოადგენს ორ მოგრძო (5—7 მმ სიგრძის) თესლურას. ხარობს ნესტიან, სილიან ნიადაგებზე, განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე.

საქართველოში ცერეცოს კამის მსგავსად იყენებენ და ხშირად ერთმანეთში ერევათ კიდეც. ცერეცოს ნახარშს უფრო ხშირად სველების დროს სეამენ. მეცნიერულ მედიცინაში ცერეცოს ხშირად იყენებენ. იგი მოხსენიებულია ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში, როგორც საჭმლის მომნელებელი სისტემის მომწესრიგებელი და ამოსახველებელი საშუალება. გარდა ამისა, ის შედის გალენური პრეპარატების შემადგენლობაშიც. ცერეცოს ნაყოფს (*Fructus Foeniculi*), ქიმიური შემცველობა ასეთია: 4—6% ეთერზეთი, რომელშიც 50—60% ანეთოლია, 15% ცხიმზეთი, ორგანული მჟავები, ცილოვანი ნივთიერება, შაქარი 1,5—5,5%, ტკბილი ფენიკული, 2—3—4,8% მწარეები, 8,12% ნაცარი, 1,5% მჟავაში უხსნადი ნაცარი. ცერეცოს ზეთი შედგება კეტონისაგან, რომელსაც მარჯვენა ფელანდრენი ეწოდება. გარდა ამისა, მისი ზეთი შეიცავს უმნიშვნელო რაოდენობით ტერპენებსაც: მარჯვენა პინენს და ლიპენტენს. ცერეცოს ხშირად უნიშნავენ რძის მომატების მიზნით და აგრეთვე სხვა წამლებისათვის გემოს მისაცემად. ცერეცოს პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Pulvis Liquiritiae compostae*, *Pulvis Magnesia cum Rheo*, *Aqua Foeniculi*, *Sirupus Foeniculi*, *Eleosaccharum Foenicum*.

საზღვარგარეთ იყენებენ როგორც თესლს, აგრეთვე მთლიან ბალახსაც (*Herba Foeniculi*) და მათგან ამზადებენ შემდეგ პრეპარატებს: *Oleum Foeniculi (aethereum)* *Mel Foeniculi*, *Sirupus Foeniculi*, *Species carminativae* *Tinctura Foeniculi*.

შატილში ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად მოშენებული აქვთ ცერეცო და იყენებენ სამკურნალოდ.

92. აბედა სოკო — *Fomes fomentarius (L.) Fr. Gillet.*

აბედა სოკო ეკუთვნის პოლიპოროვანთა (*Polyporaceae*) ბოტანიკურ ოჯახს და ბაზიდიანი სოკოების კლასს, რომელიც დასუსტებულ ცოცხალ არყის ხეზე, წიფელასა და ზოგიერთ სხვა ფოთლოვან ხეზე ცხოვრობს. მისი ნაყოფსხეულები ჩლიქისებურია, მაგარი, ღია ნაცრისფერი ქერქითა და მოყვითალო ყავისფერი მშრალი, რბილი, თითქოს ნაცრისებრი ხორციით.

აბედა სოკოს ნაყოფსხეული ფარმაცევტულ პრაქტიკაში ცნობილია *Agaricum albus*-ის სახელწოდებით. მის მთავარ მოქმედ ნივთიარებად ითვლება აგარიცინის მჟავა (*Acidum agaricum*), ანუ აგარიცინი (*Agaricin*), რომლის ქიმიური ფორმულაა $\text{HOOC}\cdot\text{CH}_2\text{C}(\text{OH})(\text{COOH})\cdot\text{CH}(\text{C}_{10}\text{H}_{33})\text{COOH} + \text{I}(\text{H}_2\text{O})$ და ხშირად ფისებთანაა შერეული. ფისების საერთო რაოდენობა 30—80% და რაც უფრო ძველია სოკო, მით უფრო მეტია ფისის რაოდენობა. ერთ-ერთი ფისი, რომელიც წითელი ფისის სახელწოდებითაა ცნობილი, შედის აბედა სოკოს ფისების შემადგენლობაშიც, რომელიც კუჭის ძლიერ ამშლელ საშუალებად ითვლება.

აბედა სოკო მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებად, გვარჯილით გაყენებული კი ცეცხლის გასაჩაღებლად.

მეცნიერულ მედიცინაში მას მხოლოდ გერმანიაში იყენებენ ოფლის გამოყოფის შესამცირებლად, განსაკუთრებით ტუბერკულოზით დაავადებულებში, აგრეთვე როგორც კუჭის ამშლელს და სისხლდენის შემაჩერებელს.

აბედა სოკოს სხვა მცენარეებთან ერთად ხმარობენ მუწუკის და ეგზემის სამკურნალოდ.

93. მარწყვი — *Fragaria vesca L.*

მარწყვის გვარი *Fragaria* ლათინურია და წარმოშობილია სიტყვა *Fragum*-დან, რაც მიწის ნაყოფას ნიშნავს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *vescus* — პატარას. მარწყვი უძველესი დროიდან გამოიყენება სამკურნალოდ და საჭმელად. ის მოხსენიებულია უძველეს ხელნაწერებში. 124 წელს იგი მოხსენიებული აქვს რომაელ მწერალს აპულეუსს. ამის შემდეგ ბევრ მწერალს აქვს ნახსენები. პილდეგარდს ის მოჰყავს თავის წიგნში (1098—1179). მარწყვი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, C ვიტამინს და მრავალ სუფთა ეთერზეთს. აქვს დამანა-

სიათებელი სუნი და გემო. გავრცელებულია მთელს ევროპაში და ყველაზე უფრო აზიის კონტინენტზე ბაიკალის ზღვამდე, იავაზე, სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიაზე. მისი კულტურული ჯიშები ყველგანაა გავრცელებული.

ჩვენში მარწყვი გავრცელებულია როგორც ველური, ისე კულტურული ფორმების სახით მთელ რესპუბლიკაში — ტყეებში, ბუჩქნარებში, ველობებზე, ტყისპირებსა და მშრალ ბალახოვან ფერდობებზე. ცნობილია ტყის მარწყვი (*F. vesca*).

მარწყვი ეკუთვნის ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს; დაბალი ტანის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. იკეთებს პწკალებს, ფესვთან ფოთლები გრძელყუნწიანია და გასამმაგებული. თითოეული მათგანი, განსაკუთრებით ქვედა ფოთოლაკი რომბული მოყვანილობისაა, აქვს ხერხკბილა კიდეები და ცენტრალურ მხარეზე აბრეშუმისებრი ბუსუსები. ყვავილები ხასიათდება ორმაგი ჯამით, ხუთფურცლიანი გვირგვინით და მრავალი მტვრიანათი, ნაყოფი წითელი ფერის, კვერცხნაირი ან მრგვალი ფორმისაა. საქართველოში ტყის მარწყვი გვხვდება დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის ზედა სარტყელამდე.

ჩვენი ხალხი დიდი ხანია იყენებს მარწყვის ნაყოფს, როგორც შარდსადენ საშუალებას. დავით ბატონიშვილი ამბობს: „მარწყვი მხურვალი და ხმელია, კაცმან, რომ მარწყვი დანაყოს და წყალი გამოხადოს და ამისი წყლითა კაცმან საჭმელი ჭამოს, ყუითლისა და შავის იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის და თუ კაცსა მუცელშიგა ჭია ასხია, იმას ყველას დახოს და გამოჰყრის“. ჩვენს ფარმაკოპეაში მარწყვი მოხსენიებული არ არის, მაგრამ საზღვარგარეთ (პორტუგალიაში) მის ფოთლებსა და ფესვებს (*Folia et Radix*), აგრეთვე (*Rhizoma*) დღესაც იყენებენ როგორც შარდსადენ საშუალებას, ხოლო თვით ნაყოფს (*Fructus Fragariae*) უნიშნავენ საშარდე გზებში კენჭების დაშლის მიზნით და აგრეთვე როგორც დიეტურ საშუალებას ნიკრისის ქარების დროს. მაგრამ მარწყვის დანიშვნისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ორგანიზმი მარწყვს ვერ იტანს, მისადმი ე. წ. იდიოსინკრაზია აქვს.

მარწყვის ნაყოფი შეიცავს ლიმონის და ვაშლის მჟავას, პექტინს, შაქარს, წითელ პიგმენტს, მთრიმლავ ნივთიერებას, ეთერზეთთა კვალს, ცილოვან ნივთიერებას; შაქრის რაოდენობა 3—4,5% არ აღემატება, თავისუფალი მჟავა — 1,3—1,65% შეადგენს, წყალი 87—88% და ნაცარი 0,6—0,7%. მარწყვის თესლში 14—19% ცხიმზეთია, ხოლო მისი ფოთლები და ფესვურები, პორტუგალიის მონაცემებით შეიცავს 10% მთრიმლავ ნივთიერებას, ციტრალს, ვიტამინს და 9% ნაცარს. მარწყვის პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Fructus Fragariae vescae Siccatai*, *Rhizoma Fragariae vescae*, *Herba Fragariae vescae*.

მარწყვის ნაყოფსა და მთლიან მცენარეს ხმარობენ ბუასილის საწყურნალოდ (აჭარა, სოფ. ურეხი).

მარწყვს სპეციალურ ნაკვეთზე აშენებენ (აჭარა, ზემო სვანეთი, სოფ. სუფსა), მისი ფესვების ნახარშს აძლევენ ბუასილის დროს, აგრეთვე ბორჯომის წყალსა და თაფლში მოხარშულ მაცვალს, პრასისა და ნიახურის ძირებს ასმევენ ამ დროს. იგი მასტიმულირებელ საშუალებადაც არის ცნობილი. მარწყვის ნაყოფის ნაყენს ღვიძლის ტკივილის დროს სვამენ.

94. ხეჭრელი — *Frangula alnus* Mill.

ხეჭრელი ეკუთვნის ხეჭრელასებრთა (*Rhamnaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება საკმაოდ მაღალი ბუჩქების სახით. სადა ღეროთი და ტოტებით. ჯამისა და გვირგვინის ნარჩენები ყლორტებზე რჩება ფოთლის კვალთან ერთად, კვირტები ხშირბუსუსიანია. ფოთლები კიდემთლიანი, მოგრძო, შიშველი და მბრწყინავი. გვირგვინი შიგნით თეთრია, ხოლო გარედან მწვანე. ნაყოფი 2—3-კურკიანი ბურთისებური კენკრაა, ჯერ მწვანე, შემდეგ წითელი, ხოლო დამწიფების შემდეგ კი მბრწყინავი შავი ფერის. გვხვდება ტყეებში, ტყისპირას, ბუჩქებს შორის, უპირატესად დაბლობ ადგილებში, მთის შუა სარტყელში, იშვიათად ტყის ზედა სარტყელშიც — სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, მესხეთში.

ხეჭრელი გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში და შეტანილია ჩვენი ფარმაცოპიის მე-7 გამოცემაში როგორც საფალარათო საშუალება. ის ნაკლებად აღიზიანებს ნაწლავებს და ამიტომ მას ხმარობენ ქრონიკული შეკრულობის დროს. მის ქერქს (*Cortex Frangule*) აგროვებენ, ჩვეულებრივ, ადრე გაზაფხულზე, ჩრდილში ამრობენ და ინახავენ ჭურჭელში ისე, რომ არ დაობდეს და არ დანესტიანდეს. ხეჭრელის ქერქის მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ანტირეგლუკოზიდი, რომლის რაოდენობა ქერქში 3-დან 5% შეადგენს როგორც თავისუფალი, ისე ნაერთების სახით. მათ შორის უმთავრესი ფრანგულინია. ხეჭრელის ახალ ქერქში მოიპოვება აგრეთვე მომშხამველი ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ცნობილია რამნუსტოქსინის სახელწოდებით. ის იწვევს მოწამვლასა და პირღებინებას. ერთი წლის შემდეგ რამნუსტოქსინი სრულიად ქრება გამშრალ ქერქში და ამ მხრივ ის სრულიად უვნებელი ხდება. თავისი საფალარათო მოქმედებით ხეჭრელის ქერქი სენეგასა და ალექსანდრიის ფოთოლს არ ჩამოუვარდება. ამ ბოლო ხანებში მისგან დაამზადეს ახალი გალენური პრეპარატი — ფრანგულინი. ასეთივე მოქმედება ახასიათებს იმერულ ხეჭრელასაც (*Rhamnus imeretina* Kohn.), რომელიც დამუშავებულია საქართველოს ფარმაცოქიმიური ინსტიტუტის მიერ. ხეჭრელის ფარმაცეპტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Decoctum cort. Frangulas*, *Extractum Frangulae* fl.

(ფარმაკოპეა, მე-7 გამ.).

იმერეთში ხეჭრელის ქერქსა და ნაყოფებს ხალხი იყენებს კუჭის ამშლელად.

95. იფანი — *Fraxinus excelsior* L.

იფანი ეკუთვნის *Oleaceae*—ბოტანიკურ ოჯახს. ის წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ხეს, დამახასიათებელი ნაცრისფერი ქერქით. იფანის კენტფრთაბრტყილი ფოთოლი, რომელიც შედგება დაახლოებით 3—6 წყვილი ფოთოლაკისაგან, განიერი ლანცეტაა, ზევიდან პრიალა, ხოლო ქვემოდან უფრო მოთეთრო. იფანის ყვავილი ფოთლებზე ადრე ვითარდება, შეკრებილია საგველა ყვავილედში, ყვავილსაფარი არა აქვს. საქართველოში იფანი გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროებიდან მთის შუა სარტყლის ტყეებში — აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, იმერეთში, გურიაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, ქიზიყში, ქვედა ქართლში.

იფანის ფოთლებს, ქერქსა და ნაყოფს საქართველოში იყენებენ ნახარშის და ნაყენის სახით ციების, ჭიებისა და თირკმლების დაავადებათა დროს, ხოლო მისი კვირტების ნაყენს — ზოგჯერ რევმატული ანთების დროსაც. მეცნიერულ მედიცინაში იფანი წინათ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ ჩვენ ძველ ფარმაკოპეაში მოხსენიებულიც იყო, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში იგი არ არის შეტანილი. დღეს იფანი შემორჩენილია მხოლოდ *Helvetica Editio Quanta* ფარმაკოპეაში, რომლის მონაცემებითაც იყენებენ იფანის ფოთლებს (*Folium Fraxini*), რაც ცნობილია აგრეთვე *Folium Linguae avis*-ის სახელწოდებით. ქიმიურად იფანის ფოთოლი შეიცავს 25-დან 82%-მდე ალკოჰოლ მანიტს (*Manitum*), თვით მანიტში შედის 2,2—3% გლუკოზა, 2,5—3,4% ლევულაზი, 12—16% მანონოტროპები, 6—16% მანინოტროპები, 1,5—2% ნაცარი, 0,05—0,1% ფისი, 10% წყალი და 10% გაურკვეველი ნივთიერებები. გარდა ამისა, იფანის ფოთლებში შედის ინოზიტი, ქვერციტრინი, სახაროზი, დექსტროზი, ვაშლისა და ლიმონის მჟავა, ლორწო, მთრიმლავი ნივთიერება, ეთერზეთები, ვიტამინი და 10% ნაცარი. იფანის ახალი ქერქი შეიცავს გლუკოზიდ ფრაქსინს გლუკოზითა და ფრაქსეტინით, რომელიც ტრიოქსი-კუმარინ-მონომეთილ-ეთერია. გარდა ამისა, იფანის ქერქში ნახეს მთრიმლავი ნივთიერება, წებო, ეთერზეთი, მწარე ნივთიერება ფრაქსინინი (რომელიც ზოგს მანიტი ჰგონია). მანიტს მცენარეთა უმრავლესობა შეიცავს. იგი შეიძლება დაკრისტალდეს ნემსისებური კრისტალების სახით. სუფთა მანიტი უსუნოა და ხასიათდება სასიამოვნო გემოთი. მისი ლღობის ტემპერატურა 166°-ს უდრის, კუთრი წონა — 1,521. მანიტი ხშირად იწვევს ნაწლავებში რძემჟავას ამბოხს. მანიტის ამბოხის პროდუქტებია წყალბადი, ნახშირმჟავას ანჰიდრიდი, ეთილის ალკოჰოლი, ძმრის, ერბოს და

რძის მკვება. მეცნიერულ მედიცინაში მანიტს უნიშნავენ როგორც ნახსაფლარათოს და აგრეთვე სხვა საფლარათო საშუალებათა გემოს შესაცვლელად. მისი ფარმაკეგული პრეპარატებია *Manna Canelata*, *Manna communis*, *Sirupus Mannae*, *Infusum Sennae-compositum Mannitum*.

ხალხურ მედიცინაში იფნის ქერქს მალარიის წინააღმდეგ იყენებენ. იფანს ამ მიზნით ეზობებში აშენებენ.

96. შავთარა — *Fumaria Schleicheri* Soy. Will; *Fumaria officinalis* L.

შავთარას გვარი (*Fumaris*) წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან — *fumus*, რაც ნიშნავს ხავერდოვანს, არაგლუვს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *Schleicheri* ბოტანიკოსის გვარია, *officinalis* სამკურნალოს ნიშნავს, უძველეს ხალხებში შავთარას გვარი სამკურნალოდ ცნობილი არ იყო. ის მხოლოდ რომელი ექიმის — გალენის დროიდანაა ცნობილი. შეიცავს ალკალოიდ ფუმარინს, პროტოპინს, ფუმარმჟავას, ფისს, ლორწოს და მწარე ნივთიერებას. ახალ მცენარეს სუსტი ნარკოტიკული სუნი აქვს. გამხმარი უსუნოა, მწარე და ოღნავ მარილიანი გემოთი. შავთარას ასმევენ ნაყენების სახით კუჭის ფუნქციური მოქმედების გასაძლიერებლად, აგრეთვე ჩაის სახითაც. მისი დიდი რაოდენობით მიღება არ შეიძლება, რადგან დიდი რაოდენობით ალკალოიდი ფუმარინი ოპიუმის მსგავსად მოქმედებს.

შავთარა გავრცელებულია არქტიკაში, ხმელთაშუაზღვისპარეთში მთელს ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ხოლო შემდეგ სხვა კონტინენტებზეც შეიტანეს, ჩვენში, როგორც სარეველა მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებზე და ნათესებშია. გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, ჯავახეთში, მესხეთში, *F. schleicheri* მთის შუა სარტყლამდე რუდერალურ ადგილებზეა აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში, ქვედა ქართლში. *Fumaria officinalis* L.

შავთარა ყაყაოსებრთა (*Papaveraceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი 15—30 სმ სიმაღლის ბალახია, მისი ყვავილთანი ყვავილსაჯდომთან შედარებით 2—3-ჯერ მოკლეა. გვირგვინი 5—6 მმ სიგრძის მოწითალო-იისფერია. მესხეთში ადგილობრივი მცხოვრებლები შავთარას იყენებენ დაქუჩილობისა და დამწვრობის სამკურნალოდ. ამ სახეობის მსგავსად იყენებენ მეორე სახეობასაც (*Fumaria officinalis* L.).

97. ნაღველა, მამის ყვავილი — *Gentiana Schistocalyx* C, Koch. *Gentiana semtemfida* Pall., *G Lutea* L.

ნაღველას, ანუ მწარის გვარის *Gentiana* სახელწოდება წარმომდგარია ლათინურიდან; ილორის ერთ-ერთ თავადს გენტიუსს ნაღველა გამოუყენებია შავი ჭირის წინააღმდეგ და მის პატივსაცემად

ყვითელ ნაღველას და, კერძოდ, ამ გვარს *Gentiana* დაარქვეს. მისი სახეობის აღმნიშვნელი *Lutea* ლათინურია და ნიშნავს ყვითელს. დიოსკურიდესა და პლინიუსს გენტიუსზე ადრე აქვთ აღწერილი ნაღველა. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ამ მცენარის ფესვებს იყენებდნენ როგორც მწარეს (მწარე საშუალებას), მე-15 საუკუნიდან კი ხმარობდნენ ჭრილობათა შემხორცებლად, საშვილოსნოს დაავადებათა საწინააღმდეგოდ და სხვა. მან ლურსმანა ლამინარიაც კი შეცვალა. *Gentiana Lutea*, *G. pannonica*, *G. purpurea* და თითქმის მწარისა ყველა სხვა სახეობა, მათ შორის *Gentiana asclepiadea*, *G. sanguineum* და სხვათა ფესვები *Radix Gentianeae* შეიცავს მწარე ნივთიერების შემცველ გლიკოზიდს — გენციობიკრინს, გენციინს, გენციამარინს, შაქარს, პექტინს, მლაშე ზეთს, ეთერზეთს, მწარე, მწკლარტე და ოდნავ ტკბილ ნივთიერებებს. ეს მწარე ნივთიერებები ხელს უწყობენ კუჭ-ნაწლავის სეკრეციის გაძლიერებას და აჩქარებენ მონელებას. მეტწილად მას მადის მომგვრელად ან საჭმლის მომნელებლად ხმარობენ ჩაის სახით. დიდი დოზით ან მისი ხშირი მიღება იწვევს პირღებინებასა და საერთო მოღუწებას. ნაღველას მზა პრეპარატის ნაზავს რკინასთან ერთად უნიშნავენ ანემიის დროს, მეტწილად ცივი სახით. ნაღველა რეკომენდებულია სასმელების წარმოებაში ფერმენტაციისათვის.

ნაღველა გავრცელებულია სამხრეთ ევროპის მაღალ მთებში (2500 მეტრამდე ზ. დ.), პირენეის ნახევარკუნძულის მთებში, აღმოსავლეთ მცირე აზიაში. ჩვენში თითქმის ყველგანაა გავრცელებული. იზრდება მდელოებზე, მთის ზედა და ალპურ სარტყელში — აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, *G. schistocalyx* კი იმავე ადგილებში გარე კახეთის ჩათვლით.

მამის ყვავილი ეკუთვნის *Gentianaceae* ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია როგორც ანტიმალარიული, კუჭის და ნაწლავების გამამაგრებელი, სისხლიანი შარდის საწინააღმდეგო და ჭიის დამდენი საშუალება. მეცნიერულ მედიცინაში *Stomachica*-დ ცნობილია მამის ყვავილის სხვა სახეობა, სახელდობრ, 1. *Gentiana Lutea* L. (*Asteriae Lutae* Bork — haus) ვ. შოთაძის მონაცემებით ირკვევა, რომ ჩვენი სახეობა თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდება მეცნიერულ მედიცინაში მიღებულ სახეობას. ეს უკანასკნელი (*Gentiana Lutea* L.) ძირებში (*Radix Gentianeae*) შეიცავს მწარე გლუკოზიდ გენციობიკრინს, რომელიც მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება, გენტიზინს, ნახშირწყლებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს და სხვა. შოთაძის მონაცემებით კი ყველა ეს ნივთიერება ჩვენს სახეობაშიც არის. შევიცარიის ფარმაცოპიის მი-

ხედვით ამავე შემცველობისაა *Gentiana cruciata* L., რომელიც იზრდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტყის პირებსა და ტყის მდელოებზე.

2. *Gentiana pneumonanthe* L. აფხაზეთის, ბათუმის, ქუთაისის და საქართველოს ზოგიერთი სხვა მხარის ტყეებში ხარობს.

3. *Gentiana Caucasica* M. B. გავრცელებულია ჩვენს ალპურ ზონებში და მდელოებზე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მის ვარგისიანობაზე მიგვიითივებს კლინგე. ამ მხრივ ყურადსაღებია აგრეთვე სახეობა *Gentiana gelida* M. B., რომელიც საქართველოს მდელოებზე იზრდება.

შვეიცარიის ფარმაკოპეით მამის ყვავილის ძირები უნდა გაშრეს ფერმენტაციის გარეშე 50—60°-ზე. გარეშე მინარევები 2%-ზე მეტი არ უნდა იყოს. იტალიისა და ნორვეგიის მონაცემებით, იგი შეიცავს 5—6% ნაცარს, აშშ მკვლევარების აზრით მასში შემცველი წყალი 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს. მამის ყვავილის ძირები შეიცავს გენისტინს, მაგრამ თუ მასში შერეულია *Rumex*-თა ძირები, მაშინ გენისტინის შემცველობა ქვეითდება. მისი პრეპარატებია *Extractum Gentianae* (გერმანია), *Extractum Gentianae* (ბრაზილია), *Extractum fluidum Gentianae compositae* (სუეცი), *Extractum Stabilisatae* (გალიცია), *Infusum Gentianae compositum race* (ბრიტანეთი), *Infusum Gentianae Compositum concentratum* (ბრიტანეთი), *Infusum Gentianae compositum cum Arseno* (Tenn), *Sirupus Gentianae* (ბრაზილია), *Extract concentre pour Sirop de Gentiane au dixieme* (გალიცია), *Tinctura amara* (გერმანია), *Tinctura Gentianae* (საბჭოთა კავშირი, გერმანია, იუგოსლავია, ნორვეგია), *Vinum Gentianae* (ბრაზილია), *Vinum Gentianae compositum* (პორტუგალია). უნდა ითქვას, რომ მამის ყვავილის გვარში გენციანპიკრინი არა მარტო ფესვებში, არამედ მთლიან ბალახშიცაა.

რაჭაში მამის ყვავილს ფართოდ იყენებენ ნალელის ბუშტის დაავადებათა წინააღმდეგ, მადის მომგვრელად და სხვ., მას ძირითადად აგროვებენ, აშრობენ, ინახავენ. ონის რაიონში სოფ. უწერაში მას სურავანდის წამლად ხმარობენ.

ნალველა სპეციალურად მოშენებული აქვთ ეზოებში (უწერა).

სოფ. თვალადში კუჭის წყლულის დროს აძლევენ „დედამიწის ნალველას“ — *Gentiana*, რომელიც ძალიან მწარე დასალევეია, ნალველა ჩამოაქვთ ძვევარადან, ის თვალადში იშვიათად ხარობს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ნალველას *Gentiana Semptemfida* Pall. სახეობის მიმართ.

98. ნემსიწვერა — *Geranium sanguineum* L., *Geranium Robertianum* L.

ნემსიწვერას ორივე სახეობა მსგავსი მოქმედებით ხასიათდება.

სამკურნალოდ ნემსიწვერას ეს სახეობა (*Geranium sanguineum*) რობერტმა და რუპრეხტმა დაამკვიდრეს, ისე კი მანამდეც იყო სამკურნალოდ ცნობილი. გვარის სახელი *Geranium* მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც წეროს ნიშნავს. მართლაც მისი ნაკოფი წააგავს წეროს ნისკარტს. სახეობის სახელი კი რობერტის პატივსაცემად დაერქვა, *Sanguineum* ნიშნავს სისხლისფერს, სისხლისებურს, წითელს. ჯერ კიდევ პარაცელსის დროს ნემსიწვერა ცნობილი იყო როგორც საგულე საშუალება, მას იყენებდნენ გულის შეკუმშვისუნარიანობის გასაძლიერებლად და დებრესიული მდგომარეობის სტიმულატორად. მთლიან ბალახს ახმობდნენ და იღებდნენ ფხვნილის სახით ან ურევდნენ პურში, ის შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, გერანის ზეთს. მისგან გამოხდილ წყალს ყელში ივლებდნენ, განსაკუთრებით მომღერლები.

ნემსიწვერა გავრცელებულია მთელს ევროპაში, იაპონიაში, ცენტრალურ აფრიკაში, ახალ მიწაზე, ატლანტიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში იზრდება ყველგან ტყის სარტყელში, ვრცელდება სუბალპურ სარტყლამდე ტენიან და ჩრდილიან ადგილებში.

ნემსიწვერა ეკუთვნის ნემსიწვერასებრთა (*Geraniaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. აქვს დიდი ყვავილები, გვირგვინი სისხლისფერი, 15—20 მმ სიგრძის ფოთლის სეგმენტები დანაწევრებულია ვიწრო-ხაზურ ნაწილებად, სიმალით 30—50 სმ, ნემსიწვერას მეორე სახეობას—*Geranium Silvaticum*-საც ამავე მიზნებისათვის იყენებს ხალხი, იგი 30—60 სმ სიმაღლის ბალახია, მისი გვირგვინი მოწითალო-ისფერია, 14—17 მმ სიგრძის ფოთლის სეგმენტები დაგლეჯილ-დაკბილულია.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მას ხმარობენ კუჭის აშლილობის, სისხლდენის, ქალური დაავადების, სახსრების ტკივილის დროს და სხვა.

ნემსიწვერატი ლეკოსანში (ლეჩხუმი) მკურნალობენ გველის ნაკბენს, საერთოდ დასუნულს, დმწერლობას. მცენარე ამ სოფელში მოშენებული აქვთ ეზოებში.

როლოვის მიხედვით, ამ მცენარეთა ტუბერაკები მატონიზირებელ საშუალებად ითვლება.

99. ოშოშა — *Glechoma hederacea* L.

ოშოშას (*Glechoma*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვა *Glechon*-დან, რაც საგულე პიტნას ნიშნავს. ოშოშას პიტნასთან საერთო არაფერი არა აქვს, მაგრამ ერთი შეხედვით, თითქოს ჰგავს. სახეობის აღმნიშვნელი *hederacea* — ხშირფოთლოვანს ნიშნავს. ოშოშა უძველეს ხალხებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალება იყო. ახლა კი უფრო ხალხურ მედიცინას შემორჩა. მეცნიერულ მედიცინაში იშვიათად მიმართავენ კუჭის კა-

ტარის დროს ჩაის სახით. მისი მზა სააფთიაქო მასალა ცნობილია — *Herba Hederæ terrestris*, *Herba Glechomæ*-ს, სახელწოდებით, რომელიც შეიცავს ეთერზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას და მწარე ნივთიერებას. ოშოშას მთლიანი ბალახის როგორც ნედლი, ისე მშრალი მასა სასიამოვნო სუნით ხასიათდება, აქვს მწარე ან ოდნავ მწკლარტე გემო. ოშოშა გავრცელებულია მეტწილად ევროპაში, აზიაში, იაპონიაში. ევროპასა და ჩრდილო სკანდინავიაში ოშოშას არეალი ხმელთაშუაზღვის ქვეყნებიდან გავრცელდა ამერიკაში, კავკასიაში. ჩვენში იზრდება ტენიან ადგილებში, ტყისპირებზე, მდელოებზე, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე — აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, გარე კახეთში.

ოშოშა ეკუთვნის ტუჩოსანთა (*Lamiaceæ*) ბოტანიკურ ოჯახს, აქვს შებუხვილი 15—60 სმ სიგრძის, დატოტვილი გართხმული ღერო და ყუნწიანი ფოთლები, ქვედა ფოთლები რკალისებურია, ხოლო ზედა კი გულის მოყვანილობისაა. 2—3 ყვავილი იზრდება ერთად, ჯგუფურად. მოიხფრო გვირგვინი 15—20 მმ სიგრძისაა და 2—3-ჯერ უფრო გრძელია ჯამზე. ოშოშა კარგად იტანს ჩრდილს და იზრდება ნესტიან ადგილებში, განსაკუთრებით ღობის ძირში, ბუჩქებს შორის და ტყის პირას.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ოშოშას გაჭირვების ტალკევის უწოდებენ. ოშოშას ნასარშით და ნაყენით მკურნალობენ მოტეხილობას, ნალრძობს, სიმსივნეებს, გაბინძურებულ წყლულებს და სხვ. ჩვენს ფარმაცოპეასა და მეცნიერულ მედიცინაში ოშოშა მოხსენიებული არ არის, მაგრამ ბრაზილიაში მას წარმატებით იყენებენ და ფარმაცოპეაშიც აქვთ შეტანილი. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან ბალახს *Herba Hederæ terrestris*-ის სახელწოდებით. ის შეიცავს ეთერზეთს, რომლის რაოდენობა ახალ ბალახში 0,03% უდრის, ხოლო გამშრალში 0,065%, 5,9%—7,5%, მთრიმლავ ნივთიერებას, მწარე ნივთიერებას, ქოლისს, წებოს, მარილს და ღვინის მჟავას. ნაცრის რაოდენობა გამშრალ მცენარეში 10% -ს არ აღემატება. ბრაზილიაში ცნობილია ოშოშას შემდეგი პრეპარატები: *Exstratum Glechomæ (Hederæ terrestris) fluidum* და *Sirupus Glechomæ (Hederæ terrestris)*, რომელშიც შედის 50 ცმ ფლუიდექსტრაქტი და 950 ცმ *Sirupus simplex*.

როლოვის მიხედვით, ოშოშას წყლის ან რძის ნახარში იხმარება ფილტვების მწვავე კატარის, მუცლის ჭვლების, ასთმის, ყელის დაავადებათა, შარდის ბუშტის ანთებისა და კანის დაავადებების დროს. აგრეთვე გაბინძურებული ჭრილობების და შემსივნებული ადვილების დასაცხრობად.

ზუგდიდში, ოდიშში, ზემო ცაგერში, სევა, სვანეთში, კასპის რაიონში, ეზოებში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად მოშენებული აქვთ ოშოშა და იყენებენ ნალრძობის სამკურნალოდ.

სოფ. სხვიტორში აკაკი წერეთლის ეზოში დღესაც შემორჩენილია ოშოშა.

სოფ. სევაში ეზოს ღობის გასწვრივ და ღელის პირას ვნახეთ სპეციალურად მოშენებული ოშოშა, ოშოშას და ნიორს ერთად ხარშავენ ძმარსა ან რძეში და ადებენ ნალრძობზე.

100. ძირტკბილა — *Glycyrrhiza glabra* L.

ძირტკბილა ეკუთვნის პარკოსანთა Fabaceae (Leguminosae) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ღერო, ფოთლისა და ყვავილების ყუნწები მოკლე ბუსუსითაა დაფარული. ფრთართული ფოთლები 9—15 ფოთოლაკისაგან შედგება და მორიგეობით განლაგებულია ღეროზე. თითოეული ფოთოლაკი მოგრძო კვერცხისებურია და მასში არსებული ფისის შემცველი წერტილოვანი ჯირკვლების გამო ქვედა მხარეზე პრილაა. იისფერი ყვავილები შეკრებილია მტევან ყვავილედში. ნაყოფი — მოგრძო ფორმის თვითუხსნადი პარკია. ძირტკბილა ჩვენში გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროებიდან დაწყებული მთის წინამდე, განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე, ველებზე, ნათესების ახლოს. გვხვდება აგრეთვე მლაშობ ნახევრადუდაბნობებზე, სადაც დამლაშება შედარებით სუსტია და დანესტიანება ძლიერი. ამიტომ ძირტკბილას სხვადასხვა დაჯგუფებაში ვხვდებით. მაგრამ ხშირად ის სუფთა სახის დაჯგუფებასაც ქმნის. ძირტკბილას ასეთ მასივებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მარნეულის რაიონში და მტკვრის სანაპიროს გასწვრივ. ჩვენი ხალხი უხსოვარი დროიდან იყენებს ძირტკბილას ფესვებს, როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალებას.

დავით ბატონიშვილის თქმით, ძირტკბილას ფესვები (*Radix Glycyrrhizae S. Liquiritiae*), ძირტკბილას წვენი (*Succus Liquiritiae*) და ძირტკბილას ძირის წყალი „ხუნაყისათვის მწოვედ კარგი, მრავალჯერ დაცდილი არისო: მოიტანე რძე და ლელვი და ბალღური ყარა, ვითამცა და წყაროს სუმბულიო, რომე სპარსნი ფარისიომანს უძახიან, ძირტკბილას ძირი, ბოლოკის წვენი და ანაკვეთი და ესეები ყველა დაჯეჯკეთ და შაქრითა და ნუშის ზეთითა წამოადღლე და ისრუ ჭამონ, და ხუნაყსა უშველის“.

მეცნიერულ მედიცინაში ძირტკბილას ძირს იყენებენ როგორც ამოსახველებელ საშუალებას და სუსტ შეღავათის მომცემს. იგი მოხსენიებულია როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეაში (მე-7 გამ.), ისე გერმანიის, ამერიკის, ნიდერლანდების, დანიის, შვეიცარიის, იუგოსლავიის, იტალიისა და სხვათა ფარმაცოპეაში. ქიმიურად მისი ფესვები *Radix Liquiritiae* შეიცავს გლიცერიზინს გლიკურონით (რომელიც წარმოადგენს დიგლიკურონმჟავა ესთერს გლიცირეტინ მჟავათი კალიუმსა და კალციუმთან კავშირში), 5,9—7,3% საპონინისმაგვარ ნივთიერებებს, რომლებიც საპონინისაგან

იმით განსხვავდება, რომ ჰემოლიზური მოქმედებით არ ხასიათდება, გლუკოზიდ გლიცირიზინის მჟავას (რომელიც ჰიდროლიზით იშლება აგლიკონ გლიცირეტინის მჟავად) და გლუკოზიდ ლიქუირიციინს, რომელიც ლიქუირიციგენინთან ერთადაა, გლუკოზი, სახამებელი, ასპარაგინი, 0,25% აზოტოვანი ნივთიერება, 3,5% ცხიმი, ოქსიდმჟავა, ვაშლის მჟავა, 2,5—2,7% და ზოგიერთებში 6,5%-მდე საქაროზი, გლუკოზი, 1,5% მანიტი, 2,3%—4% უხსნადი მწარე ნივთიერებანი, 3—6% ხსნადი მწარე ნივთიერებანი, 1,8%—4% ფისი, 30% ექსტრაქტული ნივთიერებანი, 8—9% წყალი, 4,5%—8% ნაცარი. არ შეიცავს არც ერთ საპონინს და არც გლიკურონის მჟავას. შვეიცარიის ფარმაკოპეაში ამ მცენარის პრეპარატებიდან ცნობილია *Radix Liquiritiae ad usum veterinarium*.

ძირტკბილასა და მრავალძარღვასაგან მომზადებული წამლებით მკურნალობენ ბრონქულ ასთმას და სისხლის წნევას (ზესტაფონი).

101. სურო, ფათალო — *Hedera caucasigena* Pojark (*H. Helix auct cauc. non L.*).

სურო ეკუთვნის სუროსებრთა (*Araliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც ჩვენში უხვად არის გავრცელებული. ეს ლიანა მცენარე უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში გვხვდება, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოშიც არაა ნაკლებ გავრცელებული. ცნობილი ძველი ქართველი სახალხო ექიმები ფათალოს იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ და აგრეთვე ურევდნენ თავის ტკივილს საწინააღმდეგო წამლებშიც. უძველესი დროიდან იყენებენ ბალზამების ერთ-ერთ შემცველად დაფნისა და ქაფურის ზეთთან ერთად, აგრეთვე ხმარობენ ფერადი ზეთოვანი საღებავების დამზადებისას. ამ ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ სუროს ნაყოფი, რომელიც ზამთარში მწიფდება და ფრინველების (შაშვების) საყვარელ საკვებს წარმოადგენს, შეიცავს ვიტამინების დიდ რაოდენობას. ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩვენი წინაპარი ქართველი ექიმები ცინგის წინააღმდეგ სუროს ნაყოფის ნახარშს უნიშნავდნენ. სამკურნალოდ იყენებენ სუროს ახალგაზრდა ყლორტებს *Herba Hederae helicis*-ის სახელწოდებით, ზოგჯერ მას სხვა სახელწოდებითაც შეხვდებით. მაგალითად *Folia (Herba) Hederae arboreae (communis majoris* და *Herba Helicis*), რომელიც შეიცავს რამდენიმე გლიკოზიდს, სახელდობრ, წყალში ხსნად გლიკოზიდს, ამორფულ, წყალში უხსნად გლიკოზიდს, კრისტალურ, წყალში უხსნად გლიკოზიდსა და α — პედერინს, $C_{42}H_{66}O_{11}$ გლიკოზიდსა და გლიკოზიდს — პედრაგენინთან ერთად, არაბინოზას და რამნოზას (მეთილპენტოზას), ერთ საპონინს, პედერინს, პედერაგენინს, პედერაგენინთან ერთად ფოთლებში არის ინოზიტი, კაროტინი, ქლორომეთილაკოპოლი, პედერა-პეროქსიდაზა-გლიკოპროტეიდი, 2% ნაცარი და სხვა.

სურო აფხაზეთის მცხოვრებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ქ. ზუგდიდში ეზოებში ვნახეთ სპეციალურად მოშენებული სურო, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ.

ახალმენის მცხოვრებნი (აჭარა) სუროს ხმარობენ ჩირქის გამოძენად დამწვრობის დროს. ადებენ დანაყილს ან მთლიანად ფოთლებს. საერთოდ ფათალო ხალხში ცნობილია ლორწოვანი გარსის ქრონიკული კატარის, ტუბერკულოზის და რაქიტის სამკურნალო, ჭრილობათა შესასორცებელი საშუალება და ა. შ.

102. მზესუმზირა — *Helianthus cultus* Wenzl. (*H. annuus* L.).

მზესუმზირა ეკუთვნის რთულყვავილოვანთა *Asteraceae* (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს. ის ერთწლიანი მცენარეა, 2 მეტრამდე სიმაღლის სწორმდგომი ღეროთი. ღერო და ფოთლები ხაოიანი ბუსუსითაა შემოსილი. საკმაოდ დიდი, გულნაირ-კვერცხნაირი ყუნწიანი ფოთლები ხერხებილა ნაპირებით ღეროზე მორიგეობითაა განწყობილი. ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია დიდი ზომის კალათა ყვავილედში, რომლის ნაპირას გრძელი ენაკიანი ყვავილები სხედან, ხოლო შუაში კი — მილნაირი; ნაყოფი თესლურაა. ჩვენში მზესუმზირა კულტურაშია გავრცელებული, მაგრამ გვსვდება გველურებული სახითაც. მეცნიერულ მედიცინაში მისი თესლიდან გამოწნეხილ ზეთს (*Oleum Helianthi*) იყენებენ ისევე, როგორც ლენცოფას ზეთს (*Oleum Hyoscyami*). იხმარება აგრეთვე ბევრი სხვა ძვირფასი ზეთის ნაცვლად და გამოყენებულია ფარმაციაში, როგორც დამხმარე საშუალება. მოხსენიებულია ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში და აგრეთვე საზღვარგარეთაც. ხალხურ მედიცინაში იყენებენ მზესუმზირას ფოთლებსა და ყვავილს (*Flores et Folia Helianthi annui*), რომლებსაც აგროვებენ მცენარის ყვავილობის პერიოდში. მზესუმზირას ყვავილი შეიცავს კრიბტოქსანთინს, ლუტეინს, ტარაქსანთინს, მცირეოდენ კაროტინს, ქოლინს, ბეტაინს და სხვ. ხოლო მისი თესლი (*Fructus, semen Helianthi*) შეიცავს 20—37% ცხიმზეთებს. მარცვლებში შედის 40—50% ცხიმზეთი, 0,45% ლეციტინი, 0,15% ქოლესტერინი, 0,6% ორგანული მჟავები, 24% ცილა, გლობულინი, ედესტინი, კონგლენტინი, არგინინი, ფიტინი, ბეტაინი, პელიანთის მჟავა, ქლოროგენმჟავა, საქაროზი, ლიპაზი, ფენოლაზი, ფოთლებსა და ყვავილებს იყენებენ როგორც მწარეს, წვეთებისა და ნაყენის სახით.

სახალხო მკურნალები მზესუმზირას ყვავილით ამზადებენ ბოტკინის დაავადების წამალს, ხოლო ნაყოფისგან სიფილისის სამკურნალო წამალს (გორი).

103. ნეგო — *Helichrysum armenium* (Tisch. et Mey.) DC. *Helichrysum polyphyllum* Ledeb *H. plicatum* DC., *H. plintocalyx* (C. Koch.) Sosn.

ნეგო (უხმობელა, უკვდავა) მკვდრის ყვავილის გვარი (*Helich-*

rysum) წარმომდგარია ბერძნული სიტყვა helios-დან (მზე) და Chrisos (ოქრო) და მართლაც ამ მცენარის კალათა ყვავილედ იქროსფრად ყვითელია და მზესავით ბრწყინავს, ხოლო სახეობის სახელწოდება arenarium ლათინურია და ნიშნავს ქვიშიან ნიადაგზე მოზარდ მცენარეს (arena — ქვიშა). ნეგო, როგორც სამკურნალო საშუალება, უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ არ იყო შეტანილი ე. წ. „ბალახთა წიგნში“ (ჩვენებური კარაბადინის მსგავს წიგნებში) დიოსკურიდესა, პლინიუსისა და გალენის დრომდე, ხოლო ახალი წელთაღრიცხვიდან „ბალახთა წიგნებში“ იხსენიება. მკედრის ყვავილი (Helichrysum arenarium) ყველასათვის სამკურნალო საშუალებაა. Flores stoechados-ის სახელწოდებით, რომელიც შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთრიმლავ ნივთიერებას და მრავალ ეთერზეთს. მზა სააფთიაქო ნივთიერება არომატულია და მომწარო გემოსი. მას იყენებენ თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა სამკურნალოდ. ის შეიცავს კრემენმჟაეას და ასე კქვია მზა გასაყიდ მასალას — კრემენმჟაეას ბალახის ჩაი, ანუ „Slada“. მასში ძალზე ბევრია მწარე ნივთიერება და ამის გამო ის აძლიერებს სეკრეციულ ფუნქციას (ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხის გამოყოფას), არის მადის მომგვრელი და კუჭის მუშაობის მომწესრიგებელი. იგი მოხარშული (Fluidextract-ის) სახით იყიდება აფთიაქებში.

ნეგო გავრცელებულია შუა ევროპაში, პოლანდიაში, ბელგიაში, საბჭოთა კავშირში კავკასიის ჩათვლით, შუა ბალკანეთამდე. ხარობს მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყელში მშრალ, ქვიან და ღორღიან ადგილებში. საქართველოში გავრცელებულია რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, ჯავახეთში, მესხეთში, ქიზიყში, გარდაბანში.

ნეგო ეკუთვნის რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს, სიმაღლით 40 სმ აღწევს, ფესვიდანვე დატოტვილი ღერო დაფარულია მოთეთრო ქეჩისებრი ბუსუსით, ღერო დაფარულია ყუნწიანი ლანცეტა ფოთლებით. პატარა ყვითელი ყვავილები სფერული ფორმის კალათებში ისე სხედან, რომ ფარისებრ საგველა ყვავილედის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩვენი ხალხი ნეგოს იყენებს სანაღვლე გზებისა და ღვიძლის დაავადებათა დროს, განსაკუთრებით სიყვითლის შემთხვევებში. მისი სუსტი მოქმედების გამო ჩვენს ფარმაცოპეაში იგი მოხსენიებული არ არის, ხოლო საზღვარგარეთ მას დღესაც იყენებენ როგორც ნაღველის მომდენ საშუალებას, აგრეთვე ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭნაწლავის ტრაქტისა და შარდ-სასქესო გზების დაავადებათა დროს. აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან მცენარეს, რომელიც შეიცავს ეთერზეთებს, მწარეებს, მთრიმლავ, საღებავ და სხვა ნივთიერებებს.

ნეგოს სხვადასხვა სახეობას ასკილის ნაყოფთან ერთად იყენებენ ღვიძლისა და თირკმლის დაავადებათა საწინააღმდეგოდ. სოფ. ლებში
გ. ზ. შენგელია

ეზოს გვერდით ფერდობზე გავრცელებულ ნეგოს სახეობებს გამრავლებამი ხელს უწყობენ და ცდილობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ექსპლუატაცია გაუწიონ ამ ნაკვეთს. მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ. უფრო ხშირად ნეგოს სხვადასხვა სახეობას სხვა ადგილებში ავროვებენ და სხვენზე ინახავენ.

როლოვის მიხედვით, ნეგოს ყვავილების ნახარში ძლიერი შარდმდენი და ჭიის გამომდენია, ასევე ხალხი იყენებს კანის დაავადებათა, სიყვითლის, წყალმანკის და კბილის ტკივილის დროს.

104. ხარისძირა — *Helleborus caucasicus* A. Br.

ხარისძირას გვარის *Helleborus* სახელწოდება წარმომდგარია ორი ბერძნული სიტყვიდან — *helein* — სასიკვდილო, მომუხამველი და *bora* — საჭმელი, რაც ერთად გულისხმობს შხამიან მცენარეს. სახეობის სახელწოდება *niger* ნიშნავს შავს, *viridis* — მწვანეს, *caucasica* — კავკასიურს. ხარისძირა უხსოვარდროინდელ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს, თეოფრასტე და დიოსკურიდე თავიანთ ნაწერებში მას იხსენიებენ როგორც შხამიან მცენარეს. ახალი წელთაღრიცხვიდან ხარისძირა და საერთოდ მისი გვარი ცნობილია მზა წამალთა შორის, როგორც მკვრივ ნივთიერებათა შემცველი, და მას სამკურნალო საშუალებად ასახელებენ. ხარისძირათა გვარის წარმომადგენლები ყველა სამკურნალო ნივთიერებათა აღწერილობის წიგნებშია შეტანილი. მედიცინაში მის ფესვებსა და ფესურებს *Rhizoma Hellebori*-ს სახელწოდებით იყენებენ. მისი ყველა სახეობა შეიცავს გლიკოზიდ ჰელებორინს და ცნიმზეთს. გამშრალი მასალა შავია, თავისებური სუნით და ოდნავ მოტკბო გემოთი, ხოლო შემდეგ მოტკბო გემო გადადის ძალზე მწარე, არასასიამოვნო გემოში. გლუკოზიდი ჰელებორინი გულზე ძლიერ მოქმედებს, ამიტომ მისი მზასახით მიცემა გულით დაავადებულისათვის აკრძალულია. ხარისძირას გამონახარშ წყალში აბანავენ სუსტ ბავშვებს. მაგრამ გულით დაავადებულთათვის არც მის წყალში ბანაობა შეიძლება.

ხარისძირა გავრცელებულია უმთავრესად უნგრეთში, კავკასიაში (განსაკუთრებით საქართველოში), მთის ქვედა და შუა სარტყელში, ტყესა და ტყის პირებზე.

ხარისძირა — *Helleborus caucasicus* A. Br. მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ხარისძირასებრთა — *Helleboraceae* ბოტანიკურ ოჯახს. ივითარებს მსხვილ ფესურას, ღერო სუსტადაა შეფოთილი. ფესვთან ფოთლები ტყავისებურია, თათისებრ დანაკეთული, ყვავილი დიდი ზომისაა, თეთრი, მოყვითალო-მომწვანო ელფერით, ნაყოფი ფოთლურაა, თესლი შავი. იზრდება აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამხრეთ ოსეთის და ქართლის ტყეებში და ტყისპირებზე.

ვეტერინარიაში, უმთავრესად ქირურგიაში ე. წ. ხარისძირას ჩნი-

რების სახით უძველესი დროიდან იყენებენ, ის შეიცავს ორ გლუკოზიდს. ჰელებორინს ($C_{36}H_{42}O_6$) და ჰელებორეინს ($C_{21}H_{34}O_{10}$). პირველი ზურგისა და თავის ტვინზე მოქმედებს დამადამბლავებლად, ხოლო მეორე, გარეგანი ხმარებისას გამლიზიანებელია, პირის გზით მიღებული კი მოქმედებს ფუტკარას (*Digitalis*) მსგავსად. ამერიკაში ხარისძირას მწარე სახეობას ურჩევენ თხიერი გამონაწვლილის სახით, როგორც *Sedativum* და *diureticum*-ს.

ხარისძირას იყენებენ ცხენების სამკურნალოდ (ზურგის დაშავების შემთხვევაში) და ხარის კისრის შესიების დროს (გუდაუთა, ლიხნი).

საქართველოში ხარისძირას ეზოებში (სოფ. ქაჯვანი, ლახუნდარა, მათხოჯი, ჩაისუბანი) აშენებენ, ზოგან ხის ძირებში ვნახეთ (ზუგდიდი) და ვეტერინარიაში გადატყავების, მასტიტის დროს ხმარობენ, თუ ცხენი ზამთარში არ სუქდება, მკერდზე აღებენ ხარისძირას.

ხარისძირას რაჭაში ხმარობენ როგორც ვეტერინარიაში, ისე ადამიანის სამკურნალო საშუალებად წყალმანკის, საყმაწვილოს, ძირმაგარების მოსამწიფებლად, როგორც მენსტრუაციის მომგვრელს, კანის დაავადების დროს, ხარისძირას ფესვების ნახარშს ელენტის სამკურნალოდ ასმევენ.

ვეტერინარულ პრაქტიკაში ყურის დაავადებას მკურნალობენ (ქვემო სვანეთი, სოფ. შკელი).

ზოგიერთ ქვეყანაში მის სახეობებს (*Helleborus viridis* და *Helleborus niger* L.). იყენებენ როგორც საგულე საშუალებას სტროფანტინის მსგავსად გულის მწვავე დეკომპენსაციის დროს, მისი პრეპარატი შეჰყავთ ვენასა ან კუნთებში, მოქმედებს ძალიან სწრაფად. ასეთ მოქმედებას იჩენს მისი ერთ-ერთი გლიკოზიდი — ჰელბორსიდი. სახეობა *Helleborus viridis*-ის გამშრალი ფესვურები *Rhizoma Hellebori viridis* შეიცავს 0,1% ჰელბორინს, იგი სხვა გლიკოზიდებს არ შეიცავს, სამაგიეროდ მასში არის ალკალოიდი ცელიამინი ($C_{21}H_{35}NO_2$) და ალკალოიდ „V“ ($C_{25}H_{43}NO_6$) ყველა ერთად 2%-ის ოდენობით, ფისი, 1% ცხიმი, საღებავი ნივთიერებანი, საქაროზა და სხვა. ნაცარი 6%-ს არ აღემატება. სამკურნალო ფორმის სახით მისგან ამზადებენ ნაყენებს. რაც შეეხება მეორე სახეობას (*Helleborus niger* L.) გაშლილ ფესვურებს (*Rhizoma Hellebori nigri*), იგი შეიცავს 0,45% და ზოგჯერ მეტ ჰელბორინს, გლიკოზიდ ჰელბორეინს ($C_{37}H_{56}O_{18}$), გლიკოზიდ ჰელბორსიდს, ალკალოიდებს არ შეიცავს, ნაცრის რაოდენობა 6% არ აღემატება. ორივე სახეობის მშრალი ფესვურების ერთიმეორისაგან გარჩევა ძალიან ძნელია. აღსანიშნავია, რომ ხარისძირას ამ უკანასკნელი სახეობის პრეპარატები თავებში აღიღებს დიურეზს. ორივე სახეობის შემდეგი საექიმო ფორმებია ცნო-

ბილი: *Extractum Hellebori fluidum* (ბრაზილია), *Tinctura Hellebori viridis*, *Tinctura Veratri viridis* (ამერიკა). იყენებენ ხარისძირას კიდევ ორ სახეობას: *Helleborus foetidus* L. და *Helleborus orientalis* L. საინტერესოა საქართველოს ხარისძირას სახეობების შესწავლა საგულე გლიკოზიდთა შემცველობის მიზნით.

105. დიყი — *Heracleum apiifolium* Boiss., *H. Cyclocarpum* C. Koch., *H. mantegazzianum* Somm. et Lev. *H. Sommieri* Manden. *H. transcausicum* Manden., *H. Sosnowskyi* Manden.

საქართველოში დიყის გვარი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. დიყი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება 60—150 სმ სიმაღლის ღეროთი. დიყის ღერო მომრგვალოა და მეტწილად ვიწრო ღარებიანი, ფოთლები ხშირად მარტივია, უპირატესად ღეროს ძირში თავმოყრილი, ღრმად განკვეთილი. აქვს წითელი ლაქები და შებუსვლია სიფრიფანა ბეწვებით. ყვავილები თეთრია, იშვიათად მომწვანო ყვითელი ან კაშკაშა ვარდისფერი, ორსქესიანი ყვავილები მთავარ ქოლგაშია შეკრებილი. ივითარებს ტყუპ ნაყოფს, მათგან ერთს ზურგის მხარეზე სამი რამდენადმე ურთიერთმიხსლოებული წიბო აქვს. ჩვენში დიყის 22 სახეობა და რამდენიმე ვარიაციაა გავრცელებული. დიყის გვარში გავრთიანებული მცენარეთა სახეობები გვხვდება უპირატესად მთისზედა და სუბალპურ სარტყელში, ტყისპირებში, სუბალპურ მდელოებზე, ხევებში, მაღალბალახეულობაში, მორენებზე, ლოდნარებსა და კირქვიანებზე.

საქართველოს მთიან რაიონებში დიყის გვარის წარმომადგენლების ღეროებს, ფოთლებსა და ყვავილებს იყენებენ სამღებრო საქმეში შალეულისა და ბამბეულის ყვითლად შესაღებად. ღებავენ აბრეშუმსაც.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიყისგან ამზადებენ საფენებს მასტიტების დროს, აგრეთვე წამალს ქაენას წინააღმდეგ. მისი ფესვების ნახარშს სვამენ კუჭ-ნაწლავის აშლილობისას და სხვ. ვეტერინარიის პრაქტიკაში დიყი ცნობილი ხალხური საშუალებაა მასტიტების შემთხვევაში, მას დასავლეთ საქართველოში „წყლისას“ უწოდებენ. საზოგადოდ დიყის გვარში შემავალი სახეობები კარგი თაფლოვანი მცენარეებია, მის ახალგაზრდა ყლორტებს მწყემსები კანს აცლიან და ჭამენ, როგორც ირწმუნებიან, გემრიელია და თანაც ჭიის გამომდენი. მისი ჭიის გამომდენი თვისება ჩვენ შევამოწმეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ვეტერინარულ ინსტიტუტში ვ. ჭუბაბრიას და კ. სანდომისაშვილის თანაავტორობით, მისი ნაყენების რამდენიმე სერია დაეამზადეთ, მაგრამ ბატკნებზე მან მკვეთრი ეფექტი არ მოგვცა. აღსანიშნავია, ისიც, რომ დიყის ზოგიერთი სახეობა ადამიანის კანს, განსაკუთრებით ხელებსა და ფეხებს ძლიერ სუსხავს თიბვის დროს,

რის შემდეგ ჩნდება ბუშტუკოვანი წყლულები, ავადმყოფობა ზოგჯერ განკურნების შემდეგაც განმეორებითი დასუსტების გარეშე ვითარდება თითქმის ყოველწლიურად. ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს მთიან რაიონებში, განსაკუთრებით სვანეთში.

სამლებრო საქმისათვის (*Heracleum apiifolium* Boiss-ის) ნაწილები უნდა შეგროვდეს ხელთათმანიანი ხელით.

დიყის ამ სახეობას აშენებენ ეზოებში (ზუგდიდი, ახალშენი, აჭარა, გორელოვკა (ჯავახეთი) და სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ხმარობენ მასტიტის, ქარების დროს, ძირმაგარების მოსამწიფებლად, ჭიის გამომდენად.

ზემო სვანეთში სიმსივნეების მოსამწიფებლად დიყის ძირებსაც ხმარობენ. იქ შემოყორილი აქვთ ამ მცენარის პატარა მასივები.

ბირკიანში (ახმეტის რაიონი) დიყს (*H. Sosnowshyi* Manden). იყენებენ ჭიის გამომდენად.

106. ქერი — *Hordeum Sativum* L.

ქერი საქართველოში წარმოდგენილია სხვა სახეობითაც, რომლებიც ერთი ან მრავალწლიანი მცენარეებია, იზრდება 10—15 სმ-მდე სიმაღლის. ყვავილეთი თავთავია, მოგრძო, ღარიანი მარცვალ ყვავილის კილებში მჭიდროდ არის ჩამჯდარი. ჩვენში ქერის გავრცელებული სახეობები იზრდება მშრალსა და ქვიან ფერდობებზე, ტყის ჩრდილებში, რუდერალურ ადგილებში, მშრალ მდელოებზე, ბუჩქნარებში, ნათესებში, სილნარებზე და ოდნავ მლამობ ადგილებში. ქერი ეკუთვნის მარცვლოვანთა—*Poaceae* ბოტანიკურ ოჯახს, ქერის თივის მონელების კოეფიციენტი მ. ა. კულიკოვის მონაცემებით ასეთია: პროტეინი — 57,8, ცილა — 53,3, ცხიმი — 37,5, უჯრედანა — 49,1 და უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი — 66,7 (პლესკო, 1948).

სასაღხო მკურნალები (ახმეტა, სოფ. მატანი) ქერის ჩალის ნახარშის ორთქლის აბაზანებით ქალურ დაავადებებს მკურნალობენ, სოლო ქერის ფაფას იყენებენ წყლულების მოსაშუშებლად და რევმატიზმის სამკურნალოდ.

107. ლენცოფა — *Hyoscyamus niger* L.

ლენცოფას გვარის სახელწოდება (*Hyoscyamus*) ბერძნულია. *Kyabys* ნიშნავს ღორს, *nos* — პარკს, სახეობის სახელი *niger* — შავს. ლენცოფას სამკურნალო მოქმედებას შორეულ წარსულში იცნობდნენ. დიოსკურიდესა და პლინიუსისათვის ცნობილი იყო მისი არსებობა სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად. თავისი მწვავე მოქმედების გამო ლენცოფას ძველ დროში ჯადოქრობისას მიმართავდნენ. ლენცოფას მზანედლეულმა ძლიერმოქმედი ნივთიერებების გამო შეიძლება კაცი მართლაც განაცვიფროს თვით შედეგით და ეს ჯადოქრობას მიაწეროს. ლენცოფას ფოთლები შეიცავს 0,07, თითქმის 0,15% ჰიოსციამინს, რომელიც ძლიერ შხამიანი ალკალოიდია და მედიცინაში ფართოდაა გა-

მოყენებული. მეორე ალკალოიდი სკოპოლამინი ისევე უხამიანია, როგორც პირველი და ამავე დროს მწვავე ნარკოტიკია. მშრალი ფოთლები თითქმის უსუნოა, გემოთი მოტკბო და მწვავე. ლენცოფა ალკალოიდების ჰიოსცამინისა და სკოპოლამინის მეშვეობით ფართოდ გამოიყენება. სააფთიაქო მასალად ითვლება მისი გამონაცემი — Extractum, რომელშიც ჩამოთვლილ ალკალოიდებთან ერთად შედის დექსტრინი და იყენებენ ბრონქული კატარის დროს. აჩერებს ბრონქებიდან სეკრეციას და ხველებას. სამკურნალო საქმეში ხმარობენ აგრეთვე ფოთლებში არსებულ ლენცოფას ზეთს (Oleum Hyoscyami) ჩასაზელოდ რევმატული ანთების დროს, სკოპოლამინი მიიღება ქიმიური გადამუშავების შემდეგ სპირტის სუნიანი ნივთიერების სახით.

ლენცოფა გავრცელებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში, ჩვეულებრივ ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიის ცხელ ადგილებშიც, გერმანიის წინა ალპების ნაწილში 1800 მეტრამდე. ევროპაში ჩრდილოეთის ნ³ განედამდე, ჩრდილო და დასავლეთ აზიასა და ინდოეთში, სამხრეთით ჩრდილო აფრიკამდე. ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ამიერკავკასიაში. საქართველოში ლენცოფა გავრცელებულია ნათესებსა და რუდერალურ ადგილებში, მთის ქვედა სარტყლიდან დაწყებული ზედა სარტყლამდე აფხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში.

ლენცოფა ეკუთვნის ძალღყურძენასებრთა (Solanaceae) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ღერო და ფოთლები შეებუსვილია. მოგრძო ან კვერცხისებურ ამოღრღნილ ფოთლებს ვენტრალურ მხარეზე კარგად ემჩნევა მთავარი ძარღვი, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ზედა კი მჯდომარე, მკრთალი, ჭუჭყიანი ყვითელი ფერის ყვავილები მეტწილად კენწრულია და ხშირად მტევან ყვავილედშია შეკრებილი. ლენცოფას ნაყოფი წარმოადგენს მოგრძო კოლოფს, რომელსაც გარედან ხუთკბილიანი ჯამი აქვს შემოხვეული. მას ვხვდებით უფრო ხშირად ნანეხვარ ადგილებზე, აგრეთვე გზისპირას, ბოსტნებში, საძოვრებზე, განსაკუთრებით ბინების ირგვლივ და სხვ., როგორც ვაკე ადგილებში, ისე მთის ზედა სარტყელშიც.

საქართველოში ლენცოფა უხსოვარი დროიდანაა ცნობილი როგორც უხამიანი და ამავე დროს სამკურნალო მცენარე. სამხრეთ ოსეთში ლენცოფას თიბავენ ყვავილობის პერიოდში, რადგან ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, თუ ფუტკარმა ნექტარი ლენცოფას ყვავილებიდან ამოიღო, მისი თაფლი უხამიანია ან გამამბრუებელი. ზემო სვანეთში ლენცოფას თესლს დღესაც იყენებენ კბილის ტკივილის გასაყუჩებლად, დასრესილ მწიფე თესლს ურევენ თაფლის სანთელში და იღებენ კარიესულ კბილში, შემდეგ იღებენ გრძელ ისლის ღეროს, რომლის ერთ ბოლოს მიაღებენ კბილში ჩადებულ წამლის ნაზავს, ხოლო მეორეს მოუკიდებენ ცეცხლს. ბოლი ისლის ღრუში მიედინება,

აღლობს სანთელს და ამგვარად გასრესილი თესლი თანაბრად ნაწილდება მტკივნეულ კბილში, რის შემდეგ ტკივილი ყუჩდება. ჩვენი ხალხური მედიცინა იყენებს ლენცოფას, როგორც ტკივილის დამაყუჩებელ, ცოფის, ავი ზნისა და კრუნჩხვითი ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებას. ქანანელი თავის უსწორო კარაბადინში გვირჩევს ბასრულ-ბანჯს, ანუ ლენცოფას თესლს, აგრეთვე თავის ტკივილის დროსაც. მეცნიერულ მედიცინაში ლენცოფას იყენებენ, როგორც ანტი-სპაზმურ საშუალებას, გარედან ჩასახელად რევმატული ანთების დროს, ატროპინის მსგავსად. ლენცოფა მოხსენიებულია როგორც ჩვენს სახელმწიფო ფარმაცოპეაში, ასევე თითქმის ყველა საზღვარგარეთულ ფარმაცოპეაში. მისი შხამიანობის გამო იგი მოთავსებულია „ბ“ სიაში. მისი გამონაწვლილის მისაღები ერთდროული დოზა 0,06 გრამს არ აღემატება, სადღელამისო კი — 0,3 გ; იყენებენ მის ფოთლებს (*Folium Hyoscyami*, *Folia Hyoscyami* *Hyoscyamus*, *Hyoscyami folium*, *Meimendro josquame Noire*), რომლებიც შეიცავს 0,05—0,05—0,07% ან 0,1—1% ჰიოსციამინს, თავისუფალ სკოპოლამინს (*Scopolaminum*, ანუ *Hyoscynum*), რომელიც წარმოადგენს კოკაინის იზომერს, ატროპინს, გლუკოზიდურ მწარე ნივთიერებას ჰიოსციაპიკრინს, ცხიმუხებებს, მინარევების სახით ეთერზეთებს, ცილოვან ნივთიერებებს, ფისს, შაქარს, მინერალურ მარილებს და 18—23% ნაცარს. აღსანიშნავია, რომ ველური ლენცოფას ფოთლები უფრო მეტ ალკალოიდებს შეიცავს, ვიდრე კულტურული. ყუნწებში ისინი უფრო ძლიერადაა გამოსატული, ვიდრე ფოთლის ფირფიტაში. უნგრეთის მასალაში ალკალოიდების შემცველობაა 0,11%, ნაცრის 22,1% და სილის 7,4%. ლენცოფას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია *Extractum Hyoscyami* (ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემა) და სხვ.

ლენცოფა შედის აგრეთვე *Species-narcoticae*-ის შემადგენლობაში, მისგან ამზადებენ *Unguentum Hyoscyami*-სა და სხვა. შევიცარიაში იყენებენ ლენცოფას სხვა სახეობებსაც, სახელდობრ, *Hyoscyamus muticus* L. და *Hyoscyamus scopolia* L.

რაჭაში, სოფ. ღებში ლენცოფასა და ლემას ეზოში რუდერალურ ადგილებში აშენებენ. სოფ. გორელოვკაში (ჯავახეთი) ლენცოფა სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ვნახეთ ეზოში მოყვანილი. მანხარაძეში ლენცოფას აგროვებენ. ახმეტის რაიონში ლენცოფას ფოთლის ნახარშის ორთქლის აბაზანას უკეთებენ უშვილო ქალებს. მთლიანი მცენარისაგან მოხარშულ ფაფას სიმსივნის ჩასაცხრობად შემოადებენ.

108. კრაზანა — *Hypericum perforatum* L.

კრაზანას (*Hypericum*) გვარის სახელი წარმოდგება ძველი ბერძნულიდან, რაც ლამაზად მოყვავილეს ნიშნავს, ხოლო სახეობის ლათინური სახელწოდება *perforatum* ნიშნავს გაჩვრეტილს, დანა-

წევრებულს, რაც ფოთლების გამო ეწოდა. კრაზანას გამოყენება დიოსკურიდეს დროიდან იწყება, დიოსკურიდემდე სამკურნალო მცენარეთა აღწერილობის წიგნში არ გვხვდება, მაგრამ მისი ფოთლების წითელ საღებავ ნივთიერებას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ და ამ მხრივ იგი დიოსკურიდესე ადრეა ცნობილი. მან თავის დროზე დიდ როლი შეასრულა. იგი შეიცავს ეთერზეთს, მწარე და მთრიმლაკ ნივთიერებებს. მის ნედლ, მწვანე ფოთლებში არის წითელი საღებავი ნივთიერება ჰიპერინი. კრაზანას აქვს სუსტი არომატული სუნი და თავისებური მწარე ბალზამისებური, სუსტად შეცნობადი (რამეს რომ მიამსგავსო) გემო, რომელიც გაშრობის შემდეგ იკარგება. ამ ნივთიერებათა შემცველობის გამო კრაზანას იყენებენ კუჭისა და ნაწლავების კატარული ანთების სამკურნალოდ ჩაის სახით. იგი აგრეთვე, კარგი მადის მომგვრელი საშუალებაა. ხალხურ მედიცინაში მისი ყვავილების ზეთს ხმარობენ დამწვრობით მიღებული ჭრილობების სამკურნალოდ.

კრაზანა გავრცელებულია ევროპაში, შუა სკანდინავიასა და კარელიაში. მისი გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი მდებარეობს ალტაიში და ჩინეთში. სამხრეთით აფრიკამდე (ჩრდილო აფრიკამდე), ავსტრალიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, საქართველოში. იგი სხვა ქვეყნებშიცაა შეტანილი. მაგალითად, სამხრეთ ამერიკაში. ჩვენში კრაზანა გვხვდება დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე მდელოებსა, ველებსა, ტყეებსა და ბუჩქნარებში საქართველოს ყველა რაიონში.

კრაზანა ეკუთვნის კრაზანასებრთა Hypericaceae (Cuttiferae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლიანი მცენარეა, ახასიათებს ოთხკუთხა დატოტიანებული ღერო, ივითარებს ბლაგვ, განიერ და ოვალურ ფოთლებს ხშირი გამჭვირვალე წერტილებით (თუმცა ზოგჯერ არა აქვს წერტილები). ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია ფარყვავილედში, ნაყოფი წარმოადგენს კოლოფს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში კრაზანას იყენებენ, როგორც საუკეთესო საშუალებას ტუბერკულოზის დროს სისხლიანი ნახველის შემთხვევაში, ჭრილობების შესახორცებლად და სხვა. ნაკლებეფექტურობის გამო იგი ჩვენი სახელმწიფო ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში მოხსენიებული არ არის, მაგრამ იუგოსლავიის და ბრაზილიის ფარმაკოპეაში ის შეტანილია, როგორც შემკვრელი ან არომატული საშუალება. მეცნიერული მედიცინის მიზნებისათვის აგროვებენ ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარის ტოტებსა და ყუნწებს, რომლებიც შეიცავს ორ საღებავ ნივთიერებას; 0,11% ეთერზეთს, ცერილალკოპოლს, ფიტოსტერინს, ინერტულ შაქარს, მთრიმლაკ ნივთიერებას, პექტინისებურ ნახშირპიდრატს, მწარე ნივთიერებას, ცხიმებს, საპონინებს, ქოლინს, ფლობაფენს და 8—10% ნაცარს. კრაზანას საექიმო ფორმებიდან აღსანიშნავია Extractum Hyperici laxiusculi fluidum და

Oleum Hyperici, გარდა აღნიშნული სახეობისა, ბრაზილიაში იყენებენ კრაზანას სხვა სახეობებსაც, როგორცაა *Hypericum laxiusculum* Saint—Helaire—*Hypericum pulchrum* L.

ცაგერში, თელავში, ბაკურიანში, ჩიბათში (ლანჩხუთი) ვნახეთ ეზოებში მოშენებული კრაზანა. მას მრავალძარღვასთან ერთად იყენებენ კუჭის დაავადების დროს. ზოგან კრაზანას გულის ვარდს ეძახიან (ბაკურიანი) და ხმარობენ ღვიძლის დაავადებისას სიყვითლის დროს.

109. უკადრისა — *Impatiens noli tangere* L.

უკადრისა ბალახოვანი მცენარეა, ეკუთვნის ინასებრთა — (*Balsaminaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, აქვს დატოტვილი სწორმდგომი 40—60 სმ სიმაღლისა და მუხლებში გამსხვილებული ღერო. მის ღეროზე ფოთლები მორიგეობითაა გაწყობილი, ფორმით მოგრძო კვერცხისებრია ან ელიფსური. ზედა ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ქვედა. ივითარებს ყვითელ დეზიან ყვავილებს, რომლებიც დიდი ზომისაა და ილლიურ ყვავილედშია შეკრებილი, ნაყოფი ხუთაგადულიანი, ხაზური — მოგრძო ფორმის კოლოფია.

უკადრისა გავრცელებულია იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, მთიულეთში, გარეკახეთში, ქართლსა და მესხეთში. უკადრისა იზრდება ჩრდილიან, ტენიან ადგილებში, ტყის სარტყელში და ბუჩქნარებს შორის.

ქართულ ხალხურ მედიცინაში უკადრისას ფოთლების ნახარშს ასმევენ როგორც შარდმდენს და თირკმლების დაავადების დროს, განსაკუთრებით კენჭების გამოსადენად. ქართულ ხალხურ ვეტერინარულ პრაქტიკაში უკადრისას ფოთლებს ადებენ ცხენს ძველ ჭრილობებზე და წყლულებზე მოტეხილობისა და ნაღძობის დროს — საფენად.

ქართველი ხალხი ძველად უკადრისას ფოთლებსა და ყვავილებიდან იღებდა ყვითელ საღებავს. სპეციალურად ამზადებდნენ აგრეთვე წვერის, თმისა და უღვაშის საღებავს.

რაჭაში უკადრისათი მკურნალობენ სიგამხდრესა და ფილტვების სისუსტეს. უკადრისას ეზოში კი არ აშენებენ, არამედ ეზოსთან ახლოს, ტყეში, მიჩნეულ ადგილზე, უვლიან და შემოფარგლული აქვთ.

110. მზიურა, კულმუნო — *Inula helenium* L., *I. magnifica* Lipsky.

მზიურა (*Inula*) გვარის სახელწოდება და სახეობის სახელიც ძველი ბერძნულით ერთსა და იგივეს ნიშნავს: *helios* მზე, აქედან ქართული მზიურაც. წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ მზიურა უძველესი დროიდანაა გამოყენებული სამკურნალოდ, მაგრამ მისი აღწერილობა გვხვდება მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვიდან. მას ადრე ხშირად იყენებდნენ რაც ნათლად ჩანს სამკურნალო მცენარეთა აღწერილობის ძველი წიგნებიდან. მზიურას ფესვები შეიცავს ეთერ-

ზეთს, ერთ ქაფურის მსგავს ნივთიერებას, ინულინს, მწარე ნივთიერებას და ლორწოს. ნედლ სააფთიაქო მასალას ქაფურის მსგავსი სუნი აქვს, მაგრამ ხმელ მასალაში ხდება ქიმიური გარდაქმნა და იის სუნს ღებულობს. გემოთი მწარე არომატულია. მზიურას ფოთლებს ნედლად იყენებენ ჩაის ან გამონაცემის სახით, განსაკუთრებით სასუნთქი გზებისა და კუჭის გაძნელებული მოქმედების დროს. მზიურა დღესაც გარკვეულ როლს თამაშობს თირკმლების დაავადებათა პრაქტიკაში და შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის დროს.

კულმუხო გავრცელებულია ცენტრალურ აზიაში, მთელს ევროპაში, ნორვეგიაში, ფინეთში, მცირე აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, იაპონიაში, ამიერკავკასიაში, საქართველოში. იზრდება ნესტიან ადგილებზე, ბუჩქნარებს შორის, დაბლობებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში. აფხაზეთში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვედა ქართლსა და მესხეთში.

კულმუხო ეკუთვნის რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მაღალი, მრავალწლოვანი მცენარეა, დამახასიათებელი მსხვილი ფესვურათი და სწორმდგომი, მსხვილი დაღარული 1—2 მ ღეროთი, რომელიც წვრილი ბუსუსითაა დაფარული და კენწეროსაკენ მცირედ დატოტიანებული. კულმუხოს დიდი დაკბილული ფოთლები ვენტრალურ მხარეზე ნაცრისფერია, ხოლო დორზალურზე მწვანე და ხორკლიანი. ქვედა ფესვთან ფოთლები გრძელყუნწიანია, ხოლო ზედა ფოთლები მჯდომარეა და გულის მოყვანილობის. ყვითელი ფერის ყვავილები შეკრებილია საკმაოდ დიდი ზომის, თითქმის 3 სმ სიგანის კალათა ყვავილედში. კალათას ნაპირა ყვავილები თავაკიანებია და ივითარებს ვიწრო და გრძელ ენაკებს, ხოლო ცენტრალური ყვავილები მილნაირია. კულმუხო გავრცელებულია ნესტიან ადგილებში, მდინარეთა და გუბეთა ნაპირებზე, ბუჩქებს შორის, ტყის პირას და სხვ. დაწყებული ვაკე ადგილებიდან მთის შუა სარტყლამდე.

კულმუხოს ქართველები იყენებენ კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს როგორც შემკვრელ საშუალებას — მის სუფთა, წვრილად დაჭრილ ფესვურას აყენებენ ღვინოზე და ნაყენს სვამენ. ხმარობენ აგრეთვე წყალმანკის დროსაც. ჩვენს მეცნიერულ მედიცინაში ის შეტანილი არ არის სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში. ხოლო საზღვარგარეთ იყენებენ დღესაც როგორც ამოსახველებელ საშუალებას, სასუნთქი გზების ზედა ნაწილების დაავადების, ზოგჯერ დიაბეტის დროსაც, და გარეგანად როგორც antisepticum-ს. აგროვებენ კულმუხოს ფესვურასა და ფესვებს (Radix et Rhizoma), რომლებიც შეიცავს 1—2% ეთერზეთებს, ალანტოლაქტონს, ინულინს, ალანტოლის მჟავას, ალანტოლს (Alantolum), ალანტოლის ქაფურს, ალანტოლის მჟავა ანჰიდრიდს, პელიანთენინს, სინანთირინს, ლეველოზას და

სხვ. პოლისაქარიდებს, 44% სახამებელს, ჰელენინის ზეთს, ჰელენინს, პექტინოვან ნივთიერებას, ფისის მსგავს ნივთიერებას და 6—7% ნაცარს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია *Rhizoma et Radix Helenii*, *Extractum Helenii*, *Vinum Helenii*, *Inulinum*, *Alantolum* და სხვ.

კულმუხოს ორივე სახეობას აშენებენ ეზოებში (ოღიში, საჩხერის რაიონი, ლიხნი გუდაუთა, მესტია, გორელოვკა, აკურა (თელავი), სანებელი (ქარელი), მის ნახარშს სამკურნალოდ ხმარობენ საყმაწვილოს დროს, საშვილოსნოდან სისხლდენისას და მენსტრუაციის აშლილობისას (მესხეთ-ჯავახეთში) იყენებენ *Inula orientalis*.

აკაკის ეზოში, სოფ. სხვიტორში, სალექციო დარბაზსა და კარის ეკლესიას შორის ეხლაც არის აკაკის დის ანას მიერ მოშენებული სამკურნალო მცენარეები შემორჩენილი, რომლებთაგან აღსანიშნავია კულმუხო, რომლის ნერგი ხალხს ეხლაც მიაქვს აქედან. აკაკის და ანა გამხდარ ბავშვებს აბანავენდა კულმუხოს ნახარშში, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებში დღესაც ფართოდ გამოიყენება. კულმუხოს ამავე მიზნებისათვის იყენებენ და ამ მცენარეს სიმჭლევის ან სიყვითლის წამალს ეძახიან.

111. კაკალი — *Iuglans regia* L.

კაკლის (*Iuglans*) გვარის სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია იუპიტერთან: *Iu* — იუპიტერი, *glans* — რკო, ე. ი. იუპიტერის ნაყოფი; სახეობის აღმნიშვნელი *regia* — მეფურს, კაკლის ნაყოფსა და წენგოს უძველესი დროიდან იყენებენ მკურნალობის საქმეში. გალენი კაკლის ფოთლებს იყენებდა, ხოლო ახალი წელთაღრიცხვით უკვე — მის ნაყოფსა და წენგოსაც. კაკალი შეიცავს ეთერზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, მჟავას და ერთ სუფთა ალკალიიდს — იგულანდინს. მზა მასალა არომატულია, გემოთი მწარე და მკაწრავი. მის მზა სააფთიაქო მასალას უნიშნავენ კუჭისა და ნაწლავების კატარის დროს, მეტწილად ფოთლებს. კაკლის ახალი ფოთლი შეიცავს მწერების გამაბრუებელ ნივთიერებას, ამიტომ ნახარშს უსვამენ ცხენებს, ძროხას და სხვა ცხოველებს მწერებისაგან დასაცავად. მისი ფოთლებისა და წენგოს ნახარშით თმებს იღებენ.

კაკალი გავრცელებულია ბალკანეთში, მცირე აზიაში, გერმანიაში (შეიტანა კარლოს დიდმა), მიუღს ევროპაში, აზიაში იაპონიის ჩათვლით, კავკასიასა და საერთოდ მრავალ ქვეყანაში მოაშენეს. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან კულტურაში და გავრეულებული სახითაც.

კაკალი მაღალი მსხვილი ხეა, მეტად გაშლილი ქორბუდით. ის ეკუთვნის კაკლისებრთა (*Iuglandaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, ხასიათდება მსხვილი რთული ფოთლით, რომელიც შედგება 3—5 წყვილი მოგრძო, კვერცხნაირი, თითქმის კიდემილიანი ფოთო-

ლაკისაგან. უვითარდება პატარა მწვანე ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები 6-წილაკიანი ყვავილსაფარით. მამრობითი მჭადა ყვავილები 12—18 მტვრიანათი ვითარდება წარსული წლის ყლორტებზე. მდედრობითი ყვავილები ქვედა ნასკვიანია და ორი დიდი განიერი დინგით ხასიათდება. ნაყოფი წარმოადგენს მსხვილ კაკალს, რომელიც გარედან დაფარულია მწვანე, მაგარი, ხორციანი პერიკარპიუმით. ჩვენში კაკალი კულტურაში მოჰყავთ, მაგრამ ენგურზე და ალაზნის ველზე ის გაველურებულია და ძალიან დიდ მასივებს ჰქმნის (აკად. ნ. კეცხოველი).

ქართველ ხალხში კაკალი დიდი ხანია ცნობილია როგორც საუკეთესო სანელებელი და საკვები საშუალება, რაც აიხსნება მისი ნაყოფის დიდი ცხიმოვანობით. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი კაკალს აწერს სიცოცხლის გახანგრძლივების უნარს. ვინც ხშირად ჭამს კაკალს, თმა გვიანამდე არ უთეთრდება და სახის კანი გვიანამდე არ უნაოჭდებაო. ერეკლე მეფე ურჩევდა საბრძოლველად მომზადებულ ლაშქარს კაკლის ჩურჩხელის გვიანობამდე გამოზოგვას. ვინაიდან ის მეტად ყუათიანი საკვებია და ამასთან ჭრილობის შეხორცებასაც უწყობს ხელს. თავისი ყუათიანობით კაკლის ჩურჩხელა არაფრით ჩამოუვარდება შოკოლადს და ზოგჯერ ჯობია კიდევც. ის შეიცავს ადამიანის არსებობის და მუშაობისათვის აუცილებელ ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს. ნახშირწყლებიდან ჩურჩხელაში ყველაზე მეტია გლუკოზა, რომელიც აუცილებელია ადამიანის კუნთების მუშაობისათვის, ცხიმები დიდი რაოდენობით მოიპოვება თვით კაკალში, ხოლო ცილები კი იმ თათარაშია, რომელშიც ავლებენ ჩურჩხელას. ჩვენი ხალხი იყენებს კაკლის წენგოს მალარიის დროს, ამძალებული ნაყოფისაგან ამზადებენ ნაყენს (მძალეს), რომელსაც ასმევენ კუჭის წყლულის დროს, ხოლო სიყვითლისას (Icterus) იღებენ კიტრა ვაშლს და კაკლის ხის ფულურში ჩამდგარ წყალს ან მტვერს თანაბარი რაოდენობით, ურევენ სამ ლიტრ ღვინოში, აღულებენ უხმარ ქოთანში, სანამ ერთ ლიტრაზე არ დადგება, აციევენ და შემდეგ ასმევენ ავადმყოფს დღეში სამჯერ თითო ჩაის ჭიქას. როგორც სოფლის მეურნალები, ისე ზოგიერთი ექიმები ამტკიცებენ, რომ ამ წამლით სიყვითლიანი ავადმყოფი 2—3 დღეში იკურნებაო. კაკლის წენგოსაგან კეთდება საღებავი და მურაბა. კაკლის სამკურნალო თვისებები მოხსენიებული აქვს დავით ბატონიშვილს და ქანანელს. დავით ბატონიშვილი კაკლის ზეთს და ნაყოფს ურევს ფილენჯის დროს, ხოლო ფილტვების დაავადების დროს უნიშნავს კაკლის ფოთოლს საყნოსველად. გულის რევისა და ღებინების წინააღმდეგ დავით ბატონიშვილი ასეთ დარიგებას გვაძლევს: „აწე თუ რწყევა მწოვედ მიჭირდეს და ვეღარამ ფერმან სხვამ წამალმან რწყევა ვეღარ დაუჭიროს, მოიტანე ნიგოზის წენგო, დანაყე და წვენი გამოჰსადე და ამისი წვენი პირშიგა იმგვიმონ და მაშინვე რწყე-

ვას მოჰკვეთს და უკუუგდებს“. ქანანელი უნიშნავს კაკლის ზეთს გულის დაავადებათა წინააღმდეგ: „თუ გულის ტკივილი სიგრილისაგან იყოს ესე, წამალიცა აჭამეთ სადაფისა ფურცელი, ნიგეზისა ზეთი და ცოტა თაფლი გაურიონ და აჭამონ და მუფარეხი მანჯუნითა შეაჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს“.

წინანდელ ჩვენს ფარმაკოპეაში კაკალი მოხსენიებული იყო, მაგრამ სახელმწიფო ფარმაკოპეის მე-7 გამოცემაში ის შეტანილი არ არის. სხვა-სახელმწიფოების/შეცნიერულ მედიცინაში და საექიმო წიგნებში კაკლის ფოთლის ნაყენი მითითებულია რაქიტისა და ექსუდაციური დიათეზის დროს აბაზანებისა და საფენების სახით, საყმაწვილოს დროსაც და შემკვრელადაც. ადრე გაზაფხულზე აგროვებენ კაკლის ფოთლებს (*Folia Iuglandis*), უპირატესად კენტი ფოთოლაკებს, ვინაიდან სხვა ფოთოლაკებსა და ძველ ფოთლებში იუგლონი არ მოიპოვება. აგროვებენ აგრეთვე კაკლის წენგოსაც, რომელიც ახალი და მშვანე ფერის უნდა იყოს. მისი მშრალი ფოთლები შეიცავს ადვილად ცვალებად ალკალოიდ იუგლანდინს (*Iuglandinum*) და 0,3% ინოზიტს (*Inositum*), რომელსაც სხვაგვარად თავისი შაქარს უწოდებენ, ახალ ფოთლებში შედის 0,3% ეთერზეთი, მთრიმლავი ნივთიერება, ცილები და 10—11% ნაცარი. პერიკარპიუმი (*Cortex nucum Iuglandis*) შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას ნუციტანინს (*Nucitaninum*), საღებავ ნივთიერებას იუგლონს (*Iuglonum*) და სხვ. კაკლის ზეთში (*Mulderi*) ლინოლენის გლიცერიდებია მირისტინისა და ლაურინის მჟავეებით. კაკლის ქერქში მოიპოვება იუგლანდინი. კაკლის ხის ფარმაკევტული პრეპარატებია: *Folia Iuglandis*, *Extractum Foliorum Iuglandis*, *Cortex Fructus (seu Nucum) Iuglandis*, *Extractum Corticis Nucum Iuglandis* და სხვა. კაკლის ხეები საქართველოს სოფლებში თითქმის ყველგან უდგათ ეზოებში. რაჭაში, კაკლის ღეროს ქერქის შიგნითა ლორწოვანი ნაწილით მკურნალობენ ელენთაშესიებულ ავადმყოფს, კაკლის ლებნებს შორის მოთავსებული სატინხარის ნახარშით — წყალმანკს.

შაკიკისათვის წამალს ასე ამზადებენ: ნიახურის ძირებს უმატებენ კაკლის ქერქის ცილას და ხარშავენ ძმარში.

კაკლის ქერქის ცილას გურიაშიც იყენებენ ელენთის გადიდების დროს შემოსადებად.

ნიგოზს წყავთან, ანწლის ნაყოფთან, ბროწეულის ქერქთან და მაყვლის ტოტთან ერთად ხმარობენ მუცლის ტკივილის სამკურნალოდ.

მოტეხილობისას კაკლის ფოთოლს სამკურნალოდ იყენებდნენ სოფ. ბოდბეში.

112. ჭილი — *Iuncus Gerardi* Lois. და *Iuncus effusus* L.

ჭილი ეკუთვნის ჭილისებრთა (*Iuncaceae*) ბოტანიკურ ოჯახს.

ჭილი მრავალწლიანი მცენარეა, აქვს ღია ან მუქი მწვანე ფერის ძალიან წვრილი ღერო, ფოთლის ფირფიტა ვიწროა და გრძელი, ყვავილედის ქვეშა ფოთლები ყვავილედზე უფრო მოკლეა, სამტვერე სამჯერ აღემატება მტვრიანის ძაფს.

ჭილი გავრცელებულია ძირითადად ქართლში, გარე კახეთსა და გარდაბანში, ხოლო დასავლეთ საქართველოში იშვიათია. უმთავრესად ის ტენიან ადგილებში, მლაშობებზე, იშვიათად ტყის სარტყლის მდელოების ტენიან ადგილებში და აღმოსავლეთ საქართველოში ნახევრად უდაბნოებისა და ველების სარტყელში გვხვდება. ჭილის ღეროს და მხოხავ ფესვურას, ლარინის, ლარინას და მუსატოვას მონაცემებით, მსხვილი რქოსანი პირუტყვი კარგად ჭამს, ხოლო დანარჩენი სახეობის ცხოველები არ ეკარებიათ. ბეკუჩევი მას ცხენების კარგ საკვებად თვლის. ჩრდილოეთ ამერიკაში იგი შეტანილია კულტურაში, ითვლება კარგ სათიბ ბალახად, განსაკუთრებით ზღვისპირა სარწყავი მდელოებისათვის, მორისონის მიხედვით, დიდი კვებითი ღირებულებისაა.

ჭილის თივის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: წყალი 10,1%, ნა-ცარი 6,7%, პროტეინი 9,7%, ცხიმი 2,3%, უჯრედანა 30,9%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი 50,4%, ფოსფორი 0,10, კალიუმი 1,73%, აქედან მონელების კოეფიციენტი პროტეინისა 74%, ცხიმის 49%, უჯრედანასი 71%, ხოლო უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებებისა 61%.

აჭარაში ჭილის გულგულს ხმარობენ კოყრის წინააღმდეგ.

თჩამჩირის რაიონში (სოფ. კინდლი) ჭილს აშენებენ ეზოში და იყენებენ სამკურნალოდ.

113. ცოცხი — წითელწვერა *Kochia prostrata* (L.) Schrad.

ცოცხი ნაცარქათამასებრთა (*Chenopodiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ამ გვარში შემავალი ყველა სახეობა ხალხურ მედიცინაში იხმარება, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია *Kochia prostrata* (L.) Schrad. იზრდება ნახევრად ბუჩქის სახით, 30—60 სმ. სიმაღლის, ფოთლები ხაზურია, ბრტყელი და შებუსვილი. გავრცელებულია დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე, უმთავრესად მშრალ თიხნარ ფერდობებზე, მლაშობ და რუდერალურ ადგილებში ქართლში, ქიზიყში, გარე კახეთში, გარდაბანში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში, ბაკურიანში შეგვხვდა ეზოებში სპეციალურად მოშენებული, რომელსაც ნაცარქათამას ეძახიან, მისგან ამზადებენ კუჭის ტივილის წამალს.

114. ჭინჭრის დედა — *Lamium album* L.

ჭინჭრის დედას (*Lamium*) სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან *Lamos* — ყელი (დამთქნარებული ყელი), რომელიც ამ მცენარის ყვავილისათვისაც არის დამახასიათებელი. სახეობის

ლათინური სახელწოდება — album ნიშნავს თეთრს. ამ მცენარის სამკურნალოდ გამოყენება ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ დაიწყო და მისი შუა ნაწარმიც ამ დროიდანაა მოხსენიებული სამკურნალო მცენარეთა წიგნებში. იგი შარდის შეკავების საწინააღმდეგო კარგი საშუალებაა. ჭინჭრის დედის ნახარშით თმას ყვითლად იღებავენ. ჭინჭრის დედა შეიცავს ლორწოს და საღებავ ნივთიერებას. აქვს სუსტად განვითარებული თაფლის სუნი, ხოლო გემოთი მოტკბოა და ლორწოვანი. სამკურნალო საქმეში ამჟამად ჭინჭრის დედას უნიშნავენ ნახარშისა და ჩაის სახით. მთრიმლავე ნივთიერებებისა და ლორწოს შემცველობის გამო იყენებენ ნაწლავის ფუნქციონირებისათვის, ხოლო ხალხურ მედიცინაში სასუნთქი გზების დაავადებათა დროს.

ჭინჭრის დედა გავრცელებულია მეტწილად ევროპასა და აზიაში, იაპონიაში, კიმალაის ალპებში ჩვეულებრივია, მისი ჩრდილოეთი საზღვარია შოტლანდია, შუა შვედეთი. კარელია და ჩრდილო ამერიკა. ჩვენში იგი გვხვდება ტყეებში მთის ქვედა და შუა სარტყელში, ბაღებსა და ბოსტნებში გავრცელებულია სარეველას სახით, გვხვდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ჭინჭრის დედა ეკუთვნის ტუჩოსანთა Lamiaceae (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ყვავილები (Flores Lamii albi) შეიცავს 0,0045% ეთერზეთებს, საპონინს, ნაცარი 10% არ აღემატება. მკურნალობის საქმეში იყენებენ მცენარეს (Herba Lamii).

ჭინჭრის დედას აშენებენ ეზოებში და იყენებენ სამკურნალოდ (ცაგერი, თელავი). ქვემო სვანეთში მას სპეციალურად არ აშენებენ, მხოლოდ გამრავლებას ხელს არ უშლიან.

როლოვის მიხედვით, ჭინჭრის დედის ფოთლები შედის პოპულარულ ხალხურ სამკურნალო ნივთიერებათა შემადგენლობაში, კერძოდ, გამოიყენება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში (თეთრად შლის დროს).

115. დაფნა — *Laurus nobilis* L.

დაფნა დაფნასებრთა (Lauraceae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. იგი 5—8 მეტრის სიმაღლის მარადმწვანე ხემცენარეა, ტყავისებური მოგრძო და ლანცეტა, მეტად სურნელოვანი, ვენტრალურ მხარეზე მკრთალი ფერის ფოთლებით, ახასიათებს ერთსქესიანი და ორსახლიანი თეთრი ფერის ყვავილები, რომლებიც მოკლე ყლორტებზე ქოლგისებურად სხედან. მამრობით ყვავილებს 8—12-მეტრიანა აქვს. ელიფსური მოყვანილობის შავი ნაყოფი ერთთესლიანი და ხორციანია. დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) კირქვიან ნიადაგზე დაფნა გვხვდება ველურად, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეში იგი მოჰყავთ კულტურაში, განსაკუთრებით საკულინარო მიზნით. ჩვენში დაფნა შეიძლება ბერძნების ან რომაელებისაგან იყოს შემოტანილი, მაგრამ ეს ხმელთაშუა ზღვის ელემენტი ჩვენს მიწა-წყალს ისე შეგუებია, რომ ადგილობრივი წარმო-

შობის მცენარეს გვაკონებს. ბუნებაში მისი გავრცელების არეალი ჩვენს სინამდვილეში უფრო ქსერიფიტულ შთაბეჭდილებას ტოვებს. დაფნის მერქანი საკმაოდ მკვრივია, გამძლე და მაგარი, მისი კუთრი წონა 0,688—0,750-ს უდრის. მის ფოთლებს კულინარიის გარდა, ქაფურის ხის ფოთლების და სხვა ზეთების მინარევებთან ერთად იყენებენ ბალზამირების საქმეში. სამკურნალოდ უმთავრესად იხმარება დაფნის ნაყოფისაგან მიღებული ზეთი, რომელსაც დავით ბატონიშვილი ზეთის ხილის ზეთთან, ნიგეზის ზეთთან, პილბილთან, საკმელთან და ფარფონთან ერთად ურჩევს როგორც ჩასახელ საშუალებას სახსრების ტკივილის დროს. ქართულ ხალხურ მედიცინაში დაფნის ნაყოფს იყენებენ სიმსივნის, ქაფანას, გაძლიერებული მენსტრუაციის, რევმატიული ანთების დროს და აგრეთვე გაძნელებული სველებისა და დამბლის დროს. მას ბუზების წინააღმდეგაც ხმარობენ. მეცნიერულ მედიცინაში დაფნის ნაყოფისგან (*Fructus Lauri*) ღებულობენ ზეთს (*Oleum Laurinum*) და ამზადებენ მალამოს ნერვების დასამშვიდებლად (*Oleum Lauri aethereum*), ხოლო მის ეთეროვან ზეთს (*Oleum Lauri aethereum*) პარფიუმერიაში. გარდა ამისა, მისი მწვანე ზეთი (*Oleum Lauri*) როგორც კანის გამღიზიანებელი საშუალება ითვლება (*Carminativum* და *emenogogum*). აღსანიშნავია, რომ ეს საშუალება დღეს მივიწყებულია და, გარდა ზოგიერთი სახელმწიფოს ფარმაცოპეისა, სხვაგან შეტანილი არ არის. დაფნის ნაყოფის ქიმიური (*Fructus Lauri*) შემადგენლობა ასეთია: 30% ცხიმოვანი, 2,5% ეთეროვანი, 0,25% ლაურინი, 26% სახამებელი, ქლოროფილი, 3% ნაცარი, ფოთლებში იგი 5% აღწევს, ლორწო, შაქარი, მთრიმლავი ნივთიერება, მინერალური მარილები, გლიცერიდი (ცხიმოვანი მჟავების ნარევი), რომელიც შედგება 41,3% მყარი მჟავებისაგან, 30,2% მყარი ლაურინმჟავას, 11,1% პალმიტინმჟავასა და 58,7% თხევადი მჟავებისაგან, მისი ეთეროვანი წარმოადგენს პინენის, ცინეოლის და მარცსნივთიერებულ სესკვიტერპენის ნაზავს. ზოგჯერ მის შემადგენლობაში მცირე რაოდენობით დაფნის მჟავებიც შედის. დაფნის ცხიმოვანი ზეთი უმთავრესად ლაურინის, ანუ ლაურისტეარინისაგან, რომელიც წარმოადგენს ლაურინის მჟავას გლიცერიდს. გარდა ამისა, შეიცავს ტრიოლეინს, ტრისტეარინს, ტრიპალმიტინს, ეთეროვან, ტრიმირისტინს, დაფნის ქაფურს და სხვ. დაფნის ფოთლები უმთავრესად შეიცავს ეთეროვან, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებას. დაფნის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Fructus (seu Baccae) Lauri*, *Folia Lauri*, *Oleum Lauri foliorum* (მას ბელგიაში *Laurifolia essentia*-ს უწოდებენ); *Oleum Lauri expressum*, *Olei Lauri aethereum* და სხვ.

აჭარაში დაფნის ფოთლის ნახარშს ხმარობენ თავის ქავილის წინააღმდეგ.

116. წყავი — *Laurocerasus officinalis* Roem. (*Prunus Laurocerasus* L.,

წყავი ეკუთვნის ვარდნაირთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მერქნისანი მცენარეა, 3-დან 6 მეტრამდე და ზოგჯერ მეტი სიმაღლისაა. მოგრძო ელიფსური ფოთლები ტყავისებურია, ყვავილენი მტკვანი, სიგრძით ფოთოლზე მოკლე. ნაყოფი შავია ან მოვარდისფრო. წყავი ჩვენი ტყეების ერთ-ერთი კომპონენტია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კოლხური ელემენტია, მაგრამ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც. აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, ჯავახეთში.

წყავი პორტუგალიაში ცნობილია *Cerasus Laurocerasus* Loieleuer-ის სახელწოდებით, ხოლო მექსიკაში *Prunus capollin* Zucc-ს ეძახიან. წინათ წყავს მეცნიერულ მედიცინაში იყენებდნენ, მაგრამ დღეს მხოლოდ ზოგიერთ საზღვარგარეთულ ფარმაცოპეაშია შემორჩენილი. წყავის ფოთლებს აგვისტოში აგროვებენ და წყავის წყალს (*Aqua Laurocerasi*) ამზადებენ, რომელიც დამხმარე საშუალებაა ზოგიერთი წამლის შესამზადებლად.

წყავს სხვა მცენარეებთან ერთად ამეწებენ ეზოებში (სოფ. მახინჯაური, მათხოჯი) და მის ნახარშს ასმევენ მუცლის ტკივილის დროს, მისი ნაყოფისაგან გამოხდილ არაყს — ქარების, რევმატიზმის დროს.

117. მრგვალი წამალი — *Leonticae Smirnowii* Trautv.

მრგვალი წამალი ეკუთვნის კოწახურისებრთა (*Berberidaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იგი ბალახოვანი მცენარეა, მისი თხელი ფოთლები ძალზე მწვანეა, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე. ყვავილენი ერთი ყვავილისაგან შედგება, ხოლო *Leonticae minor*-ის ყვავილსაფარი (გვირგვინი) მკვეთრი ყვითელია, 10—12 მმ სიგრძის, ტუბერი თითქმის სფერულია, ხოლო *L. minor*-ის კი კვერცხისებური. პირველი სახეობის ტუბერის დიამეტრი 6 სმ-ია, ხოლო მეორესი 3—7 სმ.

მრგვალი წამალი ჩვენში ძირითადად კახეთში, ლაგოდეხსა და მის შემოგარენშია (სოფ. გულგულა). ხარობს მთის ქვედა სარტყელში, ტყის პირებში. ჩვენში მისი ტუბერები ძველი დროიდანვე დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ფილტვების ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალება. გადმოცემით, მრგვალი წამალი აქლემებით ინდოეთშიც კი გაჰქონდათ. ჩვენში იგი ახლა თითქმის გადაშენების გზაზეა და მხოლოდ ეზოებში აქეთ კულტურაში, როგორც დეკორატიული მცენარე.

118. შაბალახა — *Leonurus quinquelobatus* Gilib.-(*Leonurus villosus* Desf.-L. *Cardiaca* L. auct.). შაბალახას გვარის *Leonurus*) სახეობა მომდინარეობს ბერძნული *Leon*-ისგან, რაც ლომს ნიშნავს, ხოლო *Aura* — კუდს და მართლაც ამ მცენარეზე ყვავილენი 9. ზ. შენგელია

ბის გაწყობა ლომის კუდს მოგვაგონებს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *Cardiaca* ბერძნულია, *Cardiaka* — გულს ან ზოგჯერ კუჭს შეესატყვისება. შავბალახა სამკურნალო საქმეში ცნობილია თეოფრასტესა და დიოსკურიდეს დროიდან, ხოლო ახალი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული აღწერილი და დასურათებულია. გვხვდება თითქმის ყველა სამკურნალო მცენარეთა წიგნებში. იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, მლაშე ზეთს, ორგანულ მჟავას, მთრიმლავე ნივთიერებას და მწარე ნივთიერებას. გარდა ამისა, მასში არის ერთი ალკალოიდი და საპონინის კვალი. მზა ნივთიერება არმატულია და თავისებურად მწარე. შავბალახას იყენებენ ხალხურ მედიცინაში ვალერიანის ფესვების ნახარშთან ერთად, ზოგჯერ ფხვნილის ან ცივი გამონაცემის სახით.

შავბალახა გავრცელებულია აზიაში, ჰიმალაის ჩათვლით, აღმოსავლეთ ციმბირში, ევროპაში, შუა სკანდინავიამდე, სმელთაშუაზღვეთის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში გვხვდება ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებზე, დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე — აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვედა ქართლში, ჯავახეთში.

შავბალახა ეკუთვნის ტუჩოსანთა *Lamiaceae* (*Labiatae*) ბოტანიკურ ოჯახს, აქვს დატოტვილი ღერო, ქვედა ფოთლები მოყვანილობით მომრგვალო-თათისებრი, 5—6-ნაკვეთიანია, ზემო ფოთლები კვერცხისებრია, თანაყვავილები—ეკლისებრ-სადგისისებრი, გვირგვინი ვარდისებრი, გარედან ბანჯგველიანი, კაკლუჭები თეთრი ბეწვითაა შემოსილი.

სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება შავბალახას ღეროს კენწერო, ფოთლები და ყვავილები. იგი შეიცავს ალკალოიდებს, მთრიმლავე ნივთიერებას, ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებას — ლეონურიტს, როგორც ვალერიანას შემცველი, გამოიყენება ნერვული აგზნებისას. მისი მოქმედება ორჯერ ჭარბობს ვალერიანის მოქმედებას, გამოიყენება აგრეთვე გულ-სისხლძარღვოვანი ნევროზის დროს, ჰიპერტონიის, გულის მანკის, ტვინის სისხლძარღვების სკლეროზის შემთხვევაში, აუმჯობესებს ძილს და ამცირებს თავის ტკივილს.

ხალხური მკურნალები ახალგაზრდა მცენარის წვეს (შეიძლება აგრეთვე გამხმარი ფოთლები დაიორთქლოს და გამოიხადოს წვენი) იყენებენ გულის სუსტი მოქმედებისას, მსხვილი ნაწლავის ქრონიკული კატარის დროს, კუჭის სპაზმისას, ნერვული შერყევებისას, შემინებისას, როგორც ნერვული სისტემის დამაწყნარებელ საშუალებას.

შავბალახა მოშენებული აქვთ ეზოებში ლეჩხუმში, ჯავახეთში (გორელოვკა), ყვარელში, ახმეტაში (მატანი), ზემო ალვანში, გურჯაანში.

ყვარლის რაიონში შავბალახას ნაწყენობის ბალახს ეძახიან. ერთ-

მანეთს ასე ეტყვიან ხოლმე, გული გეტკინა — ნაწყენობის ბალახის ნახარში დალიეო.

შავბალახას ხმარობენ საგულე საშუალებად, ქონდართან და ბროწეულის ქერქთან ერთად—დიზენტერიის წინააღმდეგ, მისი ნახარშის აბაზანას ორსულობის შესაწყვეტად (ზემოაღვანი), კრილობების მოსაშუშებლად (ლეჩხუმში).

შავბალახას თეთრ და წითელ ყვავილებს აგრეთვე აგროვებენ რუდერალურ ადგილებზე და სამკურნალოდ იყენებენ (სოფ. მახარაძე).

119. წიწმატი — *Lepidium Sativum* L.

წიწმატი ეკუთვნის ჯვაროსანთა Brassicaceae (Gruciferae) ბოტანიკურ ოჯახს, იგი კულტურული მცენარეა, იზრდება 20—40 სმ სიმაღლის, ფოთლები ერთხელ ან ორჯერ ფრთართულია, გაგრძელებულ-ნახური, ძირითადად კულტურაშია, მაგრამ გვხვდება გაველურებული სახითაც, რუდერალურ ადგილებში მთის შუა სარტყლამდე.

მესხეთ-ჯავახეთში წიწმატს იყენებენ მადის მომგვრელად, მღოგვის მაგივრად, მისგან აკეთებენ პლასტირს.

გარეული წიწმატის ძირებს იყენებენ მუცლის ტკივილის დროს (ბოდბისხევში).

ახალქალაქის რაიონში წიწმატის დანაყილ თესლებს აზავებენ, წყალში ზეღენ და ფაფის სახით ადებენ ფეხისა და ხელის სიმსივნეებზე.

როლოვის მიხედვით, წიწმატი შეიცავს მწარე ექსტრაქტულ ნივთიერებას — ლეპიდინს, რომელსაც იყენებენ მალარიის წინააღმდეგ, ხოლო მის თესლებს კუჭის დაავადებათა პრაქტიკაში, ამოსახველებელ საშუალებად და დედათა წესის შემამსუბუქებლად, შეიცავს 58 % ცხიმზეთს.

120. მთის შროშანი — *Lilium Szovitsianum* Fisch. et Ave.-Lall.

მთის შროშანი ეკუთვნის შროშანასებრთა — (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ბალახოვანი მცენარეა, მისი ყვავილსაფარი მონაცრისფრო-ყვითელია, ყვავილსაფრის სიგრძე 9—10 სმ-ია. იგი დეკორაციული მცენარეა. ჩვენში გვხვდება მთის შუასარტყლიდან ზედა სარტყელში, განსაკუთრებით ტყისპირებზე და მდელოებზე—სვანეთში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მთის შროშანას ყვავილობის პერიოდში იყენებენ გინეკოლოგიურ (საშვილოსნოს) დაავადებათა დროს. ამავე მიზნებისათვის ხმარობენ ჰომეოპათიაში.

ამ მცენარის ფესვებით ლეჩხუმში მოტეხილობას მკურნალობენ. მთის შროშანის (თიორშის) ნაღრძობზე დადება არ შეიძლება, რადგან ძვალს გადატეხსო, მისი ბოლქვები მხოლოდ მოტეხილობის შემხორ-

ცებლად ვარგა, მოტეხილობაზე მცირე ხნით უნდა გავაჩეროთ, თიორ-ში სარეწკელადან მოაქვთ.

121. კურდღლისფრჩხილა — *Lotus caucasicus* Rupr. *Lotus corniculatus* L.

კურდღლისფრჩხილა პარკოსანთა Fabaceae (Leguminosae) ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელია. 4—10 ყვავილი შეკრებილია ქოლგა ყვავილედში, გვირგვინი 10—18 მმ სიგრძისაა. ფოთოლაკები შებრუნებული კვერცხისნაირია. ჩვენში კურდღლისფრჩხილა მთის შუა სარტყლამდე ვრცელდება და გვხვდება ნესტიან მდელოებზე, მდინარის ნაპირებზე, ჩაძონაზავეებზე და სხვ., მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კურდღლისფრჩხილას ნახარშს როგორც ჩაის იყენებენ გულის დაავადების დროს (ბაკურიანი).

როლოვის მიხედვით, კურდღლისფრჩხილას ფოთლები იხმარება როგორც კუჭის ნაზად შემკვრელი საშუალება, იყენებენ აგრეთვე ცოფის წინააღმდეგ. მისი ყვავილებიდან იღებენ ყვითელ საღებავს.

122. ლიკოპუსი — *Lycopus europaeus* L.

ეს მცენარე ეკუთვნის ტუჩოსანთა Lamiaceae (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს და Saturejeae — Menthinae რიგს. იზრდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ჭაობებისა და მდინარეთა ნაპირებზე, სუბალპურ ზონამდე — აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, გარდაბანში, თრიალეთში, ჯავახეთში, მისი ფოთლები ჩვენს ხალხურ მედიცინაში ცნობილია საშვილოსნოდან სისხლდენის შემაჩერებელ და ციების საწინააღმდეგო საშუალებად. ყვავილობის პერიოდში მყოფი მცენარე შეიცავს 0,075% ეთერზეთებს, გლიკოზიდ „Lycopin“-ს, ფისს, ნღველის მჟავას და მთრიმლავ ნივთიერებებს.

ამბროლაურის რაიონში ეს მცენარე სპეციალურად დაჭაობებულ ადგილას ვნახეთ მოშენებული. ლიკოპუსისა და კატაპარიას ფესვებს ხარშავენ ღვინოში და იორთქლებენ კბილის ტკივილისა და პიორეის დროს.

123. მაგნოლია — *Magnolia grandiflora* L.

მაგნოლია ეკუთვნის მაგნოლიასებრთა (Magnoliaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ჩვენში ამერიკიდანაა შემოტანილი, მაგნოლია მარადმწვანე და დეკორაციული მცენარეა. აქვს ტყავისებური წაგრძელებულ-კვერცხნაირი ფოთლები, მკრთალი ყვითელი დიდი ზომის ყვავილები, შეიცავს გამაბრუებელ ეთერზეთებს.

სოფ. ურესში მაგნოლიის ფოთლების ნახარშს იყენებენ თავბრუსხვევის სამკურნალოდ.

124. მოლოქა — *Malva neglecta* Wallr.

მოლოქას გვარის (*Malva*) სახელწოდება ჯერ კიდევ ძველი ბერ-

ქნებისათვის იყო ცნობილი. Malakos — ნიშნავს ნაზს, რბილს, გერძნობიარეს. მართლაც მოლოქას ფოთოლი რბილია და ნაზი. სახეობის აღმნიშვნელი neglecta ნიშნავს უსიხარულოს, ხოლო ლინე ბერძნულში გულისხმობს გარეულს. მოლოქას ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს ლორწოს. მის მზა მასალას ხმარობდნენ როგორც შემომვლებ საშუალებას (როგორც შიგნიდან, ისე გარედან), პლინიუსი მის ფოთლებს სასარგებლო საკვებად თვლიდა. მოლოქას დიდი რაოდენობით აგროვებენ. მზა სააფთიაქო მასალა შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოსა და მთრიმლავ ნივთიერებას. მოლოქა უსუნოა და გემოთი მწარე, მისი ფოთლები (Folia Malvae) მზა სამკურნალო ნივთიერებას წარმოადგენს, რომელსაც ლორწოს დიდი რაოდენობით შემცველობის გამო იყენებენ როგორც შემომვლებ საშუალებას (გამომფენს) და აღმგზნებს, აგრეთვე სასუნთქი გზების დაავადებათა დროს, განსაკუთრებით ბავშვების სამკურნალოდ გულმკერდის შებოჭილობისა და ხველებისას. ამ მიზნით ამზადებენ ე. წ. ხველების ჩაის და იგი შედის სხვა ჩაის ნაკრებთა შემადგენლობაშიც. განსაკუთრებით სასარგებლოა ყელის დაავადებისას.

მოლოქა გავრცელებულია ევროპაში შუასიკანდინაიამდე, სამხრეთ ფინეთში, სამხრეთ კარელიაში, დასავლეთ აზიაში, ბაიკალის ზღვისა და ტიბეტის მხარეში, ჩრდილო აფრიკაში, ავსტრალიაში, ჩრდილო ამერიკაში, ჩილესა და სამხრეთ ამერიკაში. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებშიცაა შეტანილი. ჩვენში მოლოქა ჩვეულებრივია და გვხვდება რუდერალური და საცხოვრებელი ადგილების ახლოს გზისპირებზე მთის შუასარტყლამდე — აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, მთიულეთში, გარე კახეთში, ჯავახეთში. იგი ეკუთვნის ბალბასებრთა — Malvaceae ბოტანიკურ ოჯახს.

ბალბა — *Malva silvestris* L. მოლოქას ერთ-ერთი სახეობაა. *silvestris* ტყეში მოზარდს ნიშნავს. ბერძენი პოეტი ჰესიოდე (700 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე) იხსენიებს ბალბას. პითაგორა ბალბათი მკურნალობდა. პიპოკრატეს ნაწერებში იგი მოხსენიებულია როგორც აღმგზნები საშუალება. დიოსკურიდე განსაკუთრებით აღწერს ბალბის სიღამწვრით მიღებულ ჭრილობათა შემხორცებელ თვისებებს. პლინიუსი მას თვლიდა მშობიარობის დამაჩქარებლად. კარლოს დიდი თავის კაპიტულარებში მოუწოდებდა მოეშენებინათ ბევრი ბალბა. ჩვენი მთისა და ბარის მოსახლეობა დღესაც იყენებს ბალბას, როგორც მხალეულს და სააბორტო საშუალებას. ბალბის ყვავილები შეიცავს ლორწოს და საღებავ ნივთიერება — მალვინს. ფოთოლი უსუნოა, აქვს არასასიამოვნო გემო, შეიცავს ლორწოსა და მთრიმლავ ნივთიერებას. სააფთიაქო ფორმებიდან აღსანიშნავია Flores Malvae, Folia Malvae. იგი ამ სახელწოდებითაა შეტანილი სამკურნალო წიგნებში, მათ შორის გერმანულ სამკურნალო წიგნშიც. შვეიცარიის სამკურნა-

ლო წიგნში მხოლოდ მისი ყვავილია მოხსენიებული როგორც გულ-მკერდის შებოჭილობისა და ხველების შემაჩერებელი საშუალება, ხველების საწინააღმდეგო ჩაის სახით. დანარჩენ შემთხვევაში ბალბა ისევე გამოიყენება, როგორც მოლოქა.

ბალბა გავრცელებულია მთელს ევროპაში, შუა აზიაში, ინდოეთში (აქ ბალბა კულტურაში მოჰყავთ სამკურნალო მიზნებისათვის), ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში. დანარჩენ ქვეყნებში კულტურაშია გავრცელებული. ჩვენში იზრდება მთის შუა სარტყლამდე ბუჩქნარებში, ნათელ ტყეებსა და ასევე რუდერალურ ადგილებზე თითქმის ყველა რაიონში. უმთავრესად იზრდება საცხოვრებელი ადგილის ახლოს.

საქართველოში მოლოქა ცნობილია აგრეთვე ჩიტბურას, ხინკალას და სხვა სახელწოდებით.

ბალბა ერთ-ან მრავალწლოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად შებუსვილი სხეულით და წამოწეული ღეროთი, ეკუთვნის ბალბასებრთა (*Malvaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. აქვს სწორი დატოტვილი ღერო, რომელიც 30—100 სმ აღწევს. გრძელყუნწიანი, მრგვალი ან გულის მოყვანილობის ფოთლები მორიგეობითაა გაწყობილი ღეროზე. გრძელყუნწიანი ყვავილები ფოთლის ილღებში სხედან. ყვავილის ჯამი ორმაგია. გარეთა შედგება სამი მოგრძო ფოთოლაკისაგან, ხოლო შიგნითა ძაბრისებურია. ვარდისფერი, ხუთფოთოლაკიანი, წვეროზე ამოღრღნილი გვირგვინი 3—4-ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე ჯამი. მრავალრიცხოვანი მტვრიანა ძაფებით მილისებურად შეზრდილია ერთმანეთთან, მრგვალი ნაყოფი ჯამზე რჩება და მომწიფების შემდეგ იხნევა. საქართველოში გვხვდება მოლოქას მეორე სახეობაც (*Malva neglecta* Wallr.), რომელიც ისევე გამოიყენება მედიცინაში, როგორც პირველი.

საქართველოში მოლოქა საკმაოდ გავრცელებულია როგორც საკვები და სამკურნალო მცენარე. ქანანელი ამბობს თავის უსწორო კარაბადინში, რომ მისი ჭამა ყოველთვის არ შეიძლება: „აგვისტოსა მალოქს ნუ სჭამ, წყალს შესვამდეო“, სოფლის ქალები წინათ მის ძირებს იყენებდნენ სელოვნური აბორტის გამოწვევის მიზნით. ხევსურეთში რძეში მოხარშული მოლოქათი მკურნალობდნენ წითელ ქარს. გარდა ამისა, მოლოქას იყენებენ ყელის დაავადებისას. ცნობილია, რომ ძველად მოლოქას ყვავილს ჭინჭრის ყვავილთან და არყის ფოთლებთან ერთად იყენებდნენ სიფილისის სამკურნალოდ, ხოლო რძეში მოხარშული მოლოქასაგან აკეთებდნენ ფაფას და ჭამდნენ კუჭ-ნაწლავის ჭვლების დროს. იყენებდნენ აგრეთვე სასუნთქი გზების ყოველგვარი დაავადების დროს, მეცნიერულ მედიცინაში მას დღესაც ხმარობენ ყელში გამოსავლებად (*Species ad gargarisma*) ყელის დაავადების დროს ტკივილების შესამსუბუქებლად (*Species ad gargari-*

asma) სხვადასხვა ჩაის სახით, ფალარათობის დროს ოყნებისათვის და სხვ. ამ მიზნით აგროვებენ მოლოქას ყვავილებს (*Flores Malvae silvestris*), მისი ვარგისიანობის გამოსაკრეველ მიმართავენ ქიმიურ რეაქციებს. თუ მის წყლიან ხსნარზე ტუტეები მოქმედებენ (KOH , NaOH , NH_4OH), ფერს იცვლის და მწვანედ იღებება, იგი უვარგისია. მოლოქას გამხმარი გვირგვინი იისფერია; თუ მასზე მჟავებით ვიმოქმედებთ, ის წითელი ფერის სდება და თუ მწვანე ამიაკით — ლურჯდება. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ როგორც აღნიშნულ სახეობას, ისე მეორე სახეობასაც (*Malva neglecta* Wallr.), მოლოქას ყვავილი შეიცავს (*Flores Malvae*) ლორწოს, მორიმლავ ნივთიერებას, საღებავ ნივთიერებას, გლუკოზიდს, მალეინს ქლორიდის სახით, მალვიდინს (ქლორიდი) და 2 გლუკოზიდს, მალვიდელფინიდიმეთოლეთერს, სირინგინს, ნაცარს 12—15%. მისი ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores Malvae seu Flores Malvae silvestris seu vulgaris* შედის ნაკრებთა შემადგენლობაში, *Species ad gargarisma, species emollientes*.

ზუგდიდში, თელავში, ლაგოდეხში ეზოებში ბევრ სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად სპეციალურად მოშენებული აქვთ ბალბა. მას ხმარობენ მუცლის მცირე ტკივილის დროს (სოფ. ტოლო), გარდა ამისა, ყვავილებსა და ყლორტების ნახარშს ყელში ივლებენ, აბაზანას ხელოვნურად ორსულობის შესაწყვეტადაც უნიშნავენ. მოლოქას მრავალძარღვასთან და სვინტრთან ერთად ხარშავენ რძეში და იყენებენ მასტიცის დროს.

125. სააფთიაქო ვეირილა — *Matricaria recutita* L. (*M. Chamomilla* L.).

ვეირილას (*Matricaria*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია *Materi-*დან, რაც დედას ნიშნავს. იგი სხვა დაავადებათა მკურნალობის გარდა, გამოიყენება სამშობიარო საშუალებად და ეს სახელიც ამიტომ დაარქვეს. სახეობის სახელი (*chamomilla*) ბერძნულია და ნიშნავს დაბალ ვაშლს. მართლაც მისი ყვავილის მრგვალი კალათა ვაშლის მსგავსი სუნით ხასიათდება. ვეირილა, როგორც სამკურნალო საშუალება, ცნობილია უხსოვარი დროიდან. არაბეთში ზოგიერთი დაავადების დროს მის ზეთს იყენებდნენ დასაზღვლად. ზეთს ამზადებდნენ მექანიკური წესით და შემდეგ ასუფთავებდნენ. იგი ლიტერატურაში იხსენიება 1588 წლიდან. საექიმო საქმეში გამოყენებული იყო ფრიდრიხ ჰოფმანისა და ქრისტოფ ვილჰელმ ჰუფელანდაის მიერ მომზადებული ზეთი, იგი სამართლიანად ითვლებოდა დიდ განძად. მზა სააფთიაქო ნედლეული შეიცავს ეთერზეთს ლურჯი აზულენით. მისი ყვავილები უხვად შეიცავს ამ ნივთიერებას. ყვავილებისაგან მიღებული ზეთი მწვანეა, იგი შეიცავს გლიკოზიდს, მწარე ნივთიერებას და სალიცილის მჟავას, ჭააფთიაქო ვეირილას ყვავილებს აქვს თავისებური სასიამოვნო არო-

მატული სუნი და ოდნავ მომწარო გემო. სააფთიაქო გვირილას ხალხურ მედიცინაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. უმთავრესად მას ხმარობენ კანის ანთებითი ტკივილებისა და კანის ლორწოვანის, კუჭ-ნაწლავის ანთებისა და მუცლის ჭკლების დროს. მას იყენებენ აგრეთვე მასთან მოქმედებით ახლომდგომ სამკურნალო მცენარეებთან ერთად შერეულს. იგი ასეც არის მოხსენიებული მრავალ სამკურნალო საშუალებათა აღწერილობის წიგნში.

სააფთიაქო გვირილა გავრცელებულია მთელს ევროპაში და თითქმის ჩრდილოეთის 80°-მდე. მცირე აზიაში, სპარსეთში, ინდოეთში უფრო იშვიათად, ჩინეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ჩვენში იზრდება აჭარაში რუდერალურ ადგილებზე. იგი ჩვეულებრივ ნაკელიან ადგილებზე იზრდება.

სააფთიაქო გვირილა 20—40 სმ სიმაღლის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ეკუთვნის რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ვიწრო ხაზურა ფოთლები ბასრად დაკბილული ნაპირებით ორმაგ ფრთადგანკვეთილია, ხოლო ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედში. გვერდითი თეთრი ყვავილები ენაკიანებია და ორჯერ უფრო გრძელია, ვიდრე საბურველი. კალათები ზომით 6—8 მმ სიგანისაა, წინა მხარეზე ოდნავ მოხრილი, წახნაგოვანი თესლებით ზემოდან დაფარულია ჯირკვლოვანი წერტილებით. სააფთიაქო გვირილა ძალიან ჰგავს მცენარე *Anthemis cotula*-ს, რომელშიაც ის ხშირად ერევათ.

სააფთიაქო გვირილას (დასავლეთ საქართველოში ქაშენიას ეძახიან) ხალხურ მედიცინაში მას კრუნჩხვების წინააღმდეგ იყენებენ, განსაკუთრებით შარდ-სასქესო გზების კრუნჩხვითი ან ნერვული შეტევების შემთხვევებში, ჭკლების, რევმატიზმის, გაცივების, ლიმფური ჯირკვლების შესიების დროს. ეტერიწარულ პრაქტიკაში — კი მადის მომგვრელად. მეცნიერულ მედიცინაში სააფთიაქო გვირილას იყენებენ როგორც ოფლის მომგვრელს ნაწლავების ჭკლების დროს, ნერვული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებად და სხვ. ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, გალიცია, ბრაზილია, ბელგია) სააფთიაქო გვირილას შემცველ მცენარედ იყენებენ *Anthemis nobilis* L. მყარალა ყვავილებს, რომელსაც *Flores Chamomillae rosanae*-ს უწოდებენ.

სააფთიაქო გვირილას ყვავილებს (*Flores Chamomillae vulgaris*) შეგროვებისთანავე ჩრდილში ფენენ გასაშრობად, და ხშირად აბრუნებენ. სააფთიაქო გვირილას კალათებში 0,6—0,5% ეთერზეთებია სესქუიტიერპენითა და ნახშირწყლოვანი ნივთიერებით — აზულენით. მის ყვავილში შედის აგრეთვე უმელიფერინი, აპიგენინი, სალიცილის მჟავა, ფისი, ფოტოსტერინი; მთლიანი მცენარე შეიცავს 3% გლუკოზიდს და აგრეთვე ფისის მსგავს ნივთიერებას. მასში არ არის

არც ერთი საპონინი, ხოლო ნაცარი 8—10%-ს არ აღემატება, თუმცა ზოგიერთი ფარმაცოპეათი ის 12—14% აღწევს.

რაჭაში, ზედა ბუგეულში ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად მოშენებული ვნახეთ სააფთიაქო გვირილა. მას ურევენ ჯირკვლების წამალში, ონის რაიონში მას ავი ზნის წინააღმდეგაც იყენებენ. ონში გვირილისა და კამის ნახარშით წნევის წამალს ამზადებენ. იქ გვირილას აგროვებენ კულტურაში (მხოლოდ სოფ. ზედა ბუგეულში-შეგხვდით), გვირილა აჭარიდანაც ჩამოაქვთ და მის მოშენებას ცდილობენ ეზოში. ნერეული სისტემის დამამშვიდებელ კარგ საშუალებად მიაჩნიათ. ბაკურიანში გვირილას ნაყენის აბაზანას უკეთებენ ტანის გამონაყრისა და ქავილის დროს ბავშვებს.

126. ძიძო — *Melilotus officinalis* (L.) Desr.

ძიძოს (*Melilotus*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვებისაგან: *Meli*—თაფლი და *lotus*—ლოტოსი. ე. ი. თაფლოვანი ლოტოსი. სახეობა *officinalis*—ნიშნავს სამკურნალოს, სააფთიაქოს, ძიძოს სამკურნალო საქმეში იყენებენ უხსოვარი დროიდან და აღწერილია მრავალ სამკურნალო წიგნში. სააფთიაქო მზა მასალიდან ცნობილია *Herba Meliloti*, რომელიც შეიცავს კუმარინს. ნელ მცენარეში არის უსუნო გლიკოზიდი კუმარიგენი, ხოლო მშრალში მხოლოდ კუმარინი რჩება. აგრეთვე შეიცავს მელილოტინს, მჟავებს, ფისს და მთრიმლავ ნივთიერებას. მზა სააფთიაქო მასალას აქვს არომატული და მლაშე გემო. ძიძოს უმთავრესად იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო არ არის ლორწოს გამოყოფა და სეკრეციის გაძლიერება, ბრონქული კატარის დროს. გარდა ამისა, მისგან ამზადებენ პლასტირებსა და სალბუნებს კოჟრებისათვის. ძიძოს პრეპარატების დიდი დოზებით მიღება არ შეიძლება, რადგან კუმარინი იწვევს ძლიერ თავის ტკივილებს. ძიძო გავრცელებულია შუა ევროპაში, დასავლეთ ჩინეთში, აზიაში, ჩვენში იზრდება მთის შუა სარტყლამდე მდელოებზე, ბუჩქნარებსა და როგორც სარეველა — ნათესებში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე.

ძიძო საკმაოდ გავრცელებული, 1—1,5 მ სიმაღლის ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ეკუთვნის პარკოსანთა *Fabaceae* (*Leguminosae*) ბოტანიკურ ოჯახს. მის დატოტიანებულ, შეუბუხავ ღეროზე მორიგეობით განლაგებულია ყუნწიანი ფოთლები. ფოთლებს აქვს სადგისისებრი ფოთოლთანები; შუა ფოთოლაკი ორ დანარჩენთან შედარებით უფრო გრძელ ყუნწზეა, ფოთოლაკთა კიდეები ხერხებილია. პაწია და სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია მტევან ყვავილედში; ყვავილის ჯამი ხუთწევრიანია, გვირგვინი 4—5 მმ სიგრძის, ათი მტვრიანიდან ცხრა ძაფისებურ მილადაა შეზრდილი. ნაყოფი წარმოადგენს შიშველ ოვალურ პარკს ერთი ან ორი თესლით. ძიძო თითქმის ყველგან გვხვდება როგორც სარეველა, ბაღებსა და ბაღებ-

ში, მდინარეთა ნაპირებზე, ნაჩხატებში, ტყის პირას, ბუჩქნარებში და სხვ. როგორც ბარში, ისე მთაში მთის ზედა სარტყლამდე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ძიძო ცნობილია როგორც ჭრილობისა და წყლულის საუკეთესო შემხორცებელი საშუალება. ლეჩხუმში ძიძოს ყლორტს მოთუშავენ და ჭრილობას მოაყრიან ან პირდაპირ დაადებენ. ხოლო თუ ჭრილობა ძველია და არ ხორცდება, ჭრილობის თავს წინასწარ მოფხევენ. სვანეთში მას ძირითადად იყენებენ წყლულების შესახორცებლად (ძიძოს ყლორტებს ნაყავენ და კვერცხის ცილაში ურევენ). გარდა ამისა, საქართველოში ძიძოს აჭმევენ ცხენებს, ის ქერის შემცვლელად ითვლება. მეცნიერულ მედიცინაში ძიძოს ყლორტებიდან ამზადებენ მწვანე სალბუნს, რომელსაც ადებენ დაზიანებულ ადგილებზე როგორც გამომწოვ საშუალებას. ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპების მე-7 გამოცემაში ძიძო მოხსენიებულია. საქართველოში მოიპოვება ძიძოს მეორე სახეობაც, რომელსაც თეთრი ყვავილი აქვს და ადვილად განირჩევა პირველისაგან.

აღსანიშნავია, რომ ძიძოს გამშრალი ნაწილები ქიმიურად შეიცავს განსაკუთრებით არომატულ და სასიამოვნო სუნის ნივთიერებას, ე. წ. კუმარინს (Cumarinum), რომლის რაოდენობა ბალახში (Herba Meliloti) 0,4%-მდე აღწევს. ეს ნივთიერება პირველად აღმოაჩინეს მცენარე ტონკას (Fabae Tonka) თესლში, რომელიც ხარობს გვინეაში (Dipteris odorata Willd), დიდი დოზით (2,5—4,0) კუმარინი შხამიანია. კუმარინის თავისებურ სუნს უახლოვდება მელილოტინი. ძიძო შეიცავს აგრეთვე მელილოტმჟავა კუმარინს, მელილოტისმჟავას (თავისუფალი სახით), მელილოტის ზეთს, ე. წ. მელილოტოლს, რომელიც აგრეთვე თავისებური სუნით ხასიათდება. ძიძოს ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: Herba Meliloti, Emplastrum Meliloti და ნაკრები Species emollientes, რომელშიც ის შედის.

სოფ. ოდიშში მთელ რიგ სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში მოშენებული ვნახეთ ძიძო, რომელსაც იყენებენ ღორის ჭირის წინააღმდეგ.

როლოვის მიხედვით, ძიძოს ხველებისა და ნერვული აღზნების დროს ხმარობენ.

127. წყლის პიტნა — *Mentha aquatica* L.

პიტნას (*Mentha*) გვარის სახელწოდება ლათინურია (ბერძნული ნიმფე), ამ მითოლოგიური სახელის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი ამ მცენარეს. ხოლო სახეობის სახელი *piperita* კი პილპილიდან (*piper*) წარმოდგება. იგი ორი სახეობის *aquatica* X.M. *Spicata* ნაჯვრია. ვინაიდან პიტნა (სახეობა) ნაჯვარს წარმოადგენს, დანარჩენ სახეობებთან შედარებით ის უფრო გვიან შევიდა სამკურნალო მცენარეთა სიაში, კერძოდ, 1969 წლიდან, როდესაც ის პირველად გამოიკვ-

ლიეს და ცალკე სახეობად აღიარეს. სხვა სახეობები კი, როგორცაა *M. aquatica*, *M. arvensis*, *M. longifolia*, *M. pulegium* და სხვანი თავიანთი მწვეავე არომატული სუნის გამო შორეული წარსულიდანაა ცნობილი როგორც სამკურნალო. წყლის პიტნა ძველ დროში სამკურნალო მცენარეთა შორის ხალხში ერთ-ერთ საკულტო მცენარედ ითვლებოდა და გარკვეულ როლსაც ასრულებდა. მისი ფოთლები შეიცავს ეთერზეთს, მთრიმლაგ ნივთიერებას. მზა სააფთიაქო მასალა (ნედლეული) არომატულია, აქვს სასიამოვნო მწვეავე გემო. ფოთლებში არსებული ეთერზეთი საყოველთაოდ ცნობილია, *Oleum Menthae piperitae*, რომელიც ამჟამად მეცნიერულ მედიცინაში იხმარება, უმთავრესად შედგება მენტოლისაგან, მენტონისაგან, ტერპენისაგან, ალკოჰოლისა და ალდეჰიდისაგან. ეს არის უფერული ან ოდნავ მოყვითალო სითხე თავისებური სუნითა და გემოთი. მას იყენებენ მედიცინაში კუჭის სეკრეციის გასაძლიერებლად, მადის მომგვრელად. ჩაის სახით სვამენ მადისათვის და ოფლის დამდენად. მუცლის ჭვლების წინააღმდეგ სვამენ მის ნახარშს. მას ეთერზეთის მსგავსი მოქმედება აქვს. ეს სახეობა მეტწილად თითქმის ყველგან კულტურაშია გავრცელებული. სამკურნალოდ ხმარობენ პიტნის რამდენიმე სახეობას, რომელთა უმრავლესობა ჩვენში მოიპოვება და შეიძლება საკმაოდ ბლომად შეგროვდეს.

პიტნა ეკუთვნის ტუჩოსანთა *Lamiaceae* (*Labiatae*) ბოტანიკურ ოჯახს. წყლის პიტნა სიმაღლით I მეტრს აღწევს, მისი ოთხკუთხა ღერო დატოტვიანებული და ოდნავ შებუსვილია. განიერი კვერცხისებური, ქვედა მხარეზე შებუსვილი ფოთლები ერთიმეორის მოპირისპირედ სხედან; იისფერი ყვავილები, რომლებიც ღეროსა და ტოტების კენწეროებზე სხედან, მოგრძო, თავთავისებურ ყვავილედშია შეკრებილი. ჩვენში წყლის პიტნა წარმოადგენს მდინარისპირის, რიყის და ზოგჯერ ჭალისპირის ტყეთა ერთ-ერთ ბალახეულ კომპონენტს, რომელიც წყალდიდობის დროს ხშირად წაილეკება ხოლმე.

სამკურნალოდ იყენებენ პიტნის სხვა სახეობასაც, როგორცაა *Mentha arvensis* L. და *Mentha piperita* L. წყლის პიტნის (*Mentha aquatica*) გამშრალი ფოთლები — *Folia Menthae aquaticae*, *Folia Balsami palustris* — შეიცავს 0,3—0,8% ეთერზეთებს. მინდვრის პიტნის (*Mentha arvensis*) ფოთლები (*Folia Mentha arvensae*) 0,2% ეთერზეთებს და აგრეთვე ზეთს პულეგონით (სტატიური მენტოლი), კულტურული პიტნის (*Mentha piperita* L.) ფოთლებში — (*Folia Menthae piperitae*) 0,7—1,5% ეთერზეთებია, 7—11% მთრიმლაგი ნივთიერება და მწარეები. ზეთის შემცველობა ყვავილებსა და კერძოდ იაპონურ პიტნაში მეტად თავისებურია, რაც შეამჩნიეს მკვლევარებმა Duncan-მა და Short-მა. აღმოჩნდა, რომ ის შეიცავს 1% ლიმონენპინენს, კარიო-ფილენს. მზა საქონელში ღეროებისა და სხვა მცენარეთა რაოდენობა 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

პიტნა უნდა შეგროვდეს ყვავილობის პერიოდში, როდესაც მათში ეთერზეთების დიდი რაოდენობაა და დაახლოებით 30—60% მარცხნივმხრელი კარვონი და მარცხნივმხრელი ტერპენები, ლიმონენი და პინენია. პიტნის იმ სახეობებში, რომლებიც იზრდება ჩვენში, ბევრია ლინალოლი, ცინეოლი და ლიმონენი. კულტურულ პიტნაში ტერპენთა დიდი ნაწილია, მისი ფორმულა ზუსტად დადგენილი არ არის. პიტნაში არის აგრეთვე მენტონი და მასში მხსნელი მენტოლი (*Mentholium*), რომელსაც პიტნის ქაფურსაც უწოდებენ. პიტნის ამ სახეობას საქართველოში კულინარიაშიც იყენებენ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც პიტნით აზავებენ ყველსა და ნადულს, ხოლო მისი ფოთლებისაგან მოხარშულ ჩაის სეამენ გაციების დროს. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში წყლის პიტნა მოხსენიებულია და მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებულია როგორც გულისრევისა და სპაზმების საწინააღმდეგო საშუალება, საღეზინფექციო და ტკივილების გამაყუჩებელი საშუალება, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს და ნაღვლის გზების არანორმალური მოქმედებისას. პიტნის ფოთლები შედის ნაკრებთა შემადგენლობაში; მას იყენებენ აგრეთვე გემოს გასაუმჯობესებლად, უმთავრესად *Oleum*-ის სახით. მისი ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Folia Menthae piperitae*, *Species aromatica*, *Vinum aromaticum*, *Sirupus Menthae piperitae*, *Tinctura Menthae piperitae*, *Oleum Menthae piperitae*, *Aqua Menthae piperitae* და სხვ. სხვადასხვა დამატებითი პრეპარატები მოხსენიებულია სხვა სახელმწიფოთა ფარმაცოპეაში.

ჩვენში პიტნის ორივე სახეობას აშენებენ ეზოებში, სპეციალურად მოვლილ და დაცულ ნაკვეთზე ან წყაროს წყლის არხთან აქვე მოშენებული (ზუგდიდი, სორი (ონი), ლეჩხუმი, გორელოვკა (ჯავახეთი) სოფ. კლდე, სანებელი, ქარელი, თეთრიწყარო, ბაკურიანი).

პიტნას იყენებენ ქარების საწინააღმდეგო წამალში შესარევეად სხვა მცენარეებთან ერთად, კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, ჩაის სახით გაციების შემოხვევაში, გულმკერდის შებოჭილობისას, წნევის დამწვევად, ოფლის მომგვრელად და მუცლის ტკივილის წინააღმდეგ, უძილობის დროს აყნოსებენ მის ყვავილებს და ფოთლებს (ავადმყოფს სასთუმალზე უყრიან პიტნის ფოთლებს).

პიტნის აღნიშნული სახეობა მოშენებული ვნახეთ სუფსაში სპეციალურად მოვლილ და დაცულ ნაკვეთზე კომშის ძირას და მას იყენებდნენ როგორც საჭმლის სახელებლად, ისე წამლად კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. სოფ. სორში (ონი) სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად წყაროს წყლის არხთან მოშენებული იყო პიტნა, რომელსაც იყენებენ გაციების დროს ჩაის სახით, გულმკერდის დაჭერილობის დროს. პიტნის მეორე სახეობა *M. Longifolia*-ს სპეციალურად აშენებენ და ასმევენ ავადმყოფს წნევის დამწვევად.

ლეჩხუმში მას ოფლის მომგერელად და მუცლის ტკივილის დროს ხმარობენ.

ჯავახეთში, სოფ. გორელოვკაში სახალხო მკურნალის ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ვნახეთ *Mentha piperita*, *Mentha longifolia*.

ბაკურიანში, გარეულ პიტნის ფოთლებსა და ყვავილებს უძილობის დროს უწყობენ ავადმყოფს (ფოთლებს ყრიან ბალიშზე).

სოფლებში — კლდე, სანებელი, თეთრიწყარო — სახალხო მკურნალებს ეზოებში მოშენებული აქეთ პიტნა.

პიტნას იყენებენ აგრეთვე კბილის ფხვნილისა და პასტის დასამზადებლადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ურევენ განსაკუთრებული სახეობის — *Mentha Spicata* Hudson. var. *crispata* Briquet ფოთლებს (*Folia Menthae Crispae*), რომელშიც ეთერზეთების რაოდენობა 1%-ს არ აღემატება, ხოლო ნაცრის—12%. ამ პიტნისაგან ამზადებენ *Oleum Menthae Crispae*-ს. *Mentha Longifolia* მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული არ არის, რადგან ის მენტოლს მცირე რაოდენობით შეიცავს, ხოლო მეორე სახეობა *Mentha pulegium* L, რომელიც დასავლეთ საქართველოში უმბალოს (ან ომბალოს) სახელწოდებითაა ცნობილი, ეზოებში აქეთ მოშენებული, როგორც სანელებელი. კუჭის აშლილობის დროს აძლევენ შემკვრელად.

როლოვის მიხედვით წყლის პიტნა მთლიანად ბალახის სახით ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია სოკოთი მოწამელისა და გველის ნაკენის წინააღმდეგ, მის წყლიან ნაყენს სვამენ.

128. თუთა — *Morus alba* L.

თუთა თუთისებრთა (*Moraceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. მის სამშობლოდ ჩინეთს ასახელებენ. იზრდება ტანაყრილ ხეებად და ჩვეულებრივ ახასიათებს მურა ფერი. ივითარებს ფუძესთან წაჭრილ კვერცხისებრ ფოთლებს, რომლის წვერი წაწვეტიანებულია, კიდეები კი — ბლაგვკბილა, ყვავილები ორგვარია — მღერობითი და მამრობითი, ყვავილსაფარი გარედან შიშველია, ნაყოფი თეთრი.

საქართველოში თუთა უხსოვარი დროიდანაა შემოტანილი და გავრცელებული. გავრცელებულია უმათავრესად დაბალ ზონაში და მთაში 800—1000 მეტრამდე ზღვის დონიდან. ჩვენში მისი შემოტანა დაკავშირებულია მეაბრეშუმეობის განვითარებასთან. თუთის მერქანი და ფოთლები იძლევა ყვითელი ფერის კარგ და გამძლე საღებავს. მერქანს იყენებენ საღებავლო და მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად.

თუთის ფოთლების სილოსი კარგი კვებითი ღირებულებისაა და სასიამოვნო სუნით ხასიათდება. მას კარგად ჭამს ძროხა. მისი ქიმიური შემკველობა ასეთია: ნაცარი — 12,5%, პროტეინი — 31,9%,

ცხიმი — 3,1%, უჯრედანა — 11,5%, უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებანი — 41%.

თუთის ფესვების ქერქს ურევენ სხვა მცენარეებს და ავზნეს მკურნალობენ, თუთის ფოთლების ნახარშს ასმევენ ღვიძლის ტკივილის, დიაბეტის დროს.

როლოვის მიხედვით, მედიცინაში თუთის მშრალი ნაყოფი და სეროფი იხმარება როგორც გამაგრილებელი, შემამსუბუქებელი და კუჭის ნაზად ამშლელი საშუალება. სიროფი კარგად მოქმედებს ყელის დაავადებების დროს. მისი ფოთლების ნახარშს ყელის წყლულების სამკურნალოდ იყენებენ. ფესვების ქერქს აქვს შარდმდენი თვისება, ხოლო ფოთლებს იყენებენ მალარიის და ჭრილობების შემხორცებლად.

129. კონკიველა — კესანე, ცისანა — *Myosotis alpestris* Schmidt.

კონკიველა მრავალწლოვანი 10—30 სმ სიმაღლის ბალახია, რომელიც ლაშქარასებრთა — *Borraginaceae* ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ყვავილები მეტწილად დიდი ზომისაა (8—11 მმ დიამეტრის), მოცისფრო-მტრედისფერია. გვხვდება სუბალპურ და ალპურ ზონაში, მეტწილად მდელოებზე, მთელს რესპუბლიკაში. იგი დეკორაციული მცენარეა.

კონკიველას იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად (ზემოაღვანი).

130. ჯავზი (ჯაოზი) — *Myristica moschata* Thnb.

ჩვენში ჯავზი არ იზრდება, მხოლოდ წინათ შემოქონდათ და იყენებდნენ, როგორც დამხმარე საშუალებას. ჯავზის მოშენება რაჭასა და სამეგრელოში უცდიათ, მაგრამ ვერ მოუშენებიათ.

საყმაწვილოს წამლის დასამზადებლად სხვა მცენარეებთან ერთად იყენებენ ჯავზს, რომელსაც აფთიაქში იძენენ.

გადმოცემით, XIX საუკუნის 60-ან წლებში თვალსაჩინო სახალხო მკურნალები სტამბოლიდან იწერდნენ ჯავზს.

131. თამბაქო, გლარჯა, წეკო — *Nicotiana tabacum* L.

თამბაქო ეკუთვნის ძალყურძენასებრთა (*Solanaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. წეკოს სახელწოდებით ჩვენში, უფრო სწორად, სახეობა *Nicotiana rustica*-აა გავრცელებული. ორივე ეს სახეობა ჩვენში კულტურაში მოჰყავთ, მაგრამ ნახავთ გაველურებული სახითაც. ქართულ ხალხურ მედიცინაში (ხევსურეთში) გლარჯას ფოთლებს მცირე რაოდენობით ღვებენ და წვენს ყლაპავენ კუჭის ტკივილების დაამების მიზნით. გლარჯას ფოთლები (*Folia Nicotianae*) შეიცავს ნიკოტინის რიგს 0,5—13% ალკალოიდებით: ნიკოტინით, ნიკოტელინით, პიროლიდინით და მეთილპიროლინით, რომლებიც მეტწილად მჟავე-

ებთანაა დაკავშირებული. გარდა აღნიშნულისა, შეიცავს ფისს, გლიკოზიდებს (ლურჯ მქავებთან კავშირში) და ემულსინისებურ ენზიმს, 0,04 ეთერზეთს, 23% ნაცარს და სხვა. ზოგიერთ ადგილში, გარდა ფოთლებისა, იყენებენ გლარჯას თესლებს (ფშავი) ნაყენების სახით. მისი თესლები ნიკოტინს არ შეიცავს. $C_{10}H_{14}N_2 - 2C_6H_2(NO_2)_3OH - 2NaOH = C_{10}H_{14}N_2$ ნიკოტინნიკრატი, ნიკოტინი $2C_6H_2(NO_2)_3ONa - H_2O$ ნატრიუმნიკრატი.

შატილში სხვა მცენარეებთან ერთად ზოგს დღესაც აქვთ მოშენებული თამბაქო, რომელსაც იყენებენ სამკურნალოდ.

ბირკიანში (ახმეტის რაიონი) ღვიძლის დაავადების დროს მცირე რაოდენობით თამბაქოს ფოთოლს წუწნიან.

132. ანჩხლა, ანუ ინჩხლა — *Trachystemon orientale* (L.) D. Don. *Nordmannia Orientalis* (L.) Stev.

ანჩხლა 5—40 სმ სიმაღლის ბალახია, რომელიც ეკუთვნის ლაშქარასებრთა (*Borraginaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ივითარებს გაგრძელებულ შებუსვილ ფოთლებს. გვირგვინი ლურჯია, გვხვდება მთის ზედა სარტყლამდე, მშრალ ფერდობებზე, ნაგვიან ადგილებში, ტენიანებზე, როგორც პლანტაციების სარეველა—აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში.

ანჩხლა მოხსენიებული არ არის არც ხალხურ და არც მეცნიერულ მედიცინაში. სოფ. სუფსაში (ლანჩხუთის რაიონი) სპეციალურად დარგული ჰქონდათ ანჩხლა ტრიფოლიატების გასწვრივ და მის ძირებს იყენებენ მუწუკების (კარბუნკულებისა და ფურუნკულების) მოსამწიფებლად, აგრეთვე ქავანას და საერთოდ კანის დაავადების დროს.

133. ჯადვარი — *Orchis flavescens* C. Koch.

ჯადვარი ეკუთვნის ჯადვარისებრთა (*Orchidaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, ცნობილია ჩვენში აგრეთვე გუგულისკაბის, კაციითთას და უშვილობის წამლის სახელწოდებით. მისი ტუბერაკები მართლაც ადამიანის თითებს მოგაგონებთ. ჯადვართა გვარის მცენარეების სქელი, შიშველი და კიდეშლიანი პრიალა ფოთლები ხასიათდება განიერი, მოგრძო ან ელიფსური, ვიწრო ლანცეტა და სშირად ხაზურა მოყვანილობით. ჯადვარის არც თუ ისე მაღალი, სწორმდგომი და წვნიანი ღეროს კენწერო დამშვენებულია მოგრძო ან ცილინდრული ფორმის მტევანა ყვავილედით, რომელშიც შეკრებილია, ჩვეულებრივ, მოწითალო იისფერი ან შროშანი ყვავილები. ფუძესთან ღერო მიწაში ივითარებს ტუბერაკებს, რომელთაგან ერთს, გასული წლისას, შავი ფერი აქვს, ხოლო ორი ახალი ტუბერაკი ღია ფერისაა და ხორციანი. ტუბერაკთა მოყვანილობა მეტად უცნაურია: ზოგი მათგანი მრგვალია, ზოგი კი თათისებურადაა დაყოფილი. სამკურნალო მიზნებისათვის საუკეთესოდ მრგვალი ტუბერაკები ითვლება. ამ ტუბერა-

კებში ჯადვარი იმარაგებს საზრდო მასალას მეორე სავეგეტაციო წლისათვის, რის გამო გასული წლის ტუბერაკი გამოფიტულია და რბილი, ხოლო ახალი ტუბერაკი კი მდიდარია საზრდო მასალით და სასარგებლო ნივთიერებებით. ამიტომ სამკურნალო მიზნით აგროვებენ ახალ ტუბერაკებს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე ან ვეგეტაციის დასრულების შემდეგ გვიან შემოდგომაზე. შეგროვებულ ტუბერაკებს ჭაფუხე აცმევენ და აღუღებენ, წყალში ავლებენ, შემდეგ ამრობენ და ინახავენ. ჩვენში იზრდება ჯადვარის 4-ზე მეტი სახეობა, რომელთაგანაც აღსანიშნავია *Orchis amblyoloba* Nevski, *Orchis laxiflora* Lam. *Orchis mascula* L. *Orchis purpurea* Huds., *Orchis palustris* Jacq., *Orchis flavescens* C. Koch, *Orchis iberica* M. B. და სხვ. მათი უმრავლესობა სამკურნალო მიზნებისათვის გამოსადეგია. საქართველოს ყველა რაიონის ტყეები და მდელოები მდიდარია ჯადვარის სხვადასხვა სახეობით. მას უხვად ნახავთ ბარშიც და მთაშიც, თითქმის მარადი თოვლის ზონაშიც, წიფლნარ ტყეებშიც, განსაკუთრებით იქ, სადაც ძლიერადაა გამოხატული გვიმრების, მარცვლოვანების ან რომელიმე სხვა მაღალბალახოვანი მცენარეების ბალახეული საფარი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ჯადვარს დიდი ხანია იყენებენ, განსაკუთრებით სიმსივნეებისა და მოშხამულ ჭრილობათა სამკურნალოდ და როგორც სასქესო ორგანოთა აღმგზნებ საშუალებას; ასევე კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, სისხლიანი ფაღარათობის შემთხვევაში და სხვ. ჯადვარს საკვებადაც ხმარობენ. მეცნიერულ მედიცინაში მას მძიმე მოწამელის შემთხვევებში უნიშნავენ შიგნით მისაღებად, როგორც შემომვლებ საშუალებას, კერძოდ, კუჭ-ნაწლავის კატარისა და სისხლიანი ფაღარათობის დროს, განსაკუთრებით ბავშვებს. ჯადვარის ტუბერაკები (*Tubera Salep*, *Radix Salep*) შეიცავს 40—50% ლორწოს (ალაბინითა და დექსტრინით), სადაც მთავარ მოქმედ საწყისად ბასორინი ითვლება, 30% სახამებელს, 5—6% ცილოვან ნივთიერებას, 4% შაქარს და ნაცარს არა უმეტეს 3%-ისა. შხა მასალაში სინესტე 14% არ უნდა აღემატებოდეს. ჯადვარის ფარმაცევტული პრეპარატებია *Tubera Salep*, *Mucilago Salep* Seu *Decoctum Salep*.

ცავერში ჯადვარი ვნახეთ ეზოში მოშენებული, მას თურმე იქ უშვილობის წინააღმდეგ იყენებენ.

134. თავშავა — *Origanum vulgare* L.

თავშავას (*Origanum*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან — *Oros* და *ganus* — მშვენება, ე. ი. მთის მშვენება, ხოლო *vulgare* — ჩვეულებრივი, მთის ჩვეულებრივი მშვენება. თავშავა უძველესი სამკურნალო საშუალებაა (საბერძნეთი, კოლხეთი). დიოსკურიდე ურჩევდა, მას როგორც ცხოველების მოსაწამლ

საშუალებას. რომაელები ჭიანჭველების წინააღმდეგ იყენებდნენ. თავ-
შავას სამკურნალო თვისებებზე ლაპარაკობს თეოფრასტეც. იგი შეი-
ცავს ეთერზეთს, შორიმღავ ნივთიერებას და მწარე ნივთიერებას. მას-
ში არის ერთი სასიამოვნო მწვავე არომატული სუნის ნივთიერება—
მაიორანი. ვინაიდან თავშავა არ შეიცავს ლორწოს, მას ასმევენ (გან-
საკუთრებით ხალხურ მედიცინაში) მადის მომგვრელად და კუჭის მო-
ქმედების მომწესრიგებლად ნაყენების სახით. მას სხვა მცენარეებთან
ერთად ხმარობენ აგრეთვე ნაკრებთა სახით, მეცნიერულ მედიცინაში
იყენებენ თავშავას ზეთს.

თავშავა გავრცელებულია ევროპაში, ირლანდიაში, შოტლანდია-
ში, შუა სკანდინავიაში, ციმბირში, ჰიმალაიში, სპარსეთში, კავკასია-
ში. ჩვენში გვხვდება ველებზე, ბუჩქნარებს შორის, მთის შუა და
სუბალპურ სარტყელში მთელ რესპუბლიკაში.

თავშავა ტუჩოსანთა Lamiaceae (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს
ეკუთვნის. იგი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს მსოხავი
ფესვურა, ოთხკუთხა, სწორმდგომი დატოტვილი ღერო, რომელიც
სიმაღლით 30 სმ აღწევს. მოკლეყუნწიანი, მოგრძო კვერცხისებური,
კიდემთლიანი ფოთლები ერთიმეორის პირდაპირ სხედან ღეროზე. სი-
ნათლევზე გახედვისას ფოთლებში მოჩანს ზეთის ჯირკვლები. პატარა
მოვარდისფრო ყვავილები თავთავისებურად შეკრებილია ფარკ ყვა-
ვილედში ღეროსა და ტოტების კენწეროებზე. ყვავილის ჯამი ხუთ-
კბილა ზარისებურია. მილისებური გვირგვინი ზედა და ქვედა ტუჩე-
ბით 4—5 სმ სიგრძისაა. გვირგვინიდან მოჩანს ოთხი მტერიანა. მას
ახასიათებს ოთხი კაკლუჭად მხსნელი ნაყოფი. ჩვენში იგი ფართოდაა
გავრცელებული.

ქართულ ხალხურ მედიცინაში თავშავას ბალახს (Herba Origani
vulgaris) ხმარობენ ყვავილობის პერიოდში როგორც ანტისპაზმურ
საშუალებას, შეკავებული მენსტრუაციის დროს, კუჭ-ნაწლავის დაავა-
ლებათა წინააღმდეგ, ნერვულ ნიადაგზე თავის ტკივილების დროს,
სხეულის ქვედა ნაწილებში სისხლისშემიერების შემთხვევაში, ჭვალისა
და ქოშინის წინააღმდეგ, აგრეთვე როგორც მშრალი, ისე სველი სა-
ფენებისათვის, არომატული აბაზანებისათვის, კულინარიაში, შალეუ-
ლის და თმის შესაღებად, აგრეთვე თმის ცვენის წინააღმდეგ, კარგია
როგორც კბილის ტკივილის დამაყუჩებელი საშუალება, აგრეთვე უძი-
ლობის წინააღმდეგ და სხვ. თავშავას ყვავილებს ურევენ თავყვითე-
ლასა და ფარსმანდუკის (Achillea tomentosa L.) ყვავილებს, მათი
ნაღლებიდან მზადდება თხიერი მალამო ეგზემის სამკურნალოდ. თავ-
შავას ყვავილებს ყრიან ტანსაცმლის კარადაში ჩრჩილის წინააღმდეგ.
მეცნიერულ მედიცინაში ჩვენში თავშავას ნაკლებად იყენებენ, მაგრამ
საზღვარგარეთ მას დღესაც ხმარობენ, როგორც Stomachicum, anti-
spasmodicum, emmenagogum კომპრესებისათვის და კბილის დაავა-

დებათა მკურნალობის პრაქტიკაში. ის შედის აგრეთვე არომატულ ნაკრებთა შემადგენლობაში. ქიმიურად თავშეა შეიცავს 0,15—1% ეთერზეთებს, 8% მთრიმლავ ნივთიერებას, მწარეებს, 8—10% ნაცარს 60% ფენოლს, კარვაკროლს და სხვ.

თავშეავს ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Herba origani species aromatica*, *Oleum Origanum vulgare* და სხვა. თავშეავს ზეთს ჩვენში იყენებენ პარფიუმერიაში.

სოფ. სორში (რაჭა) თავშეავს აძლევენ ჭვლების წინააღმდეგ, ეზოში აშენებენ სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად. თავშეავს ხმარობენ მუცელში გაზების დაგროვებისა და ჭრითი ტკივილების დროს (სოფ. თვალადი).

სოფ. მახარაძეში თავშეავს აგროვებენ და იყენებენ სამკურნალოდ.

135. იორდასალამი — *Paeonia caucasica* N. Schipez, *P. Steviana* Kem-Nath.

იორდასალამის (*Paeonia*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული ღმერთის ერთ-ერთი სახელის *Päon*-ისაგან, საიდანაც ლათინურშიც დამკვიდრდა (*Paeonia*), ხოლო *caucasica* კავკასიურს ნიშნავს. იგი უძველესი დროიდან ცნობილი სამკურნალო მცენარეა. მას უძველესი ბერძენი ექიმები იყენებდნენ. ჰიპოკრატესათვის ცნობილი იყო მისი სამკურნალო თვისებები და სამკურნალო ფორმები, რომელ ექიმ გალენს აღწერილი აქვს თავის სამკურნალო წიგნებში. იორდასალამის ყვავილები შეიცავს საღებავ ნივთიერება პეონინს, პეონიდინს და შაქარს. საღებავი ნივთიერების შემცველობა მზა სამკურნალო ფორმაშიც რჩება. ნედლ მასალას აქვს თავისი მსგავსი მწვავე სუნი, ხოლო მშრალს მხოლოდ მოტკბო თავისებური გემო რჩება. იორდასალამის მზა სააფთიაქო ფორმიდან აღსანიშნავია „*Flores Paeoniae*“, რომელსაც იყენებენ ნაკრები ჩაის გასაუმჯობესებლად და მხოლოდ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ. იორდასალამის თესლები („*Semen Paeoniae*“) შეიცავს მლაშე ცხიმზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფისს. იორდასალამის თესლი კარგ შედეგს იძლევა ბავშვებში კბილის ტკივილის გასაყუჩებლად და ყელის ტკივილის დასაამებლად. საერთოდ იორდასალამის ფესვებს ხალხურ მედიცინაში ფართოდ იყენებენ. იგი გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, პორტუგალიაში, ალბანეთში, მცირე აზიაში (აქეთ მოშენებულიც), ამიერკავკასიაში. ჩვენში იზრდება მთის წინებიდან მთის ზედა სარტყლამდე ტყეებსა და ტყისპირებზე, ბუჩქნარებში აფხაზეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, თრიალეთში, მესხეთში.

იორდასალამი ეკუთვნის იორდასალამისებრთა — *Paeoniaceae* ბოტანიკურ ოჯახს. საქართველოში იორდასალამის რამდენიმე სა-

ხეობა იზრდება, რომლებიც გამოყენებულია ქართულ ხალხურ მედიცინაში, როგორც ანტისპაზმური, ლუესის საწინააღმდეგო, ხველების დროს და სახის სიმკრთალის შემთხვევაში. მისი ფესვების (*Radix Paeoniae*) ქერქი შეიცავს პეონოლს (მეთოქსილოქსიფენილმეთილექტონს $C_9H_{10}O_3$), რომელიც თავის მხრივ შეიცავს გლიკოზიდურ კავშირს 0,4% ეთერზეთებს (მისი ეთერზეთები ფენოლისაგან შედგება), სახაროზს, გლუტამინს, არგინინს, მთრიმლავ ნივთიერება პეონიაფლუორესცინს, ნახშირჰიდრატს, ცხიმებს, ფისს, 4—6% ნაცარს. იორდასალამს საზღვარგარეთ ურჩევენ და იყენებენ როგორც *Secale cornutum*-ის შემცველ საშუალებას. ამ მიზნით გამოიყენება სახეობა *Paeonia officinalis* Retz. თავისი ვარიაციებით ამ მიმართულებით საჭიროა ჩვენი სახეობის გამოცდაც, როგორც ყვავილები, ისე თესვები თითქმის იმავე შემცველობისაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ სხვაობა იმაშია, რომ *Florea Paeoniae* შეიცავს 3% ნაცარს და *Semen Paeoniae* 5% ნაცარს. იყენებენ მთერალის გამოსაფხიზლებლად.

ხალხი იორდასალამს იყენებს ხველების დროს სოფ. კახი (საინგილო).

როლოვის მონაცემებით, ამ მცენარის ყველა ნაწილს ხალხი ხმარობს როგორც სპაზმების საწინააღმდეგო საშუალებას.

136. ძეძვი — *Paliurus spina Christi* Mill.

ძეძვი ეკუთვნის ხეჭრელისებრთა (*Rhamnaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც ეკლიან ბუჩქს წარმოადგენს და ხასიათდება მომრგვალო ან ოვალური ფოთლებით, რომელთა სიგრძე 20—45 მმ-ია. ყვავილები წვრილია და ყვითელი. ნაყოფი მშრალი — 15—20 მმ. გვხვდება მშრალ ადგილსამყოფელზე მთის ქვედა სარტყელში და ქმნის მთლიან რაყას—აფხაზეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, ქიზიყში, გარე კახეთში, ქვედა ქართლში.

ძეძვის ნაყოფისაგან აკეთებენ ბრონქული ასთმის წამალს (ლაგოდების რაიონი).

ძეძვის ნაყოფის, ფოთლის, თესლის და ნიახურის ნახარშს იყენებენ შარდმდენად.

137. ხაშხაში — *Papaver somniferum* L.

ყაყაჩოს (*Papaver*) გვარის სახელწოდება რომაულიდანაა წარმომობილი. *Papa* ნიშნავს საბავშვო ფაფას. ეს სახელწოდება ამ გვარმა მიიღო იმიტომ, რომ ბავშვებს ყაყაჩოს წვენი ასმევდნენ ან ფაფაში ურევდნენ. ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *Somniferum* — დამაძინებელს ან ძილმომგვრელს ნიშნავს. ყაყაჩოს ამ

სახეობას ქართველები განსაკუთრებულ სახელს — დაჟღაჟს ან ხაშ-ხაშს ეძახიან. ლაჟღაჟი წითელს ნიშნავს, მაგრამ ხაშხაში ინდურ ჰა-შიმ-ს ემსგავსება, ვინაიდან ჰაშიში (ქართულად თრიაქი, აქედან სიტყვა გათრიაქებული — მთვრალი, დაბანგული) სწორედ პასუხობს მის მოქმედებას, ხაშხაში ათრობს და აძინებს ადამიანს. მას უხსოვარი დროიდან იყენებენ სამკურნალო მიზნით. კერძოდ, იმ დროიდან, როცა ადამიანმა მოზინადრე ცხოვრება დაიწყო და ეს მცენარე მოაშენა. ხოლო ოპიუმში, რომელიც ამ მცენარიდან მიიღება, ცნობილი იყო სამიათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გაჭრილი მცენარე შეიცავს 0,1% ალკალოიდებს, რომელშიც შედის ნაწილი საერთოდ ცნობილი ალკალოიდი ოპიუმში. ნედლ სააფთიაქო მასალას ნარკოტიკის სუნი აქვს და მწარე გემო, მაგრამ გაშრობის შემდეგ კარგავს სუნს და გემოს. ხაშხაშის თესლში დიდი რაოდენობითაა მლაშე ზეთი, უფრო ნაკლები ლორწო და კვერცხის ცილა. ხაშხაშიდან მიღებული ალკალოიდები წარმოადგენს დამამშვიდებელსა და ძილისმომგვრელს. სააფთიაქო ნედლეული ავადმყოფს ენიშნება გამონახარშის სახით ნერვული მდგომარეობის დროს დასამშვიდებლად, ამავე დროს იგი აყუჩებს ტკივილს. მზა სააფთიაქო ნედლეულში ალკალოიდების რაოდენობა მერყეობს, უმნიშვნელოა ან სულ არ არის, მაგრამ ავადმყოფმა უნდა მიიღოს იგი ექიმის კონტროლქვეშ და მისი დანიშნულების მიხედვით. ხაშხაშის თესლებიდან ამზადებენ ემულსიას (ნაღვეებს), რომელიც ითვლება შემომგარსველ საშუალებად მწვავე ანთების დროს. გარდა აზისა, თესლს იყენებენ ნამცხვარზე მოსაყრელად. ხაშხაშის ზეთი გამოყენებულია მეცნიერულ მედიცინაში პლასტიკებისა, სალბუნებისა და საპნის დასამზადებლად, აგრეთვე იყენებენ საჭმელად. აზიის ქვეყნებში ხაშხაშის კულტურას ძალზე ფართოდ მისდევენ, მისგან ამზადებენ ოპიუმს, იგი ყველგან მხოლოდ კულტურაშია გავრცელებული. ჩვენში, მთელ რესპუბლიკაში გვხვდება როგორც კულტურაში, ასევე გავლურებული სახით.

ხაშხაში ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და ხასიათდება ნაკლებად დატოტიანებული მარტივი ღეროთი, რომლის კენწეროზე დიდი ყვავილი ვითარდება. მოგრძო ფოთლები მორიგეობით სხედან ღეროზე. ქვედა ფრთადგანკვეთილი ან დაკბილული ფოთლები უფრო დიდი და გრძელყუნწიანია, ხოლო ზედა ფოთლები მჯდომარეა და დაკბილული. ყვავილს აქვს ორი ჯამის ფოთოლაკი, რომლებიც გაშლის პერიოდში ცვივა. გვირგვინი შედგება ოთხი წითელი, იისფერი ან თეთრი (*Papaver somniferum* L., var. *album* G. C. *Pindehiscens* Dumort) ფურცლისაგან. ყვავილი ხასიათდება მრავალრიცხოვანი სხივისებური მტვრიანათი და ნასკვით. ნაყოფი წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის 2—7 სმ სიგრძის და ცოტად თუ ბევრად მრგვალი ფორმის კოლოფს რამდენიმე სატიხარით, საიდანაც

მრავალი ძალიან წვრილი, თირკმელისებური, მოშავო ფერის თესლე-
ბი ცვივა. ეს კულტურული აღმოსავლური წარმოშობის მცენარე ხში-
რად გვხვდება სარეველის სახითაც, განსაკუთრებით საცხოვრებელ
ადგილებში. ჩვენში სამკურნალოდ იყენებენ ხაშიშის თესლს, ქერქი და
წვეს შარბათის სახით (თაფლში ან შაქარში ნახარშს) და ხაშიშის
ლაბს, ანუ მის სიროფს ფილტვების დაავადების, უძილობის, თვალის
სითეთრის წინააღმდეგ, აგრეთვე როგორც საფალარათოს და
სხვ. „ხაშიში, მეორეს სიგრილის წილშიგა გრილი არის, ნედლი არის.
სურავანდისა, ხველისათვის და უძილობისათვის სამისათვის მწოდ
მარგე და გამორჩეული წამალი არის, ტვინისა და დამალისა ბალამსა
დაადნობს და გააცუდებს. კაცმან რომე ორი ღირჰამი ესე ხაშხაში
ორსა ღირჰამსა თაფლშიგა აურიოს და ჭამოს სურავანდსა, სურდოსა
და უძილობასა სამსავე უშველის და ესე ხაშხაში რომე კაცმან ხუთსა
ღირჰამანდისი ჭამოს კაცსა არას აწყენს. ბევრს თესლს ჩაუყენებს. და
ამა ხაშიშის ტყავი კაცსა შეკრავს და ფიცხლავ გახსნის, მაგრამ ფირ-
ტუსა აწყენს, მეტადრე მაშინ რომე კაცმან ბევრი ჭამოს და ვინ იცის
და ამა ხაშიშმან კაცსა აწყინოს, მისი წამალი და ნაწყენის გამქარვე-
ბელი კევი და დანამასტაქი არის“. თითქმის ყოველმხრივ გვიხასია-
თებს ხაშხაშს დაეით ბატონიშვილი და მისგან მოწამელის წინააღმდეგ
საჭირო წამლებზეც კი მიგვეითებებს. წინათ ხაშხაშის წვეს აძლევ-
დნენ ჭირვეულ ბავშვებს დასაძინებლად, რაც ცუდ გავლენას ახდენდა
მათზე. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ხაშხაშისაგან მიღებულ
ოპიუმს, მის ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, პაპავერინს, ასევე
პრეპარატ ომნოპონს (პანტოპონს) და სხვ. მაგრამ ვინაიდან ბავშვები
განსაკუთრებულ მგრძობიარობას იჩენენ ოპიუმის პრეპარატებისად-
მი, ამიტომ ამ ასაკში მას არ უნიშნავენ. ოპიუმის ფხვნილის უმაღლე-
სი დოზა ერთ მიღებაზე 0,1 გ უდრის, ხოლო სადღეღამისო — 0,3
გრამს, ოპიუმიდან მიიღება მრავალი ალკალოიდი, რომელთა რიცხვი
22-ს აღემატება, თუმცა მედიცინაში ყველა არ გამოიყენება. ხაშხაში
და მისი პრეპარატები მოხსენიებულია როგორც ჩვენი ფარმაკოპეის
მე-7 გამოცემაში, ისე სხვა სახელმწიფოების ფარმაკოპეაშიც. იყენებენ
მის ნაყოფს — *Fructus Papaveris immaturi*, *Fructus Papaveris*,
Capita Papaveris. ქიმიურად ხაშხაშის მოუწიფებელ ნაყოფში მორ-
ფინის რაოდენობა უდრის 0,02—0,05%, ნახევრადწიფეში 0,04% და
მწიფეში კი 0,017%—0,07%; მორფინის შემცველობა თითქმის ღრმა
სიბერემდე გრძელდება, მაგრამ რა თქმა უნდა, თანდათან მცირდება.
ის შეიცავს აგრეთვე ნარკოტინს, უფრო სწორად მის კვალს, პაპავე-
რინს, პაპავეროზინს, მეკონიუმჟავას, ღვინის ჟავას, ციტრონმჟავას
და სხვ. ნაცრის შემცველობა 10—12% შეადგენს; იყენებენ მის ფოთ-
ლებსაც (*Folia Papaveris*), რომლებისგანაც ამზადებენ ყაყაჩოს
ზეთს (*Oleum Papaveris*).

ხაშხაშის ნათესებს საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით, მათ შორის რაჭაშიც. ძირითადად ამ მცენარეს ბოსტნებში ნახავთ, იგი ონისა და ამბროლაურის რაიონებში თითქმის თანაბრად ითესება და იყენებენ მუცლის ტკივილის დროს, ასევე ჭირვეული ბავშვების დასაძინებლად.

138. მარიამსაკმელა — *Peganum harmala* L.

მარიამსაკმელა ორყურასებრთა — (*Zygophyllaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. 25—60 სმ სიმაღლის შხამიანი ბალახია, ფოთლები სამადაა გაყოფილი ხაზური, წამახვილებული ნაპირებით, გვირგვინი თეთრი 15—20 მმ სიგრძისაა. იგი იზრდება მთის ქვედა სარტყლამდე, ნახევრად უდაბნოებში, მლამობ ადგილებზე, მშრალ ფერდობებზე, მეტწილად ნაგვიან ადგილებში, იმერეთში, ქართლში, აჭარაში, კახეთში, ქიზიყში, გარდაბანში, მესხეთში.

ახალციხეში (რაბათში) საქონლის დახუთულობას მკურნალობენ მარიამსაკმელათი, რომელსაც აქ უზალუგს ეძახიან (ეტყობა თათრულის გავლენით), დახუთულ პირუტყვს ამ მცენარეს უბოლებენ.

ახალციხესა და ასპინძის რაიონში გავრცელებულია (სოფ. სარო, ღეთისმშობლის მთავარანგელოზის ეკლესია, სამცხე, ნიჯგორის გზა და ნიჯგორის ბაღები, სოფ. აწყვიტა და ქუნტა, მთა საქარიკო) მარიამსაკმელა, რომელსაც უზალიკს ეძახიან. მას ახმობენ და სამკურნალოდ იხსახვენ, მკურნალობენ საქონლის კუჭის აშლილობას.

სოფ. აწყვიტაში (ახალციხის რაიონი) უზალკას უხრჩოლებენ ბავშვებს.

139. ატამი — *Persica Vulgaris* Mill.

ატამი ეკუთვნის ვარდისებრთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება საშუალო ზომის ბუჩქის სახით, ახასიათებს განიერი ლანცეტა ფოთლები სხვადასხვა ფერის, გემოს და მოყვანილობის ნაყოფით. ატამი კულტურული მცენარეა. გაველურებულად იზრდება გზისპირებზე.

აჭარაში (ბენზე) ატამის ქერქსა და მაცვლის ძირს იყენებენ სისხლდენის შესაჩერებლად, ავადმყოფს ასმევენ მის ნახარშს.

როლოვის მონაცემებით, ახალგაზრდა ფოთლების წვენით ხალხი მკურნალობს ყურის დაავადებას. ფოთლები გამოიყენება როგორც კარგი გამსხნელი და სისხლის გამწმენდი საშუალება. მის ზეთს მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ.

140. ბუერა — *Petasites albus* (L.) Gaertn., *Petasites hybridus* (L.) Gaertn. *Petasites Fomini* Bordz.

ბუერას გვარი რთულყვავილოვანთა *Asteraceae* (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და *Senecioneae* რიგშია გაერთიანებული. ბუერა იზრდება საქართველოს ნესტიან ადგილებში, მდინარის პირებზე, ჩამონახვავებზე, ალპურ ზონაშიც თითქმის ყველგან. გროსქეი-

მის „კავკასიის ფლორაში“ ნათქვამია, რომ საქართველოში ამ მცენარის სამი სახეობაა გავრცელებული და თანაც დასძენს, რომ ეს გვარი ძალიან პოლიმორფულია და თითქმის შეუსწავლელი. ჩვენში მას იყენებენ ჩირქოვანი სიმსივნეების წინააღმდეგ. სახეობა *Petasites officinalis* Moech., *Petasites vulgaris* Desf., *Tusilago Petasites* L. იხმარება როგორც *Expectorans* და *Sudorificum*. ბუერას ფოთლების (*Folia petasitilis*) და ფესვების (*Radix Petasitidis*) ქიმიური შემცველობა ასეთია: ახალ ფესურასა და ღეროში 0,85% საქაროზა, 0,1% ჰელიანთენინი, 1,2% სინანთენინი, 3,5% ინულინი, 0,85% ინულენინი, 0,25% ფსევდოინულინი, 1,85% პეპტინოვანი ნივთიერებანი, მწარეებს არ შეიცავს, 0,1% ეთერზეთები, ცხიმები, ლიპოიდები, ფისი, მცირეოდენი ქოლინი, მკვრივი და თხევადი ცხიმწყაეები, პროტოკატექუმეავა, 7,4% ნაცარი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში მას ავთვისებიან სიმსივნეთა სამკურნალოდ იყენებენ, ზოლო მის ნახარშს (ძირები და ფოთლები) მშრალი ხველების დროს სვამენ, როგორც ნახველის ამომღებს. მეცნიერულ მედიცინაში მას მხოლოდ წინათ იყენებდნენ.

სოფ. უწერაში (ონი) ბუერათი მკურნალობენ „ღორთლებს“ (ჯირკვლებს). ბუერას იქ გოქშო დიმელას ეძახიან. იღებენ ბუერას ფესურას, ასკილისა და შავი მაცვლის ფესვებს. ზამთრისთვის გოქშო დიმელას ფესვებს ასე ინახავენ: კარგად გარეცხავენ, ჩირავენ, ნაყავენ და აშრობენ ჩრდილში, იგი სასიამოვნო სუნს გამოსცემს. ტყეში შემოყორილი აქვთ ბუერათი მოფენილი მყუდრო ადგილი. მაგრამ ბუერას სხვაგან აგროვებენ. ამ შემოყორილ ადგილზე ცდილობენ მის ხელოვნურ გამრავლებას.

სოფ. სანებელშიც (ქართლი) ვნახეთ ეზოში მოშენებული ბუერა, მისგან ამზადებენ წამლებს.

141. ოხრაახუში — *Petroselinum crispum* (Mille) Nym. *P. Sativum* Hoffm. *P. hortense* Hoffm.

ოხრაახუშის გვარის (*Petroselinum*) სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან *petros* — ქვა, *Selinon* ამ მცენარის ძველი ბერძნული სახელწოდებაა. სახეობის სახელი — *crispum* ნიშნავს ხვეულს, ხუჭუჭას და მართლაც ოხრაახუშის მრავალი ასეთი ფოთოლი არსებობს. ჰაპოკრატესა და დიოსკურიდეს თავიანთ ნაწერებში ბევრჯერ აქვთ აღწერილი მისი სამკურნალო და საკულინარო მნიშვნელობანი. კარლოს დიდმა იმპერიაში მისი მოშენება ბრძანა. ოხრაახუშმა სამედიცინო საქმეში ფართო გამოყენება ჰპოვა ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ. XV ს მიიღეს ოხრაახუშის ზეთი სუფთა სახით. მისი ფესვები შეიცავს ეთერზეთებს, გლიკოზიდ-აპინს და ლორწოს. აქვს თავისებური პირველად მოტკბო, მაგრამ შემდეგ მწარე გემო. მის თესლში არის მლაშე ეთერზეთი, გლიკოზიდი აპინი, რომელიც მწვავე სუნისაა

და თავისებურად არომატული. ოხრახუმის ფესვებსა და ნედლ ფოთლებში არის ზეთი, რომელსაც ოხრახუმის ქაფურს, ანუ აპიოლს უწოდებენ, შეიცავს აგრეთვე ტინინსა და პინენს. ოხრახუმში სამკურნალოდ გამოიყენება პიონისა და მირისტიცინის შემცველობის გამო. მის ფესვებსა და თესლებს აქვთ თირკმლების ტკივილის დამამშვიდებელი თვისება, რომელსაც აფთიაქებში თირკმლების ჩაის სახელწოდებით ამზადებენ. მისი ზეთი — დიზოლირებული აპიოლი გამოყენებულია სამკურნალოდ. დიდი დოზები იწვევს კუჭისა და საშვილოსნოს მწვავე აღგზნებას. მისი ზეთიც სხვა სამკურნალო ზეთებს არაფრით ჩამორჩება.

ოხრახუმის სამშობლოდ ხმელთაშუაზღვის ქვეყნები ითვლება, საიდანაც ის გავრცელდა ყველგან — ევროპაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ვესტინდოეთში, სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, იაპონიასა და ავსტრალიაში. ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით ჩვენში უხსოვარი დროიდანაა კულტურაში შეტანილი. გვხვდება ყველა რაიონში, ზოგჯერ გავლურებული სახითაც.

ოხრახუმი ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი ჩვენში საბოსტნე კულტურაა. გარდა საკულინარო საქმისა, ხალხი ოხრახუმს ხმარობს სამკურნალო მიზნებისათვის. ქართველები ოხრახუმს აწერენ შარდმდენ თვისებებს. ოხრახუმის ნახარშს უნიშნავენ შარდსადინარ გზებში კენჭების გაჩენის თავიდან ასაცილებლად ან მათ დასაშლელად. ამავე მიზნებისათვის ოხრახუმში მოხსენიებულია იუგოსლავიის, ამერიკისა და ბრაზილიის ფარმაკოპეებში. მისი ნაყოფები (*Fructus Petroselini*) ბრაზილიაში ცნობილია *Salsa hortense*-ს სახელწოდებით. იგი შეიცავს გლიკოზიდ აპინს, მჟავე კალიუმმალატს, მინერალურ მარილებს, 2% ეთერზეთებს, 7% ნაცარს; ოხრახუმის ფესვები (*Radix Petroselini*) იმავე შემცველობისაა, როგორც მისი ნაყოფები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ნაცრის რაოდენობა 6% არ აღემატება. სამკურნალოწამლო მიზნებისათვის აგროვებენ ყვავილობაში მყოფ მთლიან მცენარეს ან მწიფე თესლებს *Petroselinum e seminibus*, რომელსაც შემდეგ ნარჩენების სახით იღებენ ოხრახუმის სამკურნალო ფორმებიდან აღსანიშნავია: *Oleum Petroselini*, *species diureticae* (იუგოსლავია), რისთვისაც იღებენ: *Radix Petroselini*, *Radix Ononidi*, *Radix Liquiritac*, *Fructus juniperi* ყველას თანაბარი რაოდენობით, *Oleo-recina Petroselini* (ბრაზილია, ამერიკა), *Fluidextractum Aqii Fructus*, *Mixtura diuretico cum coffeino*.

რაჭაში ოხრახუმის ნახარშს პირის ღრუს სიმშრალისა და პირის წვის დროს იყენებენ, სამკურნალოდ ოხრახუმს ცალკე თესავენ, საბოსტნედ კი ცალკე.

ლეჩხუმში ოხრახუმს ასკილთან, სიმინდის ფოჩთან და მრავალძარღვასთან ერთად იყენებენ როგორც შარდმდენ საშუალებას.

142. ლობიო — *Phaseolus vulgaris* L.

ლობიოს (*Phaseolus*) გვარის სახელწოდება წარმომდგარია ძველი ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს გრძელ ვიწრო მილს ან პარკს (*phaseolos*—გრძელი ვიწრო, ნავი), ხოლო სახეობის ლათინური სახელწოდება *Vulgaris* ნიშნავს ჩვეულებრივ ლობიოს პარკს. ლობიოს ბერძნულ სამკურნალო მცენარეთა შორის ძველთაგანვე ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და არანაკლებად გავრცელებულია კოლხეთში. პიპოკრატე აღწერს ლობიოს და მას უწოდებს *Dolichos*-ს, რომლის პარკი ზუსტად ლობიოს პარკს ჰგავს. ლობიოს პარკს აღწერს თეოფრასტეც. გერმანულ სამკურნალო მცენარეთა შორის ის მხოლოდ XVI საუკუნეში გამოჩნდა. ლობიოს პარკი შეიცავს არგინინს და გუანიდინს, აგრეთვე ასპარაგინს, ამინებს, მეთავენს, მარილებს და ვიტამინ C-ს. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა და ლორწოვანი გემო აქვს. პარკს იყენებენ უმთავრესად თირკმლების დაავადებათა პრაქტიკაში და სიყვითლის დროს, რისთვისაც მას ჩაის სახით უნიშნავენ და აფთიაქებში მზა მასალაც ამავე სახელწოდებით იყიდება. ხალხში ლობიოს უსოვარი დროიდან იყენებენ სისხლში შაქრის დამწვევად. ამ დამახასიათებელ თვისებას პარკის შიგნითა შრეს აწერენ. ეს საკითხი მეტად საინტერესოა და ექსპერიმენტულ დამტკიცებას მოითხოვს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ აფთიაქში მომზადებული მისი ჩაი მართლაც შეიცავს არინინს, რომელიც სისხლში შაქარს დაბლა წევს, რაც ერთგვარად ამ ხალხურ შეხედულებას ამართლებს. არგინინის დერივატი — გუანიდინი, რომელიც ამ ჩაიში არის, სხვა ნივთიერებაა და დღეისათვის შაქრის დაავადებათა თერაპიის საქმეში აპრობაციულ დადასტურებას მოითხოვს. გუანიდინი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი არასასიამოვნო გვერდითი მოქმედებისაგან. ლობიოს პარკს უკეთესი მოქმედება ახასიათებს მაშინ, როდესაც მას ცივ წყალში ერთხანს ვავაჩერებთ და შემდეგ ნახევრადთბილ წყალს დავასხამთ და ისე მოვხარშავთ. ლობიო გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

ლობიო პარკოსანთა *Fabaceae* (*Leguminosae*-ს) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის და იგი ჩვენში საკმაოდ გავრცელებული და ყველასათვის ცნობილი კულტურული ლიანა მცენარეა; აქვს რთული ან მარტივი ფოთლები და თეთრი ან სხვა ფერის ყვავილები. ლობიოს პარკი (*Fructum Phaseoli sine seminae*) შეტანილია საზღვარგარეთის ფარმაკოპეაში, ხოლო ჩვენში, თუმცა ის შეტანილი არ არის ფარმაკოპეაში, მაგრამ ხალხში ცნობილ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს, ლობიოს პარკი შეიცავს ვიტამინს, ნაცრის რაოდენობა 5%-ს არ აღემატება. ფოთლებში შედის ალანტოიმიჟაეა, კაროტინი, პენტოზანი, რომლის რაოდენობა მთელ მცენარეში 10%-მდეა, საქაროზი, მისი საფარველი (პარკი) შეიცავს ქოლინს, არგინინალანტოინს, ტრიკონელინს, ტიროზინს, ლეუცინს, ლიზინს, ფაზოლს, ფაზეოლინს, ასპა-

რაგინს, პარაფიტოსტერინს, შაქარს, ინოზიტს, ფლავინს, კაჟმუავას და სხვ. გერმანიაში—ბერლინბრიტციაში დაამზადეს პრეპარატი ფაზოდიალი (Phasodial), რომელიც წარმოადგენს ლობიოს გამშრალი საფარველის ან პარკის კონცენტრირებულ ალკოჰოლს. მას იყენებენ Adjuvans-Diabetes mellitus-ის დროს, ხმარობენ როგორც Diureticum-ს, თირკმლების დაავადებისა და შარდის ბუშტის გაბერილობის დროს, როგორც ინსულინის შემცველს, ღებულობენ დღეში 3—5-ჯერ.

საქართველოს მოსახლეობა ლობიოს თესლის ნახარშს სვამს კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს. იგი ყუათიანი და ცილებით მდიდარი საკვებია, რის გამოც ჩვენში დიდი რაოდენობით მოჰყავთ.

სოფ. საქაშეთში (გორის რაიონი) ლობიოს ფოთლის წვენიც საყმაწვილოს მკურნალობენ.

143. ქვეყნისგულა — *Phallus impudicus* (L.) Pers.

ქვეყნისგულა სოკოა, რომელიც ჩვენში პუმუსით მდიდარ ნესტიან ადგილებზე იზრდება. მას გულის დაავადებათა წინააღმდეგ სამკურნალოდ იყენებენ (თელავი).

144. ონტკოფა, დუდღუბო — *Physalis alkekengi* L.

ონტკოფა ეკუთვნის ძალღყურძენასებრთა (Solanaceae) ბოტანიკურ ოჯახს, მისი დატოტვილი ღერო 25 სმ-დან 1 მ-დე სიმაღლის იზრდება. მცენარე შიშველია ან შებუსეილი. ღეროზე გულისებრი ფორმის ფოთლები მორიგეობით ან წყვილადაა განწყობილი. ონტკოფა ივითარებს ილლიურ, მარტოულ ყვავილებს, რომლებიც გრძელ ყუნწებზე სხედან. ჯამი ნაყოფობისას კაშკაშა წითელია, ხოლო მისი გვირგვინი საზოგადოდ თეთრია. ნაყოფი სფეროსებრი, პრილა ნარინჯისფერი კენკრაა, თესლი თირკმელისებრი ფორმისა, გავრცელებულია იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, მთიულეთში, ქართლში, გარდაბანსა და კახეთში. მეტწილად გვხვდება ტენიან ადგილებზე, მდინარის ნაპირებზე, ბაღებში, ბოსტნებში, ვენახებსა და ტყეებში, იზრდება შუა სარტყლის ბუჩქნარებში.

ონტკოფას ნაყოფით აბრეშუმის ქსოვილებს ყვითლად და ნარინჯისფერად ღებავენ. მისი ნაყოფი და ჯამი შეიცავს წითელ საღებავ ნივთიერებას, რომელიც თავისთავად წარმოადგენს კაროტინოიდს და ეწოდება ფიზალინია ან ფიზალიენი. მწიფე ნაყოფი შეიცავს ორგანულ მჟავებს, ვიტამინს და კაროტინს, ამიტომ იგი შეიძლება გამოიყენოს როგორც დიეტური საშუალება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ონტკოფას ნაყოფს (ჯამის ფოთოლაკებს აცლიან) ხმარობენ ჭიის გამომდენად, შარდმდენად, რევმატული ანთების დროს, სისხლდენის შესაჩერებლად, ჭრილობების შესახორცებლად. ხალხის გადმოცემით, ნივთიერება ფიზალიენი ქინაქინის მსგავსად მოქმედებს ციების დროს, მისი ნაყოფისა და ქინაქინის

ხის ქერქის თანაბარი რაოდენობის ნახარშს ივლებენ პირში ღრძილების გამაგრების მიზნით პიორეიის დროს, ხოლო ნაყოფის სიროფს სვამენ სასუნთქი ვზების დაავადებისას. დღეისათვის ონტკოფა მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია და მას სწავლობენ როგორც სამკურნალო მცენარეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. ნ. გრეკოვის ცდები, მისი აზრით, ონტკოფას ნაყოფისა და ჯამის ფოთოლაკების ზეთოვანი ნაყენი სასარგებლოა პრეპარატის სახით ქსოვილების გამააქტივიზირებელი ეპითელიზაციისათვის. უცხოური ლიტერატურის მიხედვით ონტკოფას ნაყოფი (*Fructus alkekengi*) შეიცავს ციტრონმჟავას, შაქარს, წითელ საღებავ ნივთიერებას და სხვ. მისი ნაყოფი საზღვარგარეთ გამოიყენება კომეოპათიაში.

ონტკოფას ეზოებში, ხის ძირებში აშენებენ ზუგდიდში, ოჩამჩირის რაიონის ქვემო კინდლში და მას იქ ტკვაცკვაციას ეძახიან, ქარელის რაიონის სოფელ სანებელშიც ვნახეთ ეზოში მოშენებული. ლეჩხუმში ეზოებში არ აშენებენ, მაგრამ სახალხო მკურნალები მის მოშენებას ხელს არ უშლიან.

როლოვის მიხედვით, ბერძენი ექიმები ონტკოფას ნაყოფით მკურნალობდნენ სიყვითლეს. ასევე იყენებდნენ მას სისხლდენის დროს, ტკივილის დამაყუჩებლად და სხვ.

145. ჭიაფერა — *Phytolacca americana* L.

ჭიაფერა ეკუთვნის ჭიაფერასებრთა (*Phytolaccaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლიანი, 1—4 მ სიმაღლის მსხვილი მძლავრფესვებიანი მცენარეა. ღერო ძირთან ღრუა, ხოლო შიგნით სიფრიფანა ტიხრიანია, ნაყოფი პირველად მწვანეა, შემდეგ იისფერი-წითელი, შიშველია, ლევა ნაფიფქით. ჭიაფერა ივითარებს დიდი ზომის ფოთლებს, რომლებიც კვერცხისებურ-ლანცეტა მოყვანილობისაა, წვრილი და მოკლეყუნწიანი ყვავილები ფარჩხატ მტევანშია შეკრებილი.

ჭიაფერა ჩვენში ჩრდილოეთ ამერიკიდანაა შემოტანილი, უფრო სწორად გზადმოყოლილია და საკმაოდ კარგადაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში. იგი სარეველად, გვხვდება რუდერალურად, ვზებისა და ტყის პირებზე ზღვის დონიდან 600 მეტრის სიმაღლეზე. მთლიანი მცენარე უხამიანია, მისი კენკრა ნაყოფი მდიდარია საღებავი ნივთიერებით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭიაფერას (მისი ღერო ძალიან მოგვაგონებს წვიმის ჭიის ფერს და სასელწოდებაც აქედან არის წარმომდგარი) ხშირად იყენებენ. მაგალითად, ფოთლებს იღებენ თავზე სიცხისა და თავის ტკივილის დროს, ძირებს ხმარობენ ცოფის, კანის დაავადებათა, მალარიის, სიფილისის, სკორბუტის, ფალარათის და რევმატული ანთების წინააღმდეგ, მის ნაყოფებს (*Phytolacca e bacci*) სოფლის ბავშვები მელნად ხმარობენ. ჭიაფერის ფესვებში (*Radix Phytolaccae decandrae*) მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება ფი-

ტოლიატოქსინი და საპონინი, დიდი რაოდენობითაა ნაცარ-ტუტის მარლი.

სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად აფხაზეთის ადგილობრივ მცხოვრებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიაფერა.

კინდლში (ზუგდიდი), მათხოჯში, ბარცხნაში, მთელ რიგ სამკურნალო მცენარეებს, მათ შორის ჭიაფერასაც ეზოში აშენებენ.

ყვარელში ჭიაფერათი მკურნალობენ რევმატიზმს, სახალხო მკურნალები იქ მას განჯურ საფერავს ეძახიან.

146. ნაძვი — *Picea orientalis* (L.) Link.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან რომაელები ნაძვს უწოდებენ *Picea*-ს რაც წარმომდგარია ლათინურიდან *Pice* — ნიშნავს ფისს, რასაც ნაძვი მართლაც გამოყოფს, ამიტომ მის გვარს *Picea* შეარქვეს, ხოლო გვარი *Abies* ბერძნული სიტყვაა *Abio*-დანაა წარმომდგარი, რაც ძლიერ მწველს ნიშნავს, ეს სახელწოდება თითქოს არ შეესაბამება მის გვარს, მაგრამ ძლიერში იგულისხმება მისი სწრაფი ზრდა. სახეობის აღმნიშვნელი *orientalis* ნიშნავს აღმოსავლურს. ნაძვი სამკურნალო საქმეში წინათ არ იყო ცნობილი. ის უფრო ახალი წელთაღრიცხვიდან გვხვდება. მკურნალობის საქმეში ნაძვსა და ფიჭვს ერთი და იგივე გამოყენება აქვთ. მზა სამკურნალო ნედლეულად ორივე შემთხვევაში ითვლება „*Resina Pini*“, რომელიც მსუბუქია, მაგრამ მაგარი ნარჩენის სახითაა, მსუბუქი შემცველი. ნივთიერებებიდან აღსანიშნავია პიმარი და აზიეტიმჟავა, სამკურნალო ნედლეულა ფისის სუნით და მწვავე არომატული გემოთი ხასიათდება. მისგან მიღებული მზა პრეპარატებიდან აღსანიშნავია სალბუნი, გარდა ამისა ფისს იყენებენ გემთმშენებლობაში „*Pice burgundicae*“-ს სახელწოდებით.

ნაძვის ჩვენი სახეობა გავრცელებულია მთის დაჩრდილულ ფერდობებზე 800-დან 2200 მ-მდე ზღვის დონიდან. მთის შუა და ზედა სარტყელში კმნის კორომებს. გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭალეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

ნაძვი ფიჭვისებრთა (*Pinaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. 25 მ-ზე მეტი სიმაღლის ხე იზრდება, ზოგჯერ 50 მ აღწევს, ნაძვს აქვს პირამიდალური ვარჯი, 7—10 სმ წიწვი, 6—10 სმ სივრცის და 2 სმ სიგანის ცილინდრული გირჩი.

სახალხო მკურნალები რაჭაში ნაძვის ფისს სოჭის ფისის მსგავსად იყენებენ ეგზემის წინააღმდეგ.

ნაძვის ფისს წვავენ, ხსნიან წყალში და სვამენ ხველების დროს (სოფ. თვალადი).

147. ფიჭვი — *Pinus Sosnowskyi* Nakai

ფიჭვი ეკუთვნის ფიჭვისებრთა (*Pinaceae*) ბოტანიკურ ოჯახს.

მაღალი ტანის ხეა ზევეითკენ აღმართული ტოტებით და მორუხო-მურა ფერის ქერქით. ორ-ორი, იშვიათად სამ-სამი ლევა ფერის მჩხვლეტავი წიწვი ოდნავ ხერხებილა კიდეებით სიგრძით 7 (8) სმ აღწევს, ხოლო სიგანით 1,5—2 სმ-ს უდრის. ფიჭვის მამრობითი გირჩები მოგრძო ცილინდრული მოყვანილობისაა, ხოლო მდედრობითი — კვერცხისებრია. გირჩები თითო-თითოდ სხედან. მწიფე გირჩები ძირამდე იხსნება. მათში ვითარდება კვერცხისებრი, მურა ფერის წაწვეტებული თესლი.

ფიჭვის ეს სახეობა გავრცელებულია საქართველოში ზღვის დონიდან დაწყებული ტყის ზედა საზღვრამდე — აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ-ოსეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, ფშავეში, თუშეთში, ქართლში, კახეთში, ბორჯომ-ბაკურიანში, ჯავახეთსა და მესხეთში.

ფიჭვს ჩვენში დიდი ხანია იყენებენ ტუბერკულოზის, სიფილისისა და ციების წინააღმდეგ, წყლულებისა და ჭრილობების შესახორცებლად, აგრეთვე როგორც ანტისკორბუტულ საშუალებას, ფრჩხილებისა და კანის დაავადებათა წინააღმდეგ და სხვ. დავით ბატონიშვილი იყენებდა ფიჭვის ნაღობს, გამონაჟონ წებოს (ფისს), ფიჭვის კვეს, ანუ წებოს და ფიჭვის ხის ნორჩ ყლორტებს „ვინცა ფიჭვის კვეი წამხდარსა ფრჩხილზედა დაიდვას და შეიხვიოს, იმ ფრჩხილსა წააგდებს და სხვა კაი ფრჩხილსა ამოიყვანსო“. გარდა ამისა, რძეში არეული „ანდუზის ძირებსა, ფიჭვის ხის ნორჩებსა“ და სხვა მინარევებს ის ურჩევს ქავანას წინააღმდეგ. ფიჭვსა და აბზინთას ნახარშს სვანეთში დღესაც იყენებენ ტუბერკულოზის წინააღმდეგ; ხევსურეთში ფიჭვის ფისს სამყურას გამხმარ ფოთლებთან ერთად ხმარობენ ჭრილობათა შესახორცებლად.

მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ფიჭვის კვირტებს (*Gemmae Pini*), ფიჭვის წიწვებს (*Folia Pini*), ყლორტებს (*Turiones Pini seu Latex Pini*), ფიჭვის ფისს, მტვერსა და მის მერქანს. ფიჭვის ყლორტები შეიცავს ცვილსა და იუნიპერმჟავას, წიწვიანი ყლორტები — 0,945—0,12% ეთერზეთს, 8% — ბორნეოლს, ფურფუროლის კვალს, 50—1% პინენს, 20% — 1 პინენს, 12% დიპეტენს, 3% ნაცარს, ფისს, სახამებელს, მწარე ნივთიერებას — პინიკრინს (*Pinicrinum*) მთრიმლავ ნივთიერებას, მინერალურ მარილსა და მცირე რაოდენობით ფისოვან ნივთიერებას — ბოლორეტინს (*Boloretinum*) (75 გ ლღვება). ფიჭვი შეიცავს ტერპენსაც.

ფიჭვის ახალი წიწვის გამონდით ღებულობენ ფიჭვის ზეთს (*Oleum Pini foliorum*), რომელშიც, ტერპენების გარდა, მოიპოვება 3—5% ძმროვანი ეთერი — ბორნეოლი. ფიჭვის ზეთის სპირტსნარს ჰაერის გასუფთავების მიზნით აფრქვევენ პულვერიზატორით. ფიჭვის ნაყენებისა და გამონაწვლილის აბაზანებს იკეთებენ როგორც გამაღიზიანებელსა და ადგილობრივი ჰიპერემიის გამომწვევეს. არანაკლებ გა-

მოყენებას კპოვებს სკიპიდარი, რომელიც მოქმედებს მთელ რიგ ორგანოებზე, ქსოვილებსა და მიკროორგანიზმებზე და იხმარება, როგორც ამოსახველებელი, შარდმდენი, გამაღიზიანებელი, საღებზინფექციო, ნალვლის მომგვრელი და სისხლდენის შესაჩერებელი საშუალება. მას იყენებენ სასუნთქი გზების და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს, რევმატიზმის, ნევრალგიებისა და სხვათა დაავადებისას, ხოლო გარედან მალამოებისა და ლინიმენტების სახით. მალამოს სახით ხმარობენ კუპრსაც სახელდობრ ქავანას წინააღმდეგ, ხოლო კანიფოლი და ტერპენტინი კი იხმარება საღებუნის სახით. სკიპიდარიდანღებულობენ არომატულ ტერპენოლს, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში; მისგან ამზადებენ სინთეზურ ქაფურსა და კაუჩუკს.

ფიჭვის ფარმაცევტული პრეპარატებიდან ჩვენში აღსანიშნავია *Gemmae Pini*, *Decoctum gemmarum*, *Oleum Pini foliorum*, *Terpinum hydratum*, *Oleum Terebinthinae relictum*, სხვა ქვეყნებში *Aqua Turionum (gemmarum) Pini*, *Extractum Turionis Pini fluidum*, *turionis Pini* და სხვ.

სეანეთში, სოფ. კალაში შემსიენებებს (რომელსაც აქ კახურას უწოდებენ) მკურნალობენ თაფლის სანთელით, თხის ქონითა და ფიჭვის ფისით, რომელსაც მარლაზე გაუსვამენ და სიმსივნეზე ცხლად აფენენ. ეს ნაზავი ჩირქს თავს მოუყრის და გამორწყავს.

ფიჭვი სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში სპეციალურად მოშენებული ვნახეთ სოფ. გორელოვკაში (ჯავახეთი), რაც თვალში გვეცა.

სოფ. თვალადში ფიჭვის გირჩებს იყენებენ ეგზემის ან მუწუკის სამკურნალოდ სხვა მცენარეებთან ერთად; ხოლო ფიჭვის ფისს წვავენ და ხსნიან წყალში, რომელსაც ასმევენ ხველების დროს.

ხალხური მკურნალები ფიჭვის ქერქის შიგნითა ცილით თვალავში ეყლის კატარს მკურნალობენ.

148. საკმეველის ხე, კევის ხე, სალსალაჯი — *Pistacea mulica* F. et M.

საკმეველის ხე თუთუბოსებრთა (*Anacardiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იგი ხემცენარეა 4—5 (7) სმ სიგრძის ფოთლებით, რომელთა რიცხვი 5—7-ს აღწევს, კურკა 5—7 მმ სიგრძისაა. ახასიათებს ბურთისებური ქორბული, შეიცავს ფისს, დეკორაციულია, გავრცელებულია მთის ქვედა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე, ნათელ ტყეებში ქართლში, მთიულეთში, ქიზიყში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვემო ქართლში.

გურჯაანში სახალხო მკურნალები საკმეველისა და კვერცხის გულისაგან ამზადებენ მოტეხილობის წამალს. გურჯაანში, ჯიშითში, არბოშიკში მკურნალობენ სხედასხვა დაავადებას, სამკურნალოდ იყენებენ მხოლოდ საკმეველს.

როლოვის მიხედვით კავკასიის ადგილობრივი მცხოვრებლები საქმელის ფისს კოჟრის ამოსაგდებად იღებენ.

149. მრავალძარღვა — *Plantago lanceolata* L., *P. major* L.

მრავალძარღვას გვარის სახელწოდება *plantago* ლათინურია. სიტყვა *Planta* ნიშნავს მთისძირამდე თანამგზავრს, ფეხის კვალზე ამყოლს, კვალდაკვალ მდევარს, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *lanceolata* მისი ფოთლის ფორმის გამო ჰქვია (წვეტფოთოლა, ლანცეტა ფორმის). იგი ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო მცენარეთაგანია, მრავალძარღვა ჯერ კიდევ დიოსკურიდემდეა ცნობილი, მაგრამ დიოსკურიდემ მას აღწერს და საკმაოდ კარგად ასურათებს. მის შემდეგ მოყოლებული ის არა მარტო სამკურნალო მცენარეთა შორისაა მოხსენიებული, არამედ ყველა ბოტანიკურ წიგნშია ნათქვამი მის მნიშვნელობაზე. მრავალძარღვა შეიცავს მწარე გლიკოზიდს — ლორწოს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებას, ასევე C ვიტამინს საკმაოდ რაოდენობით. სააფთიაქო ნედლეულში არის უსუნო და გემოთი მწარე ნივთიერება. ის წარმოადგენს შემომკვებ ან გამომფენ საშუალებას და კარგად მოქმედებს სასუნთქი გზების კატარის დროს. ამ შემთხვევაში მთავარია მასში არსებული ლორწო, მაგრამ მას ლორწოგამოცილსაც ხმარობენ. მასში არსებული სხვა ნივთიერებები, როგორცაა მწარეები და მთრიმლავი ნივთიერებანი, გამოიყენება კუჭისა და ნაწლავის გზების ანთების დროს.

მრავალძარღვა გავრცელებულია მთელს ევროპაში, შუა აზიაში, უმთავრესად ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ჩვენში იზრდება მთის შუა სარტყელამდე მდელოზე და ბალახოვან ველებზე: აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში, ქართლ-კახეთში, გარე კახეთში, გარდაბანში, თრიალეთში, მესხეთში.

არსებობს აგრეთვე მრავალძარღვას სხვა სახეობები, მაგალითად, *Plantago major* L., *P. media*, რაც შუამდებარეს ნიშნავს. იგი გარდამავალია წინა ორ სახეობათა შორის. ეს სახეობა უძველესი დროიდან პოპულარულ სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა. დიოსკურიდემ და ცელსიუსი წერდნენ მის დამჭიმავ, გამხსნელ და გამაგრილებელ თვისებებზე, მაგრამ რაც მთავარია, ხაზს უსვამენ ჭრილობათა შესორცების უნარს. ახალი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული მრავალძარღვა მედიცინაში მიეკუთვნება მნიშვნელოვან სამკურნალო მცენარეს. დღესაც არ დაუკარგავს მას თავისი მნიშვნელობა როგორც ხალხურ, ისე მეცნიერულ მედიცინაში. მრავალძარღვას ამ სახეობათა ქიმიური შემცველობა იგივეა. იგი გავრცელებულია მთელი დედამიწის ზურგზე, ყველგან, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ერთი სიტყვით, ადამიანის თანამგზავრია.

ცხრაძარღვა ეკუთვნის მრავალძარღვასებრთა (*Plantaginaceae*)

ბოტანიკურ ოჯახს. ფოთლები დიდი ზომისაა, გლუვი, ფართო, კვერცხისებრი ფორმის, საყვავილე ღერო წვრილდარებიანია, თავთავი ცილინდრული ფორმისაა, გვირგვინი მურა ფერის, შიშველი; ყვავილობის პერიოდში მრავალძარღვა გამოიყენება ტყავის დასათრიმლავად და არაფრით არ ჩამოუვარდება მუხის ქერქს. ტყავი ხდება მოქნილი, მაგარი და მჭიდრო.

ჩვენში გავრცელებულია სხვა ორი სახეობაც, სახელდობრ, *Plantago Lanceolata* L. *Plantago media* L., რომლის ფოთლებს ადვილად და სწრაფად შეხორცების მიზნით ხალხი იღებს ჭრილობაზე, ფოთლები მდიდარია ლიმონის მჟავათი და კალიუმით. *Plantago major* L მეცნიერულად შეისწავლა ლ. კობიაშვილმა და დაასკვნა, რომ ვეტერინარიის პრაქტიკაში მისმა ფხვნილებმა და მალამოებმა სტრეპტოციდზე უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა სტაფილოსტრეპტოკოკების დროს, ამასთან დააჩქარა ჭრილობების შეხორცება.

ქართველი ხალხი ფოთლების ნახარშს ხმარობს თირკმლების დაავადებათა დროს, რისთვისაც მას ზოგჯერ უმატებენ სიმინდის ბუტკობებსაც. ფოთლები შედის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო მისი თესლი ნაზი საფალარათო საშუალებაა. შვეიცარიისა და პორტუგალიის ფარმაცოპებში დღესაც მოხსენიებულია მრავალძარღვას გვარი. შვეიცარიის ფარმაცოპის მიხედვით ვარგისია სახეობა *Plantago Lanceolata* L. პორტუგალიის ფარმაცოპით — *Plantago macrorrhisa* Poir—*Plantago Luronopifolia* Brot. მრავალძარღვას ფოთლები (*Folium Plantaginis*) შეიცავს გლიკოზიდ აუკუბინს, ენზიმ ინვერტინს, ემულინს, ლაბენზინს, ვიტამინს, არ შეიცავს არც ერთ საპონინს, 10—15% ნაცარს, 33—38,5% მშრალ ექსტრაქტულ ნივთიერებას. აგროვებენ ყველა ამ ჩამოთვლილ სახეობის ფოთლებს და მათგან ამზადებენ *Extractum Plantaginis fluidum* და *Sirupus Plantaginis* (შვეიცარია). გამოყენებულია აგრეთვე სახეობა *Plantago payllii* (თესლები) *Semen Payllii*, რომელშიც 10—12% ლორწოა და ნაცრის რაოდენობა 5%-ს არ აღემატება. ჭაქეინჯში (ზუგდიდი), ზესტაფონში, მათხოჯში (წულუკიძე), საჩხერის რაიონში, ჩიბათში (ლანჩხუთი), ჩიქვთი, ეზოებში ვნახეთ მოშენებული მრავალძარღვა.

მკურნალობენ ბრონქულ ასთმას და სისხლის წნევას.

სოფელ სხვიტორში აკაკის ეზოში სამკურნალო მცენარეებიდან დღესაც შემორჩენილია მრავალძარღვა.

სოფ. მათხოჯში მრავალძარღვას ეძახიან ძარღვა-ძარღვას და იყენებენ ჩირქგროვის დროს. წამალს ამზადებენ ფოთლებისა და ნაყოფისაგან. ნაყოფს ნაყავენ და ისე ადებენ ჭრილობაზე.

მრავალძარღვას ხმარობენ გველის ნაკბენზე.

გურიაში არჩევენ დედალ და მამალ მრავალძარღვას, დედალს

ეძახიან *Plantago lanceolata*-ს, ხოლო მამალს *Plantago major*-ს, ხშირად აძლევენ ჯირკვლების, ხველების და ჩირქოვანი ჭრილობის სამკურნალოდ.

რაჭაშიც ფართოდ ხმარობენ მრავალძარღვას, რომელსაც სპეციალურად არ აშენებენ, მაგრამ ეზოებში მის გავრცელებას ხელს არ უშლიან. სორში წყაროს პირზე შეხედებით მოშენებულ მრავალძარღვას. მას ჭრილობებისა და წყლულების სამკურნალოდ მალამოში ურევენ.

სოფ. აწყვიტაში მრავალძარღვას ადებენ მუწუკზე.

ბაკურიანში მრავალძარღვას ნახარშს ასმევენ საშვილოსნოს დაავადებათა დროს.

გორში მრავალძარღვათი, თაფლით და სპირტით აკეთებენ კუჭის ტკივილის წამალს. გამშრალი მრავალძარღვას თესლებს, სელის თესლის მაგიერად ლორწოსათვის ხმარობენ (გორი).

სოფ. კახსა (საინგილო) და ლაგოდნში ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად მკურნალობენ მრავალძარღვათი.

მრავალძარღვას ჭრილობაზე ადებენ (ყვარელი).

ბირკიანში (ახმეტის რაიონი) სოფ. მატანში მრავალძარღვას და ყურძნის წიპწას ნახარშს ასმევენ ღვიძლის დაავადების დროს. კაჭრეთის ადგილობრივი მცხოვრებლები მრავალძარღვას ნახარშს ღვიძლის დაავადების დროს აძლევენ დასალევეად. თელავში მრავალძარღვას ეზოში აშენებენ და კუჭის წყლულის სამკურნალოდ იყენებენ. მრავალძარღვათი ასე მკურნალობენ: მრავალძარღვას ნახარშს (ან მოუხარშავს) აყრიან შაქარს, აყენებენ და მის წვენს ასმევენ ბრონქული ასთმის დროს.

150. დვალურა — *Polygonum Carneum* C. Koch.

დვალურა ეკუთვნის მატიტელასებრთა (*Polygonaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს მუქი წაბლისფერი, ორად მოხრილი, სწორმდგომი, დაუტოტავი შეფოთლილი ღერო, შეუბუსავი, ფესვთანი ფოთოლი მოგრძო წვრილფერთიანია, ქვემოდან ნაცრისფერი ფოთლები უფრო დიდი და ყუნწიანია, ღეროს ფოთლები კი მჯდომარე, კენწეროსაკენ თანდათან ვიწროვდება და ლანცეტა ხაზური ფორმის ხდება. დვალურა კენწეროზე ივითარებს თავთავ ყვავილედში შეკრებილ პატარა ვარდისფერ ყვავილებს. ნაყოფი სამწახნაგოვანი თესლურაა.

დვალურა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთის მაღალ სუბალპურ და ალპური სარტყლის მდელოებზე, გვხვდება დეკიანებშიც.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დვალურას ფესვურათა ნახარშს და ფხვნილებს ძირითადად იყენებენ ფაღარათობის, ღიზენტერიის, გადაჭარბებული მენსტრუაციის, პირის ღრუს დაავადების დროს და აგრე-

თვე სიმსივნეთა წინააღმდეგ. მეცნიერულ მედიცინაში ხშირობენ მის-
 ერთ-ერთ სახეობას (*Polygonum Bistorta* L.), რომელიც ჩვენში შე-
 დარებით ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილი-
 სახეობა ახლა უკვე მის სინონიმად ითვლება და თავისუფლად შეუძ-
 ლია შეცვალოს ჩვენს ფარმაცოპეაში შეტანილი სახეობა. იგი მოხსე-
 ნიებულია როგორც ჩვენი სახელმწიფო ფარმაცოპეის მე-7 გამოცე-
 მაში, ასევე საზღვარგარეთაც; ვარგისია მისი ფესვურები (*Rhizoma*
Bistortae). მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: მთრიმლავე ნივთიე-
 რება 15—25%, სახამებელი 30%, გალუს მჟავები, გლუკოზა, ნალელის
 მჟავა, ტანიინი, 20% ნაცარი და საღებავი ნივთიერება. ძველ მეცნიე-
 რულ მედიცინაში დვალურას ფესვურებს იცნობდნენ როგორც სისხლ-
 დენის შემაჩერებელ საუკეთესო საშუალებას, სისხლიანი ხველებისა-
 და სისხლიანი ფაღარათობის შემთხვევებში, აგრეთვე როგორც მა-
 ტონიზებელს. იყენებდნენ აგრეთვე წყლულების და ჩირქოვანი ჭრი-
 ლობების შესახორცებლად, ქაენასა და ქეცის წინააღმდეგ, აგრეთვე:
 ცოფიანი ცხოველის ნაკბენის სამკურნალოდ. საბჭოთა კავშირის
 ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში მოცემულია დვალურას შემდეგი ფარ-
 მაცევტული პრეპარატები: *Decoctum radix Bistortae*, *Extractum*
Bistortae fluidum, *Tinctura Bistortae* საზღვარგარეთ *Extractum*
Bistortae, *Sirupus Bistortae*, *Rhizoma Bistortae*, *Extractum Bis-*
tortae fluidum.

დვალურას აჭარაში სპეციალურად აშენებენ ბოსტანში და იყე-
 ნებენ კუჭის დაავადებათა დროს ჩაის სახით, აგრეთვე ჭამენ კიდეც.
 სოფ. ლორჯოშში დვალურათი მკურნალობენ აგრეთვე კუჭის აშლი-
 ლობას.

151. წყლის მატიტელა (ქალის თითა) — *Polygonum Hydro-*
pipper L.

საქართველოში მატიტელას ქალის თითას ეძახიან ერთი თქმულე-
 ბის გამო. ყოფილა ღარიბი ცოლ-ქმარი, ქალს მშობიარობის დროს
 დამხმარე არაეინ ჰყოლია და სისხლისაგან იცლებოდა. სიმწრისაგან
 ხელი მოუჭერია ამ მცენარისათვის, მოუწყვეტია, უჭამია და მოხდე-
 ნია. მის შემდეგ ამ მცენარის ფოთლებზე შავ ლაქად დარჩაო ქალის
 თითის ანაბეჭდები.

მატიტელა ეკუთვნის (*Polygonaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იგი
 ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მის სწორმდგომ ღეროს გამობე-
 რილ მუხლებზე მილისებურად შემოვლებული აქვს ფოთლის ყუნწთა
 ნარჩენი მოწითალო ფერის ზოლები, მოგრძო ან ვიწრო, ლანცეტა,
 ყუნწიანი ფოთლები წამახვილებული წვერით მორიგეობით სხედან
 ღეროზე. მეტად პატარა მწვანე ფერის ყვავილები კენწეროში მტევან
 ყვავილედშია შეკრებილი. პატარა სამწახნაგოვან შავი ნაყოფის ირ-
 გვლივ შემოვლებულია ყვავილის მწვანე საფარველი. იგი იზრდება.

წყლიან და ნესტიან ადგილებში: ადვილად გამოირჩევა მათიტელას სხვა სახეობებისაგან შავი ლაქებითა და მწვავე გემოთი. მუქი წერტილოვანი ლაქები ემჩნევა მის ყვავილებსაც, ხოლო ჯირკვლების დანახვა მხოლოდ ლუპის საშუალებით შეიძლება.

წყლის მათიტელა გვხვდება საქართველოს ვაკე ადგილებში, განსაკუთრებით ჭაობებში, მდინარეებისა და დამღვარი გუბეების ნაპირებზე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში წყლის მათიტელას ფოთლებს ხმარობენ გაუვალობის, სიყვითლის, წითელასა და კანის დაავადებათა წინააღმდეგ, აგრეთვე წყალმანკისა და გაძნელებული შარდვის შემთხვევაშიც, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ საშვილოსნოდან სისხლდენის დროს. ამ მიზნით აგროვებენ ყვავილობის პერიოდში მცენარის მთლიან ბალახს (*Herba Polygoni Hydropiper*), რომელიც შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ერთ გლუკოზიდს, უფრო ასკორბინის მჟავას რომ ეთანაბრება. მისი რაოდენობა 0,2%-ს შეადგენს. ფოთლებში შედის 0,2% ვიტამინი, მწარეები, პოლუგონუმჟავა, რომელიც შედგება მცირეოდენი ნალვლისმჟავასა და თრიმლმჟავასაგან, მცირეოდენი ეთერზეთები, ლორწო, ჭიანჭველას, ძმრისა და ვალერიანის მჟავებია, მცირეოდენი ნალვლისა და ვაშლის მჟავა, გლუკოზა, ფრუქტოზა, წყლის მათიტელას ფესვებში ოქსიმეთილანთრახინონია. ამ სახეობას ცვლიან სხვა სახეობით როგორცაა: *Polygonum maritimum* L., *Polygonum glandulosum* Poir და სხვ. წყლის მათიტელა მოხსენიებულია როგორც ჩვენი ფარმაცოპიის მე-7 გამოცემაში, ისე საზღვარგარეთისაშიც. ჩვენს ფარმაცოპიაში შეტანილია წყლის მათიტელას შემდეგი ფარმაცევტული პრეპარატები: *Infusum Herbae polygoni hydropiperis*, *Extractum polygoni hydropiris fluidum* წყლის მათიტელა ცვლის ყვითელძირას (*Hydrastis Canadensis* L.), შვეიცარიის ფარმაცოპიით იყენებენ *Polygonum aviculare* L., რომელიც შედის ნაკრების (*Species Saliciferae*) შემადგენლობაში.

საქართველოში წყლის მათიტელას ეზოში აშენებენ სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად. ეზოებში მოშენებული ვნახეთ ოდიშში (ზუგდიდი), მერჯვეში (საჩხერე), გორელოვკაში (ჯავახეთი), ჩხუტელში (ლენხუმში), ხაშურის რაიონი, კრობანში, სანებელში (ქარელი), კასპში, თელავში, გურჯაანში, ატენში, ქვემო სვირში (გორი), კახში (საინგილოში) ქვემო სვანეთში წყლის მათიტელას ეზოებში არ აშენებენ. იგი ყველგან გვხვდება მინდვრებში. ეზოში მხოლოდ ერთგან ვნახეთ მოყვანილი. მათიტელას ხალხი იყენებს ვენერული დაავადების დროს, (მისგან ამზადებენ გველის ნაკბენის საწინააღმდეგო წამალს), კუჭ-ნაწლავის ჭვლების, ბუასილის, კოლიტის დროს, ჩვენი ხალხი წყლის მათიტელას აგრეთვე ხმარობს პანკრეასის ჯირკვლის ანთების (პანკრეატიტის) მკურნალობისათვის.

როლოვის მიხედვით წყლის მათიტელას მილიან ბალახს ნაყავენ და იყენებენ მღოვების საფენის მსგავსად.

Polygonum avicularis L. (*P. aequale* Lind.). მათიტელას გვარის სახელწოდება *Polygonum* ორი სიტყვის შენაერთია *Polys* — მრავალი, *goni* — დამუხლული, განასკული. მართლაც მათიტელა მრავალ ღეროს ივითარებს, რომელიც დამუხლულია. სახეობის აღმნიშვნელი *aviculare* ნიშნავს (*avis*) ფრინველს (მატიტელას ამ სახეობის თესლით ფრინველები იკვებებიან). მათიტელას სამკურნალო თვისებები უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. იგი ჯერ კიდევ ძველი ბერძნებისა და კოლხებისათვის ცნობილი სამკურნალო მცენარე ყოფილა, იყენებდნენ სისხლიანი ნახველის, თირკმლების აუტანელი ტკივილის, სიყვითლისა და სიგამხდრის, მალარიის დროს (განსაკუთრებით კოლხეთში). ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ იგი სამკურნალო მცენარეთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო. უფრო მოგვიანებით თანდათან დავიწყებას მიეცა. გასული საუკუნის მანძილზე მისი სააფთიაქო ნედლეული ითვლებოდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალებად. მათიტელა შეიცავს კრემენმჟავას, მთრიმლავ ნივთიერებას, მრავალ ეთერზეთს, ლორწოს, შაქარს, ფისს და C ვიტამინს. სააფთიაქო ნედლეული უსუნოა და აქვს თავისებური გემო. მათიტელას სვამენ კუჭის დაავადებათა დროს, როგორც ჩაის, თუმცა გამონახარშის სახითაც ხმარობენ. სააფთიაქო ნედლეულს უნიშნავდნენ აგრეთვე სიყვითლისა და თირკმლების დაავადებათა დროს. გამშრალი მცენარეები ინახება ხის ყუთებში, რათა ეფექტურობა არ დაკარგოს. მათიტელას, გარდა ჩაისა, აფთიაქში ფხვნილის სახითაც ამზადებენ.

მატიტელა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. უფრო მეტად ტროპიკულ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, მადაგასკარზე, ინდოეთსა და პოლინეზიაში. ჩვენში ყველგანაა. მთის შუა სარტყლამდე გზისპირებში, ეზოებში, ზოგჯერ ნათესებში რუდერალურ ადგილებზე.

ხაშურის, ქარელის, კასპის, საჩხერის რაიონებში, გურჯაანში ეზოებში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად აშენებენ მათიტელას. გორის რაიონში მათიტელას არ აშენებენ ნაკვეთზე, მაგრამ მის გამრავლებას საშუალებას აძლევენ.

ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მათიტელას ეზოებში არ აშენებენ. იგი ყველგან გვხვდება მინდვრებში. ეზოში ერთგან ვნახეთ. ძირითადად აქ მას წყალმანკის წინააღმდეგ იღებენ.

სოფ. ჩხუტელში ეზოში შეგვხვდა *P. alpestre* C. A. Mey. რომელსაც ვენერულ დაავადებათა დროს იყენებდნენ. სოფ. ძველში მათიტელას წვენით ვეტერინარულ პრაქტიკაში აღუზინფიცირებდნენ ჭრილობებს და ღორების კასტრაციის დროს ხმარობდნენ.

მატიტელისგან ამზადებენ გველის ნაკბენის საწინააღმდეგო წა-

მალს. მის ნასარშს ასმევენ კუჭ-ნაწლავის ჭვლების, კოლიტის და პუასილის დროს (აღბათ სისხლდენის შესაჩერებლად). ჩვენი ხალხი წყლის მათიტელათი მკურნალობს პანკრეასის ჯირკვლის ანთებას (პანკრეატიტს).

როლოვის მიხედვით წყლის მათიტელას მთლიან ბალახს ნაყავენ და იდებენ მდოგვის საფენის მსგავსად.

152. სეინტრი—*Polygonatum verlicillatum* (L.) All. *Polygonatum multiflorum* (L.) All.

სეინტრი ეკუთვნის შროშანასებრთა (Liliaceae) ბოტანიკურ ოჯახს. იგი მრავალწლიანი ფესურიანი ბალახია, რომლის ყვავილები ფოთლის ილღიაშია დაკიდული, დერო ცილინდრულია, დაღარული ან წახნაგოვანი. ფოთლები სხვადასხვა ფორმისა აქვს.

საქართველოში სეინტრის ხუთი სახეობაა წარმოდგენილი. საერთოდ ძლიერ გავრცელებული გვარია. იზრდება ტყეებსა და ბუჩქებში, იშვიათად მდელოებზე, ზოგი სახეობა ტყეებში გვხვდება და ზღვის დონიდან 1500—1800 მ სიმაღლემდე აღის.

ჩვენი ხალხი აღრე გაზაფხულზე სეინტრს იყენებს საქმელად. ორეხოვის მონაცემებით, სეინტრის ფესვურებში არის ალკალოიდები, რომლებსაც ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ეს სახეობა. ეს ალკალოიდები თავისი თვისებებისა და მოქმედების მიხედვით ისეთივეა, როგორც შროშანას ალკალოიდები. შეიცავს აგრეთვე კონვალარმარინს, რომელიც ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ქართულ ხალხურ მედიცინაში სეინტრი, ძირითადად მისი ფესვები ძველთაგანვე ითვლება ჭრილობების (განსაკუთრებით ჩირქოვანი ჭრილობების) საუკეთესო შემხორცებელ საშუალებად. როლოვის მონაცემების მიხედვით, სეინტრის კენკრას ხალხი ხმარობს პირღებინების და კუჭ-ნაწლავის ამშლელ საშუალებად.

ეზოში სეინტრის ამ სახეობას სპეციალურად აშენებენ ღობესა და ტრიფოლიატების ძირას და ნახარშს ასმევენ ბავშვებს, განსაკუთრებით სიგამხდრის, ბრონქული ასთმის დროს.

ლაგოდენში სეინტრის ფესვურებს ადებენ ჭრილობას შესახორცებლად.

სეინტრის ფესვურების რძის ნახარშით მკურნალობენ მოტენილობას, ცუდად შეხორცებული ძვლების სამკურნალოდ.

სეინტრს მოლოქასთან და მრავალძარღვასთან ერთად ხარშავენ რძეში და ადებენ მასტიტის დროს (სოფ. მაღარო).

153. ხისტაბელა, კილამურა — *Polypodium vulgare* L.

ხისტაბელას გვარის სახელწოდება *Polypodium* ბერძნულიდანაა წარმომდგარი. Polys მრავალს ნიშნავს, pus — ფეხს, ე. ი. მრავალფეხიანს, სახეობის აღმნიშვნელი vulgare — ჩვეულებრივს. ხისტაბელას სამკურნალო საქმეში თეოფრასტეს დროიდან იცნობდნენ. ხისტაბელა

შედიოდა ბოტანიკურ კოლექციაში და ბაღების დასამშვენებლად. დიოსკურიდეს თავის „სამკურნალო საშუალებათა სწავლების წიგნში“ განიხილავს კილამურას (ხისტაბელას) გამოყენების ისტორიას სამკურნალო საქმიანობაში უძველესი ხანიდან. XVI საუკუნის სამკურნალო საშუალებათა აღმწესხველ წიგნებშიც ვხვდებით მონაცემებს მის სამკურნალო თვისებებზე. კილამურას (ხისტაბელას) ფესვურა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ფისს, ლორწოს, მწარეებს, შაქარს და მლაშე ცხიმოვანს, რომელსაც მომწარო ზეთის მსგავსი სუსტი სუნი აქვს, გემოთი პირველად ტკბილია, ბოლოს მწარე და მკაწრავი. ხველების საწინააღმდეგო საშუალებად იხმარება. სამკურნალო საათთიაქო ნედლეულად ზოგჯერ მისი ფესვურის ფხენილს ხმარობენ. ძირითადად კი აფთიაქებში მის ფლუიდექსტრაქტს ამზადებენ. ლიქიორების ფაბრიკაციაში კილამურას ურევენ მწარე სასმელებში არომატიზაციისათვის და გასამაგრებლად.

კილამურა გავრცელებულია მსოფლიოს უკიდურეს ჩრდილოეთ ზოლამდე, ამერიკაში, მექსიკაში, სამხრეთ აფრიკაში, მაღალ მთებში 2200 მსიმაღლემდე ჩვენში—მთელ რესპუბლიკაში, ტყის ყველა სარტყელში, იშვიათად სუბალპურშიც, კლდეებზე, ქვებზე, ხავსიანებზე.

კილამურა Polypodiaceae-ს ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. კილამურას მიწისზედა ნაწილები შეიცავს ალკალოიდებს, ხოლო ფესვურაში ალკალოიდები არ არის, სამაგიეროდ არის მთრიმლავი ნივთიერება, საპონინი, გლიცირიზინი და ვაშლის მჟავა. ქართულ ხალხურ მედიცინაში კილამურას ფესვურას იყენებენ გაციების, ასთმის და ხველების წინააღმდეგ. სასოფლო-სამეურნეო ცხოველებიდან ყველაზე მეტად თხა ეტანება, ზოგჯერ მსხვილფეხა პირუტყვიც ძოვს, ხოლო მის ფესვურებს ღორები ჭამენ.

მეცნიერულ მედიცინაში კილამურა Radix Polypodii-ს სახელწოდებითაა ცნობილი როგორც სააბორტო, ჭიის გამომდენი და შარდმდენი საშუალება. აგრეთვე მას იყენებენ ელენთის, ღვიძლის და შარდის ბუშტის დაავადებების დროს, მას ხშირად შეცდომით „ძირტკბილასაც“ ეძახიან, რადგან მისი ფესვურები ტკბილია და ბავშვები ჭამენ.

რაჭაში ხალხური მკურნალები კილამურას სპეციალურად აგროვებენ, აშრობენ და ინახავენ, განსაკუთრებით მის ფესვურებს. ზედა ბუგეულში კილამურა ენახეთ სპეციალურად მოშენებული ტყეში ეზოს გვერდით, და მას ძირტკბილას შემცვლელად იყენებენ.

154. მთრთლავი ვერხვი—*Populus tremula* L., *Populus nigra* L.

ვერხვის გვარის სახელწოდება *Populus* წარმომდგარია რომაული სიტყვიდან *Populus* და ნიშნავს ხალხს, ეს სახელი იმიტომ მიიღო, რომ ხალხი მას იმთავითვე ხეივნებად, საჩრდილებლად აშენებდა (ე. ი. ხალხის სამსახურში იყო), სახეობა *nigra*, ე. ი. შავი. ვერხვი უხ-

ბოვარი დროიდან ცნობილი სამკურნალო საშუალებაა, ვერხვის მალამო, რომლის სახელი დღესაც ძველი სახელით „Populeon“-თაა ცნობილი. ვერხვის კვირტებს (Gemmae Populi) ნედლეულად არა მარტო ამ სახეობიდან იღებენ, არამედ ვერხვების ყველა სახეობიდან. იგი შეიცავს ეთერზეთს, გლიკოზიდ პოპულინს, სალიცილს, მთრიმლაე ნივთიერებას, ფისს, ცვილს, წებოს და მჟავას. ვერხვის კვირტები ბალზამისებური სუნით ხასიათდება და მწარე არასასიამოვნო გემო აქვს. მისი სხვა პრეპარატებიდან აღსანიშნავია Unguentum Populi, რომელიც დამწვრობით გამოწვეული ჭრილობის, მოშხამული და სხვა სახეობის ჭრილობათა სამკურნალოდ იხმარება. სამკურნალო ნედლეულად ითვლება მისი ეთერზეთი, ხოლო ვერხვის კვირტებიდან მიღებული სპირტი გამოიყენება ინდუსტრიაში. ვერხვის სახეობა კულტურაში ბევრგანაა გაერცელებული. საერთოდ გვხვდება შუა ევროპაში, კავკასიაში, ორასი წლის წინ ამერიკელებმა მოაშენეს ვერხვის ერთი სახეობა, რომელიც ბალზამს შეიცავს. ჩვენში იზრდება ტყის პირებზე, მდინარეთა ნაპირებზე, მთის შუა სარტყელში, ხშირად ასევე იხმარებენ აფსაზეთში, იმერეთში, ქართლში.

ვერხვი გაერთიანებულია ტირიფისებრთა (Salicaceae) ბოტანიკურ ოჯახში. მისი მჭადა ყვავილელი ფოთლის გამოსვლამდე გამოდის. ვერხვი სწრაფად მოზარდი ხეა, დამახასიათებელი კენწრული და ილლიური კვირტებით, ივითარებს სხვადასხვა ფორმის ფოთლებს. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების საქმეში იყენებენ როგორც შეფოთლილ, ისე უფოთლო ყლორტებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უხეში საკვების ნაკლებობაა, მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფას საკვებს ფოთლები წარმოადგენს, რადგან თითქმის გაყვითლებამდე 12% პროტეინს შეიცავს, უჯრედანა 21—24%-მდე მერყეობს. უფრო ადრე კი პროტეინი მასში 17—18,5% უდრიდა, 90%-ზე მეტი ცილისაგან შედგება. ოზაქსონის მონაცემებით, კვებითი და მონელებითი ღირებულება ხმელი ფოთლების 9,5%-ით განისაზღვრება. ახალ ფოთლებში, გროსპაიმის მონაცემებით, 300,9 მგ% ვიტამინი და 0,191 მგ% კაროტინია. ხალხი მთრთოლავი ვერხვის ყლორტებს იყენებს ცხვრის მრგვალი ჭიის წინააღმდეგ, ცხვარს დღე-ღამის განმავლობაში აშიმშილებენ და შემდეგ რამდენიმე დღე მხოლოდ ვერხვის ყლორტებით კვებავენ; ვერხვის მერქანს იყენებენ ასანთისა და ქალაღლის წარმოებაში, საღებურგლო საქმეში, სახარატო ნაკეთობებისათვის, ქერქს სამღებრო საქმეში და მთრიმლავი ნივთიერებების მისაღებად.

ლაგოდენში მთრთოლავი ვერხვის ქერქისა და ფესვების ნახარშს ასმევენ კუჭის დაავადების, კერძოდ, კუჭის წვენის დაქვეითებისას.

როლოვის მონაცემებით, მას ხალხი ხმარობს შარდის შეკაეების წინააღმდეგ, ვენერული დაავადების, ავიტამინოზისა და ციების წინააღმდეგ.

155. ფურისულა — *Primula macrocalyx* Bge.

ფურისულას გვარის სახელწოდება *Primula* წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან. *Primus* — პირველი, იგი ყველაზე ადრე ყვავილობს. ხოლო სახეობის სახელწოდება ორი ლათინური სიტყვისაგან შედგება: *macro* დიდი, *calyx* — ჯამი, ე. ი. დიდჯამა. ფურისულას გვარი მკურნალობის საქმეში თავის საწყისს იღებს ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებიდან (*Primula elatior* — მაღალი და *Primula veris* — უხვად მოყვავილე). ისინი შეტანილია სამკურნალო მცენარეთა წიგნებში XVI საუკუნიდან და საუკუნეთა მანძილზე ერთ-ერთ უძვირფასეს სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს. მისი საფთოაქო საქონლის შემცველი მზა მასალა პირველ მსოფლიო ომამდე და მის დროს ფართოდ გამოიყენებოდა. მაგრამ მის შემდეგ თანდათანობით შემცირდა. სამკურნალო ნედლეული მაშინ ცნობილი იყო *Radix Senegae* სახელწოდებით, მისი ფესვები (*Radix Primulae*) შეიცავს 10% საპონინს, გლიკოზიდ პრიმვერინს და პრიმულავერინს. გამშრალი ფესვები ანისულის სუნისაა და გემოთი მწარე, მკაწრავია. მისი ნახარში. — *Decoctum* და გამონაცემი *Extractum* დიდი რაოდენობით შეიცავს საპონინებს, არ შეიცავს ლორწოს. ამიტომ მას აძლევენ ხანგრძლივი ხველების დროს.

ფურისულა გავრცელებულია მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ბუჩქნარებს შორის, მდელოებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში.

ფურისულა, ანუ ვაშლისულა, ეკუთვნის ფურისულასებრთა (*Primulaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, კვერცხისებური მოყვანილობის ფესვთანი ფოთლებით. ღერო სიმაღლით 10—25 სმ აღწევს. ფოთლები ხშირი, ნაზი ბუსუსით. გვირგვინი ყვითელი ფერისაა, შედარებით მოკლეა. საქართველოში ფურისულას ეს სახეობა იზრდება თითქმის ყველგან, განსაკუთრებით მდელოებზე და ტყისპირას სუბალპურ ზონამდე. მკურნალობის საქმეში იყენებენ სახეობა *Primula officinalis*, მაგრამ ჩვენს მიერ აღწერილი ციმბირული ფურისულას ძირები მიღებულია საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ როგორც საუკეთესო ამოსახველებელი საშუალება.

ჩვენში აგროვებენ მხოლოდ ფურისულას ფესვებს (*Radix Primulae*), საზღვარგარეთ კი ყვავილებსაც (*Flores Primulae Sine Calycibus*), რომელშიც ნაცრის შემცველობა 6—8% უდრის. ფესვებში (*Radix Primulae*) 8—10% საპონინი, კრისტალური საპონინი-პრიმულაშეჟავა, მცირეოდენი ეთერზეთი — 0,08% და ამორფული საპონინია, მკვლევარმა ბრიდელმა აღმოაჩინა ფურისულას ეთერზეთში ერთი კრისტალი, რომელშიც შედის აგრეთვე გლუკოზიდი პრიმვერინი (პრიმვეროზიდი), პრიმულავერინი (პრიმულავეროზიდი) და ენზიმი პრიმვეროზიდაზი; კოფლერის მიხედვით, ფურისულას ფესვი და

მთლიანი მცენარე შეიცავს ელათიორმეავას (საპონინი), ელაციოგენინს (საპოგენინი) და 10% ნაცარს. ფურისულას ფოთლები კი — 2% საპონინს, გლუკოზიდებს და ფესვების მსგავსად — ენზიმებს, ხოლო ყვავილი საპონინების კვალს, გლუკოზიდ პრიმვერინს და პირმულავერინს (ყვითელი საღებავი ნივთიერება). საბჭოთა ფარმაცოლოგიურმა კომიტეტმა ცნო ფურისულას ორი პრეპარატი: *Extractum Primulae fluidum*, *Decoctum rad. Primulae*, ვენაში ფურისულასაგან დაამზადეს პრეპარატი პრიმუსტაბილი, რომელსაც იყენებენ ხველების წინააღმდეგ.

კასპის რაიონში ფურისულას, ვარდკაჭაჭასა და ოთხგულასგან უშვილობის წამალს ამზადებენ.

156. ტყემალი — *Prunus divaricata* Led.

ტყემალი ვარდისებრთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. იზრდება საკმაოდ მაღალი ხე. მისი ფოთლები ქვემოდან შიშველია, გვხვდება მთის შუა სარტყლის ტყეებში, ტყისპირებზე და კულტურაში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ტყემალს აძლევენ მადის მომგვრელად (კუჭის სეკრეციის გამოძყოფი საშუალება), რკინის შემცველად სისხლნაკლებობის დროს. მისი კურკის ზეთისაგან ამზადებენ მალამოს.

რაჭაში ტყემლის ტყლაპს ელენთის დაავადების დროს გარედან შემოადებენ. ეზოში მოშენებული ტყემლის ნაყოფიდან ამზადებენ ტყლაპს, როგორც საკულინარო სანელებელს.

აქვე უნდა განვიხილოთ *Prunus spinosa* — კვრინჩხი (მურაკი). ქართულ ხალხურ მედიცინაში ნაყოფებს, ყვავილებს და ქერქს ხმარობენ კუჭ-ნაწლავის აშლილობის გამოსაწვევად. მისი ქერქი, ფოთლები და ყლორტები არ შეიცავს ამიგდალინს. თესლებში ამიგდალინის შემცველობა 3%-ს უდრის, ყვავილებში ამიგდალინის მხოლოდ კვალია. ნაყოფი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებას, პექტინს, ფისს და ერთ ფლუოროესცირებულ ნივთიერებას. (რომელიც შეიძლება ესკულინია). მსგავსად კვრინჩხისა ბრიტანეთში იყენებენ სხვა სახეობას, სახელდობრ, *Prunus serotina*-ს, ამერიკაში — *Prunus virginiana*-ს, აგროვებენ სუფთა ქერქს, *Prunus serotina Fluidextractum Pruni virginianae*, *Sirupus pruni virginianae* სამივე სახეობის საექიმო ფორმებია.

157. კვრინჩხი — *Prunus spinosa* L.

გვარი *Prunus* ლათინურად ქლიავს ნიშნავს, ხოლო *spinosa* — ეკლიანს. კვრინჩხი სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. მის სამკურნალო თვისებებზე წერენ პლინიუსი, დიოსკურიდე, დაგალენი. ასევე ცნობილი იყო კვრინჩხის ეს თვისებები არაბული მედიცინისათვის (ავიცენა). შუა საუკუნემდე კვრინჩხი მოხსენიებული

იყო ყველა სამკურნალო მცენარეთა წიგნებში. ასევე იყენებდნენ ტყე-
მალსაც, განსაკუთრებით კოლხეთში. კვრინჩხის ყვავილები შეიცავს
Floreae Pruni spinosae ან Florae Acaciae (ასე უწოდებენ მის მზა
სააფთიაქო ნედლეულს), ერთ გლიკოზიდს, რომელსაც ნედლი სახით
აქვს მოტკბო გემო და არასასიამოვნო სუნის. ეს მოტკბო გემო შემდეგ
მწარეში გადადის. გაშრობის შემდეგ სუნს თანდათანობით კარგავს.
კვრინჩხი ერთ-ერთი უძველესი ხალსური საშუალებაა, რომელსაც აღ-
რე მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა, დღეს შედის ოფლის მომგვრე-
ლი ჩაის ნაკრებში და ცალკეც ხმარობენ ძლიერი გაცივების დროს.

კვრინჩხი გავრცელებულია მთელს ევროპაში, შოტლანდიაში,
სამხრეთ სკანდინავიაში, ამერიკაში, ჩვენში მთის შუა სარტყლამდე,
ბუჩქნარებში, ტყისპირებზე და ხეობებში — აჭარაში, სამხრეთ
ქართლში, კახეთში, თრიალეთში, ქვემო ქართლში, მესხეთში.

ორფერი — *Pulmonaria mollissima* A. Kern. (*P. officinalis* L.).

ჩვენში მისი სრულყოფილი შემცვლელია *Pulmonaria mollis*
A. Kerner. ამ მცენარის გვარის სახელწოდება *Pulmonaria* წარმომ-
დგარია ლათინურიდან: *Pulmo* — ნიშნავს ფილტვებს, სახეობის სა-
ხელი *officinalis* — სამკურნალოს. მისი სამკურნალო მიზნით გამო-
ყენების ისტორია ანტიკური მედიცინის დროიდან იწყება. ორფერი
პირველად სამკურნალო მცენარეთა წიგნში 1583 წელს არის მოხსენ-
ებული და დასურათხატებული. ჯერ კიდევ პარაცელსის დროს (1493—
1541). ორფერს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და იყენებ-
დნენ, როგორც საუკეთესო საშუალებას სასუნთქი გზების, განსაკუთ-
რებით კი ფილტვების დაავადების დროს. იგი შეიცავს კრემენფავას,
ლორწოს, საპონინს, ფისს და მთრიმლავ ნივთიერებას. საპონინის შემ-
ცველობა მერყეობს. სააფთიაქო მზა ნედლეული უსუნო, მაგრამ
ლორწოვანია და საგრძნობლად მჟავე. გერმანიის დემოკრატიული რეს-
პუბლიკის აფთიაქებში ახლაც იყიდება ამ მცენარისაგან შემდგარი ნა-
კრები და ცალკე ჩაი, რომელიც ცნობილია ფილტვანას ჩაისა და
კრემენბალასთა ჩაის სახელწოდებით. არსებობს ცალკე ამ მცენარის
ფილტვანას ჩაი. ფილტვანა გავრცელებულია ევროპაში, სამხრეთ სკან-
დინავიაში, ნორვეგიაში, სამხრეთ ფინეთში, შუა რუსეთში, კავკასია-
ში, ბალკანეთის ქვეყნებში, იტალიაში. ჩვენში იზრდება ტყისპირებ-
ზე, ბუჩქნარებს შორის, ტყის შუა სარტყლამდე აფხაზეთში, სვანეთ-
ში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ
ოსეთში. ორფერი ლაშქარასებრთა (*Borraginaceae*) ბოტანიკურ
ოჯახს ეკუთვნის, იგი დემოკრატიული ბალახოვანი მცენარეა, აქვს
რბილი და ხშირი შებუსხილი ღერო. ფოთლები კვერცხნაირ-ლანცე-
ტაა, შუათანა კი გაგრძელებული. გვირგვინი იისფერ-მტრედისფერია.
იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეში, ტყისპირზე, ბუჩქნარებს

შორის, აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, სამხრეთ ოსეთში.

აკად. ნ. კეცხოველის გადმოცემით, დედამისი ამ მცენარის ნახარშს ასმევდა ხველებისა და ფილტვის ტუბერკულოზის დროს.

როლოვის მონაცემებით, ამ მცენარის ნაყენს იღებენ როგორც ტკივილდამაყუჩებელს, ხოლო გარედან იღებენ საღებუნის სახით კარბუნკულების დროს, აგრეთვე როგორც სააბორტო საშუალებას, ხოლო მის ნახარშში აბანაებენ საყმაწვილოთი დაავადებულ ბავშვებს.

ორფერს ინგლისში სპეციალურად აშენებენ როგორც საკვებ მცენარეს (საკვებად ჩმარობენ მის ქვედა — ფესუთან ფოთლებს).

158. ბროწეული — *Punica granatum L.*

ბროწეული დატოტიანებული ბუჩქოვანი მცენარეა, ეკუთვნის Punicaceae-ეს ბოტანიკურ ოჯახს, მისი მოკლეყლოტიანი, მოგრძო ან ლანცეტა, კიდემთლიანი, ტყავისებური ფოთლები ერთიმეორეს პირდაპირ ჯგუფ-ჯგუფად ასხია ტოტებს. მოზრდილი ღიაწითელი ფერის ყვავილები თითო-თითოდ ან სამ-სამად სხედან კენწეროზე ყვავილსაჯდომთან ერთად. მუქი წითელი ფილასმაგვარი ჯამი 5—7 სამკუთსოვანი ნაკვით და მრავალი მტკრიანათი მსხვილია; ტყავისებური გვირგვინი შედგება 5—7 განიერი ფოთოლაკისაგან. მრგვალ ნაყოფზე ჯამის ნაწილებია შემორჩენილი; ნაყოფის შიგნით გადატანულია, სადაც მოთავსებულია მრავალრიცხოვანი წითელი, წვნიანი, წანაგოვანი იესლი. საქართველოში ბროწეული იზრდება როგორც ველურად, ისე კულტურული მცენარის სახით. ბროწეულის კულტური მასივები ვნახეთ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, სადაც მისი სუფთა მასივებიც გვხვდება.

ბროწეული გავრცელებულია მთის ქვედა სარტყელში, მდინარეთა ხეობებში, მშრალ ფერდობებზე—აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, ქიზიყში, გარდაბანში, თრიალეთში, ქვემო ქართლში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია იყენებენ ბროწეულის ყვავილს (*Flores Granati*), ბროწეულის მარცვალს ან გულს, ბროწეულის ქერქს (*Cortex Granati*), ბროწეულის ფესვს (*Radix Granati*), ბროწეულის წვენს (*Succus Granati*), ბროწეულის ძირის ერბოს, ანუ ზეთს, ბროწეულის რუბს (*Extractum aquosum sort. rad. Granati*), ბროწეულის შარბათს და სხვ. ყელის ტკივილის წინააღმდეგ, სისხლდენის შესაჩერებლად, მადის მომგვრელად, კუჭის აშლილობისას, გაძნელებული მენსტრუაციის დროს და სხვა. მეცნიერულ მედიცინაში დღეს ბროწეულის ქერქს ხმარობენ როგორც ჭიის დამდენ საშუალებას, განსაკუთრებით ლენტისებური ჭიის (*Taenia Soleum*) წინააღმდეგ; მაგრამ მას აქვს საწინააღმდეგო ჩვენება: მაღალი არტერიული წნევის შემთხვევაში მან შეიძლება მიღების ათერომატოზი ან ანევ-

რიზმა გამოიწვიოს. სამკურნალო მიზნით აგროვებენ ბროწეულის ფესვებს, ღეროსა და ტოტების ქერქს (*Cortex Granati*), ბროწეულის ქერქის ქიმიური შემადგენლობა ასეთია: 20—23% ბროწეულ-მთრიმლავი ნივთიერება გალის მჟავა, სახამებელი, ფისი, ცელი, შაქარი, გუმფისი, მანიტი, მინერალური მარილები და ალკალოიდები, რომელთა პროცენტული შემცველობა 0,4—1,1% აღწევს, მათ შორის აღსანიშნავია პელეტეირინი, ანუ პუნიცინი (*Pelletierinum*) იზოპელეტეირინი (*Isopelletierinum*), მეთილპელეტეირინი (*Methylpelletierinum*), იზომეთილპელეტეირინი (*Isomethylpelletierinum*) და სხვ. ჩამოთვლილი ალკალოიდები შხამიანია, მათ ვერატრინის მსგავსი მოქმედების უნარი აქვთ. პელეტეირინის 0,01% ხსნარი ათი წუთის შემდეგ მოქმედებს ლენტისებურ ჭიებზე, აღსანიშნავია, რომ პელეტეირინი მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეც და საკმაოდ ზრდის არტერიულ წნევას; იგი იწვევს პირღებინებას, ფაღარათობას, ჭკლებს, პულსის დაქვეითებას, გულის წასვლას, ძლიერ ოფლდენას, კრუნჩხვებს და ზოგჯერ სიბრმავეს. ყველაზე მეტ ალკალოიდებს შეიცავს ბროწეულის სახეობა *Punica granatum fl. albo*, სადაც ალკალოიდთა რაოდენობა 2% აღწევს; ჩვენ მიერ აღწერილ სახეობაში ალკალოიდთა რაოდენობა სხვადასხვა ფარმაცოპეის მონაცემებით, მერყეობს 0,25% — 0,5%-მდე. გარდა ალკალოიდებისა, ბროწეული შეიცავს ფსევდოპელეტეირინს — მეთილ გრანატონინს, ბროწეულ-თრიმლმჟავას, ნაღვლის მჟავას, რომლებიც წარმოადგენენ ხებულისნიშნავა პროდუქტებს, ოქსალატს, მალატს, ყვითელ საღებავ ნივთიერებას, 14,4—16,7% ნაცარს. ბროწეულის ნაყოფი (*Cortex granati fructum*) შეიცავს: 28%-მდე მთრიმლავ ნივთიერებას გლუკოზიდური თრიმლმჟავათი, 34% ლორწოს და მცირეოდენ ფისს. მოუმწიფებელ ნაყოფში მოიპოვება გრანატინი (გრანატინი მანიტთან ერთად ქერქშიც არის). 21,8% ექსტრაქტული ნივთიერება, 34,2% გუმფისი და გალისმჟავა, საღებავი ნივთიერება, მთრიმლავი ნივთიერება. ბროწეულის ყვავილები შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებას. ბროწეულის ქიმიური და სამედიცინო თვისებების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ფარმაცევტულ ინსტიტუტს. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემის მიხედვით ბროწეულის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Decoctum cort. Granati* და *Ext. Granat. fluidum*, საზღვარგარეთ *Cortex Granati seu Cortex radiceis Granati*, *Extractum Granati corticis*, *Extractum fluidum Granati Corticis* და სხვა.

მახინჯაურში ბროწეულის ქერქის ნახარშს სხვა მცენარეებთან ერთად ასმევენ მუცლის ტკივილის დროს.

ბროწეულის ქერქს ლაგოდენის მოსახლეობა იყენებს დიზენტე-

რის წინააღმდეგ. ყვარელში ბროწეულის ფესვების ნახარშით მკურნალობენ რევმატიზმს.

ბროწეულის ქერქის ნახარშს შავბალახასთან და ქონდართან ერთად ასმევენ დიზენტერიის დროს (ასმეტის რაიონი).

159. წითელი გვირილა — *Pyrethrum roseum* (Adam) M. B.

წითელი გვირილა ეკუთვნის რთულყვავილოვანთა *Asteraceae* (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს, ხასიათდება მთავარლერძიანი, დატოტიანებული ფესვით და მხოხავი ფესვურებით, სიმაღლით 30—50 სმ აღწევს, ფოთლები ორმაგ ფრთადგანკვეთილია, 2—3-ჯერ ბასრად დანაკეთული ნაპირებით; კენწეროს ფოთლების სეგმენტები ვიწრო სწორხაზოვანია. წითელი ფერის ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედში. კალათა განიერი პრიალა საბურველით, სიგანით 15 მმ აღწევს და ირგვლივ შემოვლებული აქვს შავი არშია. წითელი გვირილა მრავალწლოვანი ბალახია, იზრდება ზღვის დონიდან 800 მ-დან 3000 მ სიმაღლემდე, განსაკუთრებით მთის სამხრეთ კალთებზე და თიხა-კირიან ნიადაგებზე — აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ჯავახეთში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში წითელი, ხორცისფერი გვირილის *Pyrethrum carneum* M. B. და ჩვეულებრივი გვირილის *Tanacetum* გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენი ხალხი მის ნახარშს ასმევედა ყელის დაავადებისას, გაძნელებული მენსტრუაციის დროს, ჭიის დამდენად და სხვ. „იადიგარ-დაუდის“ ავტორი დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს „გვირილები, ანუ ყუითელისა გვირილასა ხავარნი ქუიან, საკრწყილესა გვირილასა ბაბუნაჯი ქუიან და თეთრსა გვირილასა ბაბათია ქუიან. და ესე სამი გვარი გვირილები სამივე მხურვალი და ხმელია, და ყოვლის გრილის სენისა და ჭირისათვის სამნივე წამალი არის, რომე ან მისი შარბათი ასვას, ან დანაყონ, ტლედ ქნან და სადაც სტკიოდეს და ან უსივდეს იქ შემოსდენ, ყოველსა ქარსა დაღეწს და გააყენებს და ყოვლისა გრილსა სენსა არგებს და წამალი არის ცივებისა, სისხნისა, გრილის ხაფაყანისა, ასოსა ძულის და სახსრების ტკივილებისათვის, თავისა და წელის ტკივილებისათვის და ყოვლისა ბალღამის წამალია“. გვირილას ხმარობენ აგრეთვე საყოფაცხოვრებო პარაზიტების წინააღმდეგ და აგრეთვე ცხოველთა გარეგანი პარაზიტების მოსასპობად. მეცნიერულ მედიცინაში წითელი და ხორცისფერ გვირილას კალათებისაგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ როგორც ინსექტოციდურ საშუალებას სხვადასხვა მწერების (ბუზების, ბალღინჯოების, ტილების, კოლოების და სხვ.) წინააღმდეგ. მათ მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება რთული ეთერი: პირეთრინ I და პირეთრინ II; აქედან უფრო ძლიერია პირეთრინ I, რომელიც მოქმედებს მომაკვდი-

ნებლად ცივისსხლიანებზე, ხოლო თბილისისსხლიანებისათვის კი ის უვნებელია.

გვირილას ფარმაკოლოგიური პრეპარატებია პირეთრინი, ფლიცი-ლი და *Extractum Pyrethri rosei florum*.

ქობულეთში ერთ-ერთ ეზოში სიმინდის ნათესებში, კატაბალახას გვერდით მოშენებული ვნახეთ გვირილა მას უემურის წამალს ეძახ-დნენ, მის ნახარშს ასმევენ საერთო სისუსტის და, „ჭკუასუსტობის დროს“, ღვიძლის დაავადებათა დროს.

რაჭაში გვირილას იყენებენ პარაზიტების წინააღმდეგ. მათ სპე-ციალურად არ აშენებენ, აგროვებენ მთაში, ინახავენ სხვეწზე ჭურ-ჭელში და საჭიროების დროს ხმარობენ.

160. პანტა მსხალი — *Pyrus caucasica* A. Fed.

პანტა მსხალი ეკუთვნის ვარდისებრთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. იზრდება საკმაოდ მაღალი ხე. ახასიათებს მომრგვალო, წვრი-ლი ხერხებილი ფოთლები. მას იყენებენ საძირედ. გვხვდება კულტუ-რაშიც.

პანტა მსხალი საქართველოში გავრცელებულია ყველგან.

ხალხი პანტა მსხალს უხსოვარი დროიდან იყენებს. პანტა მსხალი მოშენებული აქვთ ეზოებში (გორელოვკა, ახალქალაქი, აწყვიტა), და ხმარობენ კუჭის აშლილობის დროს. მსხლის ფოთლის ნაყენით მკურ-ნალობენ მორიელის ნაკბენს (კინდლი — ოჩამჩირე). იყენებენ შემ-კვრელად.

161. წყლის ბაია, ნიახურა — *Ranunculus repens* L.

ბაიების გვარი ბაიასებრთა (*Ranunculaceae*) ოჯახში, *Ane-
monae*-ს რიგში არიან გაერთიანებულნი. მათ ნახავთ საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც მთაში, ისე ბარში, განსაკუთრებით ეს სა-ხეობა გავრცელებულია ყველა რაიონში, მთის ზედა სარტყელში, ტყეებსა და მინდვრებში. მთლიან მცენარეში არის ანემონოლი, რა-ნუნკულოიდი, რომელიც ზოგჯერ ქაფურის სახითაა წარმოდგე-ნილი. გამშრალი ბალახი უხამიანი არაა, რადგან მასში არსებუ-ლი პანემონინი იშლება ანემონად და იზოანემონმჟავად. სხვა სახეობე-ბიდან აღსანიშნავია *Ranunculus repens* L., რომლის ფოთლები შეი-ცავს 7,4—12,1 მგ% კაროტინს. *Ranunculus bulbosus* L. აგროვებენ იენისში, ყვავილობის პერიოდში კი, *Ranunculus sceleratus*, *Ranun-
culus Ficaria* (*Ficaria calthifolia* Reichenb), *Ranunculus flam-
mula* L.

ხალხურ მედიცინაში წყლის ბაია გამოიყენება შარდმდენ, კუჭის ამშლელ და კანის ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალებად.

ხობში ცნობილია სახალხო მკურნალი, რომელიც წყლის ბაიათი-მკურნალობდა შაკიკს, ნაყავა მის ფოთლებს და წვეწვს ასხამდა ცხვირში. იგი მოშენებული ჰქონდა ეზოში არხის პირას, იგი ახლაც დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი მის ეზოში.

ნიახურას სამკურნალოდ გამოყენების შემთხვევას ხალხში მხოლოდ რაჭაში შევხვდით. სოფ. ზემო ბუგეულსა და დაბა ამბროლაურში ნიახურას კაკლის ქერქის ცილასთან ერთად აძლევდნენ შაკიკის დროს. ნიახურა მოშენებული აქვთ პატარა რუს პირას.

162. ბოლოკი — *Raphanus sativus* L.

ბოლოკი ეკუთვნის ჯვაროსანთა Brassicaceae (Cruciferae) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც ჩვენში კულტურაშია. იყენებენ მის ერთვარიაციასაც *Raphanus sativus* L. var *Raphanus niger* D. C., როგორც შემკვრელ და შარდმდენ საშუალებას. უფრო მეტ სამკურნალო თვისებებს აწერენ შავ ბოლოკს. ბოლოკის ფესვების ქიმიური შემცველობა ასეთია: 0,0025%-ის შემცველი ზეთი კრისტალების სახით, რაფანოლი (რაფანოლიდი) $C_{29}H_{58}O_4$, ცნობილია სხვა სახეობაც, როგორცაა *Raphanus Raphanistrum* L. *Raphanistrum arvensis*. ბოლოკის გვარიდან პამბურგში დაამზადეს პრეპარატი ნიგრაფანი (*nigraphan*), რომელიც იყიდება ფხვნილის სახით 60,0—180,0 ოდენობით. ამ პრეპარატს უნიშნავენ დეიძლისა და ნაღვლის გზების ტკივილის დროს. ნიურნბერგში მიიღეს პრეპარატი რაფაბილი (*Raphabil*), რომელიც წარმოადგენს *Raphanus sativus*-ის და მისი ვარიაციის შავბოლოკის დეჰიდროქოლმჟავას. ეს პრეპარატი მზადდება ტაბლეტების სახით, ყოველ სუთ ტაბლეტში შედის მცენარის ახალი წვენი და 0,15 დეჰიდროქოლმჟავა. იყენებენ ნაღვლის კენჭების წინააღმდეგ, ბილიარული დისპეფსიის დროს და გაძლიერებული მადის წინააღმდეგ.

ახალქალაქის რაიონის სოფ. გორელოვკაში ეზოში მოშენებული ენახეთ შავი ბოლოკი, რომელსაც აძლევდნენ ავადმყოფებს კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების მოსაწესრიგებლად, შემკვრელად და მადის მომგვრელად.

163. ჩვეულებრივი, ანუ პონტოს იელი — *Rhododendron Luteum* Sweet *Rhododendron flavum* G. Don. (*Asalea pontica* L.).

იელი საქართველოში ყველასათვის ცნობილი და ძლიერ გავრცელებული მცენარეა. ეკუთვნის მანანასებრთა (*Ericaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება 2 მ-მდე სიმაღლის, ბუჩქის სახით. ივითარებს ყვითელი ფერის 3—4 სმ სიგრძის ყვავილებს, რომლებიც მეტად სურნელოვანია და შეკრებილია ქოლგა ყვავილედში. ფოთლები მოგრძო უკუღმაკვერცხისებურია და ცვენადი. იელი გვხვდება მდელოებზე და ტყისპირებზე როგორც მთაში, ისე ბარში, დაახლოებით სუბალპურ სარტყელამდე სემცენარეებთან და ბალახეულობასთან ერთად, წიწვიან და თესლოვან მცენარეთა შორის — აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, გარე კახეთში, მესხეთში.

იელის ყვავილი შხამიანია და გამაბრუებელი, ფოთლები შეიცავს გლუკოზიდების მსგავს შხამიან ნივთიერებებს — არეკოლინსა და ანდრომელოტოქსინს, ამ უკანასკნელს აქვს როგორც საერთო ნარკოტიული, ისე ადგილობრივი გამაღიზიანებელი თვისება. იელის ყვავილისაგან ამოღებული ნექტარით ფუტკარის მიერ დამზადებული თაფლი მომწამვლელად ითვლება. ასეთი თაფლისაგან დასავლეთ საქართველოში არაყს ხდიან, რომელიც უკვე მავნებელი აღარაა.

თავისი შხამიანობით აღსანიშნავია დეკა (*Rhododendron Caucasicum* Pall.). იგი მეტად ლამაზი მცენარეა, ყვავილის გვირგვინი თეთრია. დეკას ჩვენი ხალხი იყენებს როგორც ნარკოტიკულ საშუალებას, რითაც ხშირად აბრუებენ თევზებს. მის ყვავილებს მწყემსები აშრობენ და ინახავენ ზამთარში ჩაისათვის, რომელსაც სვამენ გაცივების დროს ოფლის მოსაგვრელად. დეკას ყველა ნაწილი შეიცავს შხამიან ნივთიერება ერიკოლინს და დიდი რაოდენობით ეთერზეთებს. ეთერზეთთა დიდი რაოდენობით შემცველობის გამო დეკა უალოდ და სწრაფად იწვის, მის აღზე შემწვარი ცხვრის ხორცი მეტად გემრიელი, არომატული და უვნებელია. ქართველი ხალხი დეკაზე შემწვარ მწვადს „მეფე ერეკლეს მწვადს“ ეძახის.

ქართულ ხალხურ მედიცინაში პონტოს იელის ყვავილისაგან დამზადებული შხამიანი თაფლის არაყს რევმატული ანთების წინააღმდეგ იყენებენ, ხოლო ქვემო სვანეთში სოფ. შკედში ტუჩზე ან კანზე განვითარებული სოკოვან დაავადებებს (რომელსაც იქ სიმსივნეს ეძახიან) მკურნალობენ იელის ყვავილით და იელის ფოთოლზე განვითარებული გალებით.

დეკას ყვავილისა და ფოთლების ნახარშს ლაგოდეხში ასმევენ გაცივების დროს, ღვიძლის დაავადებისას. ასმეტის რაიონის სოფ. მატანში დეკა მთიდან ჩამოაქვთ და იყენებენ სამკურნალოდ.

164. ასკილი — *Rosa canina* L.

ასკილის გვარის სახელწოდება *Rosa* კელტური სიტყვაა და ვარდს ნიშნავს, rhodd, rhudd კი — წითელს, სახეობის სახელწოდებაა *Canina*, ე. ი. ძაღლისა. ასკილი სამკურნალო საქმეში ახალი წელთაღრიცხვის დროიდანაა ცნობილი და მრავალი დაავადების წინააღმდეგ გამოიყენებოდა. მისი ნაყოფი შეიცავს შაქარს, პექტინს, ორგანულ მჟავებს, მლაშე ცხიმოვან და ეთერზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას და C ვიტამინს. თესლში შედის მლაშე ცხიმზეთი, შაქარი, ორგანული მჟავები და ვიტამინი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასკილის ნაყოფის კანში კიდევ სხვა მრავალი ვიტამინიც უნდა იყოს. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა. ნაყოფის რბილობი მომჟავო ტკბილია, თესლები სასიამოვნო არომატული. სამკურნალოდ ვარგისია ასკილის ნაყოფი *Fructus cynosbatisima seminibus* (და თესლებს) *Semen Cynosbati*). ყველა ეს პრეპარატი ვიტამინის შემცველია, მათ ჩაის სახითაც

ხმარობენ. სააფთიაქო ნედლეულს ასმევენ შარდმდენად, იგი საღებავ ნივთიერებას შეიცავს და ჩაის სახით იღებენ. ასკილს აცლიან ვიტამინებს, რომელსაც ცალკე იყენებენ, ხოლო ვიტამინგამოცლილ მასას ცალკე ხმარობენ სამკურნალოდ.

ასკილი გავრცელებულია მთელ ევროპაში, დასავლეთ და ჩრდილოეთ აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ სკანდინავიაში, სამხრეთ ფინეთში და სხვ. ჩვენში იზრდება გაჩეხილი ტყეების ქვეტყეში, ტყისპირებსა და ველობებზე, ბუჩქნარის რაყაში, გზების გაყოლებასზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

ასკილი ეკუთვნის ვარდნაირთა (Rosaceae) ბოტანიკურ ოჯახს, იგი 3 მეტრის სიმაღლის ეკლიანი, მეტწილად ფოთოლცვენია ბუჩქია, მისი მაგარი ნამგლისებური ეკალი ეპიდერმისის სახეცვლილებაა, ღერო დატოტიანებულია, მორიგეობით მჯდომარე კვირტები რამდენიმე ქერქითაა დაფარული, ხოლო ფოთლები რთულია და კენტფრთხარტული, აქვს ყუნწთან შეზრდილი ვარდისფერი ორსქესიანი ყვავილები მრავალრიცხოვანი მტკვრიანათი. ყვავილის ჯამი ქოთნისებურად შეზრდილია და ისევე, როგორც გვირგვინი, შედგება ხუთი ფოთლისაგან. ყვავილსაჯდომი ზევითაა წამოწეული, ისევე როგორც გვირგვინი. ნაყოფი ერთი ან მრავალი დაკიდებული თესლით შებუსვილი და ხორციანია. საქართველოში ასკილი უხვადაა როგორც მთაში, ისე ბარში და მონაწილეობას ღებულობს მრავალფეროვან დაჯგუფებაში.

ასკილის ფოთლებისა და ნაყოფის ნახარშს საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობენ ხველებისა და მუცლის ჭკლების საწინააღმდეგო და საერთოდ ორგანიზმის გამასუფთაებელ საშუალებად. კულტურული ფორმების გვირგვინის ფოთლებს ხმარობენ მურაბებისათვის, ხოლო ამ ფოთლებზე დაყენებული ჩაი ოფლის მომგვრელ საშუალებად ითვლება. ასკილის გვირგვინის ფოთლებიდან ამზადებენ თაფლს და ძმარს. დავით ბატონიშვილი მოგვითხრობს: „კიდევ ძველის ხველისათვის, ზიყ ნაფასისათვის და მუცლის ჭუილისათვის ესე დუყი ასყილი მწოვედ და მწოვედისაგან უფრო კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის და ესე დუყი ასყილი გვამისა და სტომაქიდალამ, ბაყლსა და ბალღამსა და ვასა ხილისა, ყუელასა გამოიღებს, მოხეთქს და დააღვრევენებს. და ესე ასყილი რომე შესვა და ან მოხარშო და მერე მოიტანე ესე ასყილი სამი ღირჰამი, ლურჯის, შინაურის იის ძირი ორი ღირჰამი და ფალასიონი და ზუფა თვითო ღირჰამი ქენ, ესე წამლები ყუელა წმინდად დანაყონ და ვაცრან და ქაფმოხდილსა თაფლშიგა ამოზილონ და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ამა ლუყისაგან სამსა ღირჰამსა სჭამდნენ, ზიყნაფასისა და ხუელი-სათვის და ბალღმის გაქარვებისათვის ამისთანა წამალი და ამა სენებისათვის ამისთანა აქიმი არ იქნების და ბერჯერ დაცდილი არის“. მეცნიერულ მედიცინაში და ტექნიკაში ასკილის როგორც გარეულ, ისე

კულტურულ სახეობას ამჟამად დიდი გამოყენება აქვს; კულტურული ფორმის ასკილის გვირგვინის ფოთლებისა და ფურცლებისაგან ხდიან ეთერზეთს, რომელიც შეიცავს გერანიოლსა და მთრიმლავ ნივთიერებას, ხოლო მისი ნაყოფი საუკეთესო საშუალებად ითვლება ავიტამინოზურ დაავადებათა წინააღმდეგ. ასკილის გვირგვინის ფოთლებს ხმარობენ პარფიუმერიაშიც, განსაკუთრებით პომადის და აგრეთვე ლიქიორის წარმოებაში; ასკილთა ღეროზე მწერების მიერ გაღიზიანებულ ადგილას ხშირად წარმოიშვება ე. წ. *Cynipsrosea* ან ჩნდება წაწარმები: *Fungua Bedeguar* და ე. წ. ვარდის ტუჩები (*Spongia rosea*), რაც სრულიად არ აზიანებს მის ნაყოფს. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ სხვადასხვა სახის ასკილის ნაყოფს, სახელდობრ, *Rosa gallica*, *Rosa centifolia* L., *Rosa canina* L. და სხვ. მისი ნაყოფი ცნობილია *Cynosbata*-ს, ანუ უფრო სწორად, *Fructus Cynosbaticum semini*-ს და *Fructus Cynosbati*-ს სახელწოდებით; ის შეიცავს 4—5% ნაცარს, მთრიმლავ ნივთიერებას და ვიტამინს. ასკილის გვირგვინის ფოთლებში შედის ეთერზეთები, ცხიმი, მთრიმლავი ნივთიერება, გალის მჟავა, კვერციტრინი, შაქარი, ცილოვანი ნივთიერება, უჯრედანა, საღებავი ნივთიერება და მინერალური მარილები. მისი ზეთი შეიცავს თხევად ელემენტებს და პარაფინის რიგის მკვრივ ნახშირწყალბადს — სტეარობტენს. ვარდის ზეთის სურნელოვნება განისაზღვრება ელემენტებით და გერანიოლით (*Geraniol*), რომელიც მასში 70% აღწევს. ასკილის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores seu Petale Rosae Gallicae*, *Mel Rosatum*, *Flores Rosae centifoliae*, *Oleum Rosae* და სხვ. სასლვარგარეთ მისი პრეპარატებიდან გავრცელებულია: *Conserva Rosa*, *Extractum Rosae fluidum*, *Mel Rosatum cum Borace*, *sirupus Rosae* და სხვა.

როგორც მეცნიერულ, ისე ხალხურ მედიცინაში იყენებენ ასკილის ნაყოფს. აჭარაში სოფ. ახაშენში ასკილის ნაყოფის წვენიდან წაბლის ყვავილთან ერთად ამზადებენ კოლიტის საწინააღმდეგო წამალს. ასკილის ძირებს სხვა მეცნარეებთან ერთად (მოქში, დიმელა, მაყვალი) ხმარობენ ლიმფური ჯირკვლების დაავადებათა სამკურნალოდ.

ცაგერის რაიონის სოფ. ჩხუტელში ასკილი ვნახეთ ეზოში სპეციალურად მოშენებული, თითქმის დეკორაციული მიზნით. ასკილის ნაყოფს დიდი რაოდენობით აგროვებენ, თესლებს აშრობენ, ნაყავენ და იყენებენ ბუასილის სამკურნალოდ.

ახალქალაქის რაიონის, სოფ. გორელოვკაში ეზოში მოშენებული ვნახეთ ასკილი.

კასპის რაიონის სოფ. ქვემო ჭალაში კრფენ ასკილის ფოთლის სოკოს, ნახევარ ჩაის ჭიქას დაფქვავენ, გაცრიან, შეაზეღენ თაფლს და იყენებენ ბუასილის სამკურნალოდ.

ასკილის ფოთლის სოკოს ურევენ ეგზემის წამალში სხვა მცენარეებთან ერთად (სოფ. თვალადი). ასკილის ფესვების ნახარშს ლაგოდებლები ასმევენ დიზენტერიის დროს.

სოფ. მელაანში ასკილის ყვავილის წყლის ნაყენით მკურნალობენ მხედველობას.

როლოვის მონაცემებით, ასკილის ყლორტებს ხალხი იყენებს როგორც ნარკოტიკს, განსაკუთრებით საშარდვ გზებისა და მისი კენჭოვანი დაავადების დროს, ჩიყვის წინააღმდეგ და ცოფიანი ცხოველებით დაკბენილის სამკურნალოდ.

165. ენდრო — *Rubia iberica* (Fisch. ex Dc.) C. Koch. *Rubia petiolaris* (Somm. et. lev.) Woron. *R. tinctorum*. ენდრო ეკუთვნის ენდროსებრთა (*Rubiaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება საქართველოს მთა-ბარში მთის შუა ზონამდე, მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირებზე და ბუჩქებს შორის — ქართლში, ქიზიყში, გარე კახეთში, გარდაბანში, მესხეთში, ქართულ ხალხურ მედიცინაში ენდრო გამოყენებულია როგორც საუკეთესო საშუალება სიყვითლის წინააღმდეგ, აგრეთვე გაძნელებული მენსტრუაციის დროს, საბჭო ბუშტუკოვანი გამონაყარის შემთხვევაში მალამოს სახით და სხვ. აღსანიშნავია, რომ ენდრო შეიცავს ანილინის ჯგუფის საღებავს, ინას, ალიზარინს, ამისგან ამზადებენ ალიზარინის მელანს ლითოგრაფიისათვის, აგრეთვე ღებავენ მატერიებსა და თმას. საღებავს იყენებენ მეცნიერული მიზნებისათვისაც ძელის ზრდაზე დასაკვირვებლად, რისთვისაც ღებავენ ძვალოვან ქსოვილებს ენდროს საღებავით. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მე-17 საუკუნიდან ენდრო ქართველებს საზღვარგარეთ (ირანში) გაქონდათ, რამაც გამოიწვია ჩვენში მისი მარაგის შემცირება. მკურნალობისათვის მისი ძირების ნაყენებს ამზადებენ.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ენდროსგან ამზადებენ სხვადასხვა მალამოს მისარევად ან ფერის მისაცემად. რაჭაში მას ღედათა წესის მომწესრიგებლად ხმარობენ. ენდროს ერთხელ რგავენ ღობის ძირებში და შემდეგ გამრავლებაში ხელს არ უშლიან.

კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქში ეგზემას მკურნალობენ ენდროთი, რომლის გამხმარ, დაფხვნილ ფესვებს ურევენ შაბს, ყველაფერ ამას ხსნიან არაჟანში და უსვამენ მტკივნეულ ადგილებზე. ენდრო მოაქვთ ჩაჩუბეთიდან, ეზოში არ აშენებენ.

ენდროს აგროვებენ და იყენებენ სამკურნალოდ (მის ძირებს ურევენ სურავანდის წამალში) სოფ. მახარაძეში (გადრეკილაში) მცხოვრებნი.

166. მაყვალი — *Rubus caucasicus* Focke., *Rubus fruticosus* Lab.

მაყვლის — *Rubus* გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინურიდან. სიტყვა *Rubus* ნიშნავს წითელს (ეწოლა მის ნაყოფს სი-

წითლის გამო), ხოლო სახეობა *frutex* — ბუჩქისგვარს და ჭარბნაყოფიანს. თეოფრასტე, დიოსკურიდე და გალენი სამკურნალოდ ხმარობდნენ მაყვლის ფოთლებს კუჭისა და ნაწლავების დაავადებისას. ფოთლებიდან ამზადებდნენ სამკურნალო წყალს იმავე მიზნებისათვის. არაბები დღესაც მისი ფოთლებისგან იღებენ „საყვარელ სასმელს“. მაყვალში შემავალი ნივთიერებებია — მთრიმლავი ნივთიერება, ინოზიტი, ცოტა რაოდენობით ვიტამინი C და ერთი ორგანული მჟავა, რომელიც ფიქრობენ, რომ რძის მჟავაა. გამოიყენება როგორც გამაგრილებელი წყლების, ასევე გამონახარშების სახით. მის მზა სააფთიაქო ნედლეულს სვამენ გაციების დროს ჩაის სახით; მთრიმლავი ნივთიერების შემცველობის გამო არასასიამოვნო გემო აქვს; ეს გემო უფრო იგრძნობა დაღვეის შემდეგ. არასასიამოვნო გემო აქვს მის არომატულ მზა სააფთიაქო ნედლეულსაც. მაყვალს საფერმენტაციოდაც ხმარობენ. გავრცელებულია ყველგან, მეტწილად კულტურაში; აღმოსავლეთში ჩვეულებრივ იზრდება. ჩვენში მის აბსოლუტურ შემცველად ითვლება *Rubus caucasicus*, რაც შეეხება ჟოლოს *Rubus idaeus*, ისიც ამ მიზნით გამოიყენება. გვარის წარმოშობის ისტორიაც იგივეა, მხოლოდ სახეობა *idaeus* წარმომდგარია მთა იდას სახელიდან, სადაც ეს მცენარე ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა და ასეც ერქვა ბერძნულად. რომაელმა ექიმმა პლინიუსმა ეს მცენარე შეიტანა სამკურნალო მცენარეთა სიაში. შემდეგ იგი გვხვდება ყველა სამკურნალო წიგნში დღემდე. მცენარე მოხსენიებული აქვს ფუშსა და ვალერიუს კორდუსს. ვალერიუს კორდუსმა ჟოლოს კულტურაში შეიტანა ბრძანა და ამის შემდეგ აშენებენ კიდევ კულტურაში. საქართველოში ჟოლო ველურად გვხვდება. მთის შუა და სუბალპურ სარტყელში, გაჩენილ ადგილებზე, ტყისპირებზე, ლოდნარებზე, ასევეა მაყვალიც.

მაყვალი ეკუთვნის ვარდისებრთა — *Rosaceae* ბოტანიკურ ოჯახს, წარმოადგენს ეკლიან ბუჩქს და მარადმწვანეა. წლიური ყლორტები შებუსხვილია, ყვავილენი — მრავალყვავილიანი. გვირგვინი დიდი ზომისაა. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან, ვიღრე შუამდე ტყეებში.

ქ. ზუგდიდში ეზოში მოშენებული ვნახეთ მაყვალი სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად, სამკურნალოდ იყენებენ მის ფოთლებს.

იმერეთში ღვიძლის დაავადების წინააღმდეგ ხმარობენ მაყვლის ძირების კოჟრებს, რომელსაც შავ ღვინოში ხარშავენ.

სოფ. მახინჯაურში ბარდა მაყვლის ერთი ტოტის და სხვა მცენარეების ნახარშს ასმევენ მუცლის ტკივილის დროს.

მაყვლის ფოთოლს და ძირებს აჭარაში ფართოდ იყენებენ მუცლის ტკივილისა და საერთოდ კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს; მაყვლის ფოთოლს ჩაის სახით სვამენ. ბენზეში მაყვლის ძირებისა და ატმის ქერქის ნახარშს ასმევენ სისხლდენის შესაჩერებლად. რაჭაში მის

კულტურას სამკურნალო მიზნებისათვის არ მისდევენ, უწერაში მას ასკილსა და ბუერასთან ერთად ჯირკვლების დაავადებათა წინააღმდეგ ხმარობენ.

მაყვალს არ აშენებენ ლეჩხუმში, მაგრამ მისი ფესვების ნახარშით მკურნალობენ ვენერულ დაავადებებს.

ბაკურიანში ჟოლო *Rubus ideaeus* L. ეზოში ჰქონდათ მოშენებული, მის მიწისზედა ნაწილს ნაყოფიანად ხარშავენ და ჩაის სახით ასმევენ ავადმყოფს გულმკერდის შებოჭილობისა და გაციების დროს, ოფლის მომგვრელად.

გორში მაყვლის ძირებს და ზედა ნაწილებს ნაყავენ, ხარშავენ ქერის ფქვილთან ერთად და ამ სახით იყენებენ კანის კიბოს წინააღმდეგ.

მაყვლის ფოთოლს ჩირქიან ჭრილობებს ადებენ (სოფ. ბირკიანში, ახმეტის რაიონი).

მაყვლის ძირების დანაყილი მასით კაჭრეთის ადგილობრივი მცხოვრებლები კოლიტს მკურნალობენ.

167. ღოღო (ღვალო) — *Rumex crispus* L.

ეს მცენარე ეკუთვნის მათიტელასებრთა (*Polygonaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, მრავალწლოვანი მცენარეა, 30—80 სმ სიმაღლის, სწორმდგომი ღეროთი ხასიათდება, დაფარულია, მწვანე ან ჭუჭყიანი-ყავისფერ-მოწითალო, მარტივი ან ძირიდან დატოტვილი ზევით ამართული ტოტებით; ფესვთანი ფოთლები ლანცეტა მოხაზულობისაა მოგრძო-ლანცეტამდე, 10 სმ სიგრძისა და 1,5—3 სმ სიგანის. ყვავილენი მტევნის მსგავსია, შეკუმშული, იშვიათად ვიწრო საგველასებრი. ნაყოფი ორივე მხრიდან წაწვეტილია. საქართველოში ყველგან არის გავრცელებული, განსაკუთრებით იზრდება მდელოებზე, თხრილების გასწვრივ, ტენიან მინდვრებზე, გზების, ღობეების გასწვრივ და სხვა. ეს მცენარე შეიცავს ანტრაქინონის რიგის გლუკოზიდებს. მეცნიერულ ვეტერინარიაში მას ჯერ კიდევ არ იყენებენ. ხმარობენ მხოლოდ ხალხურ ვეტერინარიაში, როგორც შემკვრელ საშუალებას კუჭნაწლავის აშლილობის დროს, აგრეთვე ხველების წინააღმდეგ და ამოსახველებლად, მკურნალობენ დერმატიტს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ღოღოს ფესვებს ადებენ სიმსივნეების დასაცხრობლად, ხოლო ფესვების ნახარშს ასმევენ ფალარათობის დროს როგორც შემკვრელს. მსგავსია თავისი მოქმედებით ღოღოს სახეობა *Rumex Acetosa* L., რომელსაც ჩვენში მჟაუნას უწოდებენ. მჟაუნა (*Herba Rumicis Acetosae*) შეიცავს: კალიუმბიოქსალიტს, თავისუფალ ოქსალმჟაუნას, მცირეოდენ შაქარს, ცხიმებს და აზოტის შემცველ კავშირებს.

სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთი) პირველად მოუშენებიათ. შემდეგ უკვე საკმაოდ მომრავლებულა და ახლა მის გავრცელებას ხელს არ

უშლიან. უწოდებენ უღვალოს და ღვიძლის სიყვითლის, ე. ი. ნაღვლის პიგმენტის სისხლში გადასვლის დროს ასმევენ მისი ძირების ნახარსს.

ლანჩხუთის რაიონში ღოლოს აშენებენ ბოსტანში, ნაგვიან ადგილზე. მის ყვავილს და თესლებს იყენებენ ნაღვლის პიგმენტით გამოწვეული სიყვითლის დროს და კუჭის დაავადებათა პრაქტიკაში.

ცაგერში ღოლოს აშენებენ ეზოში და მის ნახარსს ღვინით ასმევენ სისხლში თეთრი ბურთულაკების მომატების დროს ან მხალად აჭმევენ.

მესხეთ-ჯავახეთში ღოლოთი მკურნალობენ ჭრილობას, კუჭის დაავადების დროსაც იყენებენ და სხვა.

სოფ. აწყვიტაში (ასალციხის რაიონი) ღოლოს ფოთლებს ხარშავენ, მოაყრიან შაქარს და შემოაფენენ ყელზე, ყელის დაავადების დროს.

ღოლოს შემდეგ სახეობებს: *Rumex crispus* L. *Rumex patientia*, *Rumex tuberosus* ეზოში აშენებენ სოფ. გორელოვკაში (ჯავახეთი).

ბაკურიანში ღოლოს, როგორც ნედლი, ასევე გამშრალი სახით ხარშავენ და მის ნახარსს ხმარობენ სასმელად ფერდების გაბერილობის, ჭიბთან შესიების და კუჭის დაავადებათა პრაქტიკაში. ასევე მისი ნახარსის საფენებს იყენებენ შესიებული ადგილების დასაცხრობად და მტკივანი ადგილების დასაამებლად.

სოფ. ერედვში (ცხინვალის რაიონი) მკურნალობენ ცოფს. ღოლოს გურჯაანში იყენებენ ჭიის გამომდენადაც.

ღოლოს ეზოებში აშენებენ სამკურნალო მიზნებისათვის.

როლოვი აღნიშნავს, რომ ხალხში ამ მცენარის ფესვების წყლიან ნახარსს ხმარობენ ტუბერკულოზის სამკურნალოდ, ხოლო მის მუქ ნაყენს არაყთან სვამენ ნამთვრალევეზე. მისი ფესვების დანაყილი მასისაგან ნაღებთან ერთად ამზადებენ მალამოს გამონაყარისა და ქავანას წინააღმდეგ. დანაყილ ფესვებს იღებენ გველის ნაკბენისაგან გამოწვეულ სიმსივნეთა დასაცხრობად, სიმსივნეებზე იღებენ ასევე მისი ფესვების ნახარსსაც, თესლების ნახარსს კი ასმევენ კუჭის აშლილობის დროს როგორც შემკვრელ საშუალებას.

168. ძმერხლი — *Ruscus hypophyllum* L.

თავვისარა — *Ruscus ponticus* Woronow.

ძმერხლი ეკუთვნის შროშანასებრთა (*Liliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. დაბალტანიანი ბალახ-ბუჩქია, რომლის ღეროები სწორმდგომია და მარტივი. მისი ფილოკლადოდიუმები დიდი ზომისაა, მოგრძო ან მოგრძო ლანცეტა, თავწაწვეტილი, ბოლოსკენ თანდათან შევიწროებული, მწვანე, ტყავისებრი და პრიალა. ქვედა ფილოკლადოდიუმები მოპირისპირეა, ზედა—მორიგეობითი, ნაყოფი წითელი ფერისაა, მსხვილი და ორთესლიანი. გავრცელებულია ქართლში, იმერეთში, აფხა-

ზეთსა და აჭარაში, განსაკუთრებით ტყეებსა და ბუჩქნარებში. ხალხი მას უფრო ხშირად ძროხების საკვებად იყენებს.

თაგვისარაც დაბალტანიანი ბალახ-ბუჩქია, რომლის ღეროები 30—50 სმ სიმაღლისაა, ღეროებზე ტოტები შორიგეობითაა განლაგებული, მისი ფილოკლადოიდუმები თავში წაწვეტებულია და ეკლით ბოლოვდება. ნაყოფი წითელია და სფერული. გავრცელებულია იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და ქართლში. იხმარება ცხოველების საკვებად. ხალხი მას დიდი კვებით ღირებულების მცენარედ არ თვლის, მაგრამ ლიტერატურულ წყაროებში არის ლარინის მითითება, რომ ყირიმში სპეციალურად აგროვებენ ამ მცენარეს ზამთარში მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და თხების გამოსაკვებად.

ქართულ ხალხურ მედიცინაში თაგვისარას იყენებენ ბუასილის წინააღმდეგ და როგორც სააბორტო საშუალებას. მისი ფესვები (*Rhizoma Radix Rusci*) გემოთი მოტკბო ან ზოგჯერ მწვავეა და შეიცავს საპონინს, 3,6% საქაროზას, ეთერზეთებს და სხვა. ძმერხლიც თაგვისარას მსგავსად იხმარება სააბორტო საშუალებად, აგრეთვე მშობიარობის დროს ჭინთეების გასაძლიერებლად, გაძლიერებული მენსტრუაციის დროს და საზოგადოდ საშვილოსნოს დაავადებებისას.

ზესტაფონში ძმერხლით მკურნალობენ ბუასილს. მცენარე მოაქვთ ტყიდან.

წულუკიძის რაიონში, სოფ. მათხოჯში ძმერხლს ეზოში აშენებენ და მკურნალობენ წყალმანქსა და მასტიტს.

169. ისარა — *Sagittaria Sagittifolia* L.

ისარა ეკუთვნის წყლის მრავალძარღვასებრთა — *Alismataceae* ბოტანიკურ ოჯახს, 20—50 სმ სიმაღლისაა, წყლის მცენარეა, მეტად დეკორატიულია, მისი სამტვერეები იისფერია ან მუქი ძოწისფერი, ფოთოლი ფირფიტაზე გრძელია, იშვიათად მოკლე. ახასიათებს 6 ყვითელი ნაყოფი, იზრდება ნესტიან ადგილებზე, ჩრდილოეთით ის უფრო ქვედა ზოლის ტბებში გვხვდება, ხოლო სამხრეთით მთის შუა სართყლის ტბებსა ან გუბებში და წყალსაცავების ნაპირებზე ყველგან.

როლოვის მონაცემებით, ამ მცენარის ფესურასა და ფოთლებს აქვთ შემკვრელი და ჭრილობების შემხორცებელი თვისება, მის ახალ ფოთლებს იღებენ წითელი ქარით დაზიანებულ ადგილებში, ხოლო მისი ფესურა კი ცოფის წინააღმდეგ იხმარება.

ამ მცენარეს აგროვებენ და იყენებენ სამკურნალოდ წითელწყაროში.

ძეწნა — *Salix babylonica* L.

170. ტირიფები — ტირიფი — *Salix alba* L.

მღგნალი — *Salix caprea* L.

ტირიფის — *Salix* ვვარის სახელწოდება რომაულიდანაა წარმომდგარი, თუმცა ბერძნულსაც ედრება და ნიშნავს მინდორში გასა-

რეკს (ალბათ, წიკეპლა იგულისხმება), მინდვრის საკვებს, ბჭკალს. სამკურნალო საქმეში გამოყენებულია ტირიფების სახეობათა უმრავლესობა. ასე მაგალითად, ჩვენში ხმარობენ *Salix*-ს. ტირიფის ქერქი ძალზე ადრინდელი (უძველესი) სამკურნალო საშუალებაა. თეოფრასტესა და დიოსკურიდესათვის ტირიფების ყველა სახეობის ქერქი სამკურნალო საშუალება იყო. განსაკუთრებით მას ხმარობდნენ როგორც ანტიმალარიულ, სიცხის დამწვევ და ოფლის მომგვრელ საშუალებას, აგრეთვე ცხელების დროს. სხვადასხვა სახეობის ტირიფის ქერქი სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას ან გლიკოზიდ სალიცინს. სალიცინი ორგანიზმში იშლება სალიგენინად და შაქრად. სალიგენინი იყანგება სალიცილმჟავად. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა. მწვანე ტირიფის ქერქს ხმარობენ რევმატულ ანთებათა დროს, სიცხის დამწვევად ჩაის სახით, გამაგრებლად და სხვა. ტირიფი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ოსტინდოეთსა და ჰიმალაიში. ჩვენში *S. Caprea* მთელ რესპუბლიკაში გვხვდება ტყის სარტყელში, ტყის პირებზე, რუების გასწვრივ, ვიდრე სუბალპურ სარტყლამდე. *S. alba* კი მთის შუა სარტყლამდე, მდინარეთა სანაპიროზე—აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში, კახეთში, ქიზიყში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში. ეს ხემცენარეები გაერთიანებულია ტირიფისებრთა ოჯახში (*Salicaceae*), ტირიფის გვარი ბუნებრივად ყველა ზონაშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით ჭარბ ნესტიან ადგილებში და ზოგჯერ მთლიან ცენოზებს ქმნის. ორბინიანი მცენარეა, მეტწილად ხარობს ხეების ან ბუჩქების სახით და ახასიათებს მორიგეობით ან მოპირდაპირედ განწყობილი ფოთლები. ივითარებს მჭადა ყვავილედს, ნაყოფი ერთბუდიანი კოლოფია, რომელიც დამწიფებისას ორი საგდულით იხსნება.

ტირიფი საყურადღებოა როგორც სასოფლო-სამეურნეო ცხოველების საკვები. იგი ალკალოიდებს არ შეიცავს, მასში პროტეინის რაოდენობა და ცილა საკმაოა. პროტეინის პროცენტული შემცველობა ფოთლებში 20—29-მდე მერყეობს. ტირიფში არსებული პროტეინი 80—90% ცილისაგან შედგება. ფოთლებში 7—25,6% უჯრედანაა, რომლის რაოდენობის მომატება ვეგეტაციის ბოლოს უფრო შეიმჩნევა. ცხიმის პროცენტული შემცველობა 4—5%-ით განისაზღვრება. სახამებლის, შაქრებისა და ჰემიციელულოზის საერთო ჯამი ფოთლებში შეადგენს 27-დან 70%-მდე, უმრავლეს შემთხვევაში ფოთლებში 5,5—7% ნაცარია, აქედან უფრო მეტი რაოდენობა კალიუმსა და კალციუმზე მოდის, ზოგჯერ ჭარბობს მაგნიუმი, სალიცინს შეიცავს ტირიფის როგორც ფოთლები, ისე ქერქი და მდებრობითი ყვავილედები, მაგალითად, ტირიფის ზოგიერთი სახეობის ქერქში 0,5-დან 5,2%-მდე სალიცინია.

ტირიფი გამოიყენება მედიცინაში, ვეტერინარიაში, სათრიმლავ საქმეში, იძლევა შავ საღებავს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ტირიფის ქერქს *Cortex Salicis* ხმარობენ როგორც შემკვრელ და ციების საწინააღმდეგო საშუალებას.

წულუკიძის რაიონში, სოფ. მათხოჯში ძეწნას საწერელის (პან-რაციუმში) დროს აღებენ, მცენარის ყლორტებსა და ფოთლებსაც იყენებენ.

აჭარაში ტირიფის ქერქის ნახარშს ასმევენ მალარიის დროს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მდგნალის ქერქიც ცნობილია როგორც შემკვრელი.

რაჭაში, ონის რაიონში, ზემო უწერაში ეზოს წინ ჩამავალი მდინარის ნაპირზე იყო მოშენებული. მისი ფოთლების ნახარშს აძლევენ ელენთის გაღიდების დროს.

როლოვის მონაცემებით, ტირიფის ფოთლების ნახარშს ასმევენ მალარიის დროს, აგრეთვე ქერქს იყენებენ შემკვრელად.

171. დაჯირა, სალაბი — *Salvia verticillata* L., *Salvia Gerardzhii* Troitzky.

სალაბი — *Salvia* გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვა *Salvare*-დან, რაც ჯანმრთელობას ნიშნავს. თითქმის იგივეს — სამკურნალოს — სააფთიაქოს აღნიშნავს მისი სახეობის გამომხატველი *officinalis*. სამკურნალო საქმეში გამოყენებულია სალაბის გვარის ყველა წარმომადგენელი, მათ შორის ჩვენში გავრცელებული *Salvia verticillata*, ამიტომ ჩვენ ყველა მონაცემს ამ სახეობის მიხედვით ვიძლევიტ. სალაბთა სახეობები უძველესი დროიდან არის ცნობილი და დღესაც საყოველთაოდ აღიარებულ საშუალებას წარმოადგენს. ისინი შეიცავენ: ეთერზეთებს, მთირიმლავ ნივთიერებას და ფისს. მზა სააფთიაქო ნედლეული მწვავე არომატულია და აქვს მწკლარტე გემო. სალაბთა ფოთლები შეიცავს (მათი წყლის ორთქლით გამოხდის შემდეგ მიიღება) აგრეთვე სხვა სახის ეთერზეთს, რომელიც *Oleum Salviae*-ს სახელწოდებითაა ცნობილი და შედგება ცინეოლისა და თუიონისაგან.

კარლოს დიდმა თავის „კაპიტალურეში“ მკაცრად დასვა საკითხი სალაბის მომრავლება-მოშენების თაობაზე. ერთი აღმოსავლური ანდაზის მიხედვით, „სალაბის ყველა სახეობის წინაშე ყველა ადამიანი მუხლმოდრეკით და ქუდმოდხილი უნდა იდგეს“. ეს ანდაზა, ვფიქრობთ, ბევრის მთქმელია.

სალაბს უმრავლესობა იყენებს ღამის ოფლიანობის წინააღმდეგ. ხშირად მის სააფთიაქო ნედლეულს ხმარობენ რძის სეკრეციის გასაძლიერებლად. მის გამაგრილებელ წყალს ივლებენ პირსა და ყელში. მის მზაობრებაარატებად ცნობილია სალაბის ჩაი, გამონაცემი ნაყენი და სალაბის ზეთი, რომლებიც სალაბის ფოთლებიდან მზადდება.

სალაბი გავრცელებულია თბილ ადგილებში — სამხრეთ ევროპაში, ესპანეთში, ბალკანეთის ქვეყნებში, მცირე აზიაში, ჩრდილოეთ სიბერიაში, სამხრეთ საფრანგეთსა და იტალიაში, კულტურაში ის ყველგანაა. ჩვენში გავრცელებული სახეობა დაჯირას სახელწოდებითაა ცნობილი და გვხვდება მთელ რესპუბლიკაში, ველებზე, მშრალ ფერდობებზე, მთის ქვედა სარტყელიდან შუა სარტყლამდე. ყურადღების ღირსია ჩვენში გავრცელებული ენდემული სახეობა — *Salvia Gardzhii Troitzky*. ეს მცენარე ბალახია, რომელიც ეკუთვნის ტუჩოსანთა *Lamiaceae* — *Labiatae* ბოტანიკურ ოჯახს. მისი ქვედა ფოთლები კვერცხნაირია, ხოლო ზედა — განიერი სამკუთხა. ჯამი ნაყოფზე რჩება და ქვევითაა დაშვებული, ყვავილენი მრავალყვავილოვანია. ვრცელდება მთის ზედა სარტყლამდე, ძირითადად ველებში და მშრალ ფერდობებზე.

ამ მცენარეს მრავალძარღვასთან ერთად გველის და მორიელის ნაკბენის სამკურნალოდ იყენებდნენ სოფ. ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი).

როლოვის მიხედვით, ამ მცენარის ლორწოვანი თესვების ნახარშს ადებენ როგორც საფენს თვალის დაავადების დროს, ხოლო მცენარის ნახარშს სვამენ შარდის შეუკავებლობის დროს. მსგავსი მოქმედებით ხასიათდება *Salvia viridis* L.

172. დიდგულა. ანწლი — *Sambucus nigra* L., *Sambucus ebulus* L.

გვარის სახელი *Sambucus* რომაული წარმოშობისაა და ქოლგიხებურად მოზარდ ბუჩქს ნიშნავს, სახეობის სახელი *nigra* კი — შავს. ეს მცენარე მკურნალობის საქმეში უხსოვარი დროიდან გამოიყენება. დღესაც სამკურნალო მცენარეთა შორის სათანადო ადგილი უჭირავს. ვარგისია მისი წვენი, ყვავილები და ნაყოფები. მისი ნაყოფის წვენი კარგი საღებავია. ჰიპოკრატე, თეოფრასტე, დიოსკურიდე და პლინიუსი იყენებდნენ დიდგულას ყვავილებსა და ნაყოფებს. დიდგულა შეიცავს გლიკოზიდს, ეთერზეთს, ფისს, ლორწოს, მთრიმლაგ და მწარე ნივთიერებას, მის ნედლ მასას აქვს თავისებური უსიამოვნო სუნი, რომელიც გამშრალ მასაში უფრო სასიამოვნო ან შერბილებულია. გემოთი არის მოტკბო, არომატული და ლორწოვანი. გამოყენებულია მცენარის ყველა ნაწილი — ნაყოფი, ქერქი, ახალგაზრდა ტოტები, ყლორტები, ყვავილები და ფოთლები. დიდგულას ყვავილები ოფლის გამომდენი საშუალებაა და გაცივების დროს ასმევენ. ლორწოგამოცლილი მისი ყვავილები გამოიყენება ყელის დაავადებათა დროს, აგრეთვე კუჭის ამშლელად. დიდგულას ყვავილები ვეტერინარიაშიც იხმარება. ჩვენში ფართოდ ცნობილია მისი მეორე სახეობა ანწლი — *Sambucus ebulus* L. ანწლსა და დიდგულას ხმარობენ აგრეთვე მიკროსკოპიულ ტუქნიკაში, პრეპარატთა ანათლების დასამზადებლად.

ანწლი და დიდგულა გავრცელებულია მთელს ევროპაში, სამხრეთ

შვეციაში, მცირე აზიაში, კავკასიაში, აღმოსავლეთ ციმბირში. საქართველოში იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყის პირებზე, ტყეებში, აფხაზეთში, სვანეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

ანწლი ეკუთვნის ცხრატყავასებრთა (*Caprifoliaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ზალახოვანი მცენარეა, არასასიამოვნო სუნით, ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, ყვავილები შეკრებილია კენწრულ ფარისებრ-საგველასებრ ყვავილედბად. ყვავილს სამი მთავარი ტოტი აქვს, ნაყოფი შაეია, 3-კურკიანი.

ანწლის ფოთლებში ახევენ სიცხიან ავადმყოფს სიცხის დაწვეის მიზნით, აგრეთვე ოფლის მოსაგვრელადაც. მისი ნაყოფიდან ხდიან არაყს და ასმევენ ქარების ან რევემატული ანთების დროს, აგრეთვე ციების წინააღმდეგ. მისი ფოთლები *Folia ebuli* შეიცავს ემულსინს, მწარეებს, საქაროზას, ეთერზეთს და ერთ ციანოგენურ გლუკოზიდს, ფესვები — *Radix Ebuli* შეიცავს ეთერზეთითა კვალს, მთრიმლაე ნივთიერებას, ფისს, საპონინს, მწარეს; საქაროზას, ლურჯმჟავას, რომლებიც იშლებიან ენზიმად და სხვ. ნაცრის რაოდენობა 6% არ აღემატება მის მწიფე ნაყოფში არის ვალერიანის მჟავა, აგრეთვე ვაშლის მჟავა, ღვინის მჟავა, მთრიმლაე ნივთიერება, მწარე, შაქარი და ანტოციანი, ხოლო მის თესლში ცხიმზეთები.

სოფ. მათხოჯში ეზოში სპეციალურად მოუშენებიათ ანწლი და მისი ნაყოფისაგან გამოხდილ არაყს აძლევენ ქარების (რევემატიზმის) წინააღმდეგ. სამკურნალოდ ვარგისია ანწლის ფოთლებიც. ანწლის მოხარშულ ფოთლებს ცხლად შემოაკრავენ წელზე ავადმყოფს წელის ტკივილის დროს.

ლაგოდენში ანწლის ფოთლების ნახარში აბანაებენ რევემატიზმიან ავადმყოფებს, ხოლო ანწლის ფესვის რძისებურ წვენს ყურის ანთების დროს. ყურში აწვეთებენ ავადმყოფს.

ანწლს რევემატიზმის სამკურნალოდ იყენებენ ყვარელსა და თელავში.

როლოვის მიხედვით ჩენი ხალსი მას იცნობს როგორც პირლებინებისა და კუჭის ამშლელ საშუალებას, ხოლო მისი ფესვის ნაყენს ცოფის წინააღმდეგ ხმარობენ. მისი ნაყოფის წვენს პირდაპირ სვამენ ციების დროს.

178. ქრისტესბეჭედა, საწერელი — *Sanicula europaea* L.

ეს მცენარე ეკუთვნის ქოლგოსანთა *Apiaceae* (*Umbelliferae*) ბოტანიკურ ოჯახს; იზრდება საქართველოს მთის შუა და ზედა სარტყლის ნესტიან ტყეებში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ის ცნობილია, როგორც უებარი საშუალება ფილტვებიდან სისხლდენის დროს. საწერელის სამკურნალოდ ადებენ მის მალამოებს, აყრიან ჭრილობებს. ყვავილობის პერიოდში მყოფი მთლიანი მცენარე შეიცავს

საპონინს, მწარეებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისს, მცირეოდენ თერზეტებს და სხვ.

ლაგოდენში ერთ-ერთ ეზოში შემორჩენილია მცენარე სანკიულა, რომლითაც შეშინებულ და ავზნებულ ავადმყოფებს მკურნალობდნენ.

როლოვის მიხედვით, ამ მცენარეს იყენებენ ფილტვებიდან სისხლდენის დროს შესაჩერებლად, მისი ფოთლები შედის შევიცარული ჩაის შემადგენლობაშიც.

174. საპონა — *Saponaria officinalis* L.

საპონას — *Saponaria* გარის სახელწოდება ლათინურიდანაა წარმომდგომი, *Sapo* — საპონი, ხოლო სახეობა *officinalis* — სამკურნალოს. საპონას სამკურნალო მნიშვნელობაზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონდათ ჰიპოკრატეს, თეოფრასტეს, დიოსკურიდეს, გალენსა და პლინიუსს; ეს მცენარე მათთვის ცნობილი იყო *Struthion*-ის სახელწოდებით. სტრუთიონს ახასიათებს საპონინისებური (მცენარე *Gypsophila*) მოქმედება. საპონას პრეპარატებს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამოუჩნდა მრავალი ბუნებრივი და ხელოვნური შემცველი. საპონას ფესვები შეიცავს საპონინს, საპორუბრინს, რომელსაც თან ახლავს საპორუბრინის მჟავა. ეს ნივთიერება სუსტად შხამიანია, მაგრამ დიდი დოზით საწამლაია, მზა სააფთიაქო ნედლეულს აქვს სუსტი სუნი. პირველად ტკბილი და შემდეგ მწარე, მკაწრავი გემო, რომელიც პირში დიდხანს რჩება. მისი ფესვის სააფთიაქო ნედლეული, რომელიც ლორწოგამოცლილია, იხმარება სასუნთქი გზების დაავადებათა სამკურნალოდ, მის ნედლ მასას იყენებენ შარდმდენად და ოფლის გამომდენად. ამჟამად მას მეტწილად იღებენ ჩაის და გამონახარშის სახით. საპონინისგან ამზადებენ ტანის საბან საშუალებას, ლაქების ამომკლელ სითხეს, კუჭის ამშლელს და სხვ. გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, ინგლისში, სკანდინავიაში, მცირე აზიაში, ცენტრალურ აზიაში, იაპონიაში, ციმბირში, ჩრდილო ამერიკაში; საქართველოში ხარობს ყველგან ტყეებსა და ბუჩქებში, გზებთან, მთის ქვედა ან შუა მთის სარტყელში.

ეს მცენარე ეკუთვნის მიხაკისებრთა — *Caryophyllaceae* ბოტანიკურ ოჯახს. მრავალწლიანი ბალახია 30—90 სმ სიმაღლის ღეროთი, ზედა ნაწილი დატოტვილია; ღეროებზე 5—12 სმ სიგრძის დიდი ზომის ფოთლები სხედან, ფორმით მოგრძო ელიფსური ან ლანცეტა ელიფსური და ყუნწიანი. მოკლეყუნწიანი ყვავილები შეკრებილია ფარისმაგვარ-საგველასებრ ყვავილედში. ჯამი თითქმის ორტუჩაა: გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი და ჯამზე ორჯერ გრძელი. გავრცელებულია საქართველოს მთელ რესპუბლიკაში ქვიშიან ადგილებში, ტყეებსა და ბუჩქნარებში, გზების მახლობლად.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მის ფესვებს *Radix Saponariae*

rubre იყენებენ ამოსახველებლად და სარსაპრილას მსგავსად სიფილისის დროს, ნივთიერებათა ცვლის მოშლის შემთხვევებში, ქრონიკული რევმატული ანთების დროს და კანის გამონაყარის წინააღმდეგ. ამ მცენარის ფესვის ქერქი შეიცავს საპონინს, რომელიც ქლოროფორმში, ეთერში და ღვინის სპირტში უხსნადია, ხოლო წყალში იხსნება იოდისებური მოყვითალო ფერით, ნაცრის შემცველობა მასში 4—6% არ აღემატება. მისი მშრალი ფესვებისაგან ამზადებენ ნაყენებსა და გამონახარშებს. ფოთლებში არის გლუკოზიდი საპონარინი $C_{21}H_{24}O_{12}$, რომელიც იხლიჩება გლუკოზიდ-ვიტექსინად და იზომერულ-ყვითელ საპონარეტინად.

ეს მცენარე ვეტერინარიაში ცნობილია როგორც ნერვული სისტემის აღმგზნები, კუჭის ამშლელი.

რაჭაში ამ მცენარის კულტურას სამკურნალო მიზნებისათვის არ მისდევენ, სამაგიეროდ ეზოებში მის გამრავლებას ხელს არ უშლიან. საპონინით ბანენ და ასუფთავებენ წყლულებს.

175. ველური ქონდარი — *Satureja Laxiflora* C. Koch.

კულტურული ქონდარი — *Satureja hortensis* L. *Satureja spicigera* (C. Koch.) Boiss.

ქონდრის *Satureja* გვარის სახელწოდება წარმომდგარია რომაულიდან *Saturare* ნიშნავს გაჯერებულს (დანაყრებულს), ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *hortensis* — ბაღისას. რომში ეს მცენარე დღესაც კულტურაშია. ქონდარი სამკურნალო მცენარედ ითვლება უძველესი დროიდან და მოხსენიებულია სამკურნალო მცენარეთა ყველა წიგნში. იგი აღწერილია კარლოს დიდის „კაპიტალურში“, ასევე ყველა ბოტანიკურ წიგნში, რომელიც კი ახალი წელთაღრიცხვიდან არსებობს. 1582 წელს მისგან მიიღეს ეთერზეთი, ქონდარი შეიცავს ეთერზეთს, მთრიმლავე ნივთიერებას, ფისს და მარილს. მზა სააფთიაქო ნედლეული ძლიერ მწვავეა, ცხარეა და მკაწრავი. ეთერზეთის წყლის ორთქლით გამოხდით მიიღება კარეაკროლი და ციმოლი. მათ აქვთ არომატული სუნი და მწვავე გემო. მისი ეთერზეთი მეცნიერულ მედიცინაში ცნობილია როგორც კუჭის მუშაობის მომწესრიგებელი და მადის მომგვრელი საშუალება, მაგრამ დღეისათვის მას უკვე იმდენი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც წინათ. მას საერთოდ ხმარობენ საკულინარო საქმეში, ხორცისა და განსაკუთრებით ძეხვეულების წარმოებაში, ჩვენში კი — კუპატის მომზადების დროს. მისი ეთერზეთი ახლა ძირითადად ამ მიმართულებით გამოიყენება როგორც სანელებელი. გავრცელებულია მეტწილად შავი ზღვისპირა ქვეყნებში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სპარსეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში. კავკასიაში ეს მცენარე მოჰყავთ მაღალ მთებშიც, 1600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ჩვენში უხეად გვხვდება *Satureja hortensis*, ისე *Satureja Laxiflora* C. Koch. ასევე ხშირია *Satureja*

spicigera (C. Koch) Boiss. ქონდარი ეკუთვნის ტუჩოსანთა (Lamiaceae) ბოტანიკურ ოჯახს და საქართველოს მთების მშრალ კალთებზე იზრდება. ქართულ ხალხურ მედიცინაში ქონდრის სპირტიან ნაყენს იღებენ სქესობრივი უძლურების დროს, რევმატული ანთების წინააღმდეგ, ჭიის დამყრელად, ნერვული სისტემის გასამაგრებლად, საჭმლის მომწელებელი სისტემის გასამაგრებლად და სხვ. ქონდრის მთლიანი ბალახი *Herba saturejae* შეიცავს 0,4% ეთერზეთებს, 12% ნაცარს და სხვ.

სოფ. ტოლოში ქონდრის ნახარშს სვამენ მუცლის ტკივილის დროს.

კასპის რაიონში (სოფელი ქვემო ჭალა) ბუასილის დროს ურჩვენ ქონდრის ნახარშზე დაჯდომას.

სოფ. მატანში (ახმეტის რაიონი) ქონდარს შავბალახსა და ბროწეულის ქერქთან ერთად იყენებენ დიზენტერიის წინააღმდეგ.

თელავში ქონდარი ეზოში ვნახეთ მოშენებული სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად.

176. სცირპუსი — *Scirpus Silvaticus* L.

ეს მცენარე ეკუთვნის ისლისებრთა *Cyperaceae* ბოტანიკურ ოჯახს. ის 40—120 სმ სიმაღლის სამწახნაგდერიოიანი მცენარეა, რომელსაც 20 მმ-მდე სიგანის ბრტყელი ფოთლები ახასიათებს, მწვანე ფერისაა და მიწისქვეშა ყლორტებს ივითარებს. გავრცელებულია საქართველოს რესპუბლიკაში ყველგან, განსაკუთრებით ტენიან ტყეებში, მთასა და ბარში, მაღალბალახოვან მდელოებზე, ვიდრე ტყის ზედა საზღვრამდე, ზღვის დონიდან 1000—2100 მ სიმაღლეზე. სალაზკინის მიხედვით, მის ყლორტებს ირმებო. სიამოვნებით ჭამენ, ხოლო რამოტნოვის მონაცემებით, კი ყველა პირუტყვი ჭამს, გარდა ღორისა. განსაკუთრებით კი მსხვილი რქოსანი საქონელი. შეიძლება გამოვიყენოთ სასილოსედ. ტროიციკის მონაცემების მიხედვით, მისი შემადგენლობა ათავთავებამდე შეიცავს: ნაცარს — 10,14%, აზოტს — 2,87%, SiO_2 — 3,38%, P_2O_5 0,78%, Cl — 0,42%, CaO — 1,00%, MgO — 1,19%, K_2O —3,11%, Na_2O —0,65%.

სცირპუსი საზოგადოდ სამკურნალოდ არ არის გამოყენებული. მაგრამ სოფ. ნიგვზიანში (ლანჩხუთის რაიონი) მოშენებული ვნახეთ 5 კვ მ ფართობზე და ეძახიან ისრას, იყენებენ ბუასილის წინააღმდეგ.

177. შაეწამალა — *Scrophularia nodosa* L.

ეს ბალახოვანი მცენარე შაეწამალასებრთა — *Scrophulariaceae* ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. ის 50—100 სმ სიმაღლისაა, ფოთლები საშუალოდ 10 სმ სიგრძისაა, ღეროს ჩათვლით შიშველია. მისი ფესვები გამსხვილებულია. გვხვდება მთის შუა სარტყლამდე ტყეებში, ტყისპირებზე, ბუჩქნარებში და მდელოებზე საქართველოს ყველა რაიონში.

სოფ. ლიხში, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, შავ-წამალათი მკურნალობდნენ ციმბირის წყლულს.

როლოვის მიხედვით, ამ მცენარეს აქვს ძლიერი პირღებინების და კუჭის ამშლელი თვისება, ხოლო დიდი დოზით იწვევს სასიკვდილო კუჭის აშლას. აფხაზეთში ადგილობრივი მცხოვრებლები ამ მცენარეს იღებენ შინაგანად რევმატიზმის, ჭინჭრის ციების და ბუასილის შემთხვევებშიც, ხოლო სხვა მცენარეებთან ერთად შერეულს კუჭის ამშლელად. ხალხი მის ფოთლებს იღებს შესივებულ ადგილებზე, მცენარეს ხარშავენ ფესვებიანად. სახალხო მკურნალები ასმევენ ცოფიანებს. მცენარე შხამიანია.

178. კაციყურა, კლდის დუმა — *Sedum Caucasicum* (Grossh.) Boiss.

ეს მცენარე ეკუთვნის ტუჩოსანთა Lamiaceae (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც გვხვდება ტყის მთიან სარტყელში, თითქმის მთელ რესპუბლიკაში. ხალხურ მედიცინაში ცნობილია როგორც ჩირქოვანი სიმსივნეების და კარბუნკულების გამოსარწყავი საშუალება. კლდის დუმა შეიცავს 30,6% წებოსა და ლორწოს, ფისს, ცვილს 1—2,8%, არაკრისტალურ რედუცირებულ შაქარს, 12,4% რუტინს, გაურკვეველ ალკალოიდს, კალციუმმალატს და სხვ. სასლვარგარეთ კლდის დუმას, ისევე როგორც *Pungens* და *Emeticum*, ხმარობენ როგორც გარეგან საშუალებას — გარედან *Rubefaziens* ჩირქოვანი სიმსივნეების დროს იღებენ. კლდის დუმა სამკურნალო მიზნებისათვის ვარგისია მხოლოდ ნედლი სახით. გამშრალი მცენარე თავისი სიმწვავის უმეტეს ნაწილს კარგავს და ვერ არის ისეთი მოქმედი, როგორც ნედლი. ყველაზე უმჯობესია მისი შეგროვება ყვავილობის პერიოდში. ამავე მიზნებისათვის იყენებენ კლდის დუმის სხვა სახეობებსაც.

ზუგდიდში, სოფ. ჭაქვიჩჯაში, კინდლში კაციყურას ეზოებში აშენებენ და იყენებენ სამკურნალოდ. ზუგდიდში ვნახეთ აგრეთვე კლდესა და ყორეში მოშენებული.

კლდის დუმა გურიასა და ქვემო იმერეთში ხალხს შეტანილი აქვს კულტურაში და კარბუნკულებისა და ფურუნკულების გამოსარწყავად ხმარობენ. ფოთოლს, ზოგჯერ მთლიან ეპიდერმისს დორსალური მხრიდან ცეცხლის ალზე მოშუშავენ ანდა აცლიან კუტიკულას და იღებენ პირდაპირ ფურუნკულზე. მოშენებული აქვთ ეზოებში. *Sedum stoloniferum* Gmel — მსუქანა მოშენებული ვნახეთ სოფ. ნიგვზიანში ეზოში ტრიფოლიატების გაყოლებით, მცირე ნაკვეთებზე, იყენებენ პაპასკირის წინააღმდეგ, ეძახიან ძირწითელას.

რაჭაში სოფ. ქვემო უწერაში კლდის დუმა ეზოში მოუშენებიათ კლდესე და მრავალძარღვასა და ყვავისკუდასთან ერთად ურევენ ჭრილობის შესასორცებელი მალამოს მოსამზადებლად.

ზემო სვანეთში (უშგული) ჭრილობას მკურნალობენ კლდის დუშით. მცენარე ციხის კედლებზე ახლაც უამრავი რაოდენობით აქვთ.

სოფ. ტოლოში კლდის დუშით მკურნალობენ კანის კიბოს, რისთვისაც მცენარეს იღებენ კანზეც და მის წვეს სვამენ ტკივილების და მაყუჩებლად.

კასპში კლდის დუშით მკურნალობენ კარბუნკულებსა და ფურუნკულებს.

როლოვის მონაცემებით, კლდის დუშას ახალი ფოთლების ნახარშს ასევეენ შარდმდენად, ხოლო დიდი დოზით, როგორც პირღებინების საშუალებას. მისი წვენი იწვევს კანის წყლულს, რის გამოც მას კანის დაავადებათა და კოჟრების სამკურნალოდ იყენებენ. მისი ფესვის ნაყენს აძლევენ საყმაწვილოს დროს, იგი შედის მალამოთა შემადგენლობაში.

179 სიდერიტისი — *Sideritis comosa* (Rochel) Stank. - (*Sideritis montana* L.).

ეს მცენარე ეკუთვნის ტუჩოსანთა *Lamiaceae* (*Labiatae*) ბოტანიკურ ოჯახს, 15—40 სმ სიმაღლის ბალახია. მოგრძო ლანცეტა ფოთლებით. ზედა ფოთლები მახვილწვეტიანია; გვირგვინი ყვითელია, ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, ხარობს მშრალ ფერდობებზე და ნაგვიან ადგილებში. ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

ზნაურის რაიონში (სოფ. სუნისი) კუჭის აშლილობის და პირღებინების დროს ასევეენ ავადმყოფს ამ მცენარის წვეს. მცენარეს ახლომასლო აგროვებენ.

180. სასტვენა, ტყის ქოთანა — *Silene multifida* (Ad.) Rohrb.

ეს მცენარე მიხაკისებრთა *Cariophyllaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, სიმაღლით 50—100 სმ ბალახია, მისი ღერო სწორია და მკვრივი, გვირგვინი საკმაოდ აღემატება ჯამს, ფოთლები კვერცხნაირი და 8—10 სმ სიგრძისაა; საქართველოში ეს მცენარე გვხვდება იშვიათად, ქვედა სარტყლიდან, ვიდრე სუბალპურ სარტყლამდე, მეტწილად მდელოებზე მთელს რესპუბლიკაში.

როლოვს ეს სახეობა მითითებული არა აქვს როგორც სამკურნალო, სხვა სახეობებზე კი ამბობს, რომ სასტვენას ფესვები შეიცავს ალკალოიდებს და იყენებენ იმავე მიზნით, როგორც საპონას — *Saponaria officinalis* L. შევიცარიაში ხალხი მას ხმარობს როგორც გარეგან საშუალებას წითელი ქარის წინააღმდეგ. საერთოდ მის ფოთლებს *Herba Viscaginis*-ის სახელწოდებით იყენებენ ცოფის წინააღმდეგ, შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ჩვენი მონაცემები ასეთია: ბათუმში სასტვენას ეძახიან ჭყიპანტას, ეზოში აშენებენ და იყენებენ შხამით დაგესლილის წამლად.

181. მდოგვი — *Sinapis arvensis* L.

მდოგვი ეკუთვნის ჯვაროსანთა — *Brassicaceae*—*Cruciferae* ბო-

ტანიკურ ოჯახს; ბალახია, ივითარებს მრავალრიცხოვან თესლებს, თითოეულ ბუდეში ზოგჯერ 8—17-მდე თესლია, ნაყოფის ნისკარტი თითქმის ცილინდრულია და თესლებს არ შეიცავს, ნაყოფი სწორია, შიშველი ან ზოგჯერ გაბნეული მკვრივბეწვიანი, სიგრძით 18—33 სმ-ია; გვხვდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად როგორც ნათესების სარეველა, ასევე გზისპირებსა და მშრალ ფერდობებზე — სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, თრიალეთში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, გარდაბანში, მესხეთში.

სოფელ გორელოვკაში (ჯავახეთი) ეზოში ვნახელ სპეციალურად სამკურნალოდ მოშენებული.

როლოვის მიხედვით, ამ მცენარის თესლები ჩვეულებრივი საკვებია. თესლებს აქვს შარდმდენი თვისება.

182. ეკალიჭი, ეკალა — *Smilax excelsa* L.

ეკალიჭს აღმოსავლეთ საქართველოში ღიჭს ეძახიან, იმერეთში — ეკალას, რაჭაში — შაშვისპურას, გურიაში — ძიგურას. ეკალიჭის შროშანასებრთა—*Liliaceae* ოჯახს. ლიანა მცენარეა, დაკლაკნილი გრძელი ღეროთი და წახნაგებზე ეკლებით, ფოთლის ფუძე გულისებურია და თავი წაწვეტილი, ფორმით ფოთოლი სამკუთხა კვერცხისებურია ან მომრგვალო კვერცხისებური. ივითარებს მდედრობით და მამრობით ყვავილებს, რომელთა ყვავილსაფარი განსაკუთრებული სიგრძისაა. გვირგვინისებრი ყვავილსაფარი მომწვანო მურა ფერისაა. იზრდება საქართველოს მთელ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ტყეებში, ტყის პირებზე, მდინარის ნაპირებზე და ჩაის პლანტაციებში, ზღვის დონიდან 1000—1200 მ სიმაღლემდე.

იმერეთში ჩვენ ხშირად გვინახავს, რომ შემოდგომასა და გაზაფხულზე მის ფოთლებსა და ყლორტებს ეტანება მსხვილი რქოსანი პირუტყვი და თხა, იშვიათად ცხენი. მის ნორჩ ყლორტებს საჟღეთის მხალად თელის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა: ქართულ ხალხურ მედიცინაში ეკალიჭის ფესვებს უხსოვარი დროიდან იყენებენ ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ, ხოლო ფოთლებს კარბუნკულების და ფურუნკულების სამკურნალოდ, აგრეთვე ხელოვნური ჩირქკროვის გამოსარწყავად და შესიებული ადგილების მოსამწიფებლად.

ეს მცენარე დიდი პოპულარობით სარგებლობს აფხაზეთის ადგილობრივ მცხოვრებლებში.

სოფ. კულაშიში ეკალათი და თელათი ერთად მკურნალობენ ქარებს, ეკალიჭის ფესვების არაყისა და ღვინისაგან ამზადებენ ვენერიული დაავადების წამალს.

აჭარაში ეკალიჭის ფოთოლს ხმარობენ როგორც ჩირქის გამოსარწყავ საშუალებას.

ეკალიჭისაგან სოფელ ბოლბისხევში (სიღნაღის რაიონი) სახალხო მკურნალები ამზადებდნენ გარცმულას (ძვლის დაშლა) წამალს.

183. ბადრიჯანი — *Solanum transcaucasicum* Pojark.

კარტოფილი — *Solanum tuberosum* L.

ძაღლყურძენა — *Solanum pseudopersicum* Pojark.

Solanum-ის გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან *Solumen*, რაც დამამშვიდებელს, დამწყენარებელს ნიშნავს და მართლაც ამ გვარის ზოგიერთ წარმომადგენელს ძილმომგვრელი უნარი აქვს. სახეობის აღმნიშვნელი *dulcamara*, ე. ი. მომეაო ტკბილი. მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში მსგავსი თვისების გამო იყენებდნენ ჩვენში გავრცელებულ სახეობას *S. pseudopersicum* სამკურნალო საქმეში. იგი ცნობილი იყო XVI საუკუნიდან და მის მზა სააფთიაქო ნედლეულს „*Dulcisamara*“ ჰქვია. შეიცავს გლიკოალკალოიდ სოლანიინს, რომელიც წარმოადგენს ალკალოიდ სოლანიდინის და შაქრის ნაერთს. გარდა ამისა, მასში არის სოლანიინი, რომელიც ასევე სოლანიდინად და სოლანეინად იწლება. გარდა აღნიშნულისა, სააფთიაქო ნედლეულში არის გლიკოზიდური მწარე ნივთიერება დულკამარინი, ტკბილი დულკამარინი მთრიმლავი ნივთიერებისაგან შედგება. სააფთიაქო ნედლეული უსუნოა, გემოთი პირველად ტკბილია და შემდეგ მომეაო, მისი სააფთიაქო ფორმა ალკოპოლირებულია და საყოველთაოდაა ცნობილი. მედიცინაში ხმარობენ შარდმდენად. უწერენ ძილის მომგვრელად და დამამშვიდებლად, მაგრამ ექიმის კონტროლქვეშ, რადგან მისი ხშირი და დიდი დოზით მიცემა მოწამვლას იწვევს. გავრცელებულია ევროპაში, სკანდინავიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, დასავლეთ აზიაში, ინდოეთში, იაპონიაში, ჩრდილოეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენში *S. pseudopersicum* იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, მთის შუა სარტყლამდე აფხაზეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, ქართლში, მთიულეთში, კახეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, ქვემო ქართლში, მესხეთში.

სახეობის სახელი *tuberosum* ტუბერიანს ნიშნავს. მისი ველური ფორმები ცნობილია პერუს ანდებში, ბოლივიასა და ჩილში, სადაც შემდეგ კულტურაშიც მოაშენეს. პირველად ეს მცენარე 1560 წელს ამერიკიდან შემოიტანეს ესპანეთში. ესპანეთიდან გავრცელდა ინგლისსა და იტალიაში 1600 წელს, ამავე წელს იტალიიდან — გერმანიაში და ა. შ. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნეში ის უკვე მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მის გავრცელებას ხელი შეუწყო არა მარტო იმან, რომ ის დიდი კვებითი ღირებულების მცენარეა, არამედ მისმა შემგუებლობამ. მისი გავრცელება შეიძლება მკაცრ კლიმატურ პირობებშიც კი, უკიდურეს ჩრდილოეთში ან ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე. სამკურნალო მიზნებისათვის იხმარება მისი ფქვილი (სახამებელი) *Amylum Solanii*, რომელიც ლორწოსგან გაწმენდილი და სუფთაა.

იყენებენ მოსაფრქვევად, მისგან აწზადებენ ტაბლეტებს (კვერაკებს) გამომფენ ფხენილებს.

სახეობა *Solanum nigrum* L. წარმოადგენს აბუზარა მცენარეს. იგი ეკუთვნის ძალყურძენასებრთა (*Solanaceae*) ბოტანიკურ ოჯახს. ქართულ ხალხურ მედიცინაში მას ჭრილობების შემწორებლად და ჭიის დამდენ საშუალებად ხმარობენ. მასში 8,9 მგ. % კაროტინია. მთლიანი ბალახი — *Herba Solani nigri* ყვავილობის პერიოდში შეგროვებული და გამშრალი შეიცავს: სოლანინს, რომლის რაოდენობა გაცილებით მეტია ნაყოფებში, ვიდრე ბალახში. ნაყოფში არის საპონინი და ტროპეინი. აღსანიშნავია, რომ ამ გვარში შემავალი სახეობები თითქმის ყველა ერთნაირი შემცველობისაა, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში.

რაჭაში, ონში ამ მცენარეებს იყენებენ როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებას, ამ მიზნით ხმარობდნენ ხებალახსაც *Solanum Dulcamara*-ს, მეცნიერულ მედიცინაშიც ხებალახს ცნობილია როგორც სისხლის გამწმენდი საშუალება ბრონქების დაავადებათა დროს, ხმარობენ კანის ქრონიკულ დაავადებათა წინააღმდეგ, წყალმანკისა და სიყვითლის დროს. ეს მცენარე მხოლოდ საზღვარგარეთის ფარმაცოპეაშია მოხსენებული, რუს. ში კი — არა.

ქ. გორში ძალყურძენა ეზოში ვნახეთ მოშენებული.

შატილში ეზოში აშენებენ კარტოფილს და ხმარობენ კუჭის დაავადებების დროს.

ძალყურძენას შემქნარ ფოთლებს ჭრილობის სამკურნალოდ ხმარობენ გომბორში.

ყვარლის რაიონში კარტოფილის ტუბერის წვენს იყენებენ კუჭნაწლავის ტკივილის დროს.

როლოვის მიხედვით, ხალხი ბადრიჯნის ფოთლებს დილით და საღამოთი შემოახვევს სხეულის გარკვეულ ნაწილებს (სახსრებს) გაციებით გამოწვეული ტეხვითი ტკივილის დროს, ხოლო ბრაზილიაში მის ფოთლებს ადებენ ავთვისებიანი ან ძნელად შესახორცებელ ჭრილობებს.

184. ჭნავი, ანუ ცირცელი — *Sorbus caucasigena* Komarov ex Gatsch.

ჭნავი ეკუთვნის ვარდისებრთა (*Rosaceae*) ბოტანიკურ ოჯახს, იზრდება სუბალპური სარტყლის ტანბრეცილ ტყეებში აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კახეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში. ქართულ ხალხურ მედიცინაში ჭნავის ნაყოფებს იყენებენ შარდმდენად, სისხლის გამწმენდად, გაძნელებული პენსტრუაციის, სისხლიანი ფაღარათობის დროს და როგორც ვიტამინების შემცველს. ჭნავის ნაყოფები (*Fructus Sorbi*) შეიცავს სორ-

ბინმჟავას, ციტრონენმჟავას, ლენის მჟავას, მცირეოდენ ქარვის მჟავას, თავისუფალ მჟავებს, 2,5—3% ოდენობით, სორბიტს (მწიფე ნაყოფებში 6—7% სორბოსას შეიცავს. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი კეტოჰექსოზაა), 4,6—8% შაქარს, კაროტინოიდ სორბეზინს — A და B კაროტინს (ქერქსა და ჯამში), ცვილისებურ სხეულს რობოლს $C_{34}H_{70}O$ 0,4—0,6% მთრიმლავ ნივთიერებას, ეთერზეთს, C ვიტამინს, ჭნავის თესლებში არის 22% ცხიმზეთი და მცირეოდენი ამიგდალინი; რაც შეეხება მის ფოთლებს, Folia Sorbi-ში არის ლურჯმჟავა, რომლის გახლეჩის შედეგად მიღებული ერთი გლიკოზიდი ამიგდალინი, ეთილპენტოზანები და სხვ. ყვავილებში (Flores Sorbi) არის ტრიმეთილამინი.

რაჭაში სოფელ სორში ეზოში ვნახეთ სპეციალურად დარგული ორი ძირი ჭნავი, რომლის ნაყოფების ნახარშს ასმევენ ბუასილის დროს.

სოფ. გორელოვკაში (ჯავახეთი) ეზოში მოშენებული იყო ცირცელი და მას იყენებდნენ სამკურნალოდ.

სოფ. მატანში (ახმეტის რაიონი) მთიდან ჩამოაქვთ ცირცელი სამკურნალოდ. ჭნავის ნაყოფით მკურნალობენ ფეხებზე გამოსულ მუწუკებს, ნაყოფს იხევენ პირდაპირ მუწუკებში.

თეთრწყლებში ცირცელს ასმევენ საქონელს ხველების დროს.

185. ლაშქარა — სარო — *Symphytum caucasicum* M. B. *Symphytum asperum* Lepech.

ლაშქარას *Symphytum* გვარის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან *Symphyen*, რაც ერთად მზარდს, ჯგუფურად მზარდს ნიშნავს. მას ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ხმარობენ ძვლის მოტეხილობის დროს. ამავე მიზნით იყენებენ ჩვენში გავრცელებულ სახეობებს *Symphytum asperum* და *Symphytum caucasicum*. სახეობის სახელწოდება *officinale* სამკურნალოს ნიშნავს. გალენი ამ მცენარეს აღწერს როგორც ძვლის საუკეთესო შემხორცებელ საშუალებას. ლაშქარა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, ლორწოს, მცირეოდენ ეთერზეთს, გლიკოზიდს და ალკალოიდის მსგავს ნივთიერებებს. სააფთიაქო ნედლეული უსუნოა და სუსტად არომატული, ოდნავ მოტკბო, მასში მთრიმლავი ნივთიერების არსებობის გამო. ინმარება როგორც საუკეთესო შემკვერელი საშუალება. ლორწოთი მდიდარი სააფთიაქო ნედლეული კი როგორც შემომვლები საშუალება ასევე ასმევენ გულმკერდის დაჭერილობის დროს. ინგლისში დღესაც ის დიდ როლს ასრულებს კუჭის შეკრულობის დროს. ხმარობენ ჩაის სახით. გარდა ამისა, მის ნახარშს ივლებენ ყელსა და პირში. გავრცელებულია მეტწილად ევროპაში, ირლანდიაში, შოტლანდიაში, სკანდინავიაში, ფინეთსა და კარელიაში, დასავლეთ ციმბირში, მცირე აზიაში, სამხრეთ რუსეთში, ჩრდილო ზალკანეთში, იტალიასა და ესპანეთში, ჩვენში *Symphytum caucasicum* იზრდება ბუჩქნარებში, ტყისპირებსა, რუდერალურ ად-

გილებზე, სარეველა საძოვრებზე და ბოსტნებში — აჭარაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, *Symphytum asperum* აფხაზეთში, იმერეთში, გურიაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთში, ხევსურეთში, თრიალეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

ლაშქარას ორივე ეს სახეობა ბალახოვანი მცენარეებია და ეკუთვნის ლაშქარასებრთა — *Borraginaceae* ბოტანიკურ ოჯახს, ისინი 30—60 სმ სიმაღლისაა: ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი შებუსეილია რბილი ბუსუსით და მისი ჯამი სამჯერ მოკლეა გვირგვინზე და მთის შუა სარტყლამდე ვრცელდება, კერძოდ, ტყის პირებზე და ბუჩქნარებში, ხოლო მეორე სახეობის ჯამი დანაკვეთულია თითქმის ფუქემდე და გვირგვინთან შედარებით 4—5-ჯერ მოკლეა. ამავე დროს ვრცელდება მთის ზედა საზღვრამდე, მდელოებზე და ბუჩქნარებში.

ქ. ზუგდიდში ლობის ძირას საზღვრის (მიჯნის) გასწვრივ მოშენებული ვნახეთ ეს მცენარე. იქ მას ქავილის წინააღმდეგ ხმარობენ.

სოფ. სხეიტორში, აკაკი წერეთლის ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად დღესაც შემორჩენილია ლაშქარა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ამ მცენარეს ძირითადად მოტეხილობის დროს იყენებენ. კ. სანდომისაშვილისა და ამ სტრიქონების ავტორის მიერ შესწავლილია ამ მცენარის გამსხვილებული ფესვების ლორწო, რომელიც მეცნიერული თვალთახედვით ყურადღების ღირსია.

რაჭაში, ონის რაიონის სოფელ უწერაში, ბოსტანში სპეციალურ ნაკვეთზე მოშენებული ჰქონდათ ლაშქარას ეს უკანასკნელი სახეობა, რომელსაც თვითონ საროს ეძახდნენ და ნაღრძობს მკურნალობდნენ. იღებენ ამ მცენარის გამსხვილებულ ფესვებს, ნაყავენ და ამ დანაყილ მასას ხარშავენ რძეში, ასე შემზადების შემდეგ ნელთბილად ადებენ ნაღრძობ ადგილზე.

ლეჩხუმსა და სვანეთში ლაშქარას ფესვების ლორწოს იყენებენ მოტეხილობის წინააღმდეგ. ქვემო სვანეთის სოფელ ჟახუნდერში ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ლაშქარას გავრცელებაში ხელს არ უშლიან, მის ფესვებს ნაყავენ და მოტეხილობაზე პირდაპირ ადებენ. სოფ. უშგულში სარო თითქმის ყველას აქვს ეზოებში ამავე მიზნისათვის.

სოფ. ხიზაბავრაში (ასპინძა) დაეყვილობაზე ადებენ საროს ძირებს.

სოფ. ქუნცაში ახალციხის (ასპინძის) რაიონში საროს ბალახს ხარშავენ და მისი ნახარშის აბაზანებს უკეთებენ ქარებიან ავადმყოფებს.

გურჯაანში საროს ეზოში აშენებენ და იყენებენ სამკურნალოდ.

186. იასამანი — *Syringa vulgaris* L.

იასამანი ეკუთვნის ზეთისხილისებრთა — Oleaceae ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც ძირითადად კულტურაშია, გვხვდება გაველურებულში. ქართულ ხალხურ მედიცინაში იასამნის ფოთლები ცნობილია როგორც ციების საწინააღმდეგო საშუალება, მაგრამ ვ. ნ. ვოროშილოვის მიხედვით, კლინიკურად ეს ამბავი არ დადასტურდა ან სუსტად ეფექტური აღმოჩნდა. იასამნის ფოთლები შეიცავს სირინგინს, სირინგოპიკრინს, ეთერზეთებს, გვიმრის ზეთს, 3,8—4,7% ნაცარს და სხვა.

ქ. გორში ეზოში აშენებენ იასამანს და იყენებენ ციების წინააღმდეგ.

ქასპში ეზოში მოშენებული იასამნით მკურნალობენ თირკმლების დაავადებას.

187. ხავერდულა — *Tagetes patula* L.

ყვითელი ყვავილი — *Tagetes minuta* L.

ორივე ეს სახეობა რთულყვავილოვანთა Asteraceae — Compositae ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. პირველი სახეობა კულტურულია, ხოლო მეორე ჩვენში მეტწილად ნაგვიან ადგილებში გვხვდება, კალათები პატარებია, თითქმის ცილინდრული — 7—8-ყვავილიანი. ენაკიანი ყვავილი 3-ია, მუქი ყვითელი, სიმაღლით 10—30 სმ-საა. მისი სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (მექსიკა). პირველი სახეობა ჩვენში შემოტანილია, ჩვენი აზრით, ინდოეთიდან ან ბირმიდან. მისი ფოთლები ხაზური ლანცეტაა, ხოლო კალათის ყუნწი მცირედ გამსხვილებული — 10 მმ-ია, ენაკები ყვითელია ან მუქი ყვითელი, ჩვენში მას აშენებენ როგორც საკულინარო მცენარეს. იზრდება რუდერალურ ადგილებზე.

ამ მცენარეს არ იყენებენ არც ქართულ ხალხურ, არც მეცნიერულ მედიცინაში, რაჭაში ქ. ონში ამ მცენარეს აშენებენ 150 კვ. მ. სპეციალურად სამკურნალო მიზნებისათვის. ხმარობენ ნერვული სისტემის დამამშვიდებელ საშუალებად.

ბაკურიანში ყვითელ ყვავილს, რომელსაც ზაფრანასაც და ნარგისსაც ეძახიან, ეზოში აშენებენ, მისი ყვავილის ნახარშით სიწითლისა და ანთების დროს ბანენ თვალებს ან მის ნახარშში დასველებულ და ოდნავ გაწურულ ტილოს ადებენ მტკივნეულ ადგილზე.

188. ფუთრიქავა, ძაღლის სატაცური — *Tamus communis* L.

ეს მცენარე ეკუთვნის დიოსკორეასებრთა — Dioscoreaceae ბოტანიკურ ოჯახს. ფესურიანი და მრავალწლოვანი მცენარეა. ღერო მხვიარა აქვს, ფოთლები — გულისებრი, ხშირად თავწაწვეტილი და ყუნწიანი; ყვავილები პატარა ზომისაა და ორსახლიანი, ახასიათებს ზარისებრი, სწორი ყვავილსაფარი, ნაყოფი — წითელი კენკრაა მათი ლიანა ღერო 1,5—2 მ სიმაღლისაა. იზრდება ტყეებში, ტყის

პირებზე მთის შუა სარტყლამდე — გაერცვლებულია იმერეთში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, ქართლში. აქვს შხამიანი ნაყოფი, რომლითაც ზოგჯერ ბავშვები იწამლებიან.

ამ მცენარის ძირებს ქართულ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ შარდმდენად, კუჭის აწმულელად, პირღებინების საშუალებად, გამშრალ ფხვნილად ქცეულ ძირებს აყრიან გაბინძურებულ ჭრილობებზე, მყრალ და ჩირქოვან ჭრილობებზე, განგრენულ წყლულებს, ფაფასავით დანაყილ ფესვებს იღებენ დაჟეჟილ ადგილებზე და ისეამენ კანზე რევმატიული ანთების წინააღმდეგ. ლეჩხუმური სახელწოდება — ფუთორიქავა გვიჩვენებს, ის კანს ფუთრავს და ამიტომაც, რომ ხშირად მწყემსი ბავშვები მის გათლილ ძირებს სუპრობით ვრთიმეორეს კისერზე უსვაბენ, რაც იწვევს კანის აწვას, ქავილს და ადგილობრივ პიპერემიას. ფუთორიქავა შეიძლება გამოდგეს როგორც რევმატიული ანთების, ისე ჭრილობების სამკურნალოდ, რადგან მისი ახალი ფესვი შეიცავს კანის დამფუთვრელ ნივთიერებას და წაგრძელებული ფორმის ნაზ კალციუმოქსალატრადიღებს, რომელიც კანის შემამჭიდროვებლად ან შემკვრელად მოქმედებს. ახალი ამონაყარი ყლორტები იხმარება როგორც მხალეული, ხოლო უკვე ოდნავ ძველიც კი იწვევს პირღებინებას და ფლარათობას. ძმარში დაყენებული მისი ძირების ნაყენს აძლევენ ძროხას მშობიარობის შემდეგ. ის ხელს უწყობს მომყოლის გამოყოფას.

სოფ. ჭაქვინჯში (ზუგდიდის რაიონი) ფუთორიქავათი მკურნალობენ ჭრილობებს და რევმატიზმს; ფუთორიქავა ეზოში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად აქვთ მოშენებული სპეციალურ ნაკვეთზე.

სოფ. სუფსა (ლანჩხუთის რაიონში) ფუთორიქავა გაშენებული ჰქონდათ ეზოში, კერძოდ, ბოსტანში და მის ძირებს რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებდნენ.

რაჭაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეში, მის ფესვებს და ფესვების სპირტიან ნაყენს ხმარობენ რევმატიული ანთების წინააღმდეგ, მტკივან ადგილებში ჩასახელად. აშენებენ და ამრავლებენ ეზოს გვერდზე მდებარე ბუჩქნარებში.

ლეჩხუმში ფუთორიქავა ეზოში ენახეთ მოშენებული და მას რევმატიული ანთების საწინააღმდეგო ნაყენის მოსამზადებლად ხმარობენ.

თელავში ფუთორიქავას ფესვებით ქარებს მკურნალობენ. იქ ამ მცენარეს ეძახიან მიწისკონას და სვინტრს. აშენებენ ეზოში.

მცენარის ფესვებს ხალხი ხარშავდა რძეში და ისე ადებდნენ მოტეხილობაზე. მკურნალობდნენ როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებს.

ფუთორიქავათი რევმატიზმს მკურნალობენ კაჭრეთში.

როლოვს მითითებული აქვს, რომ მის ნორჩ ფოთლებს ხალხი

ხარშავს და ჭამს, მაგრამ თუ ბევრი ჭამა აღამიანმა, იწვევს კუჭ-ნაწლავის აშლილობას და პირღებინებას.

189. უფთხმელა — *Teucrium Orientale* L.

ეს მცენარე ეკუთვნის ტუჩოსანთა *Lamiaceae* (*Labiatae*) ბოტანიკურ ოჯახს, გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ ფერდობებზე ბუჩქებს შორის, მთის შუა სარტყლამდე. ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ მის ფოთლებს კუჭის სუსტი მოქმედების, წყალმანკის და სისხლის ამოხველების შემთხვევაში. ხმარობენ საკულინარიო და თრიმღვის საქმეშიც. ყვავილობის პერიოდში მყოფი მთლიანი ბალახი შეიცავს 19% მთრიმლავ ნივთიერებას და სურნელოვან ნივთიერებებს. ამავე მიზნისათვის იყენებენ კუტიბალახს *T. polium* L. ამ მცენარეს აგროვებენ და იყენებენ სამკურნალოდ თელავში.

როლოვის მიხედვით, მის ფოთლებს აქვს საყმაწვილოს და კუჭის დაავადებათა სამკურნალო თვისება, ამიტომ ხალხი მას ხმარობს კუჭის სუსტი მოქმედების დროს, წყალმანკის, საყმაწვილოს, სისხლიანი ნახველის და გვერდებში ტუჩვითი ტკივილის დროს.

190. მაჟარა — *Thalictrum collinum* Wallr.

მაჟარა ბალახოვანი მცენარეა, რომელიც 50—150 სმ სიმაღლისაა და ეკუთვნის ბაიასებრთა *Ranunculaceae* ბოტანიკურ ოჯახს. მისი ყვავილენი განიერ-პირამიდულია, ბალახი ძალზე დატოტიანებულია; ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, კერძოდ, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში და ბალახოვან ფერდობებზე, ყველა რაიონში.

ქართულ ხალხურ მედიცინასა და ვეტერინარიაში ამ მცენარის ნახარშით ბანენ გაბინძურებულ ჭრილობებს, მისი ნახარშით მკურნალობენ აგრეთვე გაძნელებულ დედათა წესს (მენსტრუაცია).

ამბროლაურის რაიონში სოფ. მუხლში მცენარე ვენახის პირზე ვნახეთ მოშენებული. იყენებენ ჭრილობების უნაწიბუროდ შესორცების მიზნით, ხმარობენ მთლიან მცენარეს გამხმარი და დაფხვნილი სახით. ფხვნილს აყრიან ჭრილობებზე.

როლოვის მონაცემებით, ამ მცენარის ფესვები ძალზე უხამიანია და აქვს შარდმდენი თვისება.

191. თუია — *Thuja occidentalis* L.

თუია ეკუთვნის კვიპაროზისებრთა *Cupressaceae* ბოტანიკურ ოჯახს. გვარის ლათინური სახელწოდება *Thuja* წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან *thyon* ან *Thyeim*—სურნელოვანი. იგი ამართლებს სახელწოდებას. მთლიანი მცენარე სურნელოვანია; სახეობის ამღნიშვნელი *orientalis* აღმოსავლურს ნიშნავს. თუიას გვარი სამკურნალო საქმეში მხოლოდ 1828 წლიდან შემოვიდა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დადასტურდა მისი ეთერზეთის ჭიის გამოძენი თვისება. ის შეიცავს

ეთერზეთს, გლიკოზიდს, თუიინს და პინისპირინს, მთრიმლავე ნივთიერებას, ფისს, შაქარს და მჟავებს. სააფთიაქო ნედლეული ძლიერ არომატულია, გემოთი მწვავეა და ქაფურის მსგავსი. ამ მცენარიდან წყლის გამოხდით მიიღება არასამკურნალო ზეთი *oleum Thujae*, რომელიც უფერული სითხეა, *Thuion* — თუიონიდან და პინენიდან მიიღება ბორნეოლი. ეს ზეთი მკვეთრია როგორც ქაფური და გემოთი მწარეა. თუიას იყენებენ მედიცინაში ჭიის გამომდენად და იმდენად ეფექტური საშუალებაა, რომ დღესაც ფართოდ სმარობენ. ამერიკაში დღესაც იყენებენ ჩასაზღვლად. გავრცელებულია ყველგან კულტურაში.

საქართველოში ეს მცენარე კულტურაშია. ევროპაში მას სამკურნალო საქმეში იყენებენ. ამ სახეობას ქართულ ხალხურ მედიცინაში ღვიის მსგავსად სმარობენ ვენერულ სნეულებათა წინააღმდეგ, აგრეთვე ჭრილობების მკურნალობის მიზნით. თუიას ახალგაზრდა ტოტები *Herba Thujae occidentalis* ან *Summitates Thujae* შეიცავს 0,4—1% ეთერზეთებს, თუიინს, ქვერცეტინს, თუეცინმჟავას. თუიას გირჩებს ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ფურუნკულების სამკურნალოდ.

192. ურცი. ბეგქონდარა — *Thymus caucasicus* willd.

ლათინური სახელწოდება ამ გვარისა *Thymus* წარმომდგარია ბერძნული *Thymos*-დან, რაც ღონიერს, ძლიერს ნიშნავს. მართლაც ამ გვარის სახეობები ძლიერი, მძაფრი სუნით ხასიათდებიან, რაც შეეხება სახეობის აღმნიშვნელს — *Serpyllum*, იგი ბერძნული წარმოშობისაა და სიტყვა *Serpere*-დანაა წარმომდგარი, რაც მხოზავს ან მცოცავს ნიშნავს. ბეგქონდარას უძველესი დროიდან იყენებენ სამკურნალოდ და აქამდე არ დაუკარგავს თავისი ღირსება და მნიშვნელობა. მას იმთავიდანვე ქალურ დაავადებათა დროს სმარობდნენ. ბეგქონდარას აგრეთვე თვლიდნენ აიკეთისა და ბედნიერების მომტან მცენარედ.

ბეგქონდარა შეიცავს ეთერზეთს, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილია ციმბილი და თიმოლი. მზა ნედლეულში, გარდა ამისა, არის მთრიმლავე ნივთიერება, მწარე ნივთიერება, საპონინი და ფისი. მას აქვს სასიამოვნო, არომატული სუნი და მძაფრი, სასიამოვნო, ნახევრად მწარე გემო. იყენებენ ხველების წინააღმდეგ ჩაის ან ნაკრების სახით. აგრეთვე სმარობენ მის გამონაცემსაც. საერთოდ ფარმაცევტულ წარმოებაში ბეგქონდარასაგან უმთავრესად ხველების საწინააღმდეგო პრეპარატებს ამზადებენ. თავისი არომატული, სასიამოვნო სუნის გამო მის ნახარშს სმარობენ ბანაობის დროს. გავრცელებულია მთელს ევროპასა და აზიაში, ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებში, წინა ინდოეთში, გრენლანდიაში, ისლანდიაში, ჩრდილოეთ ციმბირში და კამჩატკაზე. ჩრდილო ამერიკაში ადამიანის მიერაა შეტანილი, საქართველოში *Thymus caucasicum* იზრდება ქვიან ადგილებზე, ალპურ

სარტყელში — აფხაზეთში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში.

სახეობის სახელი *Vulgarae* ლათინურია და ჩვეულებრივს ნიშნავს. საზოგადოდ ურცის გვარის წარმომადგენლები უძველესი დროიდანაა მედიცინაში გამოყენებული და ყველა *Th. vulgaris*-ის სახელწოდებითაა ცნობილი. დიოსკურიდე აღნიშნავს კიდევ თავის ნაწერებში ამის შესახებ. მეთექვსმეტე საუკუნიდან მისი მზა ნედლეული ჩნდება აფთიაქებში, კერძოდ, გერმანიაში. ურცის ზეთი დიდი ხანია ცნობილი და აღწერილია ყველა სამკურნალო მცენარეთა ან ნივთიერებათა წიგნში და მოხსენებულია საექიმო ტაქსაციაში. შეიცავს ეთერზეთს, მთირიმლავ ნივთიერებას, მწარე ნივთიერებას, საპონინს და ფისს. ეთერზეთის შემცველობის გამო მის სააფთიაქო ნედლეულს ჰქვია თიმოლი. ყველაზე უფრო ძლიერი მოქმედებისა და არომატიულია სამხრეთული ურცი; ეს მცენარე ნედლი სახით ყველაზე მეტ ზეთს შეიცავს შუაღლეზე. მისი გემო და სუნი მწვავე არომატულია. მისი ეთერზეთი „*Oleum Thymi*“ მეცნიერულ მედიცინაში ცნობილი სამკურნალო საშუალებაა; იღებენ წყლიანი ორთქლის გამოსდით. ის შეიცავს თიმოლს, ასევე მის იზომერებს: კარვაკროლს, ციმილს, ბორნეოლს, ლინალოლს და პინენს; თავისი შედგენილობის მიხედვით ამ ზეთებში ყველაზე ძვირფასია თიმოლი, შემდეგ კარვაკროლი. გერმანიაში მოზარდი ურციდან მხოლოდ 20% თიმოლი მიიღება, საფრანგეთში კი — თიმოლი და კარვაკროლი. ურცის ზეთი სურნელოვანია და არომატული. ურცის ლორწოშერეული პრეპარატები წარმოადგენს ხველებისა და სასუნთქი გზების დაავადებათა სამკურნალო საშუალებას. ის შედის ხველების ჩაის ყველა ნაკრების შემადგენლობაში. მას ხმარობენ აგრეთვე როგორც არომატულ საშუალებას. გარდა ამისა, ის წარმოადგენს ფრანგული სამზარეულოს ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს. ურცის ზეთის — თიმოლის ფენოლია კარვაკროლი, რომელიც საღებავების საშუალებაა და იყენებენ კიდევ პირისა და ყელის გამოსაფლები წყლის მოსამზადებლად, აგრეთვე კბილების გასაწმენდი პასტის შესაზავებლად და, რაც მთავარია, მისი ზეთი შედის ხველების ყველა სახის საშუალებათა შემადგენლობაში. ურცი გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, პორტუგალიაში (მის ალპებში), იტალიაში (პავიდან ოტრანტომდე), ევროპაში (ისლანდიასა და ნორვეგიაში). ამაზე ჩრდილოეთით მისი სახეობების რიცხვი თითქმის 10-ს აღწევს. გარდა ამისა, ის კულტურაში ფართოდ გავრცელებული მცენარეა. საქართველოში, მისი კულტურის მოსაშენებლად ყველა პირობა არსებობს.

ბეკკონდარას საქართველოში მთას ქონდარს, ურცსა და ზოგჯერ მწყემსის საკაზმს უწოდებენ; ეს უკანასკნელი სახელწოდება დაკავშირებულია მის საკულინარო საქმეში გამოყენებასთან, რადგან ქიზიყე-

ლი მწყემსები მთაში ხშირად ხმარობენ მას ცხვრის ხორცის შესაკმაზად, ბეგქონდარა წარმოადგენს 19—25 სმ სიმაღლის პატარა ბუჩქს და ეკუთვნის ტუჩოსანთა Lamiaceae (Labiatae) ბოტანიკურ ოჯახს. მისი ახალი ღეროები შებუსვილია და თითქოს ბალახოვანი მცენარის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოკლეყუნწიანი, პატარა, მოგრძო ფოთლები მკვრივი, გამჭვირვალე წერტილებით (ზეთისშემცველი ჯირკვლები) მოთავსებულია ერთიმეორის პირისპირ. პატარა მოლურჯო-მოვარდისფრო ყვავილები შეკრებილია ხშირ თავაკ-ყვავილედში, ღეროს კენწეროზე. ჯამი ხასიათდება სამი მოკლე განიერი სამკუთხა და ორი გრძელი ვიწრო კბილით. გვირგვინი ორტუჩაა, ორი მოკლე და ორი უფრო გრძელი მტერიანათი. თესლები ოთხ-ოთხად მოთავსებულია ჯამის ძირში. მთლიანი მცენარე ხასიათდება ძლიერი არომატული სუნით. ბეგქონდარა გავრცელებულია მთის როგორც ქვედა, ისე ზედა სარტყელში, განსაკუთრებით მშრალ, ბალახიან და ქვიან ადგილებში, აგრეთვე ღორლიან და კლდოვან სუბსტრატზე, ხშირად მას სუბალპურ ნესტიან მდელოებზეც ნახავთ. ჩვენს მიერ ეს მცენარე მეტად მრავალფეროვან დაჯგუფებაშია ნანახი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ბეგქონდარას ხმარობენ ჩაის ნაცვლად, როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას, აგრეთვე აბაზანებისათვის, კერძოდ, ჭვლების დროს; მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მის რამდენიმე სახეობას. მათგან აღსანიშნავია *Thymus Crossheimi* Ronn და *Thymus tiflisiensis* Klok et Schost და სხვ. ჩვენი ფარმაცოპეის მე-7 გამოცემაში მოხსენებულია *Thymus serpyllum*, რომელიც იხმარება მეცნიერულ მედიცინაში როგორც ამოსახველებელი და ჭიის გამომდენი საშუალება. ამ მიზნით მცენარეს ფესვების გარეშე აგროვებენ იენისსა და ივლისში. მისი ქიმიური შემცველობა ასეთია: ეთერზეთები, მთრიმლავი ნივთიერება, მწარე და ცილოვანი ნივთიერება, ფისი და ცვილი, ცხიმები, განსაკუთრებით პიგმენტები და მინერალური მარილები; ეთერზეთის რაოდენობა მასში 1% შეადგენს. მათ შორის უმთავრესია ციმოლი, ეს ზეთი ხშირად კარვაკროლითა და თიმოლის ნარევითაა წარმოდგენილი. სოფ. ტოლოში ბეგქონდარას იყენებენ ჩაისათვის გაციების დროს.

როლოვის მონაცემებით, თიმუსის მშრალი ფოთლები გამოიყენება სპაზმებისა და კრუნჩხვების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძვლის მჭამელისა და ჭვლების დროს ჩაის სახით, ასევე როგორც გარეგანი და არომატული საშუალება. ხმარობენ აგრეთვე მის სპირტიან ნაყენს რევმატიზმის დროს და დადამბლავებულ ადგილებში ჩასახულად.

193. ცაცხვი — *Tilia cordata* Mill, *Tilia caucasica* Rupr.

ცაცხვის *Tilia* გვარის სახელწოდება ლათინურიდანაა წარმომდგარი, მაგრამ მისი პირველი ნამდვილი სახელი საწყისს ბერძნული-

დან იღებს და დამკველ ძარღვს ნიშნავს, *Cordata* — კი გულის ფორმას, ხოლო *platyphyllos* — ფართო ფოთლოვანს. ეს მცენარე მკურნალობის საქმეში მხოლოდ XVI საუკუნიდან დამკვიდრდა, ძველ ბოტანიკურ ან სამკურნალო მცენარეთა აღწერილობის წიგნებში ის მოხსენიებული არ არის. XV საუკუნის სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება მხოლოდ ვეტერინარულ საქმეში, ნაწლავების სამკურნალოდ. ცაცხვის ყვავილები შეიცავს გლიკოზიდს, ლორწოს, მთრიმლავ ნივთიერებას და მცირე რაოდენობით ეთერზეთს. მზა სააფთიაქო ნედლეულს აქვს არომატული სუნი, რომელიც გაშრობის შემდეგ ქრება. გემოთი არომატული და ლორწოვანია. ცაცხვის ყვავილები წარმოადგენს ოფლის მომგვრელ საშუალებას, რომელიც მასში შემავალი გლუკოზიდის წყალობითაა გამოწვეული; იყენებენ ჩაის სახით; მასში არსებული ლორწოთი მკურნალობენ გაცივებითი დაავადებების სამკურნალოდ. ამ მხრივ ის საყოველთაოდაა ცნობილი. ხმარობენ აგრეთვე ყელსა და პირში გამოსავლები წყლების დასამზადებლად. გარდა ამისა, აბაზანის არომატიზაციისათვის.

გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ ინგლისში, შუა სკანდინავიაში, არხანგელსკში, შუა ურალში, ესპანეთში, ჩრდილოეთ ბალკანეთში, კავკასიაში, უკრაინაში, პოლონეთში, საქართველოში *Tilia cordata* Mill იზრდება მთის ტყეებში, უპირატესად ზედა სარტყელში. მშრალ ადგილებზე, ზოგჯერ ქმნის წმინდა კორომებს, ადგილ-ადგილ მონაწილეობს სუბალპური ტყეების შემადგენლობაში — სამხრეთოსეთში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში.

ცაცხვი ეკუთვნის ცაცხვისებრთა *Tiliaceae* ბოტანიკურ ოჯახს; წარმოადგენს ფოთოლცვენია ხეს, რომელიც განსხვავდება სხვებისაგან უფრო დიდი და საკმაოდ ასიმეტრიული ფოთლებით. ფოთლები ქვემოდან მკრთალი მწვანე ფერისაა, ფოთლის კედლები დიდი ზომის კბილანებითაა დაკბილული და წვერიც წამახვილებული ბოლოთი თავდება. მას ახასიათებს დიდი ზომის ფრენია ნაყოფი 10 მმ სიგრძის კაკლუჭათი. ცაცხვის ეს სახეობა გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში, დაწყებული მთის ძირიდან შუა სარტყლამდე, განსაკუთრებით მთის ტყეებში, ცალკეული ხეების ან პატარა კორომების სახით.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ხმარობენ ცაცხვის ყვავილს, როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას; მეცნიერულ მედიცინაში აგრეთვე იყენებენ მისი ყვავილის ნაყენს, როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას; აგროვებენ ცაცხვის სხვა სახეობის ყვავილს, სახელდობრ; *Tilia cordata* Miller (*T. ulmifolia* Scop., *T. sylvestris* Desf. *T. parvifolia* Ehrh, *Tilia platyphyllos* Scop.), *Tilia grandifolia* Ehrh. *Tilia vulgaris* Hayn, *Tilia mexicana* Benth., *T. europaea*, *Flores Tiliae* (Cumbracteis), უმრავლესობა ხარობს ჩვენშიც,

მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულია კავკასიური ცაცხვი. ცაცხვის მერქნის ნახარშს სმარობენ კბილის ფხვნილის დასამზადებლად და აგრეთვე ნაწლავების გაბერილობის დროს, რადგან მისი ნახარში ხასიათდება დიდი აღსორბციის უნარით. ცაცხვის ყვავილი (*Flores Tiliae*) შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს, საპონინს, რომელიც ჰიდროლიზით იშლება საპოგენინად და ლეუპინად, 5—8% ნაცარს, ცილას, უჯრედანას, მწარე და მთრიმლაე ნივთიერებას, ყვითელ პიგმენტს, შაქარს, ცვილს. გარდა ამისა მის ყვავილში 0,05% სასიამოვნო სუნის ეთერზეთია. ცაცხვის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores Tiliae (Cumbracteis)* *Aqua Tiliae concentrata*, *Aqua Tiliae*, *Carbo Tiliae*.

რაჭაში ეს მცენარე ეზოებში აქვთ დარგული, მაგრამ არა სამკურნალო მიზნებისათვის; მის ყვავილებს ხალხი აგროვებს, აშრობს და ინახავს ოფლის მოსადენად გაციების დროს, ზოგიერთი კი საყმაწვილოს წამალში ურევს.

ცაცხვის ყვავილს ოფლის მომგვრელად იყენებენ ლეჩხუმსა და სვანეთში: მას ეზოებშიც აშენებენ. ცაცხვი ეზოში მოშენებული ვნახეთ თეთრწყლებში.

ცაცხვის ქერქის რძის ნახარშით მოტეხილობას მკურნალობენ გურჯაანში.

როლოვის მიხედვით ცაცხვის ყვავილების ჩაის სვამენ (*Flores Tiliae*) როგორც ოფლის მომგვრელ და დამამშვიდებელ საშუალებას, ასევე ცნობილია, როგორც გამოსაელები საშუალება.

194. ფამფარა — *Tragopogon graminifolius* DC.

ეს მცენარე ეკუთვნის რთულყვავილოვანთა *Asteraceae* (*Compositae*) ბოტანიკურ ოჯახს. იგი წარმოადგენს ბალახს, მეტწილად მთის ქვედა სარტყელში ვრცელდება, მისი ყვავილები ღია ყვითელია, რომლებიც ყვავილსაფარზე ოდნავ გრძელია, მეტწილად ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, ბუჩქნარში და მდელოებზე, მთელ რესპუბლიკაში.

ბაკურიანში ამ მცენარით მკურნალობენ ღვიძლის დაავადებას.

როლოვის მონაცემებით, ზოგჯერ ეს მცენარე შედის კუჭის ამშლელთა ნაკრებში, ხელს უწყობს აგრეთვე ნახველის ამოღებას.

195. ხორბალი — *Triticum monococcum* L., *Triticum durum* Def., *T. imereticum* Dek., *T. macha* Dek et Men.

ხორბალი მარცვლოვანთა *Poaceae* — *Gramineae*-ს ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელი კულტურული მცენარეა, მისი სამშობლო საქართველოა, დღეისათვის ის კულტურაშია შეტანილი და კვების უძვირფასეს პროდუქტს წარმოადგენს. გვხვდება ფხიანი და უფხო ხორბალი. ქართულ ხალხურ მედიცინაში მკურნალობის მიზნით იშმარება ყველა მისი სახეობა.

მესტიაში სტომატიტს მკურნალობენ დამწვარი ხორბლის მარცვლით, მას ნაყავენ, ურევენ დანაყილ შაბს და ცრიან.

სოფ. საქაშეთი გორის რაიონში კუჭის შეკრულობის დროს საფლარათოდ ცხოველს აძლევენ ხორბლის ალაოს.

196. სამყურა — *Trifolium arvense* L., *Trifolium repens* L., *Trifolium medium* L.

სამყურა ეკუთვნის პარკოსანთა Fabaceae (Leguminosae) ბოტანიკურ ოჯახს, Papilionatae—Trifolieae რიგს, ქართულ ხალხურ მედიცინაში სამყურას ჭრილობების სამკურნალოდ იყენებენ, მისგან ამზადებენ მალამოებს.

ხევსურეთში სამყურას ფოთლებს ამრობენ, შემდეგ დაფხვნიან წმინდად და ჭრილობას აფრქევენ უნაწიბუროდ შესორცების მიზნით, განსაკუთრებით მას სახის ჭრილობებზე იყენებენ. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სახეობა *Trifolium arvense* ან ჩვენში მთელ რესპუბლიკაში გავრცელებული *Trifolium repens* L. მხოხავი სამყურა. ეს უკანასკნელი სახეობა სამკურნალო მიზნებისათვის ივლისში უნდა შეგროვდეს, ახალი მცენარე შეიცავს — 0,0124% ლურჯ მჟავა გლიკოზიდს, ფოთლები ერთ ენზიმს, ქსანთინს, გუანინს, ადენინს, ჰიპოქსანთინს, ვიტამინს, 7,8% ნაცარს და სხვა. ბუკინის მონაცემებით, სამყურა მდიდარია კაროტინით.

ქვემო სვანეთში (სოფ. შკედა) სამყურაზე იშვიათად განვითარებულ ოთხყურა ფოთლებს აგროვებენ, ნაყავენ და მის წყალხსნარს ჩაის კოვზით უზმოზე ასმევენ ციებიან ავადმყოფს.

Trifolium medium მოშენებული ვნახეთ ეზოში. სოფელ გორქლოვკაში (ჯავახეთი).

სოფ. აწყვიტაში (ახალციხის რაიონი) სამყურას სხვა მცენარეებთან ერთად წყლულოვან ჭრილობაზე ადებენ.

ბაკურიანში სამყურას ნახარშს ასმევენ მენსტრუაციის აშლილობისა და გადაჭარბებული სისხლდენის შემთხვევაში.

როლოვის მონაცემებით, სამყურას ყველა ეს სახეობა ხალხურ მედიცინაში იხმარება სხვადასხვანაირად. კერძოდ, ყველაზე მეტად გამოყენებულია თავის ტკივილის სამკურნალოდ; სვამენ მის ნახარშს. ხალხი მის აბაზანებს აწერს ნერვების დამამშვიდებელ თვისებას.

197. ვირისტერფა — *Tussilago farfara* L.

ეს მცენარე ეკუთვნის რთულყვავილოვანთა Asteraceae (Compositae) ბოტანიკურ ოჯახს. მრავალწლოვანია, მხოხავი ფესურათი და შებუსილი ღეროთი, რომელიც დაფარულია პატარა ქერცლისებური მუქი იისფერი ფოთლებით; ღერო ბოლოვდება დიდი ზომის კალათა ყვავილედით, რომელიც შედგება პატარა ყვავილებისაგან; კალათას საფარველი ფოთოლაკები, რომლებიც ყვავილობის შემდეგ ქვემოთ იხრება, ჩვეულებრივ, ყომრალია; ნაპირა ყვავილები ენაკიანია,

ხოლო შუა კი — მილისებური. წვრილთესლურა ნაყოფს განვითარებული აქვს საფრენი აპარატი. ზაფხულში დაყვავილების შემდეგ მას უვითარდება დიდი გრძელყუნწიანი და ბასრკბილა ნაპირებიანი, ზემოდან სადა, მუქი მწვანე, ხოლო ქვემოდან თეთრი ქეჩისებური ფესვთანი ფოთლები.

ვირისტერფა ყვავის მარტიდან აპრილის ბოლომდე. საქართველოში ის გავრცელებულია როგორც დაბლობ, ისე მთიან ადგილებში, კლდიან, ღორღიან და თიხნარ ნიადაგზე; ხარობს ჩამონაზვავსა ან მიწაყრილზე, ზოგჯერ მდინარეთა მიერ დატოვებულ შლამიან ადგილებზე. ის მეტად აბეზარა სარეველაა, სადაც ის ხარობს, იქ სხვა მცენარე იშვიათად თუ გაიხარებს.

ვირისტერფას *Tussilago* გვარი სამკურნალო თვისებებით ლათინურიდან გამომდინარეობს. *tussis* — ნიშნავს ხველებას, *agere* — გატანა (*ago* — გაყიდვა), ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *farfara* — ცარცი და *fene* — მტარი-მატარებელი. ამ მცენარის სამკურნალო თვისებები უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, განსაკუთრებით მისი ფოთლებისა. პლინიუსი, შემდეგ დიოსკურიდე და გალენი მას იყენებდნენ და აღწერდნენ კიდევ. შუა საუკუნეების შემდეგ ბოლო ხანებში შეღარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მედიცინაში ვარგისია ვირისტერფას ფოთლები და ყვავილები, ისინი შეიცავენ ლორწოს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფოთლები — გალუს მჟავას. ფოთლები თითქმის უსუნოა, ხოლო ყვავილები მწკავე თაფლის სუნისაა. სააფთიაქო ნედლეულს (ბალახს) აქვს მწარე გემო. ლორწოს შემცველობის გამო იხმარება რიგორც შემომელები საშუალება. შედის ხველების ჩაის შემადგენლობაში, მკურნალობენ სასუნთქი გზების ყოველგვარი დაავადებების, ხმის ჩახლეჩვის შემთხვევაში და სხვა. ხშირად გამოიხმარების სახითაც იყენებენ. გავრცელებულია ევროპაში, დასავლეთ და ჩრდილო აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკის მთებში. ჩვენში მთის შუა, უფრო იშვიათად ზედა სარტყელში იზრდება. ვეხვდება მდინარის პირებზე ტენიან თიხნარ ჩამონაზვავებზე, ზოგჯერ რაყას ქმნის, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, გარე კახეთში, თრიალეთში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ვირისტერფას ხმარობენ თავის ტკივილის წინააღმდეგ და სიცხის დამწვევ საშუალებად, რისთვისაც მის ფოთლებს ქვემო მხრიდან ავადმყოფს ადებენ შუბლზე. მეცნიერულ მედიცინაში ვირისტერფას ურჩევენ სასუნთქი გზების დაავადების დროს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას, ზოგჯერ საყმაწვილოს დროსაც. ჩვენი ფარმაცოპების მე-7 გამოცემაში მოხსენიებულია მისი ფოთლები (*Folia Farfarae*), რომელთაც აგროვებენ მაისსა და ივნისში, შემდეგ აშრობენ, რომ არ გაშავდეს. სამკურნალო მიზნით შეგროვებული ფოთლები ჟანგარას ლაქებითა და წერტილებით დაავა-

დებულები არ უნდა იყოს. იყენებენ ვირისტერფას ყვავილებსაც *Flores Farfarae* ან *Flos Farfarae* ვირისტერფას ყვავილი შეიცავს ტარაქსანთინს ეთერის სახით, მცირედენ ვიოლაქსანთინს, ორ ფიტოსტერინს — ფარადიოლს და 1 — ფიტოსტერინს, მთრიმლავე ნივთიერებას და 8% ნაცარს. მის ფოთლებში მოიპოვება ინსულინი, ქოლინი, ლორწო, მთრიმლავე ნივთიერება, ლექსტინი და ძლიერ მწარე გლუკოზიდური ნივთიერება, რის გამო მას ცხოველები არ ეკარებიათ. გარდა ამისა, ფოთლები შეიცავს აგრეთვე შაქარს, მწარე ნივთიერებას, ერთ ფიტოსტერინს, რომელიც შედგება სტეარინისა და სიტოსტერინისაგან, და ნაცარს, მისი რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით, 9—22%-მდე მერყეობს. ვირისტერფას ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Folia farfarae*, *Flores farfarae*, *Decoctum fol. Farfarae*, *species pectorales*.

ლენხუმში (სოფ. ჩხუტელში) ეზოს ფერდობზეა. ამ მცენარეს გავრცელებაში ხელს არ უშლიან. მის ფოთლებს სიცხიან ავადმყოფს სიცხის გამოსანელებლად ადებენ თავსა და შუბლზე.

ბაკურიანში ვირისტერფას ეძახიან აქლემის ქუსლს და იყენებენ ბუასილის, აგრეთვე მუცლის ტკივილის სამკურნალოდ.

ქარელის რაიონში (სოფ. სანებელში) ვირისტერფას აშენებენ ეზოში და იყენებენ სამკურნალოდ.

როლოვის მიხედვით, ხალხურ მედიცინაში ვირისტერფას წყლიან ნაყენს იყენებენ საყმაწვილოს წინააღმდეგ, ხველების დროს. მის ფოთლებს ხმარობენ შემკვრელად, ნახველის ამომღებ საშუალებად და საყმაწვილოს წინააღმდეგ. ვეტერინარიაში ფოთლებს ცხოველების ხველებისა და გაძნელებული სუნთქვის დროს აძლევენ. მის მთლიან ბალახს ურევენ ცხოველთა საკვებში. შვეიციაში მისი მთლიანი ბალახის ბოლით მკურნალობენ შეზღუდულ სუნთქვას და ხველებს. ინდოეთში ამავე მიზნებისათვის მის გამხმარ და წვრილად დაჭრილ ფოთლებს უმატებენ თამბაქოს. კავკასიის ხალხები მთლიანი მცენარის ნაყენს ხმარობენ ჰემოროიდული აშლილობის დროს.

198. ლაქაში — *Typha latifolia* L.

ეს მცენარე ეკუთვნის ლაქაშისებრთა *Typhaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული და იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, ჭაობებსა და მცირე სიღრმის წყლებში. გვხვდება ზღვის დონიდან 1800 მეტრამდე მთელ რესპუბლიკაში. ეს სასეობა ღონიერი ბალახია, სიმაღლით 2,5 მ, მისი მამრობითი ყვავილედია პირდაპირ მდებარეობით ყვავილედზე ზის. მისი ფესურა იჭმევა; დეკორაციულ მცენარედ ითვლება.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლაქაშის მიწისზედა ნაწილების გამოყენება შეიძლება სასილოსე მასალად. მისი ფესვები შეიცავს უჯრედანას 7,3—21,6% რაოდენობით და 15,4—21,9% სახამებელს.

სახამებლის ასეთი დიდი რაოდენობით შემცველობის გამო ლაქაშის ფესურას საჭმელ ფქვილში ურევენ. კუჭაშლილი ბავშვებისათვის ფაფების დასამზადებლად. მის ნორჩ ღეროებს ხშირად წნილად დებენ, ხოლო ხმელს ხმარობენ ბაღებში ქოხების სახურავად, ჭივოზე პამიდორის ასაკრავად და სხვა. მედიცინაში ლაქაშის მტერის მარცვლები „Semen Lycopodii“-ის ნაცვლად გამოიყენება.

ლაქაშს ოჩამჩირის რაიონში (ახალი კინდლი) ეზოში აშენებენ და იყენებენ ბავშვებში კუჭის აშლის დროს.

როლოვის მონაცემების მიხედვით, მთელ კავკასიაში ადგილობრივი მცხოვრებლები ამ მცენარეს იყენებენ სისხლიანი ფაღარათის დროს, ასევე ვენერული დაავადებებისა და პირის ღრუში განვითარებული წყლულების წინააღმდეგ. მისი ფესურები მდიდარია სახამებლით, რის გამო მისგან ამზადებენ ფქვილს.

199. თელა — *Ulmus foliaceae* Gilib.

თელა 25—30 მ სიმაღლის ხემცენარეა: მისი ფოთოლი მოყვანილობით ოვალური, კვერცხისებური ან უკუკვერცხისებურია, ყუნწი გრძელია და მნიშვნელოვნად აღემატება კვირტს. ფოთლის კიდეები ხერხებილია ან ორმაგი ხერხებილია. ყვავილები მოკლე ყუნწიანია ან გვერდულ კონებად არის შეგროვილი. თელას ამ სახეობის ნაყოფი კაკალია. გავრცელებულია საქართველოს მთელ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ჭალებში, მუხნარებსა და სხვა ამგვარ ადგილებში, ზღვის დონიდან 600—800 მ-ს სიმაღლეზე. იგი ეკუთვნის თელასებრთა — *Ulmaceae* ბოტანიკურ ოჯახს.

თელას ახალგაზრდა ტოტები და ყლორტები კარგია თითქმის ყველა სახეობის პირუტყვის საკვებად, სილოსში თელას ნაყოფი კარგი საკვებია აგრეთვე ლაქტაციის პერიოდში მყოფი ცხოველებისათვის. მისი დასილოსებული ყლორტები ქიმიურად შეიცავს: 67% წყალს, 7% ნაცარს, 14,2% პროტეინს, 10,6% ცილას, 5,2% ცხიმს, 27,6% უჯრედანას, 46% უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებას.

თელას ფოთოლს ქართულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ძნელად დასაჩირქებელი ადგილების მოსამწიფებლად. კარგი სამასალე და საშეშე მცენარეა. დანაყილ ფოთლებს ურევენ სიმინდის ფქვილის ცომში და გალესავენ საწნახელს იმ ადგილას, სადაც გასდის. მისი თესლებიდან იღებენ ზეთს, რომელიც მწვანე ფერისაა, უსუნოა და არ შრება. მისი ქერქით შალსა და აბრეშუმს ყვითლად ღებავენ.

სოფ. კულაშში თელას და ეკალას გარეცხილი ფოთლებით მკურნალობენ ქარებს.

როლოვის მონაცემებით, აფხაზეთში ამ მცენარის ფოთლების ძლიერი ნახარშით იკეთებენ აბაზანებს მოტეხილობათა შეხორცების შემდეგ. ასეთი ტიპის აბაზანებს უნიშნავენ წითელათი დაავადებულებსაც. ფოთლები და ფესვები შეიცავს ინოზიტს, რის გამო მას

იდებენ ჭრილობებზე, ქერქის ნაყენს კი, რომელიც მდიდარია ლორწოთი და მთრიმლავი ნივთიერებებით, ხმარობენ გამოსავლებ საშუალებად სურავანდის წინააღმდეგ, აგრეთვე გარეგან საშუალებად კანის დაავადებათა შემთხვევაში.

200. ჭინჭარი — *Urtica dioica* L.

ჭინჭრის *Urtica*-ს სახელწოდება ლათინურია და *Urtica* — ნიშნავს მწველს, ხოლო *Dioica* — ორსახლიანს, რაც გულისხმობს ცალცალკე მსხდომ მდედრობით და მამრობით ყვავილებს. ეს არის უძველესი დროის სამკურნალო მცენარე ბერძნებისა და კოლხებისათვის. უხსოვარი ხნიდან არის ცნობილი. ბერძენ ფარმაცოლოგსა და ექიმ დიოსკურიდეს ჭინჭრის გვარი აღწერილი აქვს *Urtica pilueifara*-ს სახით, რომელსაც მრავალმხრივ იყენებდა, მაგალითად, კიბოს, ავთიქსებიანი იარებისა და წყლულების, ჯირკვლის დაავადებათა და ნაღრძობის ან მოვარდნილობის დროს და სხვ. ჩვენი წელთაღრიცხვიდან შუა საუკუნეების ჩათვლით ჭინჭრით მრავალ დაავადებას მკურნალობენ. მოხსენიებულია ყველა დროის სამკურნალო მცენარეთა წიგნებში. მთლიანი მცენარე შეიცავს სილიციუმმკვავას, მთრიმლავ ნივთიერებას, გლუკონინებს და ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს — ჭიანჭველას მჟავას, ძმარმჟავას და ერბომჟავას. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა და აქვს მწვავე მჟავე გემო. მას მეცნიერულ მედიცინაში იცნობენ შარდმდენად, ხმარობენ ცხელებისა და თირკმლების ჩაის მოსამზადებლად, სისხლდენის შესაჩერებლად. ჭინჭარში შემავალი ნივთიერება, გლუკონინი სისხლში შაქრის ცვლის მომწესრიგებლად ითვლება და მის ნაყენს ივლებენ ყელის დაავადებათა დროს. სვამენ შარდმდენად. მისი მზა პრეპარატები ახლაც ყოველთვის არის აფთიაქებში. ჭინჭარი გავრცელებულია ყველგან დედამიწის ზურგზე, იქ, სადაც აღამიანია.

ჭინჭარი ეკუთვნის ჭინჭრისებრთა *Urticaceae* ბოტანიკურ ოჯახს. ის მრავალწლიანი ორსახლიანი მცენარეა, დაახლოებით 2 მ სიმაღლის სწორმდგომი ღეროთი, რომელიც დაფარულია მსუსხავი ბუსუსით და ღრმად დაკბილული ნაპირებიანი, ასევე მსუსხავი ბუსუსიანი ფოთლებით. ბუსუსის ძირში მდებარე ჯირკვლებიდან გამოიყოფა ჭიანჭველას მჟავა; ფოთლები კვერცხნაირ-გულნაირია, ღრმად დაკბილული ნაპირებით. მისი ყვავილენი გრძელია. დატოტვილი და აგრეთვე მსუსხავი ბუსუსებითაა დაფარული. საქართველოს მთასა და ბარში ჭინჭარი საყოველთაოდ ცნობილი მცენარეა და წარმოადგენს ძირითადად რუდერალურ მცენარეს, რომელიც ეტანება ჰუმუსიან და შლამიან ადგილებს.

ჭინჭარს ქართულ ხალხურ მედიცინაში მრავალნაირი გამოყენება აქვს. მის ნახარშს ასმევენ ავიტამინოზიან ბავშვებს, რომლებსაც ხშირად „ჭირიანებს“ უწოდებენ. ჭინჭარი ხელს უწყობს ორგანიზმის

ზრდას. მოხარშული ჭინჭრით ასუქებენ ინდაურის ან იხვის ჭუკებს. „ვინცა ჭინჭრის ფოთოლი დანაყოს ან ასურიმოს, და ორივე ცხვირი გამოიტენოს, ცხვირისა სისხლი დასწყვიტოს და თუ ეს ჭინჭარი მარილითა მოხარშოთ და თბილად მსივანსა ალაგზედა დაიდვან უსათუოდ სიმსიენეს უშველის და დააცხრობს“, წერს დავით ბატონიშვილი. ჭინჭარს ხმარობენ რევმატიული ანთების დროს და ჭრილობის შესასორცებლად, წოლო მის თესლს — სქესობრივი უძლურების შემთხვევაში. ამასთან ის წარზოდგენს საუკეთესო საკვებ მხალეულს. მისგან ამზადებენ აგრეთვე მწვანე ან მფარველობითი ფერის საღებავს. მეცნიერულ მედიცინაში მას იყენებენ, როგორც ვიტამინის შემცველ საშუალებას ჰიპოვიტამინოზის დროს, აგრეთვე როგორც ადგილობრივი ჰიპერემიის მომგვრელს და გამღიზიანებელს. სამკურნალო მიზნებისათვის ხმარობენ მის ფოთლებს (*Folia Urticae*), რომლებსაც აგროვებენ ზაფხულში. მთლიანი ბალახი (*Herba Urticae*) შეიცავს გალუს მჟავას, ფისს, მთრიმლავ ნივთიერებას, ცილებს, მინერალურ მარილებს, ჭიანჭველას მჟავას, ჯერ კიდევ შეუსწავლელ გლუკოზიდს და აგრეთვე უცნობ ტოქსინს, რომელიც ჭიანჭველას მჟავასთან ერთად მონაწილეობას იღებს სხეულის დასუსტებაში. ჭინჭარი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინს, რომელიც, ფიზიოლოგი ლ. ჯაფარიძის მონაცემებით, მდებარეობს ეგზემპლარებში უფრო მეტია, ვიდრე მამრობითში. ნაცრის რაოდენობა მასში 20%-ს აღწევს. ჭინჭრის ფესვურებს და ფესვებში *Radix (Rhizoma Urticae)* 7,8% ნაცარია, 11% CaO-თი.

იყენებენ აგრეთვე ჭინჭრის მეორე სახეობის *Urtica urens*-ის ყვავილს, ჭინჭრის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Flores Urticae*, *Herba urticae*, *Tinctura urticae (e Succo recente)*, *Folia Urticae*.

ქ. ზუგდიდში ჭინჭარს აშენებენ ეზოში, ღობის ძირას, საზღვრის (მიჯნის) გასწვრივ.

ახალშენში, ყვარულში, ჯავახეთში, ახალციხეში ჭინჭარს იყენებენ ციების და რევმატიზმის დროს. რაჭაში შევხვდი ერთ საინტერესო შემთხვევას — ზემო უწერაში ჭინჭარს ხმარობდნენ ბუასილის წინააღმდეგ. ამრობენ მცენარეს და აქცევენ ფხვნილად, შემდეგ ურევენ შაბს და ამ ნაზავ ფხვნილს, რაც სველ თითს აყვება, სუსტად იზელენ უკანა ტანში, სწორ ნაწლავში.

სოფ. აწყვიტაში (ახალციხის რაიონი) ჭინჭრით ქარებს მკურნალობენ.

გორში, ხაშურში, თელავში, გურჯაანში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში მოშენებული აქვთ ჭინჭარი, რომლის ნახარშს შაბთან ერთად იყენებენ ნერვული ქავილის დროს.

როლოვი აღნიშნავს, რომ ჭინჭრის ფოთლები მედიცინაში იხმარება სისხლის ჩაქცევის, ფილტვების ანთების, კუჭ-ნაწლავის აშლილო-

ბის დროს და როგორც გარეგანი საშუალება რევმატიზმის წინააღმდეგ. პროფესორი პასტერნა კი თავის დროზე ურჩევდა, ეხმარათ ჭინჭრის ნედლი ბალახი, როგორც კანის ძლიერი გამღიზიანებელი, სოლო ფრანგი ექიმები მას უნიშნავენ სუფთა წვენი სახით შიგნით მიიღებად (დასალევად) სისხლიანი ნახველის დროს და ასევე ჰემოროიდული სისხლდენის შემთხვევაში, ამავე დროს გაძლიერებული დედათა წესის (მენსტრუაციის) დროს.

აფხაზეთში ხალხური მკურნალები მის ნახარშს ასმევენ ვენერული დაავადებების დროს, ხოლო მისი მოხარშული ფოთლებით იხვევენ სასქესო ორგანოს, როდესაც ის ძლიერ შესივებულია ვენერული დაავადებების გამო. ხალხი მის თესლებს ფხენილის სახით ფრიად წარმატებით იყენებს დედათა წესის (მენსტრუაციის) შეჩერების დროს. ჭინჭრის გვირგვინის ფურცლების ნახარშის აბაზანებს იღებენ ტუბიკოტი ტუბიკოლის დროს, განსაკუთრებით გინეკოლოგიურ პრაქტიკაში. მისი ფესვებით ციებას მკურნალობენ. ამისათვის ფესვებს აყენებენ ნორთან ერთად არაყზე და ამ ნაყენით ზელენ დაავადებულს ან ასმევენ.

201. მთის მოცივი — *Vaccinium Myrtillus* L.

კავკასიური მოცივი — *Vaccinium arctostaphylos* L.

მოცივის *Vaccinium* გვარის სახელწოდება ლათინურია და წარმოსდგება სიტყვიდან *Bacca*, რაც კენკრას ნიშნავს; ხოლო სახეობა *Myrtillus* — მირტას მსგავსს. ეს მცენარე მკურნალობის საქმეში XVI საუკუნიდანაა ცნობილი. პილდეგარდს ის მოხსენიებული აქვს და საერთოდ შემდეგ სამკურნალო მცენარეთა ყველა წიგნში გვხვდება. ამ მცენარის ფოთლები შეიცავს გლიკოზიდის მსგავს მწარე ნივთიერებას — ერიკოლინს, არბუტინს, მირტილინს, მთრიმლაჲ ნივთიერებას და ვიტამინს. ის თითქმის უსუნოა, თავისებური გემოსი, ნედლი ნაყოფები შეიცავს ორგანულ მჟავებს, შაქარს, მთრიმლაჲ ნივთიერებას, მირტილინს და ვიტამინს. მშრალ ნედლეულში არის მთრიმლაჲ ნივთიერება, ერიკოლინი, არბუტინი, მირტილინი, ორგანული მჟავები და ვიტამინი.

ნაყოფს უმეტესად შესამჩნევი თავისებური სუნი და მოტკბო-მომჟავო, ოდნავ მთრიმლაჲ გემო აქვს. მას სვამენ გამონაცემების სახით კუჭისა და ნაწლავთა კატარის დროს, აგრეთვე ყელისა და პირის ღრუს გამოსავლებად. მის ნაყოფებს იყენებენ აგრეთვე ლიქიორების წარმოებაში; ფოთლებსა და ნაყოფს მირტილინის, გლუკონინის და სხვა რიგი ნივთიერებათა შემცველობის გამო ხმარობენ სისხლში შაქრის მომატებისას დამწვევად. გავრცელებულია იტალიაში, იბერიის ნახევარკუნძულიდან შემოვიდა ის მთელ ევროპაში, წინა აზიაში, კავკასიაში, დასავლეთ მონგოლეთში, ჩრდილო აზიასა და ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში ხარობს ალპური და სუბალპური სარტყლის

ტყეებში და მდელოებზე აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გარე კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

201ა. წითელი მოცვი — *Vaccinium vitis-idea* L.

გვარის სახელწოდებაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ხოლო სახეობის აღმნიშვნელი *vitis-ideae* წარმოშობილია კუნძულ კრეტაზე არსებული მთის იდას სახელწოდებიდან და ნიშნავს „იდას ვაზს“. მისი გამოყენების ისტორია წინა სახეობასთან შედარებით უფრო ძველია. ეს მცენარეც შეიცავს არბუტინს, მთრიმლავ ნივთიერებას და ცოტად თუ ბევრად C ვიტამინს. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა, გემოთი მწვავე და სუსტი მჟავა. მის ფოთლებს იყენებენ ჩაის სახით, ნაყოფებს — ოფლის მომგვრელად, შარდმდენად, გლუკოზიდი არბუტინი იხლიჩება სრულ ჰიდროქინონად და წარმოადგენს კარგ სადენზინფექციო საშუალებას. გარდა ჩაისა მას სვამენ გამონახარშის სახითაც. გავრცელებულია უკიდურეს ჩრდილოეთამდე ცივ კლიმატურ ზონაში: ისლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიაში (71° ჩრდილოეთის განედამდე), საბჭოთა კავშირში, იაპონიაში, მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, კავკასიაში და კიპალაიში. ჩვენში იზრდება ტყეებში და მდელოებზე მთის ზედა სარტყლიდან დაწყებული ალპურ სარტყლამდე — აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თრიალეთში.

მთის ან ჩრდილის მოცვი ეკუთვნის მოცვისებრთა — *Vaccinaceae* ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს დაბალი, ქონდარა ტანის დატოტვილ ბუჩქს, რომელიც სიმაღლით 30 სმ არ აღემატება. მისი მოკლეყუნწიანი ფოთლები ხერხკბილა ნაპირებით მორიგეობით სხედან ღეროზე, ყვავილები თითო-თითოდ მოთავსებულია ფოთლის ილღებში, ჯამი რგოლივით აკრავს ყვავილს. მომწვანო მოვარდისფრო 4—5 კბილა გვირგვინი თითქმის სფერულია, მტვრიანა ათია, წყვილი რქისებური დანამატით ზემოდან. ნაყოფი წარმოადგენს მრგვალ მოლურჯო შავი ფერის, წვნიან მომჟავო ტკბილ მრავალთესლიან კენკრას, რომელზედაც შემორჩენილია ჯამი. საქართველოში მთის მოცვი გვხვდება ძირითადად სუბალპურ და ალპურ სარტყელში, დაფერდებულ მდელოებზე, ბუჩქთა შორის, ასევე ქვებს ან გორბეებს შუა.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მოცვის თითქმის ყველა სახეობის როგორც ნაყოფს, ისე ფოთოლს ხმარობენ ჩაის ნაცვლად და აგრეთვე ოფლის მომგვრელ საშუალებად. მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მის ნაყოფს (*Fruclus Myrtillus* S. Baceae Myrtile) როგორც საუკეთესო საშუალებას მწვავე და ქრონიკული ფაღარათობის დროს, განსაკუთრებით ბავშვებში. მთის მოცვი მოხსენიებულია ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში და მისი შეგროვებაც წარმოებს. საზღვარგა-

რეთ იმავე მიზნებისათვის იყენებენ *Vaccinium uliginosum* L. და *Vaccinium Vitis idaeae* L.

მსგავსად მთის მოცვისა წითელი მოცივი *Vaccinium Vitis idaeae* L. საკმაოდ დიდი რაოდენობით ხარობს ჩვენში, თითქმის იმავე ადგილებში გვხვდება. სამკურნალო მიზნებისათვის აგროვებენ მწიფე ნაყოფს და ამრობენ ღუმელში, რის შემდეგაც ის სავსებით შეადება. მთის მოცვის ნაყოფში არის 7% პიროკატეჟინის მჟავას ჯგუფის ნივთიერება, რომელიც შემკვრელად მოქმედებს. გარდა ამისა, მასში შედის მირტილინი, 5—20% ლერწმის შაქარი, 7% ლიმონისა და ვაშლის მჟავა, საღებავი ნივთიერება ანთოციანი, პექტინი, ფისი და სხვ. რაც შეეხება მოცვის მეორე სახეობას *Vaccinium uliginosum*, რომელიც აგრეთვე გავრცელებულია ჩვენში, მის ნაყოფში (*Fructus uliginosi recens*) შედის არბუტინი, გლუკოზიდი ვაკცინიინი, ინვერტული შაქარი, ვიტამინი პექტინი, რომელიც შემჟავებულია ციტრონენის, ქინჩინის ან სხვა მჟავათი.

მთის მოცვის ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია: *Fructus Myrtilli seu Baccae Myrtillorum*.

ლანჩხუთის რაიონში (სოფ. ნიგვზიანში) მოცივი მოშენებული აქვთ სიმინდის ნათესში, ვაშლის ძირას ეს მცენარე მთიდან ჩამოუტანიათ და დაურგავთ, ხმარობენ კუჭის აშლილობის დროს.

რაჭის ადგილობრივი მცხოვრებნი ამ მცენარეს მოდგინას ეძახიან; მისი ფოთლების ნახარშს ხმარობენ დიაბეტის წინააღმდეგ, ხოლო ნაყოფებს — კუჭის შემკვრელად; მის კულტურას არსად შეეხვედრივართ, მხოლოდ სოფელ ლებში მის მასივებს იცავენ პირუტყვი-საგან, მთათუშეთში ყორავენ ამ მცენარის მასივებს ქვის ყორით.

როლოვის მონაცემებით, მისგან ამზადებენ ჩაის, რომელსაც სვამენ ოფლის მომგვრელად, ხოლო მათი ნაყოფის კომპოტს — კუჭის აშლილობისას, აგრეთვე ქრონიკული კატარის შემთხვევაში, მისი ჩაის ხშირად დიაბეტით დაავადებულებს უნიშნავენ.

202. ვალერიანა, კატაბალასა — *Valeriana officinalis* L.

კატაბალასას *Valeriana* გვარის სახელწოდება ლათინურია, *Valere* ნიშნავს ძლიერს, ძალის მქონეს, იგულისხმება მისი სამკურნალო ძლიერება, ხოლო სახეობა *officinalis* — სამკურნალოს, მისი სამკურნალო ღირსება ეძველესი დროიდან ცნობილია. როგორც ხალხურ გადმოცემებში, ასევე ყველა სამკურნალო მცენარეთა წიგნში. სამკურნალო საქმეში იყენებენ მის ფესვებს, რომელიც შეიცავს ეთერ-ზეთს, ნედლ მასაში არის ალკალოიდ ვალერიანიინი და ხატონინი, რომელიც მშრალში არ არის, მთრიმლავ ნივთიერებას, შაქარს, მკვრივ და ლორწოვან ნივთიერებას. მის მშრალ მასას აქვს თავისებური დამახასიათებელი სუნი და გემო, პირველად მოტკბო, შემდეგ არომატული და მწარე. მეცნიერულ მედიცინაში ხმარობენ მის ზეთს, რომელიც

გვხვდება — *Valeriana officinalis* var. *angustifolia*-ში და ჩვენს მეორე სახეობაში *Valeriana colchica*. მათ იყენებენ ჩაის, ნაყენის, გამონაცემის და სხვა სუბსტანტების სახით, რომლებიც ფარმაცევტული პრეპარატების სახითაა წარმოდგენილი და იხმარება დასამშვიდებლად, აღმგზნებ ნივთიერებათა შემცველობის გამო იყენებენ უძილობის, ნევროზების, გულის მძიმე მუშაობის და რაიმესადმი შიშის დროს და სხვ. იხმარება თავის ტკივილის დროს, მოუსვენრობისას და ა. შ. აგრეთვე კუჭის ტკივილისას. გავრცელებულია ევროპაში, მის ჩრდილოეთით, კავკასიაში, ციმბირში, ცენტრალურ აზიაში, მანჯურიასა და იაპონიაში. ჩვენში იზრდება ტყის პირებსა და ბუჩქნარებში მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, ჯავახეთში, მესხეთში.

კატაბალახა, რომელსაც საქართველოში იცნობენ აგრეთვე კატაბალახასა და გულბანდის სახელწოდებით, ეკუთვნის *Valerianaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს. წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს მოკლე ფესვებით, რომლისგანაც გამოდის გამსხვილებული ფესვები. მისი ღერო სწორმდგომია და აღწევს 60—120 სმ სიმაღლეს. ფრთაგანკვეთილი ფოთლები, რომლებიც შედგება 7—15 წვრილი ლანცეტა კიდემთლიანი ან დაკბილული ფოთოლაკისაგან, ერთიმეორის შოპირდაპირედ სხედან ღეროზე. ფესვთან ფოთლები გრძელყუნწიანებია, შუა ფოთლები საშუალო სიდიდის ყუნწებზე სხედან, ხოლო კენწრული მჯდომარეა, ყვაილელი დიდი ზომისაა და საგველად შეკრებილი ფარს წარმოადგენს; პატარა მოთეთრო ან ვარდისფერი სურნელოვანი ყვაილები სამი მტკერიანათი ერთად არიან შეკრებილი ტოტებზე. ყვაილის გვირგვინი მილისებურ-ძაბრნაირია და ნაწილაკიანი გადანახარი აქვს. პატარა, მოგრძო ერთთესლიანი ნაყოფი ბოლოვდება ქოჩრით. კატაბალახა მთის შუა სარტყლამდე აღწევს. იზრდება ძირითადად ნესტიან ნიადაგზე, ტყის პირას, ბუჩქებს შორის, მდელოებზე, ტყით დაფარულ ხეობებში, მდინარეებისა და ნაკადულის ნაპირებზე, ჩვენში იზრდება ამ მცენარის მეორე სახეობაც, სახელდობრ, კოლხური კატაპარია (*Valeriana colchica* Utkin), რომელსაც მთათუშეთში გულბანდს უწოდებენ. კატაპარიას, რომელსაც ძველად კატის ძუძუს უწოდებდნენ, და ახლაც ჩვენი ხალხი მრავალმხრივ იყენებს. დავით ბატონიშვილი ურჩევს მას სიღამწერის, ნიკრისის ქარების და სიმსივნის წინააღმდეგ. „ვინცა კატის ძუძუ დანაყოს და დამწვარზედა დაადვას, ან წყალში გამოხადოს და ამის წყალი შესცხოს, დამწვართ უშველოს“-ო. მთაში (რაჭასა და მთათუშეთში) კატაპარია და გულბანდი ღლესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და იხმარება თითქმის ყოველგვარი დაავადების, განსაკუთრებით გულის დაავადებისა და გაციების წინააღმდეგ. „ვინცა ესე

ყირმიზი ვარდი და შაბი იამანი ორივე დანაყოს და კატის ძუძუს წვენი-
თა გააყენოს და პირველი ხელი ამაშიგა ჩაყოს და მერე მდულარეს
შეჭამანდშიგა და ან მდულარეს წყალშიგა ხელი ჩაყოს, ხელი აღარ
დასწვასო“, — მოგვითხრობს დავით ბატონიშვილი.

მეცნიერულ მედიცინაში კატაბალახა ცნობილი იყო ჯერ კიდევ
მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, Valera—Valero ჯან-
მრთელობას ნიშნავს; ის მოხსენიებულია მსოფლიოს თითქმის ყველა
ფარმაკოპეაში, როგორც ანტიესპტიკური და ნერვული სისტემის და-
სამშვიდებელი საშუალება, რომელსაც უნიშნავენ ფუნქციური ნერვუ-
ლი დაავადებების, ნერვული აგზნების დროს, უძილობის შემთხვევა-
ში, აგრეთვე გულის მოქმედების დაქვეითებისას როგორც აღმგზნებ
საშუალებას და სხვ. მის ფესვურებსა და ფესვებს Rhizoma Valeri-
anae cum Radice) ჩვენში აგროვებენ ველურად, ხოლო უკრაინაში
ის კულტურაშიც მოჰყავთ.

კატაპარიას ფესვურებისა და ფესვების ქიმიური შემადგენლობა
ასეთია: გაზაფხულზე ის შეიცავს 0,8%, მაისში 1,7%, ხოლო გვიან
ივლისში 1% ეთერზეთს, რომელიც შედგება პინენისა, კამფენისა,
მარცხენა ბორნეოლისა და ეთერებისაგან, ჭიანჭველას, ძმრის, ერ-
ბოსა და ვალერიანას მჟავას; გარდა ამისა ეს ზეთი შეიცავს მარცხენა-
ტერპინეოლს, მარცხენა სესკვიტერპენს და ამ უკანასკნელის შესაბა-
მის სპირტს. გარდა ეთერზეთისა, კატაპარიას ფესვურებსა და ფესვებ-
ში შედის დაახლოებით 0,25—1,4% რაოდენობით ვალერიანას მჟავა,
რომელიც შედგება თავისუფალი ან მარილისებური ორი ქაფურ-
თრიმლმჟავისაგან და ემსგავსება ვალერიანთრიმლმჟავას. ის შეიცავს
აგრეთვე ორ მთრიმლავ მჟავას. ორ ალკალოიდს — ვალერიანსა და
ხატიინს, სახამებელს, შაქარს, ფისს, ცვილს, ფისოვან ვალერიანინს,
გლუკოზიდ ვალერიდს, ძმრისა და ჭიანჭველას მჟავას — მარილით,
თავისუფალ ვაშლის მჟავას, წებოს, ლიპაზს, ოქსიდაზს და 10% მჟა-
ვაში უხსნად ნაცარს. კატაპარიას ფარმაცევტული პრეპარატებიდან
აღსანიშნავია: Tinctura Valerianae simplex, Tinctura Valerianae
aetherea, Extractum Valerianae spissum, Inf. rad. Valerianae,
Extractum Valerianae fluidum.

ვალერიანას იყენებენ როგორც საგულე საშუალებას.

ქ. ქობულეთში კატაბალახა მოშენებული ვნახეთ ეზოში, სიმინ-
დის ნათესში, 2 კვ. მ ფართობზე. ხმარობენ ყელის დაავადების დროს.

203. შხამა — *Veratrum Lobelianum* Bernh. შხამას — *Vera-*
trum — გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინურიდან
და *Veratrae* — ნიშნავს ცხვირის მაცემინებელს. შხამა უძვე-
ლესი დროიდანაა გამოყენებული მკურნალობის საქმეში; მე-
ორე სახეობა *V. album* მოხსენიებულია უძველესი დროიდან ღღემდე
ყველა სამკურნალო მცენარეთა წიგნში. ეს სახეობაც იგივე მოქმედე-

ბით ხასიათდება. ახალი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებიდან ის იხსენიება, როგორც შხამიანი მცენარე. შხამას ფესვები შეიცავს ალკალოიდების რიგს, ცოტად თუ ბევრად შხამიან პროტოვერატრინს, გერმერინს, იერვინს და ერთ თავისებურ ალკალოიდს, მწარე გლიკოზიდ ვერატრამარინს, ხელიდღონმეავას, შაქარს, ფისისებრ ნივთიერებას; მზა ნედლეული უსუნოა. დაფხვნილი სახით იწვევს ცხვირის ცემინებას, მწარეა და მწველი. იხმარება ძალიან ფრთხილად მისი შხამიანობის გამო; მისი მზა ნედლეულის 2 გრამი სრულიად საკმარისია მოსაწამლავად. მას მცირე დოზით ნაყენების სახით იღებენ ჭვლების დროს. მისი ფხვნილი იხმარება როგორც მწერების საწინააღმდეგო საშუალება — ტილების, რწყილისა და ბაღლინჯოს წინააღმდეგ — ამ უკანასკნელი თვისების გამო ის გამოყენებულია ვეტერინარიაში, მასში ურევან ზამბახის ფესვების *Rhizoma Iridis* ფხვნილს სხვა ნაზავებთან ერთად და ამზადებენ ცხვირის საცემინებელ ფხვნილს; გავრცელებულია საქართველოში მდელოებზე, ტყის პირებზე და ველებზე, სუბალპურ სარტყელში მთელ რესპუბლიკაში. იგი ეკუთვნის შროშანასებრთა — *Liliaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს. ქართულ ხალხურ მედიცინაში შხამას ფესვების ნახარშს ხმარობენ ცხოველების კანის პარაზიტების მოსაშორებლად და ადამიანის ქაენას (მუნის) წინააღმდეგ. ჩვენი ფარმაკოპეას მე-7 გამოცემაში შხამას ეს სახეობა მოხსენიებულია და მას იყენებენ სავეტერინარო პრაქტიკაში. ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ შხამას ფესვურების ნაყენი დაშვებულია ტილების (პარაზიტების) წინააღმდეგ. მისი ფესვურების შეგროვება ხდება შემოდგომაზე. შხამას ფესვურები (*Rhizoma Veratri*) შეიცავს სასამებელს, შაქარს, ფისს, ცვილს, ცხიმებს, საღებავ ნივთიერებას, მინერალურ მარილებს. მთრიმლავ მკაეას, გლუკოზიდ ვერატრამინს (*Veratraminum*), ალკალოიდებს: იერვინს (*Iervinum*), რუბიერვინს (*Rubjervinum*), ფსეუდოიერვინს (*Pseudojervini*), პროტოვერატრიდინს (*Protoveratridinum*) და პროტოვერატრინს (*Protoveratrinum*). შხამას მთავარ მოქმედ საწყისად ითვლება პროტოვერატრინი, რომელიც თავისი მოქმედებით ვარლიხის მონაცემების თანახმად, ეთანაბრება საბადილას (*Sabadilla officinarum* Brandt, Syn. *Schoenocaulon officinale* Asa Gray) თესლის შხამს (საბადილა მექსიკის მცენარეა, რომლის ალკალოიდებიც იწვევს პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლას). ამ ბოლო ხანებში შხამას ფესვურებიდან გამოჰყვეს კიდევ ორი ალკალოიდი — იერვინი (*Iervin*) და გერმერინი. ნაცრის რაოდენობა მასში 12—14%-ს არ აღემატება, ხოლო მკაეაში უხსნადი ნაცარი 4%-ს შეადგენს. მისი ფარმაცევტული პრეპარატებიდან აღსანიშნავია *Rhizoma Veratri*, *Tinctura Veratri*, *Unguentum Veratri sulfuratum*, *Extractum Veratri viridis fluidum*.

სოფ. ლახუნდარაში (იმერეთი) ხარის კისრის შესიებისა და ცხენის ზურვის გადატყავების შესახორცებელ მცენარეული წარმოშობის წამალს ძირითადად ამზადებენ შხამასა და ხარისძირასაგან, მაგრამ მას ეზოში არ აშენებენ.

შხამას რაჭაში კანის პარაზიტების წინააღმდეგ ხმარობენ, სოფ. ღებში (ონის რაიონი) ეზოს გვერდზე მდებარე სუბალპურ მდელოზე შხამას პატარა მასივს იყენებენ კანის პარაზიტების წინააღმდეგ, ამ მასივს სპეციალურად არ უვლიან, მაგრამ იცავენ, რომ შორს წასვლა არ მოუხდეთ.

სვანეთში (უშგული) შხამას ფესვურების წვენით მკურნალობენ ცხენის გადატყავებულ ზურგს.

ასპინძის რაიონში შხამას ფესვურების ნახარშს იყენებენ ქავანას სამკურნალოდ.

როლოვის მიხედვით შხამას ფესვებს, რომელიც შეიცავს ვერატრინს და პროტოვერატრინს, ხმარობენ ფხვნილის სახით დასალევადად ან ნახარშის და ნაყენის სახითაც ნევრალგიების, ნეკრისის ქარისა და რევმატიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამას ძალიან იშვიათად მიმართავენ; ახლა მას მეტწილად იყენებენ როგორც გარეგანს, ცხვირის დასაცემინებელი ფხვნილების სახით, ასტიქსიის წინააღმდეგ, ხოლო მისი სპირტის ნაყენს — ჩასაზღვლად, როგორც ტკივილების დამაყუჩებელ საშუალებას რევმატიზმისა და ნევრალგიების დროს; მისგან ამზადებენ, მალამოებს ქავანასა და კანის პარაზიტების წინააღმდეგ. მისი ფესვების სპირტიან ნაყენს (ერთი ნაწილი ფესვი, ოთხი ნაწილი სპირტი) ხმარობენ კანის ლაქების წინააღმდეგ, ხოლო მისი ფესვების ნახარშით იბანენ თავს ქერცლის საწინააღმდეგოდ. მისი ფესვების ფხვნილს იფრქვევენ მყრალ და ლპობად ჭრილობებზე. ამავე ფხვნილს იყენებენ, როგორც ცხვირის მაცემინებელს თავის ტკივილის დროს. ძველ დღეებზე დაყენებულ მის ნახარშით რევმატიზმს მკურნალობენ.

204. ცოცხანა — *Verbena officinalis* L.

Verba — გვარის სახელწოდება წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან და ნიშნავს გაღმერთებული, საფიცარი, და მართლაც იგი შესაწირავად მიჰქონდათ. სახეობა — *officinalis* სამკურნალოს ნიშნავს. სპარსელები ამ მცენარეს უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალოდ: ეგვიპტელები, ბერძნები, კოლხები, რომაელები, გერმანელები და კელტები მას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ვერბენა იხსენიება ამ ხალხების როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ასევე უძველესი დროიდან შემორჩენილ ხელნაწერებსა და სამკურნალო მცენარეთა წიგნებში. მას როგორც ჭრილობათა შემსორცებელ სამკურნალო საშუალებად, ხოლო ახალი წელთაღრიცხვიდან და შემდეგ უკვე მრავალი დაავადების წინააღმდეგ ხმარობენ. გაღმოცემით, მისგან ჯადოქრულ მალამოს ან სალბუნს აკეთებდნენ. ეს მცენარე შეიცავს

გლიკოზიდ ვერბენალინს, მწარე ნივთიერებას და სილიციუმმკავას. მზა სააფთიაქო ნედლეული უსუნოა, აქვს მწარე მკაწრავი გემო. ადრე მას იყენებდნენ შარდის მომგვრელადაც, ის ძირითადად შარდმდენ საშუალებას წარმოადგენს და აფთიაქებში იყიდება ფერადი და თირკმლების ჩაის სახით. მას ურევენ აგრეთვე პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებ წყალში, ხშირად ივლებენ მხოლოდ მის ნაყენს ცივად.

გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში, აზიაში და საერთოდ მთელ დედამიწის ზურგზე. ჩვენში იზრდება ტენიან ადგილებში, ნათესებში და რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე — აუხაზეთში, იმერეთში, აჭარაში, ქართლში.

ეს ბალანოვანი მცენარე ცოცხანასებრთა — *Verbenaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის. სიმაღლით 30—60 სმ-ია. ყვავილთაწებები ლანცეტაა, ხოლო ფოთლები ფრთაღგანკვეთილები. გავრცელებულია მთელ საქართველოში მთის შუა სარტყლამდე, ძირითადად მდინარის ნაპირებსა და ნესტიან მდელოებზე.

როლოვის მიხედვით, კავკასიის მცხოვრებლები მის წვენს ან ნახარშს სვამენ მუცლის ჭრიტი ტკივილის დროს, ასევე ჩაჭედილი თიქარის მიერ გამოწვეული ტკივილის შემთხვევაში. ცოცხანას წვრილად დაჭრილ ფოთლებს უმატებენ ქერის ფქვილს და კვერცხის ცილას, რომელსაც შემდეგ საღებუნის სახით იღებენ გადიდებულ ელენთაზე, ხოლო წვრილად დაჭრილ ახალ ფოთლებს შემოადებენ (შემოახვევენ) ნალრძობზე, შესიებულ ადგილებში. ხალხი მისი ფოთლების ნახარში აბანავებს ქავანათი, ციებით (მალარია), თავის ტკივილით და საერთო სისუსტით დაავადებულ ბავშვებს.

გულაუთის რაიონში, სოფ. ლინში ვნახეთ ეზოში მოშენებული სამკურნალო მცენარეები, მათ შორის ცოცხანა. ცოცხანა ღღესაც შემორჩენილია სოფ. სხეიტორში, აკაკის ეზოში.

წულუკიძის რაიონში, სოფ. მათხოჯში სხვა სამკურნალო მცენარეებთან ერთად ეზოში აშენებენ ამ მცენარეს და მას ბაიას ეძახიან, კანის დაბუშტუკებისას მთლიან მცენარეს ნაყავენ და ამ დანაყილ მასას ადებენ მტკივან ადგილებზე, ღუტკოებზე.

ცოცხანას ეზოში აშენებენ გურჯაანში.

205. ჩაღანდარი — *Veronica officinalis* L., *V. anagalis* L.

ეს მცენარე ეკუთვნის *Scrophulariaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს, 10--30 სმ სიმაღლის ბალახია, კოლოფი გაგრძელებული ელიფსურია და თითქმის ორჯერ დიდია სიგანეზე, ვრცელდება მთის შუა სარტყლამდე, მეტწილად ჭაობიან ადგილებში. *Veronica* გვარის სახელწოდება წარმომდგარია *Betonica* ან უფრო სწორად *Verus*-დან, რაც ნამდვილს, სამართლიანს ნიშნავს, *Unicus* კი — ერთეულს, ერთხელს, ხოლო *officinalis* — სამკურნალოს. სამკურნალო საქმეში იყენებენ ამ სახეობას. უძველეს ხელნაწერებსა და წიგნებში ეს მცენარე და სა-

ერთოდ ეს გვარი მოხსენებულია განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის-პირეთის ქვეყნებში. მას თავიანთ სამკურნალო მცენარეთა წიგნებში აღწერენ ოტო ბრუნფელი და ლეონარდ ფუში. მათი აზრით, ეს მცენარე სამკურნალოდ გამოიყენებოდა უძველესი დროიდან თავბრუსხვევის, სულიერი დაავადების, მეხსიერების დაკარგვის დროს მის აღსადგენად, ცუდი მეხსიერების, კუჭის, ღვიძლის, ფილტვების, ელენთის, საშვილოსნოს, ნაღვლისა და შარდის ბუშტის დაავადებათა და ანთების დროს. ხმარობენ ოფლის ზომგვრელად. 1690 წელს იოჰანეს ფრანკუსმა ის შეიტანა თავის წიგნში.

ეს მცენარე შეიცავს მწარე ნივთიერებას, მთირმლავ ნივთიერებას, საპონინსუბსტანტს, სუფთა ეთერზეთებს, ერთ გლუკოზიდს, და საფიქრებელია, რომ ერთ ალკალოიდს. მზა ნედლი სააფთიაქო მასალა სუსტად არომატულია; არომატი გაშრობის შემდეგაც რჩება; გემოთი მწარეა მასში ალკალოიდის შემცველობისა და ლორწოს სიმცირის გამო, იყენებენ სასუნთქი გზების დაავადებათა დროს. მასში მწარე და მთირმლავი ნივთიერების შემცველობის გამო ხმარობენ კუჭისა და ნაწლავთა დაავადების შემთხვევაში, მისგან ამზადებენ აგრეთვე ყელში გამოსავლებს ხსნარებს.

გავრცელებულია მთელ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენში გვხვდება ყველა რაიონში, მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე ტყეებსა და ბუჩქნარებში.

როლოვის მონაცემებით, ამ მცენარეს აქვს სკორბუტის საწინააღმდეგო თვისება.

სოფ. მახარაძეში (განდრეკილა) მას იყენებენ ციმბირის წყლულის სამკურნალოდ. ასევე ხმარობენ შაქრის შემცველად (წამლის გასატკბობად).

206. ძახველი — *Viburnum opulus* L.

ძახველი ეკუთვნის *Caprifoliaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს და წარმოადგენს მოზრდილ ბუჩქს ან მცირე ზომის ხეს, რომელიც სიმაღლით 3 მეტრს არ აღემატება. მისი მღვრიე მოყვითალო ან ნათელი ნაცრისფერი ყლორტები სუსტად დაკუთხულია, ხოლო გულგული ცოტად თუ ბევრად ექვესკუთხიანი. კვირტები დაფარულია ქუდისებრი შიშველი, მღვრიე წითელი ფერის, მბრწყინავი ქერცლით. ფოთლებს დაჰყვება ძაფისებური ფოთოლთანები. მრგვალი, თათისებურად განკვეთილი ფოთოლი შედგება სამი დაკბილული ნაწილაკისაგან. ფოთლის ფირფიტაზე ორი ჯირკვალაია, სურნელოვანი თეთრი კენწრული ყვავილები შეკრებილია ქოლგისებურ ფარ-ყვავილედში, შიგნითა ყვავილები პატარა ზარისებურია, ხოლო ნაპირა ყვავილები ძალიან დიდებია, თავთავისებური და უნაყოფო, ჯამი და გვირგვინი ხუთი ნაწილისაგან შედგება, მტვრიანაც ხუთი აქვს. ნაყოფი წითელი კენკრაა. ძახველი ყვავილობს მაისსა და ივნისში. ძახველი საქართველოში გავრცელებულია

როგორც მთაში, ისე ბარში, დაახლოებით მთის შუა სარტყლამდე. განსაკუთრებით ნესტიან და სველ ადგილებზე, ტყეებსა და ტყიან ხე-ვებში ბუჩქებს შორის. აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქართლში, კახეთში, თრიალეთში, მესხეთში.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მისი ნაყოფი ცნობილია როგორც ხველების შემაჩრებელი, მადის მომგვრელი და ვიტამინების შემცველი საშუალება, ხოლო მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მისი ქერქის (*Cortex viburni Opuli*) ნახარშს და ექსტრაქტს საშვილოსნოდან სისხლდენის შემთხვევაში (მეტრორაგიის ავადმყოფური მენსტრუაციის, დისმენორეის დროს). ძახველის ქერქს აგროვებენ ადრე გაზაფხულზე.

ქიმიურად ძახველის ქერქში შედის გაურკვეველი გლუკოზიდი, გლუკოზიდი ვიბურნინი, მთრიმლავი ნივთიერება და 2% მჟავაში უხსნადი ნაცარი. არც ერთ ალკალოიდს ძახველის ქერქი არ შეიცავს. შუა მასალაში ხის მინარევები 2—5% არ უნდა აღემატებოდეს. მკურნალობის საქმეში გამოყენებულია ძახველის მეორე სახეობის უზანი-ის (*Viburnum Lantana L.*) ქერქიც. მისი ფარმაცევტული პრეპარატებია: *Decoctum Cort. Viburni*, *Extractum Viburni fluidum*, *Elixir Viburni opuli compositum*.

საზღვარგარეთის მეცნიერულ მედიცინაში ძახველის ქერქის სქელ გამონაცემს უნიშნავენ კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით ბავშვს. რაჭაში (სოფ. სორი) მისი ნაყოფისაგან დამზადებულ ჯამონახარშს ასმევენ საყმაწვილოსა და მუცლის ტკივილის წინააღმდეგ. ეს მცენარე ჭნავთან ერთად აქვთ მოშენებული.

სოფ. ზემო ალვანში ძახველის ნაყოფებს აძლევენ ხველების წინააღმდეგ. მცენარეს ეზოში რგავენ.

როლოვის მონაცემებით, ძახველს იყენებენ ხველების საწინააღმდეგოდ, ხიხინის დროს და სხვ. ამ მიზნით მისი ყვავილების ნახარშს ასმევენ, მისი მწიფე ნაყოფების წვეს უსვამენ ქაენას, სახის ლაქების და სახის დამუწუკების დროს. მისი ნაყოფის ნახარშს უნიშნავენ მუცლის ტკივილის დროს. გამშრალი ყვავილების ნაყენს კანზე გამო-ნაყრისა და საყმაწვილოს დროს უსვამენ. საყმაწვილოს დროს მისი ახალგაზრდა ყლორტების ნახარშში ავადმყოფებს აბანავენ. მის მწარე ქერქს ანტისპაზმატური, შემკვრელი, შარდის გამომდენი, საშვილოსნოს ტკივილის დამაყუჩებელი თვისება აქვს (*Extractum Viburni-opuli fluidum*). იხმარება კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით ბავშვებსა და ისტერიულ ავადმყოფებში.

207. სურნელოვანი ია — *Viola odorata L.*

იას — *Viola* — გვარის სახელწოდება ლათინურიდან მომდინარეობს. *Viola* დამამცირებელი, კინობითი ფორმაა, ხოლო ბერძნული

